

სსრ კავშირის მდივნებათა აკადემიის საქართვე. ფილიალის
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. შარსიძის

~~V 583~~
~~2~~

მ ა ს ა დ მ ბ ი

საქართველოს მთროგრაფიისათვის

III

ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
DIE GEORGISCHE ABT. d. AKADEMIE d. WISS. d. UdSSR

Институт языка, истории и матер. культуры им. акад. Марра
N. I. Marrs Institut d. Sprache, d. Gesch. u. d. materiell. Kultur

МАТЕРИАЛЫ

ПО

ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

III

MATERIALIEN

für die Ethnographie Georgiens

III

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР
VERLAG der GEORGISCHEN ABT. der AKADEMIE der WISSENSCHAFTEN der UdSSR


39 (47.292)

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველო
ფილიალის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

III



საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით

დაიბეჭდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

გეოგრაფიკი მ. ნიჭია

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	VII — XV
მიცვალებულის კულტი ხევსურეთში	1 — 158
მიცვალებულის კულტი არხოტის თემში—მ. ბალიაურისა და ნ. მაკალათიასი	1 — 64
მიცვალებულის კულტი ბარისახოს თემში—მ. ბალიაური- სა და ნ. მაკალათიასი	65 — 70
მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენახაღუს თემებში— აღ. ოჩიაურისა	71 — 78
სულის ხუცობის ნიმუშები	79 — 86
ძახილით ტირილის ნიმუშები	87 — 90
ხმით ნატირალის ნიმუშები	91 — 132
შენიშვნები ხმით ნატირალებზე	133 — 158
 მიცვალებულის კულტი სამეგრელოში—თედო სახოკიასი	 159 — 188
მთხრობელთა სია	189 — 190
საძიებელი	191 — 220
კარტოგრაფია	
ტაბულები	I — XVI
გეგმები, ჭრილები, ხედები	I — V
ფოტოსურათები	VI — X
ნოტები	XI — XVI

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие	VII — XV
Культ мертвых у хевсур	1 — 158
Культ мертвых в Архотском обществе — М. Балаи- ури и Н. Макалатиа	1 — 64
Культ мертвых в Барисахойском обществе — М. Балаи- аури и Н. Макалатиа	65 — 70
Культ мертвых в Рошкском и Укенахадуйском обще- ствах — А. Очнаури	71 — 78
Образцы поминальных текстов	79 — 86
Образцы причитаний <i>zaxilit</i>	87 — 90
Образцы причитаний <i>xmit</i>	91 — 132
Примечания к причитаниям <i>xmit</i>	133 — 158
Культ мертвых у мегрелов — Ф. Сахокиа	159 — 188
Список информаторов	189 — 190
Указатель	191 — 220
Картограмма	
Таблицы	I — XVI
Планы, разрезы, фасады	I — V
Фотоснимки	VI — X
Ноты	XI — XVI

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III — ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილია „მიცვალებულის კულტი ხევსურეთში“, ხოლო მეორე — „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“.

პირველ ნაწილში მოცემულია როგორც გარდაცვალებასა და მიცვალებულის დამარხვასთან დაკავშირებული წესჩვეულებები, ისევე „სულის ხუცობისა“, „ძახილით ტირილისა“ და „ხმით ნატირალის“ ტექსტები.

მასალა შეგროვებულია ენიმკი-ს ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ განხილული და დადასტურებული პროგრამის მიხედვით. პროგრამის მოთხოვნის საფუძველზე შეგროვილი მასალა ხევსურეთის ოთხი თემის (არხოტი, ბარისახო, როშკა და უკენახადუ) მეტ-ნაკლებად დამახასიათებელ წესჩვეულებებს შეიცავს. განსაკუთრებით მდიდრადაა მოცემული არხოტის თემის მასალები. თემობრივად, სოფლობრივად და უბნობრივად მასალის შეგროვებას, ეთნოგრაფიული საველე მუშაობის ეგრეთ წოდებულ ინტენსიურ მეთოდს, ეთნოგრაფიული ფაქტის ზუსტი მეცნიერული ფიქსაციისათვის ჩვენი ეთნოგრაფია აუცილებელ წინაპირობად სთვლის.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თემასთან დაკავშირებული მასალა შემგროვებლებისათვის ხელმისაწვდომი სისავსით არის წარმოდგენილი. გათვალისწინებულია მიცვალებულის კულტის უმეტესი შემადგენელი ელემენტი და თითოეულ მათგანზე ამომწურავი მასალის შეკრება მიზნადაა დასახული. გარდა ამისა მხედველობაში მიღებულია მიცვალებულის კულტში მოცემული წესჩვეულებების სხვაობანი დაკავშირებული მიცვალებულის სქესსა, ჰასაკსა, შეძლებულებასა, გარდაცვალების სახესა (ზავით სიკვდილი, მენნაკრავი, სამრევლოში გარდაცვალებული) და სხვასთან.

დაბეჭდილი მასალები — „მიცვალებულის კულტი არხოტის თემში“ (გვ. 1 — 64) და „მიცვალებულის კულტი ბარისახოს თემში“ (გვ. 65 — 70) ჩაწერილია მელანო ბალიაურისა და ნიკო მაკალათიას მიერ ლელა და გაგა წიკლაურისაგან (65 წ. და 78 წ.) ს. ახიელში 1937 წლის ივნისში, ლუკა ჯაბუშანურისაგან (75 წ.) ს. ახიელში

როგორც ვიცით, ხევსურული მიცვალებულის კულტის საკითხებს მასალის შეგროვებისა თუ მასთან დაკავშირებული თეორიული ინტერესის თვალსაზრისით არა ერთი და ორი ავტორი შეხებია. ყველაზე უკეთ ამ კულტთან დაკავშირებული მასალები თავის დროზე შეაგროვა კარგად ცნობილმა, გამჭრიახმა დამკვირვებელმა ნ. ხიზანაშვილმა (ურბნელმა)¹. მან ამ კულტის საყურადღებო მასალები გამოაქვეყნა თავის ნაშრომში, რომელსაც თუმცა „ფშავ-ხევსურეთი“ ეწოდება, მაგრამ უმთავრესად ხევსურეთის წესჩვეულებებს მოიცავს.

მაგრამ ნ. ხიზანაშვილი საგანგებოდ ხევსურული მიცვალებულის კულტით არ დაინტერესებულა. ამიტომ ჩვენ მას ამ საკითხთან დაკავშირებული მასალის სისრულეს ვერ მოვკითხეთ. სამაგიეროდ ისინი ვინც ამ საკითხს თითქოს მონოგრაფიულად სწავლობდნენ და საგანგებოდ იკვლევდნენ (მ. კოვალევსკი², ვ. გურკო-კრიაჟინი³, გ. ნიორაძე⁴ და სხვები) ბევრით არ დაწინაურებულან ნ. ხიზანაშვილის მონაცემებთან შედარებით. მკვლევარები მეტ წილად ამოდიოდნენ ხიზანაშვილის მასალებიდან და ახალს (გარდა შეუწყნარებელი თეორიებისა) თითქმის არაფერს ჰმატებდნენ მეცნიერებას თუნდაც მასალების შემოწმებისა, დადგენისა და შეგროვების დარგში. შესამოწმებელი, დასადგენი და შესაგროვებელი კი ხევსურეთში აღძრულ საკითხის შესახებ ბევრი რამ იყო. სათანადო მასალა დღესაც მოიპოვება, რომლის გამოვლინება გამჭრიახ თვალს, ბევრით შრომას და სტაციონარულ მუშაობას საჭიროებს.

ამ მხრივ აქ გამოქვეყნებულ ნაშრომში ბევრი ახალი, მნიშვნელოვანი და ლიტერატურაში დღემდე უცნობი მასალაა მოცემული. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „მესულთან-მექადაგე“, „გარენგარ გადაბრუნებული ტალავარი“, „მუნჯად“ და ხმით ტირილი („მოთვლით“, „ძახილით“ და „ვმით“), „წყალწილა“, „ფანდურის გატეხა“, „ნაცივარი“ სახლის დანათვლა“, „წყალთ დალოცვა“, „საქნარები“, „სულის სახლი“, „სულამის დღე“, „თიბის შამშაბათი“, „მიცვალებულის ქვრივი“, „სხვისი ველით სიკვდილი“, „თავის მოკლა“, „ზვავის დაღევა“, „სამრევლოში გარდაცვალებული“, „მენხაკრაკი“, „ქოხში გარდაცვლილი ბავშვი“, „ურჯულოსად სახელის დადება“, „მკვდართ წირვა“, „ძაღლთ-ციცათად ცემა“, „ყურის მოჭრა“, „აბედით ხელის დაწვა“, „სახელის დადება ქერ-თივისად, ნაწველ-ნაღვებისად, მარილისად“, „მიცვალებულის ზებირ დარჩენა“, „საიქიოს გახილვა“, რკინეულის საფლავში ჩატანების აღკვეთა, წინაპართ ხსოვნა: ალიათ მგელა, ბერდიათ გაგა და სხვა.

აქ დასახელებული და ნაშრომში მოცემული ძველი ხევსურეთის მახასიათებელი ბევრი სხვა მასალაც მრავალმხრივ არის საყურადღებო. მაგალითისა-

¹ ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, თბილისი 1940 წ., გვ. 76 და შმდ.

² М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Москва 1890, ტ. I

³ В. Гурко-Кряжин. Хевсуры, ჟურნალი „Новый Восток“, Москва 1926, წიგნი 20—21. ეს ნაშრომი ადრე ფელეტონებად იბეჭდებოდა გაზ. „Заря Востока“-ში, 1927 წ., №№ 1555, 1557, 1583, 1585.

⁴ G. Nioradze, Begräbnis und Totenkultus bei den Chewssuren, Stuttgart 1931.

⁵ ცივი — ხევსურულად მიცვალებული.

თვის თუნდაც „სამრევლოში გარდაცვლილის დამარხვის წესი“ ავიღოთ. თუ „მექობე“ დიაცი მოკვდებოდა, მას „საფლავ-სამარეში“ (საერთო სასაფლაოზე) არ დამარხავდნენ. გარდაცვლილთან მხოლოდ მექობე ქალები მივიდოდნენ. ქობში გარდაცვლილს პირველად დაასაფლავებდნენ „საჩხებში“ (ქობის, სამრევლოს ახლო). დასაფლავებიდან შვიდი თვის ან ერთი წლის შემდეგ მიცვალებულის ძვლებს ამოიღებდნენ და საერთო სასაფლაოს ახლო დაასაფლავებდნენ. მიცვალებულის მეორედ დამარხვის ადგილს „სარიოშო“ ეწოდებოდა (იხ. ბაცალიგოს სასაფლაოს გეგმა, ტაბ. IV). ამ წესჩვეულებაში დამოწმებული მეორედ დამარხვის ფაქტი, გარდა იმისა, რომ ის საყურადღებოა უძველესი სარწმუნოების თვალსაზრისით — მნიშვნელოვანია არქეოლოგიურადაც, რამდენადაც ამ წესის საფუძველზე ადვილად შეიძლება აიხსნას არქეოლოგიურ განათხარებში მოცემული მეორედ დამარხვის შემთხვევები.

ეს წესი მხედველობაში არ ყოფილა მიღებული იმ არქეოლოგების მიერ, რომლებიც ჩვენში მეორედ დამარხვის შემთხვევებს იკვლევდნენ¹. ამასთანავე „სარიოშოს“ არსებობის ფაქტი ჩვენს არქეოლოგებს ავალდებულებს მიაქციონ ყურადღება სასაფლაოს გათხრების დროს „სარიოშო“ უბნებს.

ასევე საყურადღებოა, რომ ხევსურეთში არსებული წესის მიხედვით მიცვალებულს საფლავში რკინისას არაფერს არ ჩაატანდნენ. იმ დროს, როდესაც ოპროსა და ვერცხლის სამკაულების თუ სხვა საგნების ჩატანება შეიძლებოდა, რკინის ყოველი საგანი ალკვეთილი იყო. თუ მიცვალებულის ტანსაცმელზე რაიმე რკინისა იყო მასაც ააჭრიდნენ. კიდევ მეტი. კირისპატრონი წინასწარ აფრთხილებდა სულარის ჩამცმელებს, რომ მიცვალებულს „რკინისი არაფერ წაყვეს მიწად“—ო (გვ. 10). ეს საგულისხმო წესჩვეულება სხვა შემხვედრ მოვლენების საფუძველზე უძველესი წესჩვეულება ჩანს. ამიტომ მას ენიჭება დიდი მნიშვნელობა სამარხების ზუსტად დათარიღების საქმეში. მართლაც, ისტორიკოს-არქეოლოგები იმის მიხედვით, რომ სამარხებში რკინის ნივთები არ მოიპოვება, ხშირად ასკვენან რკინის კულტურის შემოღების გვიან თარიღს. სინამდვილეში კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხებში რკინის ნივთების არ არსებობა შეიძლება ზემომოყვანილი წესჩვეულებით აიხსნას და არა რკინის კულტურის შემოღების გვიანი თარიღით. როგორც მოგვხსენებათ, ამ გარემოებას არა მცირადი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისათვის.

ცნობილია, რომ ყველა ხალხის მიცვალებულის კულტში უდიდესი ადგილი წინაპრის ხსოვნას აქვს დათმობილი. ხევსურულ მიცვალებულის კულტშიც წინაპარს საპატიო ადგილი უჭირავს.

ბერდიით გავა გადმოვიკვით „რკინის ჯვარის“ ხელოსანი ყოფილა. მას სახელი ჰქონია გაეარდნილი როგორც გულად მეომარსა და ბედ-იღბლიან კაცს. ვაგას სახელს ჰმატებდა აგრეთვე ისიც, რომ მისი „შვილ-ბოლო“ მეტად გამრავლებული ყოფილა. რკინის ჯვარი თურმე მას დიდად ეხმარებოდა და უმართავდა ხელს. მისი გარდაცვალების შემდეგ ბერდიაშვილებს ვაგას სახელზე

¹ გ. ნიორაძე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, ენიმიკის მოამბე, V—VI,

დღეობა დაუწყებიათ. ამ დღეობისათვის გაგას სახელზე იხდებოდა ლუდი და არაყი, იკვლოდა საკლავი და იდგმოდა ტაბლა. ხალხი თურმე გაგას ევეღრებოდა: „შენმა იღბალმა გვიშველოს და გავგამრავლოს შენი ჩამომავლობაო“ (გვ. 64). მეორე წინაპრის, ალიათ მგელას, საფლავი ხალხის მიერ წმინდა ადგილად ყოფილა მიჩნეული, მას დედაკაცები ახლოს ვერ ეკარებოდნენ. საფლავის გალავანს შიგნით არც მამაკაცები შედიოდნენ. გამონაკლისს ხუცესი შეადგენდა (გვ. 63).

ხევისურეთში წინაპრის კულტის არსებობას პირველად ნ. ხიზანაშვილმა მიაქცია ყურადღება. მან ფიქსაცია უყო სახალხო გმირის მამუკა ქალუნდაურის საფლავს და ხალხში შემონახულს მამუკასთან დაკავშირებულ მოგონებებს.

ხიზანაშვილი სწერს: „როცა ხევისური, და ხშირად ფშაველიც, ბეგენ გორზედ აივლის, უთუოდ ცხენიდან ჩამოხტება, მოწიწებით მივა და თაყვანსაცემს ხოლმე ქალუნდაურის საფლავს, იმ დიდს ლოდს, რომელსაც თავისუფლების წმინდა ძეგლად ჰხადიან. ბევრჯერ კიდევ ლოცულობდნენ ქალუნდაურის საფლავს, სანთელს უნთებდნენ იმისის საფლავის ქვას, რათა? — ქალუნდაური ღვთის კაცია, თვისი ვაჟკაცობითა და მხნეობით ხევისურეთი დაიხსნა მტარვალობისაგან, ზურაბის ჯარი დაამარცხა და ჩვენც თავისუფლება შეგვინახაო“¹.

ხალხი ქალუნდაურზე მღერის:

„თან მოჰყვეს ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი;
ბეგენ-გორ ჩამოეწია
ჯარნი ჭრა ზურაბისანი...
ღულის ძირს წისქვილ დაბრუნდეს
ზურაბის სისხლის წყლისანი.
ხევისური კაცი უტია —
ქალუნდაურის ფრანგულმა
ხმალ შუქი გამოუტია“².

ნაშრომში მოტანილი მასალა მიუთითებს მასზე, რომ ხევისურული წინაპრის კულტში ერთი მხრით ებონიმის კულტია მოცემული³, ხოლო მეორე მხრით მასში წინაპრის გაღმერთების ელემენტებია ჩაქსოვილი⁴.

ასევე საყურადღებოა ცნობები „სამშეოსა“ და „სულგთის“ ურთიერთობის შესახებ. ახლად გარდაცვლილ მამაკაცს „მეგობრებად“ „დედიძემები“ და მოგვარეები მოუვიდოდნენ, ხოლო დედაკაცს — „მამისახლი“. გარდაცვლილი მა-

¹ ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, თბილისი 1940, გვ. 134.

² ნ. ხიზანაშვილი, *op. cit.*, გვ. 134 — 135.

³ შდრ.: „მოქცევაჲ ქართლისაჲჲ“. ქართლოსის საფლავი არქაში.

მაკაცი სულეთში ჯერ დედამებთან მიყავდათ, ხოლო შემდეგ თავის გვარში გადაყავდათ. გარდაცვლილ ქალსაც ჯერ დედამებთან წაიყვანდნენ, ხოლო შემდეგ მამამებთან და ამის შემდეგ ქმრეულებთან. საიქიოში თითოეული გვარიცალ-ცალკე სუფევდა — „ანდაბ-ანდაბად“ (გვ. 58).

გვარების მიხედვით იყო აგრეთვე დაყოფილი ხევსურული სასაფლაო (იხ. ტაბ. IV და V). იგი გვარების მამათგანაყოფების მიხედვითაც კი ნაწილდებოდა. მაგ. ბარისახოში სასაფლაო არაბულების შემდეგი მამათგანაყოფების უბნებისაგან შედგება: „ხარნულთა“, „ფიცხელაურთა“, „თინბეგაურთა“, „ბულანაურთა“ და „სისაურთა“.

გარდაცვლილ ძუძუმწოვარ ბავშვს „სულეთში“ თავისი „ამბოკვარი“ (მომვლელი) ყავს, რომელიც მას უფლის და „ადუმებს“. საერთოდ „სულეთში“ იციან, თუ სამზეოს ვის რა მოელის. იქ სამზეოს ბედ-იღბალს არჩევენ: ვის რა ბედი აქვს, ვაჟი ვის გაუჩნდება, თუ ქალი. როდესაც „სამზეოში“ მესისხლე მტრებს არიგებენ, ჯერ „სულეთში“ უნდა შერიგდნენ მესისხლე გვარები, რომ სამზეოს შერიგება მოხდეს. უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომში მოტანილი მასალების მიხედვით „სულეთი“ ხევსურის წარმართული შეხედულებით სააქაოცხოვრების მომწესრიგებელია, ღვთისა და კაცის შორის შუამავალი (გვ. 61).

ამავე ნაშრომში შედარებით სრული სახით ქვეყნდება „სულის ხუცობის“ ტექსტები. ჯვარის ხუცვისგან განსხვავებით მკვდრისათვის შენდობის მთქმელი „სულის ხუცისი“ იყო. სულის ხუცვის მოვალეობას შეადგენდა მიცვალებულის სახელზე განკუთვნილი საკლავის დაკვლა, ტაბლისა, ლუღისა და არაყის დალოცვა. დალოცვის დროს სათქმელი ლოცვები იყო: „სახელსადები“, „პირის ქარი“ და „კურთხევისა“. ამ ტექსტების ნაწილს არქაულობის ნიშანი აზის და: ამდენად ისინი ძველი, წარმართული ხანის ხევსურული რელიგიის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენენ.

ეს ტექსტები ჩვენამდე წარყვნილი სახითაა მოღწეული. ისინი ზეპირი გადაცემით გადადიოდნენ თაობიდან თაობაში და ამის გამო მათ დაუკარგავთ პირვანდელი სახე. დღეს ამ ტექსტების ფრაზების აზრი უმრავლეს შემთხვევაში გაუგებარია. ტექსტების აღდგენა ტექსტების ყველა ვარიანტების შეგროვებისა, შესწავლისა და ქართული სასულიერო შინაარსის ხელნაწერების მონაცემებთან შედარების გზით მოხერხდება. ეს ტექსტები, ხევსურული ხუცობანის მსგავსად¹, ხევსურული უძველესი რწმენა-წარმოდგენების გასაღებია. ისინი „მიცვალებულთა წიგნია“², სადაც წარმართობის უხვი მასალაა შემონახული.

სულის ხუცობის ტექსტებზე, როგორც ბოლო ხანებში გაიკვია, ჯერ კიდევ ილ. ჭავჭავაძეს მიუქცევია ყურადღება. მას 1865 წელს ჩაუწერია, როგორც ეს ირკვევა მისივე უბის წიგნიდან, მოკლე „მკვდრის დალოცვა“, რომელიც „ივერიის“ 1879 წლის 85 №-ში დაუბეჭდია. დაბეჭდილში ჩამწერი აღნიშნული არ არის. (ამ ტექსტის ჩაწერისა და დაბეჭდვის ვითარება გაარკვია

¹ გ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. I, ტფ. 1938.

² შტრ. Flinders Petrie, Origin of the Book of the Dead, Ancient Egypte 1926 წ., იენისი, ნაწ. II, გვ. 41—45.

დოც. ვ. ბარდაველიძემ). ეს ტექსტი ამ ნაშრომში მოთავსებულია 85 — 86 გვერდზე. აქვე მოგვყავს „ივერიის“ 1889 წლის № 9-ში დაბეჭდილი, უცნობის მიერ ჩაწერილი, «დეკანოზის დამწყალობება ხატში ახალი მკვდრის პატრონების სუფრაზე». „სახელის დადების“ (გვ. 82) ერთი ტექსტი ჩაწერილია ალ. ოჩი-აურის მიერ სოფ. როშკაში 1939 წ. სხვა „სახელის დადება“, „პირის ქარნი“ და „კურთხევანი“ კი ამ სტრიქონების ავტორის მიერ არის ჩაწერილი ს. ბარის-სახოში 1929 წლის აგვისტოში.

იშვიათ და დღემდე უცნობ მასალას წარმოადგენს „ხმით ნატირალებისა“ და „ძახილით ტირილის“ ჩანაწერები¹.

ხეცსურულ მიცვალებულის კულტში დატირება რთული სახის მოქმედებას წარმოადგენს. აქ მიცვალებულს სტიროდნენ „მუნჯად“ და ხმით. ხმით ტირილი სამკვარი სახისა იყო: „მოთვლით“, „ძახილით“ და „წმით“. უკანასკნელებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „წმით ნატირალები“. მისი შემსრულებელი „აიტებს“ ტირილს არა თავისი ნებით, არამედ მას „მკვდარნი ატირებენ“. სანამ მიცვალებული დაუმარხავთ იყო ხმით ტირილის ახლად „ატეხა“ არ შეიძლებოდა. ხმით ტირილის პირველად ატეხა „ტალავართაზედ“ იცოდნენ. ქალს, რომელსაც პირველად ხმით ტირილის „ატეხა“ უნდოდა, დაიწყებდა ცახ-ცახ-კანკალს, თავის ქნევას, ბარბაცს, ხელების ფშვნეტას, წვლობდა და გასაქცევადაც დაეშურებოდა. მას ქალები დაიჭერდნენ და ეტყოდნენ: „ქალო, გამაილე ენა, ნუ აწვალე, ნუ უჭერ კბილთ, ანაბრივ შენ უნდისხარ მიცვალებულს თავის მეენედაო“. ასეთი სურათი რამდენჯერმე გამოვრდებოდა. შემდეგ მიცვალებულს სახელს დასდებდნენ (ლუდს, არაყს, პურ-სატანს შესწირავდნენ). სახელის მდები ქალი იყო, ის სახელის დადების დროს იტყოდა: „სადაც შენ (მიცვალებულის სახელი) ხარ, შენიმც საგმარი ას, ნუ აღონებ, გამაატანი ენაი შენს მეენეს“. ამის შემდეგ ხმით მოტირალიც ამოიღებდა ხმას. ის მიცვალებულის „ენით“ დაიწყებდა ლაპარაკს: „აძრახდი ჩემო მეენეო, ნუ დამაღონე სულეთჩიაო, ჩამიდეგ წილი ტირილჩიაო, მე შენ მინდისხარ მეენედაო“ (გვ. 39). ამით ხმით მოტირალი „გაისარავდა“ ენას და დაიწყებდა ხმით ტირილს. ამ მასალის მიხედვით ირკვევა, რომ „აძრახება“ ისეთი აქტია, რომელიც ხმით მოტირალში მიცვალებულის დროებით დასადგურებას გულისხმობს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, თუ მოვიგონებთ, რომ „აქადაგების“ დროს ქადაგში ღვთაება სადგურდებოდა, — „აძრახებაში“ ახალი გარემოებაა მოცემული. სახელდობრ: მიცვალებულის სულის დასადგურება. თავისი წარმოშობით ეს მონაცემი ხმით მოტირალში მიცვალებულის დასადგურებას სცილდება და ცოცხლებში მიცვალებულის განსახიერების იდეას შეიცავს, რაც ქართველ ტომებისათვის დღემდე ცნობილი არ იყო.

ხმით მოტირალი ტირილის დროს თხზავდა ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მღეროდა. მოტირალი მგრძნობიარე ლექსით აღწერდა მიცვალებულის წარსულ ცხოვრებას და ნამოქმედარს, ძველ მიცვალებულებსაც „შატირებდა“. ხმით მოტირალის ყოველ წინადადებას ყველა დამსწრე მოტირალი

¹ შიორ. ა. შანაშვიდ. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ხეცსურული, ტფილისი, 1931.

ქალების საერთო დაქვითინება მოყვებოდა. კარგ ნატირალებს ხალხი ზვირად-სწავლობდა; ის თაობიდან თაობაში გადადიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ქალების მიერ შეთხზულ ხმით ნატირალებს თიბვის დროს მღეროდნენ—„გვრინში“¹: „გვრინი“ მიცვალებულთ მოგონების ერთ-ერთი სახე იყო. შრომის პროცესში ამ სახით მიცვალებულის მოგონების წესჩვეულება ეთნოგრაფიულმა ლიტერატურამ არ იცის.

ხევსურული ხმით ნატირალები, სვანურ „ლიფანალთან“ ერთად, ქართველ ხალხის მიცვალებულის კულტის ორიგინალურ თავისებურებას წარმოადგენს. მათში მოცემულია მიცვალებულისადმი დამოკიდებულებას თითქმის ყველამხარეები, ისინი წინაპართა მოგონების ცხოველმყოფელი წყაროა. მათში წინაპართა თაყვანისცემა გამოსჭვივის. ხმით ნატირალები იმდენად ორიგინალური და თავისებური მოვლენაა, რომ დასავლეთ ევროპის მეცნიერების მტკიცება თითქოს წინაპრის კულტი მხოლოდ ძველი ინდოევროპული ხალხების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს² — ამ მასალის საფუძველზე ადვილად ირღვევა.

ხევსურეთში ხმით ნატირალი ქალების ინსტიტუტი არსებობდა: რამდენად კარგი იყო ხმით ნატირალი, იმდენად დიდი პატივი და ქება ჰქონდა მას ხალხში დამსახურებული. ყველა ცდილობდა მისი მიცვალებული კარგი ხმით ნატირალს ეტირა. ხალხში მრავალი ხმით ნატირალები ტრიალებს. აქ გამოქვეყნებულია ხმით ნატირალების მხოლოდ ერთი ნაწილი. დაბეჭდილი მასალებიდან: 1—74 ჩაწერილია ალექსი ოჩიაურის მიერ, 75—121—ლალბალიაურის მიერ, ხოლო 122—მარიამ წიკლაურის მიერ. შენიშვნები ხმით ნატირალებზე მათ ჩამწერთ ეკუთვნის. ამავე ნაშრომს ერთვის ხმით ნატირალებისა, ძაბილით ტირილისა და დათვლით ტირილის ჰანგები ნოტებზე გადატანილი. ჰანგები ნოტებზე გადაიტანა კომპოზიტორმა გრ. ჩხიკვაძემ. მანვე, გადაიღო ეს ჰანგები ფირფიტებზე 1940 წ. ნოემბრის 30-ს მარო წიკლაურის შესრულებით (იხ. ტაბ. XI—XVI). მ. წიკლაურის მიერ შესრულებულ „ხმით ნატირალში“ მონაწილეობდნენ: მელანობალიაური, დედიკა ოჩიაური და ლელია ოჩიაური.

ხევსურულ მიცვალებულის კულტში სხვა თავისებურებათა შორის ცხენსულეთსა და სამხეოში მნიშვნელოვანი როლი ჰქონია დაკისრებული. ის მონაწილეობდა მიცვალებულისადმი განკუთვნილ თითქმის ყველა წესჩვეულებებში. ხევსურულ მიცვალებულის კულტში მრავალადაა მოცემული სხვა მნიშვნელოვანი მასალაც, მაგრამ მათ ვეღარ გამოვეყიდებით. ჩვენი მიზანი იყო ერთ-ორ მაგალითზე გვეჩვენება, თუ რამდენად ახალ და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს „მიცვალებულის კულტი ხევსურეთში“.

არა ნაკლებ საყურადღებოა მონოგრაფიული ნაშრომი „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“, რომელიც კარგად ცნობილ მსცოვან ეთნოგრაფის თ. სახოკიას კალამს ეკუთვნის. ამ ნაშრომში არა ერთი და ორი ხევსურული წესჩვეულების პარალელი მოიპოება. დავასახელებთ თუნდაც „მოთვალარ“-ების-

¹ შდრ. გ. ჩიტაია, ქვის კუბო ქვემო-ალმედან, ენიმკი-ს მოამბე, ტ. VIII, გვ. 2.

² W. Koopers, Die Indogermanenfrage im Lichte der historischen Völkerkunde

ტირილს. „მცოდნე და ღირსეულ მოთვალარად ითვლება ის ქალი, ვისაც ემარჯვება მიცვალებულის დამახასიათებელი თვისებები აღნიშნოს ... და საერთოდ ისეთი სიტყვები იხმაროს და ხვას ისე შესაფერად აუწ-დაუწიოს, რომ მაყურებელთ გული აუჩვილოს და ტირილის გუნებაზე დააყენოს. ერთგვარი ჰიმინი, საგალობელი გამოუდით. ყოველი ტაეპი მღერით თავდება და ხმამალალი ვიშიში და გულის ამოსკვნა მოჰყვება“ (გვ. 170)—შეადარე ხევსურულ „ხმიონატირალეს“. აგრეთვე შეადარე სიცოცხლეში თავის თავის დატირება (გვ. 174)— და ხევსურული „თაოდ თავის დამარხვა“ (გვ. 48), ცხენის მონაწილეობა მიცვალებულის დამარხვის წესჩვეულებებში და სხვ. მაგრამ არა მარტო პარალელები და მსგავსებებია თ. სახოკიას შრომაში საყურადღებო. მასში ფიქსირებულია ის თავისებურებებიც, რომლებიც მეგრულ წესჩვეულებებს შემოუნახავს¹.

ხევსურულ და მეგრულ მიცვალებულის კულტში მოცემული წესჩვევების შეხვედრება და თავისებურებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მეტყველი იქნება, როდესაც შეგროვდება სხვა ქართველი ტომების მიცვალებულის კულტის მასალები. მათ საფუძველზე შეიძლება აღდგენილი იქნას ქართველი ტომების უძველესი რწმენები და მათთან დაკავშირებული სოფლმხედველობა.

თ. სახოკიას ნაშრომთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორს მოცემულ მასალების კვლევა-ძიების საფუძველზე საკუთარი შეხედულებებიც აქვს მოყვანილი. მაგრამ ავტორის ზოგიერთი მტკიცება დამაჯერებლობას მოკლებულია. მაგალითად, ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მეგრელს მიცვალებულსა და საფლავის შიში ჰქონდა და რომ ეს შიში მეგრელის იმ რწმენის საფუძველზე იყო დამყარებული, რომელიც მიცვალებულს ბოროტ არსებად მიიჩნევდა (გვ. 86). ავტორის ამ შეხედულებას არ ეთანხმება მისივე ნაშრომის სხვა მონაცემები. იმავე 186 გვერდზე ის სწერს: „მიცვალებულთა სულები და მათი საფლავები მეგრელებისათვის საფიცარია“ და ცოტა ქვემოთ — მიცვალებულის ძვლებს სამკურნალო თვისებებს მიაკუთვნებდნენ და მაგიურ საშუალებად იყენებდნენ (გვ. 187). ეს მონაცემები ისევე, როგორც მეგრულ მიცვალებულის კულტში დამოწმებული სხვა დეტალები (დატირება, ზრუნვა და სხვა) ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ადვილად გაქარწყლდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგრელს შიშსა ჰგვრიდა არა თვით მიცვალებული, არამედ მიცვალებულში დასადგურებული ბოროტი ძალა, მიცვალებული კი მეგრელისათვის კულტის საგანი იყო. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში მთავარი ის ეთნოგრაფიული ფაქტებია, რომლებიც აქ ასე უხვად არის მოცემული.

¹ შტრ. აღრიხდელი ჩანაწერები: А. Хаханов, Странный обычай (Прокливания чудотворными иконами в Мингрелии), Этнографическое обозрение, в. I, 1901, გვ. 162; მისივე, Пережиток старины в похоронном обряде грузинского князя, Этнографическое обозрение, в. IV, 1896, გვ. 157—160, (შტრ. „Новое“)

*
*
*

ნაშრომი „მიცვალბულის კულტი ხევსურეთში“ დაბეჭდილია იმ დედნე-ბის მიხედვით, რომლებიც დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყ. არქივში (საქ. №№ 5 და 7). მთხრობლების ინდივიდუალური გამოთქმები, ზოგჯერ ოდნავ დაშორებული საზოგადოდ მიღებულისაგან, დატოვებულია უცვლელად. დედნე-ბის მხოლოდ აშკარა კორექტურული შეცდომებია გასწორებული. უცვლელად დატოვებულია აგრეთვე მთხრობლების მოყოლის წესი მიუხედავად იმისა, რომ მთხრობაში აქა-იქ უკეთქმებსა და განმეორებებს აქვთ ადგილი. რედაქციის ჩა-ნართები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

ნაშრომის დართული აქვს მთხრობელთა სია, საძიებელი, კარტოგრამა და ტაბულები. ტაბულებზე მოცემული ფოტო-სურათები (ტაბ. VII—X) გადაღებუ-ლია დოც. ქ. ძიძიშვილის მიერ, ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშა-ობის დროს ხევსურეთში 1939 წელს. დანარჩენი ფოტო-სურათები (ტაბ. VI) გადაღებულია არქ. ირ. ქავთარაძის მიერ ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსპე-დიციის მუშაობის დროს ხევსურეთში 1940 წელს. ენიმკი-ს ორივე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. ხარაძე. საფლავის კოშკების განაზომები და სასაფლაოს გეგმები (ტაბ. I—V) შესრულებულია იმავე არქ. ირ. ქავთარაძის მიერ.

როგორც ზემოხსნებულ პირებს ისევე ყველა იმათ, რომელთაც დანმარება აღმოგვიჩინეს ამ ტომის გამოცემაში გულითად მადლობას მოვასხენებთ.

გ. ჩიტაია

მიცვალებულის კუდტი პრხლტის თემში

I. მძიმე ავადმყოფი

როცა ვინმე მძიმე ავად გახდებოდა, ავადმყოფის პატრონები მაშინვე მკითხავთან წავიღობდნენ და თან წაიღებდნენ „სახელსადებებს“ — „ხმიალებს“ და სანთელს.

ხმიალებს მიიტანდნენ და დაალოცვინებდნენ იმ სულისათვის, რომლის ენითაც უნდა ელაპარაკა „მესულთანეს“. ქადაგისათვის კი მიჰქონდათ სამი ღერი სანთელი და ანთებდნენ იმ სალოცავისათვის, რომლის ენითაც უნდა ელაპარაკა მკითხავს და რომელსაც ავადმყოფობის მიზეზად სთვლიდნენ. მკითხავი ან „მესულთანეა“ (სულის მკითხავი) ან „მეჭადაგე“ (ხატის მკითხავი)¹. თუ მკითხავი ქრივენაირად მკითხაობდა — ე. ი. „მესულთანეც“ იყო და „მეჭადაგეც“, მაშინ ავადმყოფის პატრონი მასთან მივიდოდა როგორც „ქადაგთან“.

მკითხავის თქმით ავადმყოფს „ჯვარი“ (ხატი) „მამიწეზებდა“; მკითხავი ეტყოდა ავადმყოფის პატრონს, თუ რას თხოულობს „ჯვარი“ და რატომ გახდა ავად მისი ოჯახის წევრი. როცა ამგვარად მკითხავი „ჯვართ“ მკითხაობას გაათავებდა, მხოლოდ ამის შემდეგ „დაზღებდა სახელს“ მკვდრის სულის მოსახსენებლად დამზადებულ „ხმიალებს“; ეს იმიტომ, რომ „ჯვარი“ მაღლა სდგას სულზე და უპირველესი ხსენება მას ეკუთვნის; როცა „ჯვარი“ შეატყობინებდა მკითხავს თავის ნებას ანუ როცა მკითხავს „ჯვარი მოუვა“, მხოლოდ ამის შემდეგ „მოუვლენ სულნი“.

ისიც ხდებოდა, რომ მკითხავს ჯვარიც და სულიც ორივე ერთად მოუვიდოდა, მაგრამ ამ დროსაც ჯერ ჯვარი უნდა მოუვიდეს და მერე სული. შესაძლებელია მკითხავის სანთელი აანთოს და ჯვარი მაინც არ მოუვიდეს; ან და მარტო „ჯვარს მოუვიდან“ და „სულს არ მოუვიდან“ — ე. ი. „იჭადაგოს“ და არ „ისულეთოს“. ჯვარი რომ მოამიწეზებდა, მერე სული სთხოვდა „ხთიშვილთ“: „მამეცით ნება რო მე გამავესაუბრო მეენეთ“ — ო.

„ხთიშვილნი“ როცა სულს ნებას მისცემდნენ, რომ თარჯიმანის (მესულთანის) საშუალებით თავის ცოცხალ შინაურს გამოეცაუბროს, — მკითხავი — შესულთანე იტირებდა და სული მისი პირით უფრო შინაურულად ესაუბრებოდა თავის ცოცხალ ნათესავს იმის შესახებ, თუ სად უნდა დაკლას საკლავი ავადმყოფის პატრონმა, სად ქნას „სახმთო“ ან ღამისთევია და იმისაც იტყოდა. თუ

¹ როცა ქალია ქადაგი („მეჭადაგე“) ის მხოლოდ შინ, სახლშია ხატის სახელით მოლაპარაკე და არა „ჯვარში“.

რა მიზეზით არის ავადმყოფი ავად და რა სწყნით „ხთიშვილთ“. თუ მკითხავს სულმა ათქმევინა (თუ „სულთ მატანებების“): „ძალიან ვშიშობ... ხთის კარზე დაოლა-დ ვსთხოვ იხეიშნას (შეინდოს) თავის ყმაი, მტკლითა-დ, ქუდით გეხვე-წები-დ ვერას ვკლები, თქვენ შეეცადენით რა ხთიშვილთ ყელ მასტეხათ (მო-ალბოთ)... აქით ყველის თქმის ნება არ გვოქე, მიაც თვალ-ცრემლიან გამაგ-ბრუნდები ხთიშვილთ კარზეით“ და სხვა,—ეს იმას ნიშნავდა, რომ ხთიშვილინი ძალიან გამწყარაღნი არიან და ავადმყოფის მორჩენა საეჭვოა.

ამის გამო ავადმყოფის პატრონი შეეცდებოდა ხთიშვილთ „ყელი მასტეხოს“ (მოალბოს) და შეუთქვამს (შეპირდება, ვალად დაიდებს) „სახმით-ლამისთევას“, საკლავებს: ცხვარს ან კურატს;—ჯვარის კარზე „მეხვეწურთ“ (მახვეწრებს—ვინც ავადმყოფის მორჩენას შეეხვეწებოდა ხატს) მოიყვანდა და არაფერს დაი-შურებდა ავადმყოფის მორჩენისათვის.

თუ ავადმყოფი „ზღვრობის“ (შესაწირავის შეწირვის) დროს დამშვიდდებოდა,—ეს კარგი ნიშანი იყო, მორჩენა საიმედო იყო; „ხთიშვილთ ნაზღვრობ-ნასანთლობი“—მიიღეს, ხოლო თუ ავადმყოფს არაფერი უკეთესობა არ დაეტყობოდა, მაშინ კიდევ წავიდოდნენ „მექადაგე-მესულთანესთან“, კიდევ მიიღებდნენ რჩევა-დარჩევასს საიქიოდან მოვლენილი სულისაგან, რომელიც მათ მე-სულთანის პირით ესაუბრებოდა. ამგვარად ავადმყოფის უკანასკნელ წუთებამდე პატრონები ჯვარში „ზღვრობას“ არ იშლიდნენ.

მ. თაგის დღით სიკვდილი

მომკვდავს ღამეს უთევდნენ მისი ახლო მოგვარეები და ტოლ-ამხანაგები¹—საღამოდან დღემდე ავადმყოფთან იყვნენ და დღით დიშვლებოდნენ. დღის განმავლობაში ავადმყოფთან რჩებოდნენ ახლო ნათესაეები—უფრო ხშირად მოხუცები. დღისითაც ავადმყოფთან გარდა ნათესაეებისა სხვა პირიც უნდა ყოფილიყო, რათა მომკვდავის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიმე ოჯახის წევრს არ დასჭირებოდა მისთვის პირზე ხელის დაფარება—„დაკრეფა“.

როცა შეატყობდნენ, რომ ავადმყოფი კვდება, თაფლის სანთელს ჩამოქნიდნენ, ორ ცალს გააკეთებდნენ და ანთებულ სანთელს მისცემდნენ მომკვდავს ორივე ხელში. თუ ვაჟაკი კვდებოდა, მაშინ მარჯვენა ხელში ხმალს ან ხანჯალს მისცემდნენ და მარცხენაში სანთელს. მომკვდავის ოჯახის წევრებს და ნათესაეებს გარეთ გამოიყვანდნენ, მომკვდავთან დარჩენილი მეზობელი ან გარემუ მთავარეთაგანი—მომკვდავს პირზე ხელს დააფარებდა — „დაპკრეფ-და“; თვლებს დაუხუჭავდა, პირს მოუკუმავდა და ხელებს გულზე ჯვარედინად დაუწყობდა, ფეხებს გაუსწორებდა. ყოველივე ეს მიცვალებულის გაცივებამდე უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ მიცვალებულს დაბანდნენ, ახალ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, (რომელიც მას საფლავეში ჩაყვებოდა), სხვა ტანისამოსს ზედ დააყრიდნენ და თუ ვაჟი იყო გულზე აბჯარასაც დააწყობდნენ.

¹ [ავადმყოფთან ღამის თევას ჰევესურები უწოდებენ „ცეცხლო-გზება“-ს].

„დაკრეფის“ დროს, თუ მიცვალებული ვაჟი იყო, ამ სიტყვებს ეტყობდნენ. „იადრმც შახოლ იადრში... გზაიმც კსნრილი ვაქე, სულიმც იადი. გზათამც ინათებ, უჩინჩაიმც (ბნელში) ნუ დაშჩები, ნუმცარა დავაშინებს, კმლითამც ილაღავ. მტერსამც იბრუნებ, გულმაგრადამც ხარ, თავისებსამც შეეკრები; ცნობა-ნდობით-განათლებით ერთადამც ხართ: ძმა, მამიძმა, შინშ-შინშიზილეგბი“. თუ ქალი ამასვე ეტყობდნენ, მხოლოდ იარაღზე არ იქნებოდა ლაპარაკი.

III: ტ ი რ ი ლ ი

გარდაიცვლებოდა თუ არა ადამიანი არხოტის თემში, მიცვალებულს ადგილს გამოუცვლიდნენ (პირაქეთ ხევსურეთში და შატლიში მიცვალებული გარეთ, დერეფანში ესვენა დასაფლავებამდე, — არხოტში კი მხოლოდ ადგილს და ლოგინს გამოუცვლიან), ქვეშაგებს („სალოგინეს“), „ჩაღას“ გარეთ გამოიტანდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. „სალოგინეს“ დაწვა ავადმყოფის გარდაცვალებას ნიშნავდა და მეზობლებიც დაინახავდნენ რა ამას, მაშინვე მიხვდებოდნენ ყველაფერს, ერთმანეთს ბტკობინებდნენ ამ ამბავს და ყველანი „ჭირისპატრონის“ ოჯახში მიდიოდნენ. [მიცვალებულის ერთ-ერთი მოგვარე მიცვალებულის სახლის ვარზე იდგა და მომსვლელ მამაკაცებს არ უშვებდა მიცვალებულთან ახლოს დასაქეითინებლად; მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცს „ხატი“ უკრძალავს მიცვალებულთან ახლოს მისვლას, ზოგი მათგანი მიცვალებულის ბატრონის ხაირით მიიწევდა მიცვალებულისაკენ, კარზე მდგომი კი მას არ უშვებდა]. მამაკაცების უმრავლესობა გარეთ ბანზე ან ეზოში რჩებოდა; სადაც ოჯახის უფროსი მამაკაცი იჯდა¹. იგი მომსვლელ მამაკაცებს თქვამდა მდგომე შეხედებოდა და თავდახრილი წინ გაუჩერდებოდა. მისულბეიც აგრეთვე, მწუხარების ნიშნად თავდახრილი „ჭირს უწყენდნენ“ (მოუსამძიმებდნენ).

ჭირისწყენა შემდეგ დიალოგს შეიცავდა, რომელიც მთელ ხევსურეთში ძირითადად ერთნაირი იყო, მას უფრო ერთღროულად ამბობდნენ ორივე მხარის წარმომადგენელი:

ჭირისმწყენელი: ვერ გექნ ჩემ თავი, სანამ ვეგეთას ვნახევიდო...

ჭირისუფალი: შენის მტრისაიდ დუშმინისაი.

ჭირისმწყენელი: ბრალი ას, დიდის ღმერთის წყენაიას, რომ შენ გულ სწუნდებოდას—შენ ძმა (თუ შვილი მოუკვდა—შვილს ეტყვის და სხვა) გაკლდებოდას—ჩემ კვალ კაცი ძხეს იარებოდას, სიტყვას გეტყობას.

ჭირისუფალი: ბრალ აისეთისაი, რომ თქვენ, დავითმავისო, თქვენ მაგკვდომივათ. მავშჩებით შიმშილ-წყურვილს, ბეჩაობას...

¹ ხატი მიცვალებულთან მისვლას პირველ რიგში უკრძალავდა: „ჯვარის გამძლოლი“ (ხატიონი), ჯვარის დიასახლისი, „დაკოჭილით“ (ხატის მინდობილი, შევედრებულთ) და ზოგ სხვა მამაკაცს, რომელთაც ხატი არ უხდენს“. ამ შემთხვევაში მიცვალებულთან არ მისვლა ნიშნავდა არ მისვლას იქ, სადაც ასვენია მიცვალებული, კარზე და ბანზე, კი ყველანი მიდიოდნენ და სოფლის ბოლომდე ყველანი აცილებდნენ.

ჭირისმწყენელი: სიბეჩავე კი არაა ჩი გეკადრებისთა-დ არც გეჭირებისთ: დედან სადღედუფლონი ხართ, მამან საბატონონი, კა მთა-ბარ დაგვდებისთ, კა ცხენ-იარალი, კა მაკეთეი.

ჭირისუფალი: მზე დაგვცდების კაცთ სწორო-დ კაისი მაკეთის თაეი. ჩვენ სიკვდილ მასალოცაეი ას, დასამაღლები ას: მახვევითავე, მისივენითავე, ვაჭირებას, სილარიბეს, სიბეჩავეს მაშჩითავე.

ჭირისმწყენელი: ვისაც შენდ გაესვენებოდას, ღმერთმ შინით ნუ დაუღივას თავისად, ვისაც თავის და-მმისავეით რო აისრ არ სწყინდას. ყველაისად გამასადეგნი ხართ: ძმისანი, მამიმისანი, თემისანი, სოფლისანი; მტრისან გამჯავრენი-ხართ, მაკეთისან გამალენი.

ჭირისუფალი: ღმერთმა საწყენ ნურა მიმიცას თქვენს თავს, ზიანი. თქვენ რო სიტყვას იტყვას, ჩვენ არც მთელნი ორთ იმის ფანსი-დ არც მკვდარნი.

ჭირისმწყენელი: ღმერთმა შენ გულ კაით გაკურნას. ღმერთმა მარკე ნულარა მაგცას; ავი-დ მარკეი, კაით დაგაცილას. ზედამჩროთ ღმერთმ ჯვარ დაგწერასთ.

ჭირისუფალი: რაის კაისად ორთ. მთელნაცად მკვდარნიც ბეჩაობისად ორთ: სრუაც არ ას ასატებ ჩვენ სიკვდილი.

ჭირს მხოლოდ მამაკაცები უწყენდნენ და ისიც აუცილებლად მამაკაცსავე მიცვალებულის პატრონს. ჭირის წყენის შემდეგ მოსული მამაკაცები ჭირისუფალს მოშორდებოდნენ და იქვე წინასწარ მომზადებულ ფიცრებზე და ძელებზე დასდებოდნენ.

დედაკაცები კი მიდიოდნენ მიცვალებულთან. მათ არ ევალებოდათ ჭირისწყენა. ახლო ნათესავი დედაკაცები და მეზობლები ხმამაღლი ტირილით— „ჰახილით“ მივიდოდნენ, გარეშე ქალები კი ზუმი ტირილით. ხალხის თანდასწრებით მამაკაცების (მათ შორის ოჯახის წევრი მამაკაცებისაც) ტირილი არ იყო მიღებული, ყველანი ცდილობდნენ ცრემლები დაემალიათ. მამაკაცების ტირილი იშვიათ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ თემის გამოსადეგი კარგი. სახელოვანი ვაჭაკი კვდებოდა, ისიც გარდაცვალების წუთებში. რაც შეეხება ქალებს, ისინი ხმამაღლა ტიროდნენ გარდა დედისა და ცოლისა. ამ უკანასკნელთა საჯაროდ ტირილი სირცხვილად იყო მიჩნეული.

დედას ხანდახან მოტირალი ქალები სთხოვდნენ: „იტირე ქალო, გულ მაიფქი (მოიფხანე), შენს ტირილს ვინაც ვაიკვირებს—ვესთ დღეი იმის კარზე დამე მივას“, მაგრამ დედა მაინც არ ტიროდა და თავის მწუხარებას გულში იკლავდა. ცოლს კი არავინ მიმართავდა თხოვნით და არც თვითონ ტიროდა, — დედა ჩუმად და თითქმის სახესაც მალავდა, რათა სახის ფერის ცვლა არავის შეემჩნია. ყოველთვის ბნელ ადგილს ირჩევდა დასადგომად თუ დასაჯდომად. დედა თუ ხმით მოტირალი იყო „ხმით ტიროდა“ და „დათვლითაც დაუთვლიდა“, მხოლოდ უცრემლოდ (ცრემლს იკავებდა). დათვლით მამაკაცები დაუთვლიდნენ, როცა სატირლად მივიდოდნენ „თავზე“ (მიცვალებულის დასაფლავებაზე) და „ტალავართაზე“.

მოსული სტუმარი, კარებზედ რომ მივიდოდა, ასე „დაუთვლიდა“: „სად ხარ (სახელს იტყოდა), რად არ გამამეგებები, რას იმალები მანდ—ავჭუპ...“

კაც არ ხარა, არ ვრცხვენისა,—ქვე მასულ სტუმარს ემალები?... გამევიღ, გამამეგები, ჩამამართვი ცხენი-დ იარალი, თუ არა და მე იქავ წაოლ. სად ხარ, სად იმალეგი, შენ არ გეძახაჲ. შემდეგ სახლში შევიდოდა და იქ მიუთვლიდა: „ავ-ჰჰჰ, არ ვრცხვენისა, რას უწევხარ, სიკვდილმ დაგჯალდა; ვაჟკაც არ ხარა, სიკვდილ რაკელად მიირი. ადგი, ეგ არ გააგონ კაცთ, რომ (სახელს იტყოდა) მკვლე. შენ მამრევიც არა მეგონ; იმას რაილ მამაგონებდ; რომ შენ რა მაგკვლედ-ადე, აისხ იარალი; გამაედ ბანზე, მტერს მტრულად დაუხვდი, მაკეთეს მაკეთურად“.

დელა ასე დაუთვლიდა: „დედოო, რაკელ დილა გამითენდ დღეს, დედოო, მზეიღ წიხლად მიდგების, დედოო, დღესსრუც შენ დაგბრუნვა ვით სიტყვიც ვერ გათქმი, დედოო, რაკელ მაგარ დაგეძინ, დედო, რა ძალთან სწუხილდ, დედაო, დედოო, ეხლა დასვენებულ-დაწყნარებულ მეჩვენებ, დედოო, მითხარი აღარაი გტკივა, დედოო, დედოო, დედოო; დედოოო, რად დამეწერი, დედოო, ნუმც გამიზღოხარ, დედოო, ეხლა რას ღგონობ, დედოო, ჩვენ რასად გვიხამ, დედოო, ან დედ-მამათ გაოკრებულთ ვის მიგვაბარებ; დედოო, ან დებს რას უხამ გაღეგავებულებს, დედოო, უთმო-უძმოი ჩამსხდრებს, დედოო, დედაო, დედოო, დედოოო, იარალზედ რას ხფიქრობ, დედოო, ვინ აისხას ტანზე შენ იარალი, დედოო, მე კი ვერ ვიქერ თვალთ შენს იარალთ სხვის ტანზედ ასმულა, დედოო. დედაო, დედოო, ან შენს ტალავარ ვის უწირავ, დედოო, ვინ უნდა ჩაიცვას დედოო, ვინ უნდა გაგრილვას დედოო,—ნუშც დამწერიხარ, დედოო, დედოო, დედოო, რათ არ ჯერ მე დამაყარენ მიწანი დედოო, ან მამას რას უხამ ყუნჭურას დედოო, იარალიც მაწირულნი ზქონ, დედოო. ცელიცა-დ, საკენიელიც, დედოო. არ გცხვენისა დედოო... იქავ კელში ააღებება ბებერს მამას იარალთ, დედოო, ან ცელს ან საკენიელს დედოო, დედაო, დედოო... დედოო ან სახლთ რას უხამ, დედო, დედოო, ვინ მაუელის, დედოო, ჩაგიკოვლდებიან, დედოო, სახლნ ნასახლარად გადავქცევიან დედოო, დედაო, დედო. ან მამულთ რას უხამ დედოო; ყანებ ყამირად მაგჩების, დედოო, გაგბორტვლების, არვინ მაგიკნავს, დედოო, მამაშენს აღარ შაუძლავ, საკენიელს ვედარ ერევის დედოო. არცარა ძალი სტანავ დედოო, ვაჟკაც შვილი ხყვიხარ, დედოო, შენ თაოდ უნდა მაგვიარ დედოო. ყანიც უნდა მაგვიკნა-დ, თივიც უნდა მაგვითიბ; დედოო, დედაო, დედოო. დედოო, შენს ცხენს რასად უქამ დედო, ქერს ვინ აქმევს დილა-წუხრ, დედოო. ვინ გა-გიწმენდს ცხენს, დედო, დედოო, ჩვენ კი არვინ მივხალბეთ კელს დედო, შენ რაკელაც გინდ აისრ მაუბრი თავის სახლ-ქონებას, შენ დედ-მამათ, დედო, დედაო, დედოო. დედოო, შენს სახლიით გამასვლამდე მე გამაოდ დედოო. ჯერ მე გამისტუმრი, დედოო, მამეც წილ-ნამაშვრალი, დედო, მე ჩამბაბრი მამისახლს, დედო, მე აღარ ვიქნებ შენს სახლი, დედო, მე არ დაგბურწყლავ დედოო, ტაბლს არ დაგიდგამ, დედოო, იმად რო რამთვენ ხანი გეუბნები, გეხევეწები, კმას არ მცემ დედოო, რაი გწყინს ჩემი, დედოო, რად არას მეტყვი, დედოო, დედაო დედოო... დედო დღეს მიხყვიხარ, გიშაღებენ საბუდმო სახლს, დედო, ადე წავიდათ სად მე და შენ, დავიმაღნათ სად, დედოო, ნუ გახყვებ, დედოო, არ მაგატყუენ დედოო, ნუ ვის დაუჯერებ დედოო, მე და-

მზიერა, გავიქენათ სად, დედი, დედაო, დედოო... დედოო, დედროვანნო დაგვეცენით სახლნი თავზედ დედაშვილთ ორთაგ დედოო, აგებ ორნივ დაგვიტანნას დედაიცა შვილიც, დედო, დედაო, დედოო. ან მიაც შენთან წამოილ, დედო, ზედ გაგებურები, დედო, დედაო დედო... დედოო, რო. მიხოლ ან მტერს რას უზაზა-დ ან მაკეთეს, დედოო, ვის ინაბარას სწირავ, დედო, მამაშენს. აღარ შეუძლებ, დედო, დედაო, დედოო, დედოო, დღეს რამთვენი სტუმარ მაგვიიდ დედოო, რად არ აზღვები გამახოლ კარჩი, დედოო, რად არ მიეგებები; არ გცხვენისა, არც იყავ ეეგეთაი, დედო, დედაო, დედოო. დედოო, ცოლს რად ანებებ თავს, არც იყავ მწუნობარი, დედოო, ცოლეულთას ნუ წახვიდი, არამც არ დავინდვან, დედოო. ჩვენს ქალსავ თავ დაანებავ, დედოო, დაგვეწუნნავ, დედოო, დედულთას იარიდი, დედოო, დედაო, დედოო“.

მიცვალებულ შვილს მამა ასე დაუთვლის: „ვის იმედს გვწირავ, ჩვენ არ გვინდა შინაწეა-დამარხვავი; აღარა ვისა შადის განა, არც ავი, არც კვი, არც ჯი; არც დედ-მამის ხათრი გაქვ. კაცნ თავს დაიციენი, შეხყარი სოფელი“.

სოფლის ახალგაზრდა გოგოები ნმამილა „ძახილით“ ტიროდნენ.

ამის შემდეგ თემში გაგზავნიდნენ „მტყობიეს“, —მეტწილად ახალგაზრდა ჯავს. „მტყობიე“ (შემტყობინებელი) წავიდოდა მეორე სოფელში და პირველად მივიდოდა მიცვალებულის ნათესავთან, თუ ამ სოფელში ასეთი ვინმე იყო, თუ არა და რომელიმე სახლში და იქიდან გაიგებდნენ სხვებიც. მიცვალებულის სოფელში თემიდან მიდიოდნენ ისინი; ვისაც რაიმე ნათესავური დამოკიდებულება ჰქონდა მიცვალებულის ოჯახთან, ახლობელი ნათესავი ქალები ნმამილა ტირილით („ძახილით“) შემოვიდოდნენ სოფელში, გარეშე მოკეთე ქალები კი ჩუშად ტიროდნენ. მამაკაცები ჩუმად მოდიოდნენ და როცა მიცვალებულის სახლში მოვიდოდნენ ოჯახის უფროს კაცს, ჰირს უწყენდნენ; დამხვდური ხალხი ყველა ფეხზე აღდგებოდა შემდეგი სიტყვებით: „მახვიით მშვიდობით“; — „გიშველასთ ღმერთმ“, უპასუხებდნენ ერთმანდ მოსულეები და მერე ამ უკანასკნელთ სკამებზე დასვამდნენ. სატირლად მოსულ მამაკაცს „გამარჯვება“-ს არენ ეტყოდა, როგორც სხვა დროს ჩვეულებრივად ესალმებოდნენ ხოლმე. როცა თემიდან მოსული ქალები შინ მიცვალებულთან შევიდოდნენ და იტირებდნენ, დამხვდური ქალები მათ აღვილს უთმობდნენ; ტირილის მოთავების შემდეგ ერთმანეთს მიესალმებოდნენ.

ამის შემდეგ ხდებოდა სტუმრის „გაწევა“. მიცვალებულის მოგვარეები და მეზობლები თემიდან მოსულ ხალხს, ქალებს ქალები და მამაკაცებს მამაკაცები, შინ დაპატიჟებდნენ—ყველს და პურს აჭმევდნენ. მიცვალებული სანამ „მიწად“ არ მივიდოდა“ (სანამ არ დაასაფლავებდნენ) ხორციელის ჭამა არ შეიძლებოდა. თუ ვინმეს არაყი ექნებოდა, არაყს კი დალევდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. ჰირისუფლებს მეზობლები წაიყვანდნენ და თავიანთ სახლში აჭმევდნენ პურს, საღამოზე თემიდან მოსული მოტირალი შინ დაბრუნდებოდა და იმავე სოფლის ხალხიც შინ წავიდოდა, რადგან მზის ჩასვლის შემდეგ ტი-

რილი ირ შეიძლებოდა. ავადმყოფი თუ ღამით მოკვდებოდა, გათენებამდე არვის იტირებდა და „სალოგინესაც“ მეორე დღით დასწვავდნენ¹.

მართალია მიცვალებულზე დედა, ცოლი და სიდედრი არ სტიროდა საჯაროდ, მაგრამ თუ მათ იცოდნენ „კმით ტირილი“ შეეძლოთ ეტირათ. ამგვარად, „კმით“ ტიროდნენ: სიდედრი, დაი, ცოლი, დედა და „კმით ტირილის“ მცოდნე სხვა დედაკაცები. იყო იშვიათი შემთხვევები, როცა ხმით ტირილის დროს ძველ მიცვალებულს დაამცივებდნენ გარეშე დედაკაცები².

IV. ან ბ რ მ ვ ნ ი³

როდესაც საღამოზე თემიდან მოსული მოტიროლები და სოფელელები წავიდოდნენ, სოფლის ახალგაზრდები და შუახნის კაცები მოიყრიდნენ თავს მიცვალებულის ოჯახში და სადაც მიცვალებული ესვენა იქ ათევდნენ ღამეს⁴. სანთელს მთელი ღამის განმავლობაში არ ჩანაჭრობდნენ. აქ, მიცვალებულთან ახალგაზრდა ქალებიც მოდიოდნენ.

ამგვარად ღამის მთველ ხალხს „ნარეენი“ ეწოდებოდა. „ნარეენი“ მიცვალებულის მეზობელი მამაკაცები იყვნენ, რიცხვით 7—15 კაცამდე. მათი საქმე იყო როგორც ღამის თევა, ისე მიცვალებულის „მოვლა“: მიცვალებულის დაბანა, ჩაცმა, სანთლის ანთება, ჭირისუფლის ნუგეში, საკაცებე დაკვრა და დასაფლავება.

აგრეთვე ნარევად ეწოდებოდა ისიც, ვინც (მამაკაცთაგან) მიცვალებულთან ახლოს მივიდოდა და დაიქვითინებდა. მოქვითინე მამაკაცი ჭირისწყენამდე მიცვალებულის წინ მუხლს მოიყრიდა, სახეზე ქუდს ან ჩოხის კალთას მიიფარებდა და სამჯერ დაიქვითინებდა. მამაკაცთა ქვითინი მიცვალებულზე სამჯერ ხდებოდა: 1. მიცვალებულთან სახლში, 2. სოფლის ნაპირზე მიცვალებულის დასვენების დროს და 3. მიცვალებულის ხარჯში ტალავრის გაშლის დროს. ნარეეები უწმინდურად ითვლებოდნენ ტანის დაბანამდე.

„ნარეენი“ მანამდე უთევდნენ ღამეს მიცვალებულს, სანამ მეს არ დაასაწყვავებდნენ, ხოლო დასაფლავების შემდეგ ერთ ღამეს კიდევ ათევდნენ. იმავე გვარად მიცვალებულის ოჯახში „ნარეეთ“ ღამის თევის დროს შეეძლოთ გაეხსენებინათ სახუმრო ამბები და სიცილ-ოხუნჯობით გაეტარებინათ დრო. თუ მიცვალებული მოხუცი იყო უფრო მხიარულობდნენ, თუ ახალგაზრდა იყო თავს იკავებდნენ.

¹ მის ჩასვლის შემდეგ ტირილი „ღმერთისად უკლითობის (უბედურების) თხოვაი“— არის ამიტომ ღამით არ ტიროდნენ; ეწინოდათ მეორეც არ მოგვიკვდესო. ვინდა ძალიან კბრგი, ვაქვაცი მომკვდარყო ღამით ხმამალა არავინ იტირებდა, თუ იტირებდა ისე, რომ ხვა გარეთ არ გასულიყო, რომ არავის გაგონა. დილით კი, გათენდებოდა თუ არა, მანინე შეიძლებოდა ტირილი, მზის ამოსვლას შინაშენლობა არა ჰქონდა.

² ხმით ნატირალების ნიმუშები იხ. ქვემოთ.

³ შღრ. ზემოთ, გვ. 4.

V. „ს უ ლ ა რ ი“¹

მიცვალებულს სუდარად საუკეთესო ტანისამოსს ჩააცმევდნენ². ხშირად მომაკვდავი სიკვდილის წინ თვითონ ტოვებდა სიტყვას: ესა და ეს ტანისამოსი ჩამაცვითო; თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ იმ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, რომელიც მიცვალებულს სიცოცხლეში უყვარდა. თუ ზამთარი იყო მიცვალებულს მისსავე ცხვრის ტყავის ქურქს ჩააყოლებდნენ, თუ ზაფხული—ჩოხის (მამაკაცს) და ქოქლოს (ქალს).

თუ მიცვალებული ბატარა გოგონა იყო, რომელსაც ჯერ მანდილი არ უტარებია, მანდილს არ დაახურავდნენ, მას თავშალს და სათაურას ჩააყოლებდნენ. სამკაულებსაც ჩააყოლებდნენ, რაც მიცვალებულს სიცოცხლეში ჰქონდა და განსაკუთრებით უყვარდა. სამკაულები აუცილებლად ვერცხლისა ან ოქროსი უნდა ყოფილიყო. რკინის სამკაულის ჩაყოლება არ შეიძლებოდა და თუ ტანისამოსზე რამე იქნებოდა ასეთი (სუდარზე) იმასაც აპირდნენ. სუდარის ჩამემელს წინდაწინვე გააფრთხილებდნენ: „რკინისი არაფერ წაყვეს მიწადო“. არც ქალს და არც კაცს ხატის ნიშანს, თუ რამე გულზე ეკეთა, არ ჩააყოლებდნენ. „ჯგრის ლიშნის“ ჩაყოლება არ შეიძლებოდა; მას შესნიდნენ და შეინახავდნენ.

მამაკაცს სუდარად აცმევდნენ ჰერანგს, შალივარს, პაიჭებს, თათ-ქალბანს (წინდებს და ქალამნებს) ან ჯღნებს. თავზე ქედს დაახურავდნენ. სამკაულებიდან ჩააყოლებდნენ: ბეჭედს (თუ მიცვალებულს იგი თითზე ეკეთა), თუ მასრებიანი ჩოხა ეცვა თან ატანდნენ მასრებს და სხვა. იარაღიდან: ხანჯალს, თოფს, ხმალს. იარაღს ყველას არ აყოლებდნენ მაგ., ისეთ მოხუცს, რომელსაც შეილები რჩებოდა—იარაღი ამ უკანასკნელებს სჭირდებოდათ; ხოლო თუ შეილები არ რჩებოდა მაშინ ჩააყოლებდნენ იარაღს. ახალგაზრდას თან ჩააყოლებდნენ იმ ია-

¹ სუდარის ჩამის წინ მიცვალებულს წყლით გაბანდნენ, გაპოხდნენ (კარაქს ან ერბოს წასხებდნენ). თუ დატრილი კვდებოდა მას წყლულს გაუპოხავდნენ და შეუხვევდნენ, გვერდითაც დაუწყობდნენ „სახელდადებულ“ (შელოცვილ) ჩვრებს, რათა საიქიოსაც ჰქონოდა „სახეილი“ (შესახვევი). ამ სათადარიგო „სახეილს“ უბემში უდევდნენ მიცვალებულს, რომ საიქიოს წაეღო.

² სუდარი ფარჩისაც იყო, რომელსაც საგანგებოდ ჰკვრავდნენ. ხშირად სიკვდილამდე დაიშხადებდნენ თავის საკუთარ სუდარს. სუდარი სამწირო უნდა ყოფილიყო: ერთი თეთრი, —შიგნით ჩასაცმელი, მეორე წითელი ან ქრული—თეთრის გარეთ ჩასაცმელი, ხოლო სულ გარეთ ჩასაცმელი მესამე ლურჯი „სკლატისაგან“ უნდა ყოფილიყო შეკერილი (სკლატი — მალდი)—ჩოხის მსგავსი. ქალებსაც ასევე აცმევდნენ, მხოლოდ ჩოხის მაგიერ მათთვის „ფაფანავი“-ს მსგავსი რამ იკვრებოდა. „სუდარი“ გარდაცვლილის ჩვეულებრივი საუკეთესო ტანისამოსი იყო. თუ მიცვალებულს ახალგაზრდობის ტანისამოსი ექნებოდა კარგი, იმასაც ჩააცმევდნენ.

[შდრ. ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიკი, ნაწერები, თბილისი 1939 წ., გვ. 78—79].

რალს, რაც მას ორი ცალი ჰქონდა, ხოლო რაც მხოლოდ ერთი იყო — „ტალავარში“ უნდა დარჩენილიყო¹.

მიცვალებულს თავთ წყალს დაუდგამდნენ ჭურჭლით, ზედ ამ ჭურჭელს („ნახელიტრას“) სანთელს დააკრავდნენ. ჭურჭელში წყალს სამჯერ გამოსცვლიდნენ: საღამოთი, შუალამისას და გათენებისას. სანთელი რომ დაიწვებოდა, ახალს მიაკრავდნენ.

რა წამს მოკვდებოდა ადამიანი მაშინვე „სახელსადებებს“ (ნამცხერებს) გამოაცხობდნენ. თუ შინაურები ძალიან შეწუხებულნი იყვნენ, მაშინ მეზობლის დედაკაცები გამოაცხობდნენ. მხოლოდ ფეხილი ჭირისპატრონისა უნდა ყოფილიყო. გამოცხობის შემდეგ სამ ტაბლას დასდგამდნენ, თითო ტაბლაზე სამსამი ხშიადი უნდა ყოფილიყო დადებული. თითოეულ ხშიადზე თითო სანთელს დააკრავდნენ. პირველ ტაბლას „მგებრთად“² ეტყოდნენ შენდობას, მეორეს „დედულთად“, ხოლო მესამეს ახალი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. დედიძემების („დედულთ“) ტაბლას და „მგებრთ“ ტაბლას ასე ეტყოდნენ შენდობას: „ეეს ტაბლა თქვენიმე საკპარი, საგძლადამე მივიმარებთ“-ო. მიცვალებულის ტაბლას ეტყოდნენ: „სულიმე იალი გაქე, გზაიმე ნათელი. შენიმე საკპარი საგძალიმე ას“.

მეორე დღეს კიდევ გამოაცხობდნენ ხშიადებს³ და კიდევ სამ ტაბლას დასდგამდნენ. ერთ ტაბლას „ანდაბისად“ (გვარი საიქიოში) დალოცავდნენ, შენდობას ეტყოდნენ. მეორეს „უნაწილოებისად“ (რომელთაც შემკვიდრე ვაჟი არ დარჩენიათ), მესამე ტაბლას „მამყოლთად“ (შემოსწრებულნი სული საიქიოში, რომელსაც საქაოს შენდობის მოქმელი არავინა ყავდა).

VI. დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა⁴

მიცვალებულის დასაფლავება უნდა მომხდარიყო მზის ჩასვლადე. ამიტომ „მესაფლავენი“ ადრე წაეიდოდნენ სასაფლაოზე. საფლავის გამთხრელად ახლო ბიძაშვილი, ძმა ან მოვკვრე არ უნდა ყოფილიყო. სოფელი მათ არ გაათხრევიებდა საფლავს.

საფლავის სივრძე მიცვალებულის ზომის მიხედვით ივარაუდებოდა, სიღრმე კი კაცის სიმაღლეს ეთანაბრებოდა. გათხრილ საფლავში ფეხზე მდგომს კაცს თავი არ უნდა გამოსჩენოდა. საფლავის გათხრის შემდეგ გვერდებზე ბრტყელ და გრძელ სიბებს ჩააწყობდნენ. თავისა და ფეხებისაკენაც სიბებს დაუწყობდნენ. გარდა ამისა ზედ დასადებდაც ერთ გრძელ და ბრტყელ

¹ სუდარს მამაკაცს მამაკაცი ჩააცმევდა და ქალს ქალი. სუდარის ჩამცემელ მამაკაცს საჩუქრად მიცვალებულის ერთი ხელი „ტალავარი“ მიეცემოდა. ასევე იქედოდნენ სუდარის ჩამცემელი ქალის მიმართაც.

² სულეები საიქიოდან, ახალი გარდაცვლილის წამყვანნი საიქოს.

³ ხშიადი უმარილო და ვროთი ჯაუბოხავი ბურია.

⁴ სასაფლაო ყოველ გვარს თავისი ჰქონდა და აქ მხოლოდ ამ გვარის მიცვალებულები იმარჯობდნენ. სასაფლაოები მოზომილი იყო გვარების მიხედვით. სასაფლაო სოფელს (და ხშირად რამდენიმე სოფელსაც) ერთი ჰქონდა.

სიძს მონახავდნენ რიყეზე ან დანგრეულ ნასახლარიდან ამოარჩევდნენ. ვათხრის დროს შეიძლებოდა ძველ საფლავთ წასწყდომოდნენ, მაშინ ამ საფლავის სიბჰეს გამოიყენებდნენ. როცა „მესაფლავენი“ საფლავის თხრას დაიწყებდნენ, იმავე დროს მიცვალებულის ოჯახში საკაცეს კეთებას შეუდგებოდნენ.

საკაცეს ასე აკეთებდნენ: ორ გრძელ ქერს (წვრილი ხე) გვერდებზე, და ორ მოკლეს თავით და ფეხით—წინელებით (ან თოკებით) ერთმანეთზე მიამაგრებდნენ. საკაცის გაკეთების დროს მხედველობაში მიიღებოდა მიცვალებულის სიგრძე, რაც გრძელი ჯოხით იზომებოდა, ამ დროს დედასკები ყველანი ერთხმად ტირიოდნენ. როცა საფლავი მზად იქნებოდა, ერთ-ერთი მესაფლავეთაგანი წამოვიდოდა მიცვალებულის ოჯახში; აქ მიცვალებულს თავის ნაბადში შეახვევდნენ (ან ფარდაგში, ხალიჩაში) და საკაცეზე დაასვენებდნენ. საკაცეს ორი მამაკაცი ასწევდა¹ და სახლთან გარეთ დაასვენებდნენ. პაროცისიაში წინ მიცვალებულს მისავენებდნენ, მერე მამაკაცები მიდიოდნენ, ბოლოს ქალები მიყვებოდნენ ტირილით. როცა სოფელს გასცილდებოდნენ, იქ მიცვალებულს დაასვენებდნენ, სადაც მას მშობლები და ნათესავები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ: ქალები „ძახილით“ ტირიოდნენ. ხმით მოტირლებიც იტირებდნენ, დედა თუ ყავდა იგივე გამოემშვიდობებოდა „დათვლით“. მიცვალებულს სიკვდილის დღიდან პირისანე გადაფარებული ჰქონდა და მხოლოდ ზოგჯერ გადახდიდნენ. ამ დროსაც ხდიდნენ საფარს პირისახიდან. ემშვიდობებოდნენ, ტირილით უკოცნიდნენ სახეს. შემდეგ საკაცეს მამაკაცები ასწევდნენ და სასაფლაოზე წაასვენებდნენ. სასაფლაო ჩვეულებრივად ხატის ახლოს იყო, ამიტომ იქ ქალები არ მიდიოდნენ, ხოლო სადაც სასაფლაო ხატის ახლოს არ იყო, იქ ქალებიც სასაფლაოზე აცილებდნენ მიცვალებულს. ცხენს „თავზედაც“ (დასაფლავებამდე) „უკურთხებდნენ“. შგმაზავდნენ, ძუა-ფაფარს დაუწნავდნენ, ხურჯინს გადაჰკიდებდნენ, ხურჯინში ჰურებს ჩააწყობდნენ და მიცვალებულის გვერდით დაასვენებდნენ. მიცვალებულის ცოლი ან დედა ცხენს ხელში დაიჭერდა და სულის ხეცესი „დააკურთხევიბდა“. ამის შემდეგ ცოლი ან დედა ცხენს მთარჯხს დაჰკრავდა სამჯერ და იტყოდა: „შენიმც საკმარი ას, შენამც გემსააურების, სწორებსამც ნუ ჩამორჩები“-ო.

თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო—ძმას, შვილს და ბიძაშვილებს მიცვალებულისას სხვა მამაკაცები სასაფლაოზე არ წაიყვანდნენ, დაიჭერდნენ და ჭალად დააბრუნებდნენ უკან.

გზაზე საკაცეს რომ ასწევდნენ და გამოემშვიდებოდნენ, დედა ან და, თუ ასეთები არ ყავდა მიცვალებულს, მაშინ ვინმე მისი ნათესავი ქალთაგანი, მიწას აიღებდა და სამჯერ მიაყრიდა მიცვალებულს. ამ დროს დედა ასე იტყოდა: „ალალიმც ას შენზე ჩემ ამაგი, მიწანიმც კსნილნ გქონ, გზანიმც იაღნი. ნუმცარა შვაგაზინ—დავალენებს, ჯვარიმც გწერავ“ („მიწანიმც კსნილნი გქონ გზანიმც იაღნი“—ამას სამჯერ გაიმეორებს). თუ ძუძუმწოვარი იყო მიცვალებული, დედა ასე დაემშვიდობებოდა: „ალალიმც ას შენზე ჩემ უბე-კალთაი“. პირზე თავის რძეს მიაწვეთებდა და ბამბას დაადებდა.

¹ როდესაც მიცვალებულს ასწევდნენ—ამწვეები მას სამჯერ „მიწას ჩაადირებდნენ“ (სამჯერ ასწევდნენ და ისევ დაუშვებდნენ). [ეს ხდებოდა დასაფლავებისას, საფლავის თავზე].

როდესაც სასაფლაოზე მივიდოდნენ, მიცვალებულს საფლავთან დასავენებდნენ, შემდეგ საკაცეს მოაშორებდნენ. ზოგჯერ, მიცვალებულს, იარაღს თან არ ჩაატანებდნენ, შეხსნიდნენ და პატრონს დაუბრუნებდნენ. ზოგჯერ სხვა სამკაულებსაც შეხსნიდნენ, თუმცა ჭირისუფალს ეწყინებოდა, მგარამო ხალხი ამშვიდებდა. მერე მიცვალებულს ჩაუშვებდნენ¹ საფლავში, ეს უკანასკნელი ისე უნდა ყოფილიყო გათხრილი, რომ მიცვალებულს თავი დასაველეთისკენ ქონოდა. ამგვარად ჩაუშვებდნენ² მიცვალებულს საფლავში და ჩაყუდებულ სიპებზე დააწყობდნენ სიპებს³. შემდეგ საფლავს მიწით ამოავსებდნენ და საფლავის ზეგთ საკაცის ქერებს დააწყობდნენ. ამის შემდეგ მესაფლავენი შინ წამოვიდოდნენ⁴.

მესაფლავენი, როცა სასაფლაოდან დაბრუნდებოდნენ, „თოფს გასტენდნენ“. წინასწარ გამოცხოზილ მოზრდილ პურის კვერს, რომელსაც ზოლად ქსოვილის ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული და რომელსაც „სათოფე“ ეწოდებოდა, ნიშანში დადებდნენ და ვინმე თოფს ესეროდა, ეს იყო „თოფის გატენა“. სანამ ამას არ შეასრულებდნენ მიცვალებულის გარდაცვალების დღიდან ცოფელში არავის უფლება არ ჰქონდა, ყოველგვარი გაჭირვების მიუხედავად, რომ თოფი გაესროლა. „თოფის გატენის“ შემდეგ კი ყველას უფლება ჰქონდა თოფის სროლისა. „სათოფეს“ თოფს რომელიმე ახალგაზრდა ესროდა, მნიშვნელობა არა ჰქონდა, თუ ვინ იქნებოდა ის. დასაფლავების შემდეგ „ნარევი“ ერთ ლამეს კიდევ გაათავებდნენ მიცვალებულის სახლში.

მიცვალებულის დასაფლავება პირაქეთ ხეცსურეთში, სადაც მიცვალებულის ხარჯებს „თავზე“ იხდიდნენ, მესამე დღეს ხდებოდა: დასაფლავებდნენ თუ არა, იმავე დღეს ხარჯს გადაიხდიდნენ. რაც შეეხება არხოტის თემს, აქ მესამე დღეს იშვიათად ასაფლავებდნენ, ასაფლავებდნენ მეორე დღეს. აქ არც ხარჯი იცოდნენ „თავზე“, როგორც პირაქეთ ხეცსურეთში.

¹ როცა მიცვალებულს სახლიდან სასაფლაოსკენ წამასვენებდნენ გუდაში („სასაგმ-ლენში“) სამ დაჭრელებულ („მაჭრეხილს“) კვერს ჩაუდებდნენ, რომელთაც ზედ კარაქი ჰქონდა წასმული. „ნარევი“ ამ კვერებს წამოიღებდნენ და თუ საფლავის გათხრის დროს ძველი მიცვალებულის ძვლები აღმოჩნდებოდა ამ ძვლებს კვერებზე დადებული კარაქით „გაპოზავდნენ“ (კარაქს წაუსვამდნენ) და მერე ამ გაპოზილ ძვლებს ისევ საფლავში ჩააწყობდნენ. კვერებს კი იქვე „ნარევი“ დასტენდნენ, ზოგს შესვამდნენ და თუ დარჩნობოდა, იქვე საულავთან დასტოვებდნენ. თუ მოზუცი იყო მიცვალებული და მისი სიყვდილით, სოფელი მაინც და მანაც დაოსნებული არ იყო, ამ პურებს „ნარევი“ წამოსვლისას ურთიერთს ესროდნენ გზაში ხუმრობით.

² საფლავში მიცვალებულის ჩაშვება ხდებოდა ასე: ერთი ვინმე „ნარევეთაგანი“ ჩავიდოდა საფლავში და ხევიდან მიაწვდიდნენ ცხედარს.

³ საფლავზე დიდ ქვებსაც, უფრო კი ბროლის ქვებს, დააწყობდნენ, ოთხკუთხ კოშკსაც აშენებდნენ ერთი მეტრის სიმაღლისას.

⁴ საფლავის თხრის დროს თუ მესაფლავებთან ვინმე მივიდოდა და ეტყოდა: „ცუდად შრომა“-ო, —მესაფლავენი უპასუხებდნენ „ცუდად შრომა“-ო ცაღედ“ (ცალიერად). როცა მიცვალებულს საფლავამდე მიასვენებდნენ, —მიცვალებულს მიყოლილი, ხალხიც კი ამასევე ეტყოდა მესაფლავებებს, ქს უკანასკნელიც ზემოთ მოსწვენებულ პასუხს ეტყოდნენ. როცა მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებდნენ და მიწას მიაყრიდნენ, ხალხი ერთმანდ ეტყოდა „გზანიმც იაღნი გჰონ, ნუმცარაიმც წაგაწუნ-დავალონებს, წინამც ნურა მეგვგებების, უგენამც ნურა მაგეწევის, კელით ნაჭარაი, ვინთ ნათქვამი, თვალით ნანახი, ნუმცარა დავალონებს, ცოლიმც ნურა გადაუდების“.

VII. „პ ი რ ი ე ს ნ ა ი“

როცა „ნარეგნი“ სასაფლაოდან დაბრუნდებოდნენ და „თოფს გასტეხდნენ“, მერე ჭირისუფალი „საპირიკსნოს“ დააკვლევინებდა, რომელიც მას წინასწარ ჰყავდა მომზადებული. „საპირიკსნოდ“ შეიძლება დაკლულიყო: ცხვარი, ბატკანი ან ხზო (თხა არ შეიძლება). „საპირიკსნოს“ სულის ხუცესი¹ „მაკსენებდა“ (იხუცებდა) და თავსაც ის მოსჭრიდა. საკლავს იმავე საღამოს გაატყავებდნენ, ხორცს კი მეორე დღეს მოხარშავდნენ. (მხოლოდ ახლო ნათესავები, რომლებიც იქ იყვნენ, საღამოზედვე საკლავს ღვიძლს ამოარიდებდნენ, შესწავადნენ და სამ-სამ ჯერ მოკებდნენ და სამჯერვე გადმოაფურთხებდნენ: ნათესავები ღვიძლით გაიხსნიდნენ პირს.

როცა საპირიკსნო „დაიკვლოდა“ ყველა შორეულ და ახლობელ ნათესავს ნება ჰქონდა ხორცი ეჭამა. „საპირიკსნოს“ დაკვლას იმავე საღამოს იმიტომ აჩქარებდნენ, რომ „ხორცს არაიენ წაფრივას“² (ხორცი არაიენ სჭამოს) საპირიკსნოს დაკვლამდე.

როგორც ვთქვით „ნარეგნი“ მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ერთ ღამეს კიდევ სტეხდნენ მიცვალებულის ოჯახში. „ნარეგებს“ შეიძლება სხვა გარეშე ხალხიც შემომატებოდა. აქ მოდიოდნენ გარდა მოგვარეებისა და ნათესავებისა, სოფლებიც. „ნარეგთათვის“ ეახშამი გარეშე ხალხს მოჰქონდა, მეზობლებს და მოგვარეებს იმავე სოფლიდან. ამას „ნარეგთ ოკშამს“ ეძახოდნენ. ეახშად მოქონდათ: „ქალი კვერები, ხინკალი, ყაურმა“ და სხვა. მოტანილ ეახშას ნარეგნი დალოცავდნენ ახალი მიცვალებულისა და ეახშმის მომტანის მიცვალებულთა სულების მოსახსენებლად—„შინდობას გტყოდნენ“. „ნარეგთ ოკშამს“, თუ ეშოვებოდათ არაყსაც მოაყოლებდნენ.

ღამის ტეხის დროს სანთელი არ ჭრებოდა, სადაც წინათ მიცვალებული ეყვნა ჭურჭლით წყალი იდგა. ამ ჭურჭელზე მიკრული იყო სანთელი; წყლის გარდა იქვე საში ან ხუთი ხშიადი (პატარა კვერები) ეწყო, რომლებიც მიცვალებულისათვის „სახელ დადებული“ იყო (შენდობა ნათქვამი).

ღილით „ნარეგნი“ შინ წავიდოდნენ. დარჩებოდნენ მხოლოდ ახლო ბიძაშვილები, რომელთაც „საპირიკსნო ტაბლა“ უნდა დაედგათ. ხორცს მოხარშავდნენ, ამოიღებდნენ და დაანაწილებდნენ. სატაბლე პურებს წინასწარვე გამოაცხობდნენ მცოდნე ქალები, რომელთაც იცოდნენ, რამდენი პური უნდა ყოფილიყო გამოცხვარი, რადარა გვარი და სხვა. პურის გამოცხობელი მიცვალებულის მოგვარე უნდა ყოფილიყო. მას თავის საქმეში სხვა ქალებიც ეხმარებოდნენ. სატაბლე პური მრგვალი იყო. გამოცხობი, როცა ამ პურებს ფორმას მისცემდა, მერე ზევიდან თითით ჩაჩხვლელტდა ჯვარედინად ან სამ ალაგას. პურს გვერდიდან „მასჭრებს“ (ნაპირებზე მოაჩუქურთმებდა). ასეთი ფორმის პუ-

¹ სულის ხუცესად განხლბა ყველას შეეძლო, ვინც ისწავლიდა. სულის ხუცი ხატში მიდიოდა სხვა მამაკაცებთან ერთად.

² ძუძუმწოვარი ბავშვის „საპირიკსნოდ“ მტრედის დაკვლა იცოდნენ და იმით გაიხსნიდნენ პირს.

რები ტაბლაზე სამ-სამი ეწყო ერთად. ერთიმეორეზე დაწყობილი პური უნდა ყოფილიყო: შეიდი, ცხრა ან ხუთმეტი (კენტი უნდა ყოფილიყო აუცილებლად). ეს რიცხვი ჰირისუფალზე იყო დამოკიდებული. მაგ. თუ ცხრას დააწყობდა ტაბლაზე, მაშინ სამ-სამი პური ერთიმეორეზე დაეწყობოდა და 27 სატაბლე პური უნდა გამოეცხრა და ა. შ. ამ პურების გარდა კიდევ აცხოზდნენ სხვა პურებსაც. როცა ხალხს ტაბლას (სუფრას) დაუდგამდნენ, სატაბლე პურებთან დამატებით ამ პურებსაც დასდებდნენ სუფრაზე. სუფრას („ტაბლას“) ხისგან გაკეთებულს დაადგამდნენ რამდენიმეს (მეზობლებიდან თხოულობდნენ დანაკლისს). „ტაბლებად“ შესაძლებელი იყო გრძელი ხის ფიცრებიც გამოეყენებიათ. ასეთ ტაბლებს უფრო დედაკაცებს უდგამდნენ.

ტაბლას მცოდნე მამაკაცი „დააგებდა“, განარჩებდა, გაანაწილებდა, დააწყობდა. იგი ჯერ სატაბლე პურებს დააწყობდა სამ-სამს ერთად, ერთიმეორეზე, მერე ზედ ხორცის რამდენიმე ნაჭერს დასდებდნენ ამ სამ პურზე. ხორცი სამ „წილობაზე“ (ნაჭერზე) ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ხორცის შემდეგ ყველის („სატინს“) ნაჭერებს დააწყობდნენ. ამის შემდეგ „ტაბლის დამგები“ სატაბლე პურებზე სანთლებს დააკრავდა, ყოველ სამეულ სატაბლე პურს თითო „სანთლის ფეკს“. „ტაბლის დაგებას“ რომ მორჩებოდნენ, მერე მკვდრის ტალავარი (ტანისამოსი) და იარაღი გამოჰქონდათ. ყველა ამას ტაბლის გვერდით დააწყობდნენ. როცა ტაბლა მთლიანად გამოადიდებოდა, „სულის ხუცესი“ შენდობას ეტყოდა: ¹ ტაბლას, ტალავარს და იარაღს². როცა ამასაც მოითავებდნენ შემდეგ მამაკაცები გარეთ გამოვიდოდნენ, დედაკაცები კი „ტალავართ“ (მიცვალებულის ტანისამოსი, იარაღი და სამკაულები, რაც დარჩა) გაშლიდნენ და ტიროდნენ, ტირილის შემდეგ მათ ტაბლას დაუდგამდნენ და პურს აჭმევდნენ. ამის შემდეგ დედაკაცები გამოვიდოდნენ და ახლა „ნარევი“ აჭმევდნენ პურს. პურის ქამის შემდეგ „ნარევი“ წაივდიოდნენ და ამით მოთავებოდა „პირიქსნა“.

VIII. „ტალავარი დასხმა“

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ „პირიქსნასთან“ ერთად მიცვალებულის ტანისამოსს დალოცავდნენ. დალოცვილ ტანისამოსს დააწყობდნენ ფარდაზე ან ხალიჩაზე. ეს ტანისამოსი ასე იყო დაწყობილი ვიდრე მიცვალებულის პატრონი ყველა ხარჯს არ გადაიხდიდა. ბოლოს როცა „სანთელ-წელთავებას“ მორჩებოდნენ ტალავარს აიღებდნენ³. მამაკაცის „ტალავარი“ იღებოდა: პე-

¹ სულის ხუცესი არ „ხუცობს“. „ხუცობს“ მხოლოდ ხატის ხუცესი. სულის ხუცესის შენდობის ტექსტი (იხ. ქვემოთ).

² შემდეგი სიტყვებით: „ეს ტაბლაი, ეს იარაღი, ეს ტალავარი, შენამც გვეპარების საიქიოს...“

³ „სანთელ დღე“ და უფრო მეტად „წელთავება“ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და ორი წლის შემდეგაც გადაეხადა ჰირისუფალს შეძლების მიხედვით. მხოლოდ არ შეიძლებოდა, რომ ტალავარი წლის თავებზე ორი-სამი დღით ადრე არ აეღოთ. ტალავარს თუ წელიწადი შეუსრულდებოდა და ვერ აიღებდნენ—ეს მეორე სიკვდილიანობის გამოწვევას ნიშნავდა. ტალავართ აღების („ტალავარ აბერტყა“) ერთ წელზე ზევით გადაცილებას „სანაწყვევოს“ ეძახდნენ.

რანგები, ქულები, პაიჭები, საწვიეები (წვივსაკრავები), საფურქუები (ხელთათმანები), სათამაშოები და საარაყე „გაკეთებულ მინაი“ (შემკული ბოთლი), იარაღი—თოფი, ხმალი, ხანჯალი, ფარი და სხვა. რაც ბევრი იყო ტანისამოსი მით უკეთესი იყო. „ტალავართაში“ დებდნენ აგრეთვე თათებს. (წინდებს), საქალამნეს და „შიბაიან“ შემკულებას. მამაკაცის „ტალავართაში“ შარვალის გარდა ვეკლანდრის ჩადება შეიძლებოდა. შარვლის ჩადება კი წესი არ იყო.

ქალის „ტალავართაში“ იდებოდა: სათურა, მანდილი, ქოქლო, სადიაცო, ფაფანაგი, ქათიბი, სადიაცოს სარტყელი, თათ-ბაჭიჭი, საქალამნე თათები შიბაიანი თათები, ყელსადები (ყელის სამკაული—ვერცხლის ჯაჭვის და ფულები-საგან გაკეთებული), ქოქა (ყელის სამკაული ქსრვილისგან გაკეთებული მძივე-ბით, ფულებით და ყაწიშებით მორთული), ბეჭდები, ხალტეები (სამაჯურები) და სხვა. „ტალავართაში“ ძველი ტანისამოსი არ ჩაიდებოდა, სდებდნენ. ისეთს, რაც ახალი და კარგი იყო, ხოლო თუ მიცვალებული ღარიბი იყო და ახალი ტანისამოსი არ ჰქონდა, მაშინ ძველსაც ჩასდებდნენ.

„ტალავარი“ ისე იყო დაწყობილი, როგორც ცოცხალს ტანზე ჩაცმული ჰქონდა (პერანგი ჩოხის შიგნით იყო ჩადებული, ქუდი ჩოხის საყელოსთან იდვა, თათ-ბაჭიჭი ჩოხის ბოლოზედ და სხვა). იარაღი და სამკაული „ტალავარზედ იყო დაწყობილი. ქალის „ტალავარში“ სადიაცოს გარედან ქოქლო ან ფაფანაგი იყო წამოცმული. დანარჩენი: მანდილი, თათ-ბაჭიჭი და სხვა ზედ ეწყო. „ტალავარში“ სდებდნენ ქსოვილშემოკერებულ და დაქარჯულ ბოთლებს, მძივე-ლილებით შემკობილთ. ასეთ ბოთლს ეწოდებოდა „გაკეთებულ მინაი“. ამ ბოთლებს ახალგაზრდა ქალები აკეთებდნენ: მიცვალებულის ბიძაშვილი, და, რძალე ან სწორფერი. რაც მეტი იყო ასეთი ბოთლები მით უკეთესი იყო. ბოთლებში არაყს ასხამდნენ და როცა „ტალავართ გაშლიდნენ“ („ტალავართ“ გაშლიდნენ მაშინ, როცა კარგი ახალი მოტირალი მოვიდოდა), მიცვალებულისთვის შენდობას იტყოდნენ და იქ მყოფ ქალებს დაალევიანდნენ არაყს. „გაკეთებულ მინაი“ მხოლოდ ახალგაზრდის „ტალავარში“ იდებოდა, მოხუცების „ტალავარში“ უბრალო ბოთლით დგამდნენ არაყს. ფარდაგზე ან ხალისაზე დაწყობილი ტალავარი გაშლილად იდებოდა „ტახტიში“ (ეს მაშინ როცა აღარ სტიროდნენ—ტირილის დროს ტახტიდან ვადმოიღებდნენ და იატაკზე გაფენდნენ ხალიჩითურთ). „ტალავართაზე“ ტიროდა ის მოტირალი, რომელიც გვიან მოდიოდა და „მკედარ ზედებს“ ვერ მოუსწრებდა. როდესაც სხვა სოფლიდან მოდიოდა ვინმე მოტირალი, ჭირისუფალი სოფლის დედაცაყებს დაუძახებდა—შეატყობინებდა—„ტალავართ ვშლიო“.

მეზობლის ქალები და მოგვარეები მოვიდოდნენ, აგრეთვე ხმით მტირალესაც „აწევდნენ“ (მოიყვანდნენ). როცა დედაცაყები მოგროვდებოდნენ და ხმით მოტირალიც მოვიდოდა—„ტალავართ გაშლიდნენ“. ტახტიდან ფარდაგს ვადმოიღებდა ორი ქალი და დაბლა „ქაზდარზედ (მიწის იატაკზე) დასდებდა. „ტალავართ“ გარემოდაცები შემოეხვეოდნენ და დაიწყებდნენ ტირილს—ზოგი ხმაშლიდა („ძახილით“), ზოგი ჩუმად. მერე ხმით მოტირალს ეტყოდნენ, „კმით იტირეო“. ხმით მოტირალის ტირილის დროს ყველა გაჩუმდებოდა,

ხოლო როცა პირველი დაიქვითინებდა, მაშინ ყველა დაიქვითინებდა. ტირილის დამთავრების შემდეგ „ტალავართ ახვევდნენ“ და ისევ ტახტში ჩასდებდნენ. რამდენიც მოტირალი მოვიდოდა მიცვალეზულის სახლში, მუდამ ასე მეორდებოდა. მოტირლები უფრო ხშირად შორი სოფლიდან მოდიოდნენ. „სატირლად მასვლის“ დროს არაყის მოტანა აუცილებელი იყო. „ტალავართ გაშლის“ დროს მამაკაცებს არ „აწვედნენ“ (არ დაბატყებდნენ), რადგან წესით ისინი არ სტიროდნენ და არც ესწრებოდნენ „ტალავართაზე“ ტირილს.

IX. „გვლევა“ (გლოვა)

როცა ავადმყოფი მოკვდებოდა და სალოგინეს დასწავდნენ, მთელი სოფელი სამუშაოს თავს ანებებდა და ჳირისპატრონთან მიდიოდა. როგორც კი დაინახავდნენ, რომ სალოგინე იწვის, ქალები—ხელსაქმეს და კაცები—გარეშე სამუშაოს სტოვებდნენ. იმას, ვინც სალოგინეს წვას დაინახავდა და „საველო. საქმეს“ არ მიატოვებდა, სამღურავს ეტყოდნენ. სანამ მიცვალეზულს მიწას არ მიბარებდნენ, სოფელს არ უნდა ემუშავნა: არც გარეთ, ველზე, სამუშაო და, არც შინ, „ხელსაქმე“. ასე „იგვლევდა“ მთელი სოფელი მიცვალეზულს: მხოლოდ დასაფლავების შემდეგ, როცა „საპირიჯსნოს“ დაკვადნენ, ყველას ეძლეოდა საქმის კეთების უფლება.

მიცვალეზულს ყველა ნათესავ-მოკეთე გლოვობდა, მხოლოდ სიძეს არ „იგლოვდნენ“ სიდელი და სიმამრი. რძალს გლოვობდა როგორც დედამთილი ისე მამამთილი. „მგლოვიარი“ ყველა სხვადასხვა ნაირად გლოვობდა მიცვალეზულს, იმის-და მიხედვით, თუ რომელი ნათესავი იყო ან მიცვალეზული ვინ იყო: მოხუცი, ახალგაზრდა, დიაცი თუ მამაკაცი. მაგალითად დის „გვლევა“ ასეთი იყო: თუ „უნაწილო“ ძმა მოუკვდებოდა (ისეთი ვისაც სახლში მამაკაცი: ძმა, ბიძაშვილი და სხვა არ დარჩებოდა), იგი თავის თავს „გაოჯრებულს“ უწოდებდა. თუ დას გრძელი თმა ჰქონდა, დასაფლავების წინ თმებს მოიჭრიდა და ძმას სარტყელში „ამოატანებდა“ (ჩაუდებდა), თან ტირილით ეტყოდა: „მხოლოდ მოთხოვითაჲ ჩამაყენი“, მთელ თავის ტანისამოსს „საშავეში ამოაველებდა“ (შავად შეღებავდა), მურყნის წვენში. თუ ყვითელი თმა ექნებოდა იმასაც გაიშავებდა. ტანისამოსზე რაც მძივი ან სამკაული ექნებოდა შეიხსნიდა და შეიპრიდა. მანდილს „ფევსვით“ (შებრუნებით, ფოჩების ჩამოყრით) დაიხურავდა თუ მანდილი ჩვეულებრივად „ფევსვით“ ეხურა, მერე „კანჭით“ დაიხურავდა; არც მღეროდა და არც თამაშობდა მთელ თავის სიცოცხლეში. არც ლხინში და არც ქორწილში მიიღებდა მონაწილეობას. ის ყოველთვის თავისი ბედის მოტირალი იყო. გინდ თავისი ვაჟები ყოლოდა, თავს მაინც „გაოჯრებულს“ უწოდებდა.

თუ დას ისეთი ძმა მოუკვდებოდა, რომელსაც დარჩებოდა მემკვიდრე ან ძმები, მაშინ იგი გარდაცვლილ ძმას ასე მძიმედ არ იგლოვდა. ტანისამოსის სამკაულს: მძივს, ლილს, ფარავს (გულისპირს) „ჩვარს“ დააკერებდა და მოჭარგულ გულსპირს დროებით იმით დაიფარავდა. „სათურასაც“ (მჭივიანს) ასევე

მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, III.



დააკრებდა ჩვარს, მანდილს „ფეცსვით“ დაიხურავდა, ქოქლოს გადმოაბრუნებდა და ისე ჩაიცვამდა. ასე გლოვობდა იგი ძმას ერთი წლის განმავლობაში. ხოლო როცა წელი შესრულდებოდა და „ტალავართაც“ აიღებდნენ, მერე აღარ გლოვობდა: სათურადან და ფარაგიდან ჩვრებს აავლევდა და ცეცხლში დასწავდა.

„შინში“ (ბიძაშვილი)¹ ქალიც ძალიან გლოვობდა „უნაწილო“ შინშს“. თუ მას თმა ჰქონდა გრძელი, ისიც დასავით თმას იჭრიდა და მიცვალებულს სარტყელში ამოუდებდა დასაფლავების წინ². მხოლოდ ტანისამოსს არ „გაავლებდა“ საშავეში“. დანარჩენში როგორც და ისე იგლოვდა: სათურას და სადიაცოს ფარავს, ჩვარს დააკრებდა და სხვა. „შინში“ ქალი მიცვალებულ შინშს ერთ წელიწადს იგლოვდა, სანამ „ტალავართ“ არ აიღებდნენ. ამის შემდეგ დაკრებულ ჩვრებს ცეცხლში დასწავდა. მანდილს „კანჭით“ დაიხურავდა, ქოქლოს „გარჩენიარ“ გადმოაბრუნებდა, თუ მძივით მორთულ „ტყავს“ გადაკრებული ჰქონდა ქსოვილი, მასაც ააძრობდა და ცეცხლში დასწავდა.

მოგვიარე ქალებიც იგლოვდნენ „სახლის კაცს“ (მოგვარეს), ისე როგორც შინში, მხოლოდ თმას არ მოიჭრიდნენ. ეს გლოვაც ერთი წელი გრძელდებოდა, „ტალავართ აღებამდე“. რძალი მახლს რვევ იგლოვდა, როგორც მოგვიარე ქალები. ძმები და ბიძაშვილები მიცვალებულს ერთნაირად გლოვობდნენ: თმაწვერს გამოუშვებდნენ, მოქარგულ პერანგებს გულზე მჩვარს დააკრებდნენ ან პერანგებს გადმოაბრუნებდნენ, ჩოხას და პაიქებსაც გადამბრუნებულად ჩაიცვამდნენ (თუ მოქარგულია). იარაღს, გარდა სანჯლისა, ერთი წლის განმავლობაში არ ატარებდნენ³. სანამ ტალავართ აიღებდნენ, ფანდურზე არ იმღერებდნენ, სანადიროდ არ წავიდოდნენ.

ერთი წლის შემდეგ, „ტალავართ ატანის“ შემდეგ, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მოხუც კაცს, რომელსაც დარჩებოდა ვაჟიშვილები, დაც და შვილებიც ძალიან მსუბუქად გლოვობდნენ. ცოლი ახალგაზრდა ქმარს არ გლოვობდა იმგვარადვე, როგორც და და ბიძაშვილი ქალები გლოვობდნენ. დედა და მამა არ გლოვობდნენ შვილს. დედა ტანისამოსს არ იცვლიდა, არც მამა უშვებდა წვერს. მხოლოდ მოხუცი მამა გამოუშვებდა შვილის სიკვდილზე თმაწვერს ტალავართ აღებამდე, მოხუცი დედა კი არ გლოვობდა შვილს. გაუთხოვარ ქალს გლოვობდნენ ახალგაზრდები და ბიძაშვილი ქალები. ძმა გლოვობდა დას, მიცვალებულ დედაკაცს, რომელსაც შვილები (ვაჟიშვილები) რჩებოდა, ნაკლებად გლოვობდნენ, რაც იმაში იხატებოდა, რომ ოჯახში ცეკვა-

¹ [შინში—დედის ძმიშვილი და დედის დისშვილი].

² სულ ძველად როდესაც ვინმე მოკვდებოდა მოტირალე ქალები „კიკიშობებს“ (საფუთქლიდან ხორცს) გამოიღვლევენ თურმე და სისხლს გამოიღვნიდნენ. იცოდნენ კიდევ „თავზე ტირილის“ დროს „პირის ტება“: როცა პირველი ხმით მოტირალი ტირილს გაათავებდა, მაშინ სხვა მოტირალი ქალები „პირს გაიტეხდეს“. მეორე ხმით მოტირალის შემდეგ—გულს იცემდნენ.

³ შლოვიარე მარტო ხანჯალს ატარებს. თუ დიდა მწუხარება, არც ხანჯალს. მგლოვიარე შარს ერიდება და მისისხლაც ერიდება მას. თუ აუცილებელი გახდა ხანჯალს და სხვა იარაღსაც იხმარს.

თამაშს აღარ მართავდნენ; აგრეთვე მოგვარე ბიძაშვილებიც არ მხიარულობდნენ „ფანდურის გატეხამდე“¹:

ღელას შვილები გლოვობდნენ — ქალებიც და ვაჟებიც. ქალები მანდილს „ფეფსვით“ არ დაიხურავდნენ და შეიძლებოდა „ფარაგზედაც“ ჩვარი დაეკერებინათ. ვაჟები თმა-წვერს გამოუშვებდნენ და შეიძლება ტანისამოსი გადაბრუნებული ჩაეცვათ — ცოტა ხანს — ორი ან სამი თვე. ვაჟები ხატის ღლეობაში „მგლოვიარები“ — თმა-წვერიანები არ მივიდოდნენ, ღლეობის წინ თმა-წვერს გააპარსავდნენ. მაშინ თავდებოდა შვილების მიერ ღელის გლოვა.

თუ „უბედო“ (უშვილო, ხნიერი) კაცი მოკვდებოდა, მას გლოვობდნენ ძმა და ბიძაშვილები („ხედამჩროები“ — გინც დარჩა) და მათი ცოლები: ეს უკანასკნელნი ფარაგზე ჩვრებს დაიკერებდნენ, მანდილს „ფეფსვით“ დაიხურავდნენ, და სათურასაც ჩვარს დააკერებდნენ; ძმა და „შინში“ თმა-წვერს გამოუშვებდნენ. თუ „უბედო“ კაცს ქალიშვილი დარჩებოდა (უბედო — უშვილო, ქალი ბედად არ ითვლებოდა), ისიც ზემოთ დასახელებულ უბედოს ბიძაშვილთა ცოლებივით გლოვობდა ერთი წლის განმავლობაში — „ტალავართ აღაბემდე“.

X. „ფანდურის გატეხა“

სოფელში როცა ახალი მიცვალებული იყო, მას მთელი სოფელი გლოვობდა, სანამ „ფანდურს არ გასტეხდნენ“. ამ დრომდე სოფელში არ შეიძლებოდა სიმღერა, ფანდურზე დაკვრა, თამაში და სხვა რაიმე გასართობებით ვართობა. ამით ჰირისუფალს სცემდნენ პატივს, ხათრს უნახავდნენ და თანაუგრძნობდნენ.

როცა ხატში რაიმე ღლეობა იქნებოდა, სადაც (ხატში) აუცილებელი იყო მხიარულება და სიმღერა, ან სოფელში რომელიმე ოჯახს უნდა ქორწილი გადაეხადა, მაგრამ ჰირისუფლის ხათრით ვერ იხდიდა ქორწილს, მაშინ თვითონ ჰირისუფალი „გასტეხდა ფანდურს“: ხალხში მივიდოდა, ფანდურს მიიტანდა (ან მოატანინებდა), დაუკრავდა და იმღერებდა ან ითამაშებდა. შემდეგ სხვებსაც შეაძლევა ფანდურს დასაკრავად. დიდი შებატყების შემდეგ ჩამოართმევდნენ ფანდურს და სხვებიც დაუკრავდნენ და დაიწყებდნენ სიმღერათამაშს. ასე „გატყდებოდა ფანდური“ სოფელთათვის, ახლობლები კი „გვლევის“ განაგრძობდნენ.

XI. „ნაცივარი სახლის დანათვალი“

მიცვალებულის დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც-ი ოჯახს მოუხერხებოდა, ჰირისპატრონი დაკლავდა ცხვარს, ბატკანს ან ხმოს და საკლავის სისხლით „სახლს დანათლავდა“ („ბალახით“ მთელს სახლს და იმ

¹ საერთოდ დედაკაცის სიკვდილს — ახალგაზრდა იყო ის თუ მოხუცი, დიდ უბედურებად არ თვლიდნენ. არ ტირილდნენ და არც გლოვობდნენ ისე როგორც მამაკაცს; ეშინოდათ „დიაცხე ტირილით და გლოვით მამაკაცებს არაფერი მოვსწიოთო“, — ე. ი. კაცებს რაიმე ხიფათი არ შეემთხვესო. როცა დედაკაცი კვდებოდა ასე იტყოდნენ: „მამროვანს ეწვრას უჯარი დიაც მსაკვდაოდ გახენილი ას“-ო.

ადგილს, სადაც „ცივი“¹ ესვენა სისხლს მოასხამდა). სანამ „სახლის სანაბ-
ლავს“ არ დაკლავდა ჭირისპატრონი და სხლს არ დანათლავდა, მანამდე მის
სახლში ხატის მსახური კაცი ვერ შევიდოდა. ხეესურების რწმენით დანათლავ-
დე სახლს ანგელოზი აღარ პატრონობდა, რადგან სახლბ „ნაცივარი“ იყო. და-
ნათლავამდე სახლში ხატისთვის არაფერი გაკეთდებოდა; არც საკლავი დაიკლ-
ვებოდა და არც „საჯვარო“ (სახატო) ქადა გამოცხვებოდა.

XII. წყალთ დალოცვა*

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ, სანამ მკვდრის ხარჯებს გადაიხ-
დიდნენ („საქნარს იქმენ“), მკვდარს „წყალთ დაულოცვენენ“.

ჭირისუფალი ამოირჩევიდა სადმე წყაროს, — უფრო კი გზის პირას, სადაც
მეტი მგზავრი ხალხი დადიოდა, იქ ქვებისგან „ააგებდა წყარუთ“ (წყაროს).
წყაროს ღარს დაუდებდნენ, საიდანაც წყალი გადმოსჩქვდა. აშენების დროს
ღარის თავში კოშკს „შუქუნთ“ (კედლის განჯინასავით) გაუქეთებდნენ, სადაც
საწყლე „ქიტს“ — (ხის ჩამჩა) შედგამდნენ. როცა წყარო მზად იქნებოდა, არაყს
გამოხდიდნენ, „სახელსადებებს“ გამოაცხობდნენ: გულიან ქაღებს, კვერებს და
კუბატებს (კვერებს ხორცის ან ყველის გულიანს). სუფრაზე („ტაბაზაზე“) ერობს
და ყველს დალაგებდნენ და იქ წაიღებდნენ, სადაც წყარო იყო. აქ სულის
ხუტესი არაყს, ყველს, ერობს, ნამცხვრებს და წყალს დალოცავდა მიცვალებუ-
ლისათვის. აქვე ხალხი მოვიდოდა. არაყს დალევდნენ და ქადა-პურებს შესჭამ-
დნენ. დაბრუნებისას ხი „ქიტს“ „წყარუთ შუქუნში“ შედგამდნენ და იქ და-
სტოვებდნენ. აქვე შეაწყობდნენ ქაღების და კუბატების ნაჭრებს. გამგელ-გა-
მოვლელი, ხალხი წყაროსთან ისვენებდა, წყალს დალევდა და მიცვალებულისა-
თვის შენდობას იტყოდა. შეწყობილი ქადა-კუბატების ნაჭრებიც, ვისაც შეხვდე-
ბოდა ის შეჭამდა. ხალხის აზრით „წყალთ ულოცავდნენ“ იმიტომ, რომ თუ სა-
აქაოს წყალი არ დაელოცათ, საიქიოს მიცვალებული „წყალიწი წილუდები“ (ნა-
წილის არ მქონე) იქნებოდა და წყალს არავინ დააღვივებდა, საიქიოს ყველას
თავისი წყალი ექნებოდა (სააქაოს რომ დაულოცეს) და სხვას არ ასმევდა თა-
ვის წყალს.

XIII. სამაჟდისი საქმართათვის (მიცვალებულის ხარჯვაში)

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჭირისუფალი „საქმარებისად — ხარ-
ჯებისად“ ემზადებოდა. უპირველესად ყოვლისა კახეთიდან სვეს მოიტანდნენ
(ხეესურეთში არ იყო, კახეთიდან მოჰქონდათ) საჭირო რაოდენობით. ეს დამო-
კიდებული იყო მასზე, თუ რა რაოდენობის ლუღის მოხარშვას აპირებდნენ. ამის
შემდეგ პურს მოიმარაგებდნენ (ქერს და სვილს — ქვავს). თუ შინ არ ემოვებო-
დათ მეზობლისაგან იყიდდნენ ან ისესხებდნენ. მერე „ფორებს“ (ალოს) ჩას-

* მიცვალებულს ხეესურეთში — „ცივისა“ უწოდებენ და „მკვდარსაც“.

დებდნენ წყალში (ქერს და სვილს ტომრებით ჩადებდნენ წყალში, რომ დაგმალყო). მერე ამოიღებდნენ წყლიდან და თბილად დახურავდნენ, რის შემდეგ ხორბალი დაჯეჯილდებოდა. დაჯეჯილებულს გაახმობდნენ და დაფქვავდნენ, ვხმოდოდა დაბტკბარი ფქვილი და ამისაგან ხარშავდნენ ლუდს და ხდიდნენ არაყს. სწორედ ამას უწოდებდნენ ფორს. მას გარკვეული რაოდენობით, საწყაოთი ზომავდნენ, წყალზე წიღებდნენ და სამი დღე ფორი წყალში ღებოდა. შინ მოიტანდნენ და იატაკზე დაყრიდნენ დამბალ მარცვალს. თუ ზამთარი იყო ზედ ფარდაგებს და ჩალას დახურავდნენ, რომ თბილად ყოფილიყო და ჩქარა „გამოსულიყო“. ხაფხულში მარტო ფარდაგებს ახურავდნენ. როცა მარცვალი ოდნავ თეთრად „აჯეჯილდებოდა“ გარეთ, მზეზე გამოიტანდნენ და გააშრობდნენ. ფორებს გაახმობის შემდეგ წისქვილში წიღებდნენ დასაფქვავად. ამასთან ერთად იფქვებოდა „მშრალი“ (ქერი და სვილი, რომლებიც წყალში არ ღებოდა).

ამას ქალები აკეთებდნენ. მამაკაცები კი ამ დროს ლუდის მოსახარშად საჭირო შეშას—სასაღურისს¹ ამზადებდნენ, მოჰქონდათ მუშა-ცხენებით და ჯორებით და იქ აწყობდნენ, სადაც ლუდის მოსახარში ქვაბები დაიდგმებოდა და იქაც, სადაც „სასაქნარო პური“ უნდა გამოეცხოთ. მსხვილ შეშას ლუდის მოსახარშად ცუნებდნენ, წვრილს-კი პურის გამოსაცხობად „ჩიქროში“ (ლუმელი სპეციალურად „სასაქნარო“ პურის გამოსაცხობი, აკეთებდნენ ცეცხლგამძლე ასივებისაგან).

როცა ამრიგად შეშას, ფორს, სვეს და „მშრალს“ დაამზადებდნენ, „სასაქნარო“ „ქვაბებს დააყრიდნენ“. ლუდის ხარშვაში ჰირისუფალს აუცილებლად მეზობლები და მოგვარე-მოკეთე მამაკაცები შეელოდნენ: ლუდის მოსახარშ ქვაბებს წყლით გაავსებდნენ, ფორის ფქვილს და „მშრალს“ ზომიერად ჩაყრიდნენ ქვაბში და მერე ცეცხლს შეუთებდნენ. ამას ეწოდებოდა „ქვაბების დაყრა“.

ამის შემდეგ შორეულ სოფლებში თავის მოკეთებებს შეუტრფიდა ჰირისპატრონი, რათა ისინი მომზადებულყვნენ „საქნარში“ მოსასვლელად. „მექვაბეთ“—იმ ხალხს, ვინც ჰირისუფალს ლუდის ხარშვაში ეხმარებოდა, სადილს და ვახშამს ჰირისპატრონი იქვე უგზავნიდა. როცა ფორისა და „მშრალის“ ხარშვას მოათავებდნენ და ნახარშს ტომრებით გასწურავდნენ, გასწურულ ქერის წვეს ისევ სალუდე ქვაბში ჩაასხამდნენ და ზედ სვეს დააყრიდნენ. ლუდი კიდევ დიდხანს ინარშებოდა სვეში—და ამას „სისწვენი“ (სვის წვენი) ეწოდებოდა. როცა „სისწვენიც“ მოიხარშებოდა, მას მექვაბენი ჰირისუფლის სახლში შეზიდავდნენ და იქ დასადგამდნენ გასაგრელებლად.

გაგრელებულ „სისწვენს“ მოხუცი მცოდნე მამაკაცი—„მეკოდე“, ამორჩეული ჰირისპატრონის მიერ, რომელმაც კარგად იცოდა „ლუდის შეყრა“ და მრეულა. „ლუდს“ შეყრიდა—გარკვეულ და საჭირო ტემპერატურის მქონე სისწვენს კოდებში გადაასხამდა და „საფუარს“¹ მისცემდა, რათა „აფუგებულიყო“

¹ საფუარად მზარობდნენ ბალახს¹ გამხმარ ლუდის „ვიტს“ (ქაფს) ან თლუს (ქვაბის ძირში დარჩენილ ფქვილს).

(ადღებულებიყო). „მეკოდის“ მოვალეობა იყო ლუდისთვის ყური ეგდო „ფუილის“ დროს; იგივე ხარჯების დროს გეგმაშეწონილად ხარჯავდა ლუდს (გასცემდა მას); მასვე ჰქონდა ჩაბარებული მთელი ლუდი. „მეკოდემ“ იცოდა, რამდენი „ჩხუტი“ (სალუდე, ლუდის საზომი კასრი) უნდა დაეხარჯა, სტუმრების მოსვლის დროს თავდარიგიანად ასხამდა კოდისან ქვაბებში ლუდს და აძლევდა ხალხის მომვლელ „ზედამდეგ“ (მერიქიფისდაგვარი) ახალგაზრდებს. იგი ანგარიშს უწევდა შესასმელის (ლუდის) და შემსმელთა რაოდენობას. რა ხნის განმავლობაშიაც ხარჯები გაგრძელდებოდა, ლუდი უნდა ყოფნოდა და მასწინძელი არ შეერცხვინა. ამიტომ მეკოდე საჭირო დროს მომჭირნეც იყო და ხელგაშლილიც. „მეკოდედ“ ქალი არ შეიძლებოდა, — კაცს ირჩევდნენ მხოლოდ და არა იშვიათად „მეკოდებდა“ ორი კაციც ყოფილა. ლუდს „საქნარამდე“ ერთი კვირით წინ ხარშავდნენ, რადგან ლუდების აფუეება ერთი კვირის შემდეგ უნდა მოთავებულყო და კოდიც მაშინ „გაიხსნებოდა“, ე. ი. „საქნარ დღეს“.

როცა ლუდის დუღებას მოათავებდნენ, არაყის გამოხზას („გამოწურვას“) შეუდგებოდნენ. არაყისათვის სალუდე ფორებიდან და მშრალიდან მორჩენილ ფქვილს გამოიყენებდნენ. თუ ეს არ ეყოფოდა — ახალს დაუმატებდნენ. თუ რამდენ ქვამ არაყს გამოხდიდნენ ეს ჭირისსატრონის ნება-სურვილზე და შეძლებაზე იყო დამოკიდებული — ორს, სამს, ოთხს თუ მეტს. არაყიც „სასაქნაროდ“ ინახებოდა.

შემდეგ იწყებოდა „სასაქნარო პურის“ გამოცხოვა. ჭირისუფალი სალუდე ფქვილების დამზადების დროს — საპურე ფქვილებსაც ამზადებდა: ნახევარს ქერისას და ნახევარს ჭვავის („სვილის“) ფქვილს. პურის რაოდენობა დამოკიდებული იყო ჭირისუფლის სურვილზე, შეძლებაზე და უმთავრესად იმის ვარაუდზე, თუ რამდენი მოკეთე მოუვდიოდა, ხარჯების დროს ბევრი ხალხი ეყოლებოდა თუ არა. ლუდის დუღებიდან მეოთხე დღეს იწყებდნენ პურის ცხობას. პურის ცხობაში ჭირისუფალს მოგვარეები და მეზობლები ეხმარებოდნენ.

პურის გამოცხოვის დაწყების წინა დღით ჭირისუფალი პურის გამოსაცხობ ლუმელს — „ჩიქროს“ დაამზადებდა — (თვითონ ამზადებდა ან სხვას აკეთებინებდა)¹. „ჩიქრო“ ჭერხოში უნდა ყოფილიყო „დადებული“; ჭირისუფლისა იქნებოდა ჭერხო თუ მეზობლისა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩიქროს ქვის კედლები ჰქონდა ამოშენებული; შუაში სიბრტყეზე დიდ სიპს (ბრტყელ სიპის ქვას) დასდებდნენ ისე, რომ სიპს ქვემოდან ცეცხლი ყოფილიყო; ზემოდანაც სიპს დაადებდნენ და შუაში მოქცეულ სიპზე პური ცხებოდა. „ჩიქროში“ მხოლოდ სასაქნარო პურს აცხობდნენ. როდესაც ჩიქროს გააკეთებდნენ წინა დღით ცეცხლს შეუთებდნენ — სიპს გამოციდნენ — გაუძლებდა თუარა ცეცხლს, თუ იგი არ გამოდგებოდა სხვა სიპს მოიტანდნენ და იმას გააკეთებდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა პურის გამოცხოვა.

¹ „ჩიქროს“ აკეთებდნენ მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი პური იყო გამოსაცხობი — „საქნარი“ თუ „საჯვარო“.

ჭირისუფალი, როცა პურის გამოცხობას დააპირებდა, მოგვარებს და მეზობლებს შეატყობინებდა—„აწედა“ (დაპატყებდა), რომ პურის გამოცხობაში ეშველათ. „მეპურეთაი“—უფრო ახალგაზრდა ქალები და ვაჟები მოდიოდნენ¹.

ქალები პურს აკეთებდნენ ვაჟები კი „ჩიქროსთან“ პურს აცხობდნენ და რიგ-რიგობით ერთმანეთს სცვლიდნენ. ასევე იქცოდნენ პურების კეთების დროს ქალებიც.

„მეპურენი“ ცომის მზეველ ქალს ამოირჩევდნენ, მას უნდა სცოდნოდა ცომის კარგად „მოხელა“, რომ ცომი არც ზომიზე მეტად რბილი ყოფილიყო და არც ძალიან მშრალი, ცომი თუ რბილი იქნებოდა, მაშინ პური „ჩიქროთი“ დატყდებოდა და „მეჩიქროე“ ვაჟს აბრალებდნენ პურის გაფუჭებას; თუ ცომი „მშრალი იყო, მაშინ პურის მკეთებელი ქალი ჩქარა ვერ დააკეთებდა პურებს“ და „ჩიქრო“ მიუღებოდა,—შემოაკლდებოდა პური. ამიტომ თუ კარგი „მეცომე“ არ გამოდგებოდა, „მეპურეს“—ცომის მზეველს გამოცვლიდნენ და სხვას აირჩევდნენ². მეპურენი დღეცა და ღამეც პურს აცხობდნენ; სანამ გამოცხობას არ მოათავებდნენ, არც „ჩიქროს“ „გამოუნელებდნენ“ (ცეცხლს არ აგაქრობდნენ). ჩიქროს ახლო ჩალას დაყრიდნენ და გამომცხვარ პურებს მასზე აწყობდნენ. როცა ამგვარად ჩალაზე ბევრი პური დაგროვდებოდა, ერთერთი მეპურეთაგანი პურს დაითვლიდა და სხვა ადგილას დააწყობდა. თუ „ჩიქრო“ მეზობლის ჭეცხობში იყო, მაშინ დათვლილ პურს ჭირისუფლის სახლში გადაიტანდნენ გოდრებით. პურის სათვალად რომ არ არეოდათ, „მეჩიქროენი“ ერთ გრძელ ჯოხზე ყოველი ოცი პურის აღსანიშნავად თითოჯერ დაუჭდვდნენ („ქკლით დაღლიანხედეს“). ჭირისუფალი ეტყოდა მეპურეებს თუ რამდენი ოცი პური გამოცხობათ. მეპურეები იქვე პურის ცხობის დროს სჭამდნენ პურს და ყველს „ჩიქროსთან“. სასაქნარო პურის გატეხა და ჭამა არ შეიძლებოდა, თუ პურს შეხდებოდა ან ჰქონდა ნათქვამი.

როდესაც მეპურენი პურის ცხობას მორჩებოდნენ თავთავიანთ სახლებში წავიდოდნენ. საღამოზე კი ჭირისპატრონი რომელიმე ქალს გულიან „ქადისკვრებს“ გამოაცხობინებდა და „მეპურეთ ოჯახს“ დაამზადებდა. ქადების რიცხვს („სახელსადებებისას“) პატრონი განსაზღვრავდა, იმის მიხედვით: ბევრი იყვნენ თუ ცოტანი პურის მცხობლები. საღამოზე ყველა პურის მცხობელს მოიწვევდნენ, ჭირისუფალი ტაბლას დაამზადებდა, მეკოდესაც დაუძახებდა, რომ „ყოლი მოეტიჟა“ (ლუდი ამოედო). „მეპურეთ ოჯახის“ ტაბლას ცხრას დასდგამდნენ: ცხრა ტაბლაზე ცხრა-ცხრა გულიან ქადებს („სახელსადებებს“) დააწყობდნენ და აგრეთვე სასაქნარო პურსაც მიუმატებდნენ. თითო ტაბლაზე ცხრა „სანთლის ფეხს“ აანთებდნენ (შეიძებოდა ხუთიც, სამიც და სხვა).

¹ „მეპურენი“ მისული მამაკაცი ეტყოდა „ჩიქროსთან“ მსდომ მეპურეებს: „კლოვამც სალხინოხედ ვაისჯებით“-ო. ქალი კი—„კლოვამც სალხინოდ შაიყრებით“-ო.

² სადაც ცომს ზელდნენ, იქ მოიტანდნენ „ჩიქროში“ პირველად გამომცხვარ პურებს და „სახელს დაზდებდნენ“—შენდობას ეტყოდნენ მიცვალებულისთვის, რათა ცომის ზელა და პურის ცხობა წაღმა წასვლოდათ და ამაში მიცვალებული დანმარებოდა.—ცომი და პური არ გაფუჭებოდათ. პურებს ეტყოდნენ შენდობას, ჩიქროსთვის და „შამამბრუნავი სულგისათვის“, იქნებ მოხვლა ეწაღათ და ვერ მოდიოდნენ“-ო.

მეკოდე ლუდიან კოდს თავსაფარს მოხდიდა და ერთ „საწდე“ (ქვაბია) ლუდს დაასხამდა „მეპურეთ ოჯშამზე“ მოსატანად. ლუდის გარდა ტაბლაზე არაყსაც მოიტანდნენ „ერთ ქურჭელს“ — ერთ კოკას. ყველა ამას ტაბლაზე დააწყობდნენ. სანთლებს აანთებდნენ: ერთ სანთელს ლუდიან ქებას („საწდეს“), ერთს არაყიან კოკას მიაკრავდნენ. როცა ტაბლა მზად იქნებოდა მიცვალებულსათვის შენდობას იტყოდა — დალოცავდა სულის ხუცესი, რომელიც ამ დროს ხელში არაყიან ყანწს დაიჭერდა ან ლუდიან თასს. იქ მყოფი მამაკაცებიც ზოგი არაყიან ყანწებს და ზოგი ლუდიან თასებს დაიჭერდნენ ხელში. შენდობის თქმის დროს ყველა ფეხზე წამოდგებოდა. შენდობის მთქმელი დალოცავდა ტაბლას ამ სიტყვებით: „ეს ტაბლა, ეს საწდე შენამც გეგმარების (მიცვალებულის სახელს იტყვის), რადაც გინდ იმადმც მიგზმარებ. უტაბლოობით, უსაწლოობითაც ნუ დარღნდები; მოკეთე ვინ შამაგესწვრასა, სწორ-ამხანიგები, ამ ტაბლით, ამ საწდით- იმათამც უძღვები“. იქ მყოფნიც ერთხმად იტყვიდნენ: „ამინ, შაუნდნას ღმერთმ სულნაქსენებს, იმ ქვეყანას გაანათლას ღმერთმ. ზედამჩროთ ღმერთმ ღზინით გულ გაგიკურნასთ. ღმერთმ კლოვ სალხინო საქმეზე დაგხარჯნასთ“ და სხვა.

თასებს და ყანწებს გამოცლიდნენ, ვახშამს სჭამდნენ, თან ნელ-ნელა ლუდ-არაყს აყოლებდნენ. ასე დამთავრდებოდა „მეპურეთ ოჯშამი“.

XIV* „ს ა გ მ ი ტ მ ა ტ ი რ ლ ო“

„საწმითმატიროლსთვის“ მოხელილ ცომს გამომცხობი ქალი თანაბარი სი-დიდით ვაანაწილებდა. მას „გულიანს“ არ აცხობდნენ. დიდი, ფართო პურები იყო ნეკი თითით დასურათებულბ. „საწმითმატიროლს“ იმდენს გამოაცხობდნენ, რამდენიც წმით მოტირალი იყო მათს სოფელში და ახლობელ სოფელში. „საწმითმატიროლს“ იმ წმით მოტირალს აძლევდნენ, რომელმაც მკვდარი იტირა „თავ-ზედ-მკვდარზედ დებას“, ანდა „ტალავართაზედ“. თუ რომელიმე წმით მოტირალი არ მოვიდოდა და არ იტირებდა მკვდარს, მას „საწმითმატიროლს“ არ მისცემდნენ. „საწმითმატიროლს“, როგორც ვთქვით, აცხობდნენ იმდენს, რამდენიც წმით მოტირალი იყო ახლო-მახლო სოფლებში. გარდა ამისა ზედმეტსაც გამოაცხობდნენ შემოსწრებულსათვის — იქნებ „საქნარჩი“ ვინმე უცხო წმით მოტირალი მოსულიყო და იმას მისცემდნენ.

ერთს „საწმითმატიროლს“, თუ ვაჟის „საქნარი“ იყო, ვაჟის ცოლეულთას წაიღებდნენ, თუ დანიშნული ქალი იყო ქმრეულთას და თუ გათხოვილი ქალი იყო „შამის სახლში“, აგრეთვე „დედულთასაც“ წაიღებდნენ. ერთს „საწმითმატიროლს“; ხოლო თუ დედულნი შორს იყვნენ, მაშინ დედის მხრივ ვინმე ახლო ნათესავს მისცემდნენ „დედულთ მაგიერ“, თუ არა და სახლში დარჩებოდა, გამოცხობით-კი აუცილებლად უნდა გამოეცხოთ.

„საწმითმატიროლს“ „წმით მატირლებს“ ურიგებდნენ „საქნარჩი“ და თუ წმით მატირალი არ მოვიდოდა „საქნარჩი“, მაშინ იქ გაუგზავნიდნენ, სადაც „წმით მატირალი“ იყო. საწმითმატიროლო ფართო და სქელი პური იყო. ზედ

პურზედ ერთს „სატნის (ყველის) ნატესს“ დასდებდნენ, აგრეთვე ხაიწს, და ერბოს¹.

XV. „ს ა ნ ე რ ბ ი ე ლ ო“

„სანერბიელოს“ ხაიწიანს² აცხობდნენ. ხაიწს ჯამით ასწყვედნენ, რომ ყველას თანაბარი გული ჰქონოდა, ცომსაც თანაბრად გაანაწილებდნენ. „სანერბიელოს“ იმდენს გამოაცხობდნენ, რამდენი ცხენიც იქნებოდა დოღში. ერთს კი ზედმეტს გამოაცხობდნენ: იქნებ ზედმეტი ცხენი მოვიდესო. ყოველი „სანერბიელო“ ცხენსა და მის მხედარს ეძლეოდა. მხედარი „სანერბიელოს“ ორად გასჭრბდა, ნახევარს თითონ აიღებდა და ნახევარს ცხენის „გამკეთებელ“ ქალს მისცემდა. თუ მხედარს ცხენი სხვისი ყავდა, მაშინ მეოთხედი მხედარს რჩებოდა. მეოთხედი ცხენის პატრონს ეძლეოდა, „სანერბიელოს“ ნახევარი კი ცხენის „გამკეთებელს“ (ქალს, რომელმაც ცხენის ფაზარი ჩამოწა და ფერადი ნაჭრებით შეამკო).

XVI. „ც ხ ე ნ - ღ ო ლ ვ ი“

დოღს ყველას არ უმართავდნენ, არამედ ახალგაზრდა ვაჟს და ქალს, „უბედო“ (ვაჟი რომ არ ჰყავდა) კაცს, „უშვილობლოო“ დიაცს. ოჯახზედაც იყო დამოკიდებული: ზოგ ოჯახს არ ჰქონდა იმდენი შეძლება, რომ „ცხენ-დოღვი“ მოეწყო, „საქნარჩი“ ის „არ ურბოლებდა ცხენთ“ მიცვალეზულს. დოღში ცხენების რიცხვი კენტი უნდა ყოფილიყო: ხუთი, შვიდი, თხუთმეტი და ა. შ., ხუთზე ნაკლები არ შეიძლებოდა, რაც მეტი იყო მით უფრო სასახელო იყო.

„ცხენთაშ“ შედიოდა: ერთი ცხენი „სულისა“ („დაკურთხეული იყო“ მიცვალეზულისათვის), ერთი „სახლისკაცებისა“, ერთი „ნარევეთა“, ერთი „სულრის ჩამცმელისა“, ერთი „მშობილისა“ (თუ ვაჟი იყო), ერთი „დედელთა“, ერთი „ცოლეულთა“. ქალი თუ ვათხოვილი იყო, ერთ ცხენს „მამისახლს“ გაურევენდნენ და თუ დანიშნული იყო ერთ ცხენს „ქმრეულთ“ გაურევენდნენ, ერთი ცხენი მამიდასი და ერთი ცხენი დედიდასი იყო. დოღში ყველა ეს ცხენები უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ზოგიერთ ცხენის გამოკლება შეიძლებოდა. მაგალითად ძმობლის ცხენი შეიძლებოდა არ გავრიათ.

¹ „ს ა ძ მ ა ზ ლ ო ნ ი“. „საქნარის“ წინა დღესვე დალოცავდნენ „სამმაზლოთ“. „სამმაზლოთ“ ისეთი ქალი გამოაცხობდა, ვინც იცოდა თუ რამდენი უნდოდა და ან რა ზომის პურები უნდა გამოეცხო: სამს დიდ, ფართო პურს გამოაცხობდა, გვეს „წილით“ (ეს პურებიც მოზრდილი იყო). ამ გვეს პურზე თითო გირვანჯა ერბოს დაადებდნენ, აგრეთვე ყველსაც. როდესაც სულს ხუცისი შენდობას ეტყობა—მერე ამ პურებს „მა-ზღებს“ (მოგვარე ბბააშვილებს) გაუნაწილებდნენ, ისე რომ ყველას უნდა შეხვედროდა „სამმაზლოთ“ ნაწილი. თუ ბევრი მოგვარე ყავდათ, მაშინ წვრილ-წვრილად დასტებდნენ პურებს და თითო ლუკმაც რომ შეხვედროდათ, —მინც ყველას გაუნაწილებდნენ.

² ხაიწი—ერბოთი მოხელილი ფქვილი.

რადგან „ნარევთ“ ცხენი ერთი იყო, ნარევები თავს მოიყრიდნენ ერთად და ცხენში წილს ყრიდნენ: ვისაც წილი შეხვდებოდა, ის მიიღებდა დოღში მონაწილეობას. ვის ცხენსაც გაურევდნენ, იმას თუ სახლში არ ჰყავდა ცხენი — „ხვადი“, რომელიც დოღში გამოდგებოდა, სხვას სთხოვდა ცხენს; სამაგიეროდ „ნადოღვეს“ გაუნაწილებდა ცხენის პატრონს. თუ ცხენის „გამრევს“ ცხენი-ჰყავდა და მხედრობა არ შეეძლო, სხვა მხედარს შესვამდა ცხენზე და „ნადოღვეს“ ნახევარს მისცემდა მხედარს.

„ცხენთაში“ ხვადი ცხენი უნდა ყოფილიყო, „ქალი“ არ შეიძლებოდა. „სადოღე“ ცხენი შეკაზმული არ იყო, შიშველი იყო. უნაგირით შეკაზმული მარტო „სულის ცხენი“ იყო „ცხენთაში“. მხედარნი „ცხენშვედარში“ წასასვლელად სამი დღით ადრე ემზადებოდნენ. თუ ზაფხული იყო და ცხენები მთაში იყო, ცხენებს მთიდან ჩამოიყვანდნენ, ყოველ-დღე მდინარე წყალში აბანავებდნენ, ყოველ დღილ-საღამოს აჭენებდნენ, რომ „გამოიყარას“ (გაზდესო) და „რბოლთაში-გაისარას“ (შეეჩვიოს სირბილს); თანაც ყოველ დღილ-საღამოს ქერს აჭმევდნენ თითო „ცხენის თოფრას“ (თოფრა შეკერილი პარკია); „ცხენთაში გასარევე“ ცხენს ჰკვავს არ აჭმევდნენ — ცხენს გაბერავს და ვერ ირბენსო. თუ ზაფხული იყო ბალახზე არ გაუშვებდნენ: ახალი ბალახი მუხლს მოსჭრისო. თუ სადმე ძველ თივას იშოვნიდნენ იმას აჭმევდნენ; თუ ზამთარი იყო ქერს და თივას აჭმევდნენ. ამის შემდეგ ცხენის მხედარი ახალგაზრდა ქალს სთხოვდა, რომ ცხენი კარგად „გაუყეთოს“.

ქალი ცხენს ძუა-ფაფარს დაუწნავდა, ფერადი ძაფებით ბოლოებს შეუკრავდა, ფაფარზე წინასწარი დამზადებულ „საფაფრეს“ გაუყეთებდა. საფაფრე მძივით, ღილებით და „სკლატ-აბრაშუნით“ იყო გაკეთებული. აგრეთვე „საშუბლურსაც“ ცხენის შუბლის ფაფარზე მიაკრავდა, ისიც მძივ-ღილით დაკერილი იყო ოთხკუთხად. ცხენის „გამკეთებელი“ ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო მორთავდა ცხენს და კარგად დაუწნავდა ძუა-ფაფარს.

დოღის ცხენებს ძალიან უფრთხილდებოდნენ, ავმა თვალმა არ აენოსო: ბოსლებში მალავდნენ, რომ თვალი არაეინ „შაგდას“. თვალის მლოცავს მოიყვანდნენ და ალოცვინებდნენ. „ნალოცს“ — „ურძნის“ მძივებს და ნახშირს ჩვარში გამოხვეულს ცხენს ფაფარზე დაჰკიდებდნენ. თუ ცხენი „მეწინავე იყო“ ე. ი. ყველაზე წინ მირბოდა, მას ძალიან უფრთხილდებოდნენ, ყარაულობდნენ, რომ ჩუმად „ჯიბრით“ სვილი (ქვავე) ან მარილი არავის შეეჭმია.

მიცვალბულის პატრონი „დოღვად“ იმას დააყენებდა, რაც იმას „ეჭირებოდა“ (ემეტებოდა) მიცვალბულისათვის. „დოღვის“ რაოდენობა და სიკარგე ოჯახის შეძლებულებზე იყო დამოკიდებული. „დოღვად“ დაყენება შეიძლებოდა: ძროხის, მოზერის, დეკეულის, ცხერის, ფარდავის, ხალიხის, რვალის (სპილენძის) ქვაბების, ჰაკანების, ტაფების და სხვა სპილენძელის. „დოღვად დაყენებულს“ ჭირისუფალი ერთად მოუყრიდა თავს და გამოცდილ მამაკაცებს და ავალებდა, რომ დაფასონ და კარგად გაანაწილონ წინა ცხენს რა ერგება, მეორეს, მესამეს და ა. შ. „დოღვს“ დამუასებლები შეაფასებდნენ და გაანაწილებდნენ ღირებულების მიხედვით ცხენებზედ. როდესაც „ცხენ-შვედარნი“ დოღიდან მოვიდოდნენ — ჭირისუფლის თანდასწრებით გაუნაწილებდნენ „დოღვს“.

„დაყენებულ დოღს“ „შანდობას“ ეტყოდნენ, რაც ცოცხალი იყო — ცხვარი; ძროხა თუ მოზვერი — ყურის მოსჭრიდნენ, რომ სისხლი გამოეღინათ და ეთქვათ „შანდობა“.

აქვე იყო „ცხენთ ტაბლა“. „ცხენთ ტაბლასაც“ ის დაუღამდა „ცხენ-მკედარი“, ვისი ცხენიც იყო „ცხენ-დოღნი“. რამდენი ცხენიც იყო, იმდენი „ცხენთ ტაბლა“ იყო დაღვმული.

ცხენის გამრევი გამოაცხობდა გულიან „ქადის-კვრებს“, — ზოგს დიდს და ზოგს პატარას, კუბატებს ზეთს ან სამს. როდესაც „ცხენთ ტაბლას“ დასდგამდნენ, ტაბლაზე ჯერ გულიან „სახელსადებებს“ დააწყობდნენ სამ-სამ ცალად, ზედ კუბატებს დასდებდნენ, ჯამით ერბოს დასდგამდნენ და ყველს დასდებდნენ. ბოთლით ან „ჩარქვით“ (ხელადა) არაყს დასდგამდნენ. აღუღებულ რძეს დასდგამდნენ „ერაწით“ (პატარა ქვაბით), შვიგ რძეში „ყინულ“ ერბოს ჩაყრიდნენ, რომ კარგი ფერი მისცემოდა. სოფლის ცხენის „ცხენთ ტაბლას“ ტაბლის დამდგმელი დაუღამდა იქ, სადაც „ტალავარნი იშლებოდა“. თუ მეთემე უღვამდა ცხენთ ტაბლას, ის იმ გზაზე დასდგამდა, საიდანაც ცხენები მოდიოდნენ. ცხენთ ტაბლას ქალიც დაუღამდა და მამაკაციც, მნიშვნელობა არ ჰქონდა „მკედართ“ ვინ დახვდებოდა ტაბლასთან.

წინა დღით დიასახლისს მოიყვანდნენ. მისი მოვალეობა იყო, რომ „ხავიწი“ კარგად ეღვდა: არ დაეწევა, თხელი არ მოსვლოდა ან ზედმეტად სქელი. ჭირისუფალი დიასახლისის თანდასწრებით ერბოს ასწყავდა რამდენიმე „საცხვარეს“ (ლიტრა) სამს ან ოთხსაც და მოკიდებული იყო იმაზე, თუ ჭირისუფალი რამდენ „საცხვარის“ ხავიწს აღუღებდა. თუ ბევრ მოკეთეს მოელოდა, ბევრს აღუღებდა, თუ არა და იმდენს, რამდენიც ეყოფოდა.

როცა დიასახლისი ერბოს და ფქვილს ჩაიბარებდა, თუ ბევრი ხავიწი იყო საღუღებელი მეორე ქალსაც დამხმარედ მოითხოვდა და თუ არა მარტო აღუღებდა ხავიწს, მხოლოდ უნდა ეღვლებინა ისე, რომ როცა ხალხი სუფრაზე („ტაბლაზე“) დასხდებოდა ხავიწი თბილი ყოფილიყო და გათბობა არ დასჭირვებოდა.

ამის შემდეგ იწყებოდა „სოფლისად ძახება“ (სოფლისათვის შეტყობინება) წინა დღით — დილას მოგვარე და მეზობელი მამაკაცები დაუძახებლად მივიდოდნენ დასახმარებლად: ზოგი სკამებს დასდგამდა, ზოგი ფიცრებს და ხეებს გააწყობდა ბანზე. დედაკაცები ბანზე არ ავიდოდნენ, ქვემოთ — კარში („გზოში“) მოიყრიდნენ თავს. როდესაც ჭირისუფალი საქმეებს მოათავებდა ხნიერ მამაკაცს სთხოვდა: „სოფელს უძახე“-ო. მამაკაცი მალა, ბანზე ავიდოდა და იქიდან დაიწყებდა ძახილს: „სოფელო, ყველას გეყურებოდასთ, (ჭირისუფლის სახელს იტყოდა) საქნარი აქეთ და ყველას ვაგებთ, რომ მახვიდათ. ვისაც არ გაუგონავის, გამგონებ ერთი მეორეს გააგებთ და მედით. ჭირისუფალს ეამკარს ნუ აურევთ დაგვიანებით“-ო. სოფელი ერთხელ დაძახებაზე არ მოვიდოდა, მეორედაც იგივე უძახებდა, მესამედაც რომ უძახებდნენ მაშინ მივიდოდა სოფლის „მამროვანი და ქალ-დედროვანი“. „მამროვანი“ ბანზე დასხდებოდა, — დედროვანი კარში („გზოში“) და ელოდნენ „მეთემეს“ (სტუმრებს ახლო სოფლებიდან). სანამ მეთემე არ მოვიდოდა, მანამ სოფლის ხალხი ზოგი ჭირისპატ-

რონს ესმარებოდა, ზოგიც თემიდან მოსულ სტუმრებს უხვდებოდა. სანამ „მეთემე“ მოვიდოდა ჭირისუფალი დაალოცვინებდა სულს ხუცესს ყველაფერს, რაც კი გამოცხოვბილი იყო: „სატაბლო პურს“, საგმითმატიროლებს¹, „სანერბილოებს“, ხავიწს, ყველს და ყინულ-ეზობოს. ყველა ამას ლუდის კოდებთან მიიტანდნენ, ლუდს ამოიღებდნენ, ტაბლაზე დასდამდნენ, მოკეთის მოტანილ არაყსაც იქვე დასდგამდნენ და „შანდობას“ ეტყოდნენ, რის შემდეგაც ლუდს დაღვინდნენ.

ჭირისუფალი დღით ახალგაზრდა ვაჟებს გაგზავნიდა მახლობელ სოფლებში და შეატყობინებდა, რომ „თემი“ მოვიდეს „საქნარჩი“. აგრეთვე მაწევარს დაავალებდა, ვინც მას უნდოდა „მაკეთე“ ან კარგის „მენდობე“ პირადად დაეპატიჟნა საქნარში. მაწევარი თემში ვისმესთან მივიდოდა და ეტყოდა, რომ თემს შეატყობინოს მაწევრის მოსვლა. ვისაც მაწევარი დაავალებდა ის ბანზე ავიდოდა და სოფელს „უძახებდა“: „მაწევარ მაგიდ ყველას გთხოვს რო საქნარჩი წახვიდით: ქალიც და კაციც, მაკეთეცა-ღ უმაკეთეოც“. შემდეგ მაწევარი იმ პირებთან მივიდოდა ვინც პირადად უნდა დაეპატიჟნა. შემდეგ ბრუნდებოდა უკან: ამის შემდეგ მეთემე მიდიოდა საქნარში. მოკეთეებს არაყი მიჭონდათ „ქინთები“ (ტიკჭორებით); დანარჩენი ხალხი კი — ქალები და კაცები, ვისაც სურვილი ჰქონდა, მათ მიყვებოდა. როდესაც მეთემე ხალხი მოდიოდა, ჭირისუფლის მოგვარებები გზაში მიეგებებოდნენ — არაყიან „ქინთებს“ (ტიკჭორებს) ჩამოართმევდნენ, წინ გაუძღვებოდნენ და ჭერხოში შეიყვანდნენ¹.

სანამ თემიდან ხალხი მოვიდოდა, ჭირისუფალი მუზობლის ორ გოგოს დაავალებდა, რომ სოფელში ჯამები მოეკრიბათ ხავიწისათვის. „მეჯამენი“ ჯერ მივიდოდნენ დაისახლისთან, ის გაატანდა წინასწარ დამზადებულ წვრილ-წვრილად დაჭრილ პურს და ყველს, რომელსაც ის მიცვალებულისათვის „სახელს დაზღებდა“ (შეულოცავდა), ცხავში ჩაუყრიდა და ისე წალბინებდა. „მეჯამენი“ ჯამებს ტომარაში ჩაყრიდნენ, რაჟღენ ჯამსაც გამოართმევდნენ პატრონს, იმდენს წამოღებულ ყველს და პურს მისცემდნენ. ჯამის პატრონი „პურსატანთ“ გააჩთ შესჭამდა, „ხლუმლო“ იქით არ შეიტანდა. ამ „პურსატანთ“ მეჭმა მამაკაცს არ შეეძლო. თუ ქალი არ დაუხვდებოდათ სახლში და ჯამს მამაკაცი მისცემდა, „პურსატანთ“ თითონ გამოიტანდნენ ჯამს და პატრონი არ იყო სახლში, მაშინ „პურსატანთ“ კარისთავზე დასტოვებდნენ და როცა სახლის პატრონი ქალი მოვიდოდა ის შესჭამდა. „მეჯამენი“ ჯამებს წყალზე დარეკდნენ და დი-ასახლის ჩააბარებდნენ.

¹ ჭირის მკერნი: წინა დღით ჭირისპატრონი თავის მოგვარებებიდან სამ კაცს შეატყობინებდა, რომ „პურის ნაყრს არ წაერთონ“ (არაფერი შესჭამონ). იუუ მამაკაცი იყო მკვდარი, ორი მამაკაცი უნდა ყოფილიყო და ერთი ქალი, თუ ქალი იყო, მაშინ ორი ქალი და ერთი მამაკაცი, როდესაც კოდების და პურის დალოცვას დაამთავრებდნენ, მაშინ „პურის მჭერნი“ იქ იყვნენ. როცა სულის ხუცესი დალოცვას მთავრებდა „პურის მჭერებს“ საშუალოდ მიუტანდნენ ყველაფრის ნაწილს, რაც კი რამ დაილოცებოდა: ლუდი, ყველი, პური თუ ხავიწი. „პურის მჭერნი“ შესჭამდნენ. ენები მიცვალებულის „პურს იჭერდნენ“. ამიტომ, სანამ არ დაილოცებოდა და სანამ მკვდართ არაფერი მიუღიდათ, არაფერს, სჭამდნენ და „პურის მჭერნიც“ მიცვალებულის მაგივრობას სწევდნენ.

პირველ დღეს, როდესაც „მეთემე“ და მოკეთებები მოვიდოდნენ, ქირისუფალი „ცხენს დააკურთხევიდა“.

თუ ცხენი სხვა მიცვალებულზე იყო „დაკურთხეული“ მას მეორედ აღარ დააკურთხებდნენ. ქირისუფალს თუ სახლში არა ყავდა ზვადი ცხენი—იყიდა სრულ ფასად ან ნახევარ ფასად. თუ ნახევარ ფასად იყიდა, ცხენი ისევ ცხენის პატრონს რჩებოდა, ქირისუფალი მხოლოდ მკედლისათვის „დააკურთხევიდა“. „დაკურთხეულ“ ცხენს „სულის ცხენი“ ეწოდებოდა. სულის ცხენს იშვიათ შემთხვევაში გაყიდნენ. თუ გაიყიდებოდა ნახევარ ფასად უნდა გაეყიდათ, რადგანაც მეორედ „დაკურთხევა“ არ შეიძლებოდა. თუ სახლში მხედარი იყო, სულის ცხენს დაიტოვებდნენ და არ გაყიდნენ, თუ არა და მოგვარეს, დისშვილს ან სხვა მახლობელს გადასცემდნენ უფასოდ. ვისაც ამ ცხენს გადასცემდნენ, მას უფლება არ ჰქონდა ნახუქარი სულის ცხენი გაეყიდა; თუ გაყიდვას დააპირებდა, ან სულის ცხენს კარგად არ მოუვლიდა—მიმცემს ნება ჰქონდა ცხენი ჩამოერთვა და სხვისთვის გადაეცა. სულის ცხენს ზედმეტად უვლიდნენ და მეტად უყვარდათ.

სულის ცხენს „დაკურთხევის“ წინ, როგორც სხვა „დოღის“ ცხენებს, ძუა-ფაფარს დაუწნავდნენ, „საფაფრეს, საშუბლურს“ და „საყელთურს“ ძალიან კარგებს შეუჟერავენ, თოფრას და ხურჯინსაც ახალს და კარგს გაუკეთებდნენ. სულის ცხენს უნაგირიც ახალი და კარგი უნდა ედგასო.

საფაფრეს ფაფარზე გაუკეთებდნენ, საშუბლურს შუბლზე და საყელთურს მკერდზე ჩამოკიდებდნენ, თოფრით ქერს აჭმევდნენ, ხურჯინის ერთ თვალში არაყიან „ჭინის“ (ტიკპორას) ჩაუღებდნენ, მეორეში საგზლად გამრცობილ სატაბლე პურებს და ყველს ჩაუწყობდნენ. მიცვალებულის ტანისამოსს უნაგირზე „დააყრიდნენ“ (დააწყობდნენ) და იარაღს ჩამოკიდებდნენ უნაგირზე. ცხენის წინ „ტაბლას“ დასდგამდნენ, ტაბლაზე პური, ყველი, არაყი, ლუდი და სხვა საღობოები იყო დაწყობილი. თუ ვაჟი ცოლიანი იყო, — ცხენს ცოლს დააჭერინებდნენ, თუ უცოლო იყო — დედა დაიქერდა. სულის ხუცესი ხელში არაყიან ყანწს დაიჭერდა და ცხენს შენდობას ეტყოდა, მიცვალებულის სახელს ასხენებდა: „სადაც შენ ხარ (სახელს იტყოდა) შენიც საჭმარი ას, გულიმც ნუ დაგიღონდების, უცხენრობითამც სწორ ამხანაგებს ნუ ჩამორჩები, ამ ცხენით, ამ საგძლით სწორ ამხანაგებშიამც იქნები იალი-დ მხიარული“.

როდესაც სულის ხუცესი შენდობას მოათავებდა, ცხენს ხელში ნაქონი ყანწიდან ფაფარზე არაყს დაასხამდა და სამჯერ მათრახს დაჰკრავდა: იმის „საჭმარიმც ხარ, სადაც დაშვირდები, მგებრთაში იქნებისა, თუ ცხენთაში“-ო. ამ დროს ცხენი ცოლს უნდა სჭეროდა ხელში. ცოლიც სამჯერ მათრახს „დაუღირებდა“, დაჰკრავდა და ეტყოდა: „შენამც გეჭმარების ეს ცხენი, ეს ტაბლაი საიქიოს“-ო.

თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო და უშვილო ცოლი დარჩებოდა, ცხენის „დაკურთხევის“ დროს, ვინც ცხენს „აკურთხევიდა“, სამჯერ ცოლსაც მათრახს „დააღირებდა“ და ეტყოდა „ეს შენი ცოლი საიქიოსაც შენ ცოლ იქნების“.

როცა ცხენს „აკურთხევიდა“, მამაკაცები გაჩუმებული იყვნენ, დედაცა კი კი ტირილდნენ. მამაკაცები ქუდმოხდილი იდგნენ. „დაკურთხევის“ შემდეგ ტალავარს ჩამოხსნიდნენ და ისევ ფარდაზე დააწყობდნენ, ხურჯინი კი ცხენს

ისევ ზედ ეკიდა. ტალავართ წაიღებდნენ სოფლის განაპირას და ყველა იქ წავიდოდა; თან მიჰქონდათ ლუდი, არაყი, ცხენთ ტაბლები და ცხენებისათვის ქერი ფარდაგებით. „დოღვის“ ცხენები მიყავდათ და მხედრებიც იქ მიდიოდნენ. „ტალავართ“ გაშლიდნენ; მას გარშემო დედაკაცები შემოუსხლებოდნენ და ტიროდნენ. ხმით მტირალი დიაცები ხმით ტიროდნენ და „მესულეთე“ (სულის მკითხავი) სულეთობდა (სულს გამოიძახებდა)¹. „მაძროვანი“ (კაცები) მოშორებით დასხდებოდნენ და განაგრძობდნენ ლუდის და არაყის სმას.

მხედრები თავ-თავიანთ ცხენებს უვლიდნენ, ძუას უკრავდნენ, მუცელზე ქალის სარტყლებს ახევიდნენ, რათა თავდადმართში და ცუდ გზებზე მხედარს სარტყლისათვის ჩაეკიდა ხელი, რადგან ცხენები უუნაგირო — შიშველი იყვნენ. შემდეგ ცხენებს ქერზე მიუშვებდნენ და მხედრები ცხენ-ტაბლაზე მივიდოდნენ, ლუქმას „აჯღეჩდნენ“ (შესჭამდნენ), ყველა ცხენთ ტაბლებს უნდა „დასწოდნენ“ (დაევლოთ), არაყს დაღვედნენ და რაც ცხენ-ტაბლაზე „ქადის-კერის“ (ქაღლის) „ნაწვრეთები (ნაკრები) და კუბატები იყო ხალხისაკენ გაისვრიდნენ. ამას ბავშვები და ახალგაზრდები აკრეფდნენ და შესჭამდნენ.

მხედრები, როდესაც ტაბლებზე მისვლას გაათავებდნენ, ცხენებზე შესხდებოდნენ — წინ „სულისცხენი“ დაუდგებოდა (ამ ცხენს მიცვალებულის ცოლი, თუ ცოლი არ ჰყავდა დედა ხელში დაიჭერდა) — და „ტალავართ“ (მიცვალებულის გაშლილ ტანისაპოსს) გარშემო მსხდომ დედაკაცებს სამჯერ შემოუვლიდნენ და მერე იმ სოფლისკენ წავიდოდნენ, სადაც „ცხენთ ტაბლას“ უდგამდნენ². როდესაც „დოღვი“ სხვა სოფელში წავიდოდა, მამაკაცები ჭირისუფლის სახლში წავიდოდნენ და „ტაბლაზე“ დასხდებოდნენ; დედაკაცები კი ცოტახანს კიდევ სტიროდნენ. სანამ „ტალავართ“ აიღებდნენ ერთ „საწედ“ (ჭურჭელია) ლუდს „დედროვანთან“ მიიტანდნენ და დალოცავდნენ მიცვალებულისათვის. ლუდთან ერთად არაყსაც დალოცავდნენ. დალოცვილ ლუდ-არაყს იქვე დაღვედნენ დედაკაცები. ამის შემდეგ „ტალავართ“ წაიღებდნენ სახლში. სოფლის „დედროვანი“ და მეთემე სტუმარი „დედროვანი“ ყველა ჭირისუფლის საბლში მივიდოდა.

მიცვალებულ ქალს ცხენს არ „უკუროთხევიბდეს“, ისე ცხენთ კი „ურბოლებდნენ“, სადაც „სულის ცხენის“ შპეიერ „სახლის ცხენი“ გაერეოდა³, როგორც „სულის ცხენი“ — „სახლის ცხენიც“ აგრეთვე შეკაზმული წავა „ცხენთაჩი“.

¹ სულის გამოძახება მხოლოდ სულის მკითხაობის დროს ხდება.

² როცა მხედრები ცხენ ტაბლაზე იყვნენ, ჭირისუფალი ან სხვა ვინმე ჭირისუფლის სახელით მათ ეტყოდა: „მკედარნო, ძალიან გთხოვთ, რო ისრ წაზევიდათ, რო არც მკედარი არც ცოცხალი არცაო შეგვარტყვინათ, ან გზაჩი ერთმანეთ არა დაზიანათ“. ამასთანავე ჭირისუფალი ეტყოდა პირველად თუ ვის ტაბლაზე უნდა მისულოყვნენ. ეტყოდა კიდევ: „მკედარნო, ვინაც წესით არ ივლის და მკედართ პირს გასტეხს, იმას დოღვს არ მიეცემ, მე ისეთს არას ვაყენებ დოღვად რომ თქვენ სახლში არ გქონდასთა-დ ჩემ დოღვ ან გაგაკვირასთ, ან გაგამიდრნასთ. მე გეხვეწებით, რო ერთმანეთს უყურათ, გამამართვის დროსად წინ არეინ გამაიპარნათ“.

³ სახლის ცხენი — ეს ცხენი მიცვალებულის ოჯახიდან იყო, მაგრამ სულზე არ იყო დალოცვილი და დოღვი ისე მიდიოდა.

ჭირისუფლის სახლში მამაკაცები, სოფელები და მეთემეები ყველანი იარაღით მოდიოდნენ. „საქნარჩი“ ყველას წელზე ხანჯალი მაინც ჰქონდა შემორტყმული. როდესაც ცხენ-მხედართ გასტუმრება ხდებოდა, მხედრებს იარაღს შემოუხსნიდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმავე დღეს ბრუნდებოდნენ, ხოლო თუ მეორე სოფელში ღამეს ათევდნენ თან მიქონდათ თავისი იარაღი.

როდესაც მხედრები წაფიჯოდნენ, დარჩენილ ხალხს შემოხსნიდნენ იარაღს და ვინმე სანდოს, ქალი იქნებოდა თუ კაცი, ჩააბარებდნენ; ის-კი იარაღს ისეთ ადგილას შეინახავდა, რომ არავის სცოდნოდა, თუ სად ინახებოდა იარაღი.

„საქნარჩი“ ხშირად დათვრებოდნენ და ჩხუბობდნენ. იარაღის შემოხსნის შემდეგ ჭირისუფალი „მამროვანს“ ლუდით, არაყით და ტაბლით „უძღვებოდა“ (უმასპინძლებოდა). თუ „საქნარჩი“ მეტად „შულლობდნენ“ (ჩხუბობდნენ) — ჭირისუფალს და მოკეთებებს უხაროდათ: „— მიცვალებული რევს ხალხსო“. თუ მამაკაცის „საქნარჩი“ იყო იტყოდნენ: „სიცოცხლის დროს მაშულარი-დ დაუსვენარ იყვა და საიქითაც არ ასვენებს ხალხს და რევს“. თუ ხალხმა ხანგრძლივად — გაბმით იჩხუბა, უფროსები „მკედართად დალოცავდნენ“: მკედრები არეულები არიან და ხალხსაც ისინი რევენო.

1. ტაბლის დაღვამ დოღვი

როდესაც ცხენთ გაისტუმრებდნენ და ხალხი ისევ ჭირისუფალთან წავიდოდა, ჭირისუფალს მოგვარეები და მეზობლები დაეხმარებოდნენ, ხალხს დასვათ, წინ ტაბლას დაუდგამდნენ. ჯერ მამაკაცები დასხდებოდნენ და შერე ქალები. მამაკაცები ბანზე წინასწარ გამართული ფიცრის სკამებზე დასხდებოდნენ, წინ მათ დაუდგამდნენ ხის ტაბლებს და ფიცრებს, ზედ რამდენიც დაეტეოდა იმდენ პურს და ყველს დაყრიდნენ, ზიგადაშიგ ხავიწიან ჯამებს დაუდგამდნენ — სამ კაცს თითო ჯამს.

„ზედამდევნი“ (ვინც ამ შემთხვევაში ხალხს ემსახურებოდა) ხავიწს თანდათან უმატებდნენ ჯამებში ქვაბებიდან კოვზებით, თანაც პური და ყველიც მოჰქონდათ. „ზედამდევნი“ ლუდსაც ასმევდნენ ხალხს. ვინც „მეარაყე“ იყო (ვინც არაყს მოიტანდა) — ის თავის მოტანილ არაყს ხალხს ასმევდა. „სახლის არაყს“ (ოჯახის არაყს) ხალხს მიცვალებულის ოჯახის წევრი დაალევიებდა. როცა „საწდენი“ ლუდი გამოილეოდა, ზედამდევნი წავიდოდნენ და ლუდს მეკოდეს გამოართმევდნენ. მეკოდეს ანგარიშიანად უნდა გაეცა ლუდი, რომ არ შემოჰკლებოდა. როდესაც ტაბლაზე ისხდნენ — ლუდი, არაყი და საჭმელი არ უნდა დაკლებოდათ. რამდენის დალევაც შეეძლოთ, ასმევდნენ.

„ზედამდევნი“ პირველ „ჩამოვლევანზე“ ვისიც ხარჯია იმის შესანდობარს დაალევიებდნენ ხალხს, მერე სხვა მიცვალებულებს გაიხსენებდნენ. მამაკაცებთან „ზედამდევად“ ვაჟები იყვნენ, ქალებთან ქალები, მხოლოდ ლუდს ქალებსაც ვაჟები ასმევდნენ. როდესაც მამაკაცები ჭამა-სმას მორჩებოდნენ, ტაბლის აღე-

ბამდე „საყეენოთ“ ჩამოატარებდნენ¹. „საყეენოთ“ ყველა უნდა „დასწოდა“ (პირი დაეღო), ისე არ შეიძლებოდა მიცვალებულის დალოცვა, მკვდარს დააკლდებო იტყოდნენ... „საყეენოს“ რომ ჩამოატარებდნენ, ყველას დააღვივნებდნენ. ამ დროს ჭამასაც ყველა მოათავებდა, რის შემდეგ ტაბლასაც აიღებდნენ. მამაკაცები რომ აღებდნენ, ქალები დასხდებოდნენ, მაგრამ არა იქ, სადაც კაცები ისხდნენ, არამედ ქვედა სართულში — მიწაზე ფეხმოკეცილები. მათ წინ ფარდაგებს გაუშლიდნენ, რაზედაც დააწყობდნენ პურს, ყველს და ხავიწიან ჯამებს.

რაც მეტი იქნებოდა პური და ყველი მით უკეთესი იყო. ამიტომ რაც კი დაეტეოდა ფარდაზე დაყრიდნენ პურს და ყველს. შემდეგ ხავიწიან ჯამებს ჩამოარიგებდნენ ისე, რომ ყველა მისწვდომოდა ჯამს. თითო ჯამი ორ-სამს ედგა წინ. როცა ხავიწს დაარიგებდნენ „ახვლეჩენ“ პურს. პურს და ხავიწს ჩამოარიგებდნენ ქალები, ხოლო ლუღს კი ვაყები ასმევდნენ. „ზედამდეგები“ დაჩახებდნენ: „ეს ჩამავლეთლი (ჩამოტარებული სასმელი) დედულთ შაუნდნას“. მეორე — „მგებრთ“ შაუნდნას“-ო და ასე შემდეგ. ერთიელ „სულუქტეეარს“² ჩამოატარებდნენ თასით.

როდესაც ქალები („დღერევიანი“) ჭამას მიატოვებდნენ, უფროსი დიაცი „შენდობას“ იძახებდა. ყოველ შენდობის თქმაზე ყველას პური უნდა „ახვლიჩა“ (მოტეხა) — თორემ მკვდარს დააკლდებოდა. შენდობის მოქმელი ფეხზე დადგებოდა და ხმამალა დიძახებდა: „შეუნდნას მგებრთ“. ყველა თითო ლუქმას „ახვლეჩა“ და შესჭამდა. მეორე იტყოდნენ — „დედულთ“-ო, კიდევ თითო ლუქმას შესჭამდნენ; „ქალისწულთ“-ო, „მამყოლთ“-ო, „უპატრონო მკვდრებს“-ო და სხვა.

თუ მამაკაცი იყო მიცვალებული, — დამატებით „ცოლეულთ“-ო, თუ ქალი — „ქმრეულთ“-ო, „მამისახლს“-ო, და ვინც კი გაახსენდებოდათ, ყველას შენდობას ეტყოდნენ. როგორც ვთქვით, თვითივე შენდობის თქმაზე ქალებიც ლუქმას „ახვლეჩენ“ (მოსტებდნენ) და შესჭამდნენ. შენდობის მოქმელი დიაცი ყოველ შენდობის თქმის შემდეგ დააყოლებდა: „ვინაც არ შეშვამთ ცოლიმც გეჭენებისთ“-ო. მეორე „საყეენოთ“ ჩამოატარებდნენ და ყველას შეასმევდნენ. ქალები ჭამას და ლუღის დაღვივას რომ მოათავებდნენ, — ვაყები „ზედამდეგები“ კარებთან გაჩერდებოდნენ და გამსვლელ ქალს თითო თას ლუღს დააღვივნებდნენ კარებთან. იმ პირთ, რომლებიც ქალებს ლუღს ასე ასმევდნენ „მეკრენი“ ეწოდებოდათ³. მეკრენი არც ერთ ქალს არ გაუშვებდნენ, რომ ერთი-ორი თასი ლუღი არ დაეღვივნებინათ⁴.

¹ „საყეენონი“ ეწოდებოდა ლუღიან დიდ ბაკანს, რომელშიაც ყინული (აჩა) გამდნარი იერბო იყო ჩადებული.

² „სულუქტეეარ“ — შესანდობარი ითქმის „უნაწილოსად“, ე. ი. ვინც ახალგაზრდა მკვდარი იყო გვარში და რომელსაც შვილი არ დარჩენოდა; ყველას უნდა დაეღვიო „სულუქტეეარად“ (ე. ი. არ შეესვენა, არ ამოესუნთქა სმის დროს).

³ კარებთან ძალდატანებით იცოდნენ ქალებისთვის ლუღის სმევა. ამიტომ ზოგი ქალი სხვა კარებიდან გაიპარებოდა ან და „საკემისას აძვრებდა“. ამისათვის ზოგჯერ იცოდნენ „ხლოურბის ძირში“ ხმლის დადება (კარების ქვედა ჩარჩოს ძირში). ქალები გამოაცხადებდნენ

ამის შემდეგ მეთემე თემში წაყვრილა, ხოლო სოფლები თავიანთ სახლებში. ასე დაიშლებოდა ხალხი. ამ დროს ხმით მოტირალესაც დაუბრუნებდნენ „საქვითმატიროს“, ხოლო რომელი ხმით მოტირალიც არ მოვიდოდა — მას სახლში გაუგზავნიდნენ „საქვითმატიროს“.

„მეკარე“ ხალხს („მეთემე“) — წასვლისას სატაბლო პურზე ხაყვს, სატანს და ერთს დაუღებდნენ და თან გაატანდნენ.

როდესაც სტუმრებს გაისტუმრებდნენ, „მეკარე — მესამრელოე დიაცებს“ მიუტანდნენ ყველაფრის ნაწილს, რაც სუფრაზე იყო: პურს, ხაყვს, ყველს და ლუდს. „მესამრელოე დიაცები“ (თვიურიანი დედაკაცები, რომლებიც ცალკე „სამრელოში“ იყვნენ) ტაბლას ვერ მიეკარებოდნენ. ლუდს „მეკარე“ დიაცებს საწყლე „კოფეებში“ (წყლის ჭურჭლები ხისგან გაკეთებული) ჩაუსხამდნენ. აგრეთვე სოფელში თუ ვინმე ავადმყოფი მოხუცი იყო და ტაბლაზე ვერ მოვიდოდა, მასაც სახლში მიუტანდნენ ყველაფრის ნაწილს, რაც კი იყო სუფრაზე. საღამოზე, როდესაც მწყემსები დაბრუნდებოდნენ ნახირიდან, დაუძახებდნენ, მათ ტაბლას დაუდგამდნენ და ისევე გაუძღვებოდნენ, როგორც დანარჩენ ხალხს. სოფელში ასეთი არავინ უნდა დარჩენილიყო, რომ ტაბლას არ დასწოდა, თორემ საიქიოში მკვდარს დააკლდებაო, ნალოცი არ მიუყვარა. რამდენსაც მეტს შესჭამდა და დაღევდა ხალხი, მით უფრო მეტი საქმელ-სასმელი მიუვიდოდა მკვდარს საიქიოს. სტუმრებს რომ გაისტუმრებდნენ, მერე ზემდეებს დასაგამდნენ ტაბლაზე და მათაც აჰმევენდნენ და ასმევენდნენ.

2. ცხენთ დება რუნება

თუ „ცხენთ ტაბლა“ ახლო სოფელში იდგა, მაშინ მხედრები იმავე დღეს დაბრუნდებოდნენ ჭირისუფალთან, თუ არა და, მეორე დღეს. როცა მხედრები ღამე რჩებოდნენ „ცხენთ ტაბლის“ დამდგმელისას — „ცხენთ ტაბლის“ დამდგმელს ლუდი უნდა ჰქონოდა და პურიც. მასპინძელი მხედრებს ცხენებს ჩამოარბმევდა, ყოველ ცხენს სანდო კაცს მიუჩინდა, რომ ცხენებისათვის „ჯავრით“ (ჯობრით) სეილი (ჰევეი) არავის დაეყარა. „ცხენნი“ რომ მივიდოდნენ ხალხი მიესალმებოდა: „გამარჯვებათ ცხენმეყდარნი“. მასპინძელს მეზობელი და სხვა ხალხიც ჰყავდა დაპატიებულნი. მასპინძელი დაპატიებულ ხალხს გააფრთხილებდა: „მხედრებს არაფერი აწყენინოთ“. მხედრებს დიდი პატივით უვლიდნენ.

მეორე დღეს მხედარნი უკან გამოემართებოდნენ. წინასწარ მოზღაპარებდნენ, რომ ყველანი ერთად წასულნიყვნენ. წინ არავინ არ გაპარულიყო, თო-

• დიაცები იცოდნენ ზღუდლთ ძირში კმალი ძესა-დ ვინც კარისას არ განოლთ, ის კუდიან იქნებოთ“-ო. თქმულებაა, თუ ზღუდლის ძირში ნმალი ძეგს, ვინც კუდიანი დედაკაცია არ შეუძლია ნმალზე გადავიდესო და ის სხვა კარიდან გაიპარებოთ. როცა კალები გაიგებდნენ, რომ ნმალი ძეგს „ზღუდლთ ძირში“, ყველა კარიდან გავიდოდა. ეშინოდნენ კუდიანობა არავინ დაგვწყაოსო. მასპინძელსაც ეს უნდოდა, რადგანაც რამდენადაც მეტს დააღვეინებდა ხალხს ლუდსა და არაყს, იმდენი მეტი სასმელ-საქმელი მიუვიდოდა მიცვალებულთ და მით უკეთესი იყო მისთვის!

რემ წინ გაპარულს დოღში წილს არ დაუღებდნენ. სშირი შემთხვევა იყო, მხედარი სხეებს არ დაუცდიდა და ჩუმად გაიპარებოდა, რათა „მიჯნაზე“ ადრე მისულიყო. თუ ამას გაუგებდნენ, მას ჩხუბს აუტეხდნენ და პირველობასაც არ აკუთვნებდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მახლობელ სოფელში წასული დოღი იმავე დამეს უნდა გამობრუნებულყო, „ცხენი“ ტაბლაზედ მივიდოდნენ; ტაბლის და მდგმელი მხედრებს ტაბლას დალოცვინებდა. მხედრები ტაბლიდან „ნაწვრეთებს“ და კუბატებს აიღებდნენ, ზოგს იქვე მყოფ ბავშვებს გადაუყრიდნენ, ზოგს უბეში ჩაიწყოზდნენ და გზაში ვინც შეხვდებოდათ გადაუყრიდნენ; ან თუ არა და, ჭირისუფალის სოფელში შემოგებებულ ხალხს გადაუყრიდნენ. ცხენ-ტაბლიდან მხედრები ერთად უნდა წამოსულიყვნენ. მხედრები გზაში ცხენებს რაც შეეძლოთ ატეხებდნენ, რომ ერთმანეთისთვის გაესწროთ. სოფლის პირას „მიჯნა“ იყო გაკეთებული ჯოებიით. მიჯნასთან ვინც წინ მივიდოდა, გამარჯვებული ის იყო და წინა „დოღიც“ მას რჩებოდა.

ცხენ-მხედართ თუ დიდი გზა ჰქონდათ, გზაში მხედრებს ამხანაგები მიეგებოდნენ, რომ დალოღი მხედრები შეეცვალათ. შემცვლელი სანდო უნდა ყოფილიყო მხედრისათვის, რომ მას არ ელაღატნა და ცხენი უკან არ დარჩენიდა.

როცა სოფელში მივიდოდნენ, მხედრებს ცხენებს ჩამოართმევდნენ, ხელით ატარებდნენ რაჰდენივე ხანს. ამის შემდეგ ცხენებს საღმე დაბამდნენ, მხედრებს კი ჭირისუფალი შინ შეიყვანდა და ტაბლაზე გაუმასპინძლდებოდა. მხედრებს, თუ ერთმანეთში რაიმე უთანხმოება ჰქონდათ, აქვე გაარჩევდნენ და „დოღსაც“ გაიანწილებდნენ. „დოღვის“ განაწილების შემდეგ მხედრებს „სანერბიელოებს“ დაურიგებდნენ. „სანერბიელოებს“ ორად გასჭრიდნენ, ნახევარს ცხენის „გამკეთებელს“ მისცემდნენ და ნახევარს კი მხედარი აიღებდა.

XVII. „წყალ წილს“

საქარის წინა დღის საღამოს „წყალ წილას“ იხდოდნენ. აღუღებდნენ რძის ფაფას. ვახშობის დოღს ჭირისუფალი დაბატყებდა თავის გვარეულებს. გარეშე გვარს არ დაბატყებდნენ. ჰბატყებდნენ აგრეთვე „მეშაბათისაც“ (ეს ის გვარია, რომელიც წინათ ამავე ჭირისუფლის გვარისა ყოფილა, მაგრამ შემდეგ სხვა გვარი მიუღია). როდესაც ყველა შეიკრიბებოდა, ფაფას ქვაბიდან ჯამბში ამოიღებდნენ, ჯამბში თითო კოვზ ერბოს ჩასდებდნენ, ჯამბზე თითო სანთელს დააკრავდნენ, რძესაც ჯამბით დასდგამდნენ, რძეში ერბოს ჩაჰყრიდნენ, ყველსაც დასდებდნენ. ტაბლაზე აგრეთვე ლუღს, არაყს და ცხრა „კვერ“-საც (პურებს) მოიტანდნენ. სულის ხუცესი ტაბლას დალოცავდა, შენდობას ეტყობა.

სულის ხუცესი იტყობდა: „წყალჩი წილიმც გიძეს საიქიოს, წყალჩი წილუღებლობითამც ნუ დაღონდები“. „წყალ წილას“ შემდეგ მკვდარს „სსულეთ“ წყალში წილი ჩაედებოა.

როდესაც სულის ხუცესი ტაბლას შენდობას ეუბნებოდა, ყველა ფეხზე იდგა; შენდობის თქმის შემდეგ ყველანი დასხდებოდნენ: მამროვანი ცალკე, დედროვანი ცალკე, მათ წინ ტაბლას დაუდგამდნენ და ფაფასაც ჯამბით გაუანწილებდნენ. რძე ყველას უნდა შეხვედროდა. ფაფას კოვზებით სჭამდნენ და

რძესაც კოვზებით სვამდნენ. ლუღს და არაქსაც დაღვედნენ. „წყალ წილაზე“ მოგვარე არ უნდა დაკლებოდა: არც ბავშვი და არც მოხუცი: ვინც „წყალ წილას“ არ დაეწყო, ის დანაკლისი საიქიოს სულსაც დააკლებოდა — ცოდვა არისო, ამბობდნენ.

XVIII. „ს ა ნ თ ე ლ დ ლ ე“

არხოტში „სანთელ დღე“ „საქნარის“ მეორე დღეს იმართებოდა, რადგანაც „თავზე“ არ იცოდნენ სამარხი¹ და გვიან იხდიდნენ ხარჯებს. „სანთელ-წელთა-ვებას“ წლის თავამდე არ დაუცდიდნენ. თუ წინა დღეს ხავიწით და პურ-ყველით უმასპინძლებოდნენ, ამ დღეს აუცილებლად ჭორცით ხვდებოდნენ. ხალხს პატიუ-ებდნენ იმავე წესით, როგორც წინა დღით — სოფლებს, „მეთემეს“ და სხვა.

სტუმრების მოსვლამდე საკლავებს დაჰკლავდნენ² — ორს ან სამს. თუ ძველი ხორცი ჰქონდათ გამხმარი (ხევსურეთში ხორცს ახმობენ ძელიანად — თოკებით ჩამოაჰკიდებენ ჭერში), იმასაც გამოიყენებდნენ და მაშინ ნაკლებ საკლავს დაკლავდნენ. საკლავებს სულის ხუცესი დახოცდა. საკლავს დაუქერდა ვინმე დამსწრე (ვინც უნდა ყოფილიყო). ხუცესი „მოადიდებდა“ (დიღებას იტყოდა) და თავს მოსჭრიდა საკლავს, ახალგაზრდები გაატყავებდნენ და ხორცსაც ვინც გაატყავებდა ის მოხარშავდა. მოხარშულ ხორცს დანაწილებდნენ და ტაბლებზე დააწყობდნენ ყველსა და პურთან ერთად. ზედ ანთებულ სანთლებს დააკრავდნენ. სულის ხუცესი ტაბლას და „ლუდიან“³ „საწდეებს“ შენდობას ეტყოდა. ტაბლის დალოცვის შემდეგ ხორცს გაანაწილებდნენ ისე, რომ თითო პურზე სამი „წილობა“ (ნაჭერი) ყოფილიყო ან მეტი. მამაკაცები ბანზე მოიყრიდნენ თავს; დედაკაცები მიცვალებულის „ტალავართ“ კარში გამოიტანდნენ, ხმით მოტირლები და „მამახინარები“ „ტალავართაზე“ სტიროდნენ. მერე, ტალა-

¹ არხოტის თემში მიცვალებულების ყველა „ხარჯებს“ „სამარხი“ ეწოდება.

² სანთელ დღეს აუცილებლად თხა უნდა დაეკლათ — „ბაღნიანი“ და ცხვარი.

³ „სანთელ დღისთვის“ ერთ კოდ ლუღს სტოვებდნენ წინა დღით. „სანთელ დღეს“ იცოდნენ კიდევ „შამასაბრუნის“. გამოაცხობდნენ სამ ცალ ხავიწთან ქადას, კუბატს და ერთ პატარა ქაღის კვერს. დღითვე გააფრთხილებდნენ ვინმეს მიცვალებულის გვარიდან, თუ ქაღის საქნარი იყო ქაღს, თუ არა და კაცს, რომ ის „შამასაბრუნში“ უნდა ჩამჯდარიყო. ვინც „შამასაბრუნში“ ჯდებოდა მას დღიდან არაფერი არ უნდა ეჭამა. დასდებდნენ ქადაზე კუბატებს — ქადა ფიცარზე იდვა. მერე ლუღს დასდამდნენ „საწდეით“ და ხის ჯამებით, ცხრა პურს დააწყობდნენ, აგრეთვე საშვერ თექვსმეტ „პურის გორილებს“ დასდამდნენ ბაკით. თითო ჯამზე თითო სანთელს დააკრავდნენ და ერთ სანთელს ქებას დააკრავდნენ. ვინც „შამასაბრუნში“ იჯდა იქვე დაჯდებოდა და ქალათში „შამასაბრუნის“ ქადა ედო. სულის ხუცესი „შენდობას“ ეტყოდა ყველაფერ ამას; როდესაც შენდობის თქმა გათავდებოდა, მერე ვინც „შამასაბრუნში“ იჯდა ის ქადას თავის სახლში წაიღებდა და არაფერს არ იტყოდა, რადგან არ შეიძლებოდა ლაპარაკი. გზაში ბავშვები დაუხვდებოდნენ და ქადაზე დაწყობილ კუბატებს მოსტაცებდნენ, ის კი გაიქცეოდა. თავის სახლში მიიტანდა ქადას და მერე ცალიერი ისევე ღირისპატრონის სახლში დაბრუნდებოდა და ხელში ნაქონ ფიცარს კაფებს ან „საკვამს“ მიასუფლებდა და მას შემდეგ ჰქონდა „აქარბლომის“ ნება. მერე შევიდოდა შინ, პურს სჭამდა. „შამასაბრუნის“ იქ იდგმებოდა, სადაც მიცვალებული ესვენა.

ვართ ახვევდნენ და დედროვანს ტაბლაზე დასვამდნენ. წინ ფარდაგებს გაუშლიდნენ, პურსა და ყველს დაუწყობდნენ, პურზე ხორცის ნაჭრები ეწყო. თუ ბევრი ხორცი ჰქონდა ჭირისუფალს, გარდა სატაბლო ხორცისა, — კიდევ დაწყობდა ხორცის ნაჭრებს ფარდაზე. ზემდეგნი უვლიდნენ და ლუდს ქალებს ასმევდნენ.

ტაბლის დადგმის შემდეგ ანთებულ სანთლებს დაურიგებდნენ ყველას თითო-თითოს. თუ ვინმე ორსული იყო მას ორს მისცემდნენ. ანთებული სანთელი ყველას ხელში ეჭირა და ისე იწოდა.

თუ ხელში გაუჭრებოდა ვინმეს სანთელი, ეს არ იყო კარგი — „დღენი შეუმოკლდნენ“, ამბობდნენ. სანთლებს რომ დასწავდნენ, ჰამას დაიწყებდნენ. ჰამის შემდეგ შენდობას დაიძახებდა უფროსი დიაცი. „შენდობის დაძახება“ იმავე წესით ხდებოდა, როგორც წინა დღით. დედროვანი ტაბლიდან რომ აიშლებოდა, კარებთან ისევე შეკარენი დაუხვდებოდნენ და ლუდს დააღვენიებდნენ. ქალების შემდეგ მამაკაცებს დაუდგამდნენ ტაბლას, მხოლოდ მამაკაცებს სანთლებს არ დაურიგებდნენ. არც შენდობის ძახება იქნებოდა და მათ არც „მეკარენი“ დაუხვდებოდნენ. საღამოზე მასპინძელი იმავე წესით გააცილებდა სტუმრებს რა წესითაც წინა დღით.

XIX. „ტალავართი ალმბა“

როცა ყველა „ხარჯებს“ მოათავებდნენ, ტალავართ აიღებდნენ. პირაქეთ ხეცსურეთში ტალავართ წლის თავზე აიღებდნენ და სანთელ-წელთავებასაც „წლის თავზე“ იხდიდნენ, არხოტში კი ტალავარს ზოგი „ხარჯების“ შემდეგ აიღებდა და ზოგი წლის თავამდე არ აიღებდა. ეს მიცვალებულთან იყო დაკავშირებული: როცა მიცვალებული ახალგაზრდა იყო ან უნაწილო, მაშინ წლის თავამდე „სხენ ტალავარნი“.

როცა „სანთელ-დღეს“ გადაიხდიდნენ, ჭირისუფალი თემიდან დაიბარებდა მოკეთევებს და თავის სოფლიდანაც დაჰპატიებდა ხალხს. თავის სოფლის დიაცები ყველანი მივიდოდნენ — საბოლოოდ უნდა გამოეტირათ მიცვალებული. ხმით მოტირლებიცი მივიდოდნენ თემიდან და სოფლიდან. „სახელსადებებს“ გულძანს ან უგულობს გამოაცხობდნენ, ხაეიწსაც აღუდებდნენ. ლუდს „საქნარიდან“ დარჩენილს გამოიყენებდნენ, არაყს გამოჰხდიდნენ და ტაბლას გააწყობდნენ. „ტაბლას და ტალავართ“ ერთად „სახელს დასდებდნენ“. დიაცები დასხდებოდნენ და წინ ფარდაზე „ტალავართ“ ვაშლიდნენ. დიაცები ტიროდნენ, მამაკაცები კი ლუდს და არაყს სვამდნენ. ხმით მოტირლები რამდენჯერმე იტირებდნენ, „მაძახინარი“ დიაცები იძახებდნენ. „მესულთანე“ დიაცები, თუ სულნი მოუეიდოდნენ — სულთ იტირებდნენ.

დედაც და აუთვლიდა ტალავართაზე: „დელო, დღეს გიშორებთ, სახლით გამავადებთ. სადაც გინდ იქ წევი. აღარ გვინდიხარ, აღარც ლოგინი-დ ტალავარ გვინდან. შენს ტალავარსა-დ იარაღს სახლითი გადმახყით. რამთვენ ხანი გეფერებათა, გიცდით, მაგრამ შენ აღარ სჩინხარ-დ არ მავგინხვიდი, ეხლა, საცა გინდ იქ იარი: თუ გინდ დეჟულთას, თუ გინდ ცოლეულთას, თუ გინდ

სწორამხანაგებში, ჩვენ კი არ შამაგიშობთ სახლი, მე და შენაც გავიყრებით დედა-შვილობით“ და სხვა.

მამაკაცებიც დათვლიდნენ „ეს რა ამბავი, ქვე გიშორებენა სახლით, — აღარ გვინდისარავ, — იმას გუუბნებიათ. ეხლა აღარ უნდისარა განა, როსაც დასჯაბნდი. არა გინდ, ნუ დალონდიდი, ბევრი გყავ ამხანაგი, შენ თავ ნუ გგონავ მერჯული. თუ შინ არ მაგიტყვენ, დედულთას იარიდი“...

ამის შემდეგ ერთი ვინმე მოტირალი ქალთავანი ტალავართ „აღბერტყდა“ (დაბერტყავდა), ხელზე გადაიკიდებდა და მერე სახლში „ქანდარაზე“ (ტანისამოსის ჩამოსაკიდად გადებული ჯოხები) ჩამოკიდებდა. ტალავართ ამბერტყე ქალი ეტყოდა ჭირისუფალს და სხვებს: „გეყვით, აღარა გინდათ. ყყოფის რაიც ცრემლნ დაღვარენით და ცრემლ გაატანენით. თქვენ ცრემლნ ზღვას შაუერთდეს. ამთვენ ტირილ ვის გაუგონავ, ლმერთს უკლოობას ნუ სთხოვთ. ზედაპრჩით ჯვარ დასწერთა-დ მკვდართ შანდობა უთხარიო. აღარა გიკლავთ მკვდართ. სამერჯულიეოს ზო არ იქით. ღმერთმა ავი-დ მარჯე ნულარა მაცვასი. ღმერთმა ჭირის დღენ—ლხინის დღედ შავიცვალნას, თქვენ გულ კაით გაკურნას“ და სხვა.

ტალავართ რომ აიღებდნენ, ტაბლით გაუმასპინძლებოდნენ ქალებს და კაცებს. შემდეგ მიცვალებულის ტალავარს გაანაწილებდნენ: ერთი ხელი „დედულთას, მიდიოდა, ერთი ხელი „ცოლეულთას“, თუ ქალი გათხოვილი იყო, ერთი ხელი „მამისახლი მიდიოდა“, — თუ დანიშნული იყო — ქმრეულთას“. დანარჩენ ტანისამოსს ზოგს სახლში დასტოვებდნენ და ზოგს მამა-ბიძაშვილებს მისცემდნენ. მამაკაცის ერთ-ხელ ტანისამოსს შეადგენდა: ჩოხა, პერანგი, ქუდი, „ბაჭიჭი“, საქალანე „თათნი“ (წინდები) და „ჯლანნი“ (ბანდულები). შეიძლება იარალიც ყოფილიყო, ეს იმ შემთხვევაში თუ ოჯახში მამაკაცი არ დარჩებოდა, რომელსაც იარალის ტარება შეეძლო. თუ ოჯახში იარალის „მზიდავი“ იყო, მაშინ იარალი შინ რჩებოდა.

ტალავართ პირველად „დედულთას“ წაიღებდნენ. წაღების წინ ჭირისუფალი ერთ-ხელ ტალავარს, რომელიც საუკეთესო იყო, გადაარჩევდა დედულთას წასაღებად. არაყს გამოხდიდნენ, გულიან სახელსადებებს გამოაცხობდნენ. ტაბლას, ტალავარს და არაყს ერთად „სახელს დასდებდნენ“ (დალოცავდნენ).

თუ მიცვალებული თამბაქოს ეწეოდა, თამბაქოც მიჰქონდათ ერთი „წეკვა“ და თუ პაპიროსს ეწეოდა, — პაპიროსს წაიღებდნენ. ტალავართ წამლები, სულ ერთია ვინ იქნებოდა: ქალი თუ კაცი, მარტო წავიდოდა ან ვინმე მოგვარეს გაიყრებდა. არაყსაც თან წაიღებდნენ. როცა დედულთას მივიდოდნენ, მასპინძელი ხალხს დაუძახებდა. თითონაც „სახელსადებებს“ გამოაცხობდა. ტაბლას და ტალავარს იქაც სახელს დასდებდნენ, არაყს დალევდნენ და ტალავარის მიმტანი სახლში დაბრუნდებოდა. „სულის ტალავარს“ მხოლოდ ლხინში ან გზაში იცვამდნენ, ისე ძალიან უფრთხილდებოდნენ. საპატიო ჩასაცმელად ხმარობდნენ „ცოლეულთას“ და სხვა. დანარჩენებთანაც ამგვარივე წესით მიჰქონდათ ტალავარი ქალის იქნებოდა თუ ვაჟის.

ქალის ტალავარს შეადგენდა: „სათაურა“, „მანდილი“, „ქოქლო“, „სადიაცო“, „სარტყელი“, „თათ-ბაჭიჭი“, შეიძლება მიცვალებულის ნაცვამი „ტყავიც“ წაეღო.

XX. „ს უ ლ თ ა კ რ ე ფ ა“

„სულთაკრეფა“ გაზაფხულზე იცოდნენ და მის შესახებდრად ყველა ემზადებოდა. „კაპარს“ და „ლოხანს“ ხარშავდნენ. „კაპარი“ პურისაგან მზადდებოდა და „ლოხანი“ კი მოხარშულ სიმინდის მარცვალს წარმოადგენდა. მასში ცოტა-ლობიოც იყო გარეული, რომ „ლოხანი გააჭრელოს“; თუ ლობიო არ ჰქონდათ „ხიფხოლას“ დასთბრიდნენ (ხიფხოლა მცენარეა) და იმას გაურევდნენ. ერთ „სა-არაყეს“ (ერთი ქვაბი) გამოსწურავდნენ და პურსაც გამოაცხობდნენ. ახალი მიცვალებულის პატრონი თემიდან და სოფლიდან მოიწვევდა ხალხს, სოფლის დედაკაცები კი თავისით მოვიდოდნენ „ტალავართაზედ“; „ტალავარს“ გაშლიდნენ და ტიროდნენ.

ჭირისუფალი ტაბლას გააწყობდა, პურებზე მარილს დაჰყრიდნენ და ჯამე-ბით „ლოხანს“ დასდგამდნენ. „კაპარიან“ ქვაბსაც ტაბლის ახლოს დასდგამდნენ. აქვე იყო არაყი ჭურჭლებით. ყველა ამას სულის ხუცესი შენდობას¹ ეტყოდა. ტაბლის გარდა მიცვალებულის „ტალავარსაც“ სახელს დასდებდნენ, თუ „ლაბაჯს“ აყენებდნენ.

ტაბლას რომ დალოცავდნენ, ქალებს ცალკე დასვამდნენ და მამაკაცებს ცალკე. „ლოხანს“ კოვზებით სჭამდნენ, „კაპარს“ „ქითით“ (კოვზია) სვამდნენ და თან არაყსაც აყოლებდნენ. თუ „ლაბაჯს“ აყენებდნენ მამაკაცები „ლაბაჯის სათოფავად“ წავიდოდნენ, დედაკაცები კი შინისაკენ გაემართებოდნენ. „სულ-თაკრეფაზე“ ტაბლაზე სამარხეო საქმელები იყო. ყველის და ერბოს მოტანა არ შეიძლებოდა.

ჭირისუფალი „ლაბაჯს“ იმას დააყენებდა, რაც მას „ექჩერებოდა“ (ემეტებოდა), უფრო ხშირად მიცვალებულის ტანისამოსს აყენებდნენ. „ლაბაჯის“ დაყენება ყველასთვის სავალდებულო არ იყო: ვისაც სურდა და შეეძლო ის დააყენებდა. უფრო ახალგაზრდა ვაჟისათვის აყენებდნენ. ქალის „ლაბაჯი“ იშვიათად დგებოდა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ დედისერთა ქალი იყო და თანაც გაუთხოვარი. „ლაბაჯის“ დაყენებისათვის ყველა „სულთაკრეფას“ არ მოუცდია. ზოგი ხარჯებს რომ გაათავებდა, მეორე დღესვე დააყენებდა „ლაბაჯს“. უფრო ხშირად „სულთაკრეფას“ უცდიდნენ.

თუ მიცვალებული ვაჟი იყო, მაშინ „ლაბაჯად“ დააყენებდნენ: „ნაბადს“, „ბა-ჭიჭებს“, „საფუჯართ“ (ხელთათმანებს), თუ თამბაქოს ეწეოდა—თამბაქოს, „ფა-ლაჯას“ (ყაბალახს), „საქალამნე თათებს“ (წინდებს). თუ ქალი იყო, ქალის ტანი-სამოსის ნაწილებს დააყენებდნენ „ლაბაჯად“: „სათურას“, „თავშალს“ და სხვა.

ლაბაჯზედ შეკრებილი მამაკაცები დააყენებდნენ „ჯილდას“ (სამიზნეს: ფი-ცარს ან ბრტყელ თეთრ ქვას). ჭირისუფალი გამოაცხადებდა: ამასდაამას ვაყენებო. ხალხი წილს ჰყრიდა, თუ პირველად ვინ ესროდა. ვისაც წილით ერგებოდა პირველად ის ესროდა. თუ „ჯილდას“ მოარტყამდა, „ლაბაჯს“ აიღებდა.

„ლაბაჯს“ ძველ მკვდრებსაც დაუყენებდნენ — გასახსენებლად. სულთაკრეფას მთელი დღე სოფელში სროლა იყო, რადგან ბევრი აყენებდა „ლაბაჯს“.

¹ „შენდობა“ და „სახელის დადება“ ერთიდაიგივეა.

ქალის „ლაბაჭსაც“ კაცები ესროდნენ თოფს. თუ „ლაბაჭი“ პატარა ბავშვის იყო, მაშინ ბავშვები ესროდნენ მშვილდით ისარს „ჯილდას“. ვინც „ჯილდას“ ისარს მოაოტყამდა „ლაბაჭი“ მას დარჩებოდა. ბავშვის „ლაბაჭად“ აყენებდნენ ბავშვის ტანისამოსის ნაწილებს, საჭმელს (მაგალითად ჯამით მსხალს, ნივოზს), დიდ „ვა-ცებს“¹, აგრეთვე ბავშვის მშვილდ-ისარს და „საქანათაც“².

XXI. ხ მ ი თ მ ო ტ ი რ ა ლ ი

ხმით მოტირალის ტირილი ძალიან განსხვავდებოდა სხვების ტირილისაგან. ხმით ტირილი ყველას არ შეეძლო. ქალს რომ ხმით ტირილი დაეწყო, — უნდა „აეტხეა“ ტირილი ისე, რომ ვითომ მას ძალაუნებურად „მკვდარი ატირებდნენ“. სანამ მკვდარი დაუმარხავი იყო, ხმით ტირილის ახლად „აეტხეა“ არ შეიძლებოდა, მაშინ ძველი ხმით მოტირლები ტიროდნენ. ხმით ტირილის პირველად ატხეა „ტალავართაზედ“ იცოდნენ, ტაბლის და სასმელების შემდეგ, განსაკუთრებით „საქნარაში“, რადგან ქალები ლუდით და არაყით ითვრებოდნენ. „ტალავართაზედ“ ქალების ტირილის დროს ვისაც ხმით ტირილის „აეტხეა“ უნდოდა, დაიწყებდა ცახცახ-კანკალს, თავს იჭით-აჭით აქნევდა, იწყებდა ბარბაცს, ხელეების ფშენეტას, კბილების ღრჭენას; ვითომ სიტყვებს ვერ ამბობდა, არ უნდოდა, ხან მოქანცული მიესვენებოდა. როცა მოტირალი ქალები ამას შეამჩნევდნენ, ყველანი გააჟმდებოდნენ და ელოდნენ, თუ რას ათქმევენება მოტირალს მიცვალებულის სული. ტირილის ამტეხი კი მეტად წვალობდა, ღმულის დაიწყებდა, ხან გასაქცევად დაემზადებოდა, ქალები დაიჭერდნენ და ეტყუოდნენ: „ქალო გამიღვი ენა, ნუ აწვალებ, ნუ უჭერ კბილთ, ანაბრიე შენ უნდისხარ თავის მეყენე“. ასეთი სურათი რამდენჯერმე გამოვლენებოდა, მიცვალებულისათვის სახელს დასდებდნენ ყანწით არაყს, ლუდს და თუ სასმელი არ იყო „პურსატანთ“ (სახელის მღებები ქალი იტყუოდა: „სადაც შენ ხარ (მიცვალებულის სახელს იტყუოდა), შენიმც საწმარი ას, ნუ აღონებ, გამაატანი ენაი შენს მეყენს“.

ამის შემდეგ ქალიც ამოიღებდა ხმას. პირველად მიცვალებულის ენით დაიწყებდა ლაპარაკს. მაგალითად: „ამრახდი ჩემო მეყენო, წუ დამალონე სულეთ-ჩიაო, ჩამიდევ წილი ტირილჩიაო, მე შენ მინდისხარ მეყენელო“...

ამის შემდეგ უკვე „ვაისარავდა“ ხმით ტირილს. ხმით „მატირალს“ ძალიან მგრძნობიარე სიტყვები უნდა სცოდნოდა, რომ მის სიტყვებს ქალები აეტირებინა. კარგი ხმით „მატირლის“ „ნატირალთ“ ხალხი ზებირად სწავლობდა ლექსით და მერე მამაკაცები თიბვის დროს ცეცხლზე მღეროდნენ და ამ სიმღერას „გვრინი“ ეწოდებოდა.

„გვრინში“ ხმით „მატირლის“ ნატირალის გარდა არაფერს იმღერებდნენ. რამდენადაც კარგია ხმით „მატირალი“, იმდენად დიდი პატივისცემა და ქება ჰქონდა მას. ყველა მიცვალებულის პატრონი ცდილობდა, რომ კარგი ხმით მატირალს ეტირა მისი მიცვალებული. ხმით მოტირალს ქალები ეპატივებოდნენ:

¹ „ვაცი“ — გამომცხვარი სამკუთხედი სახის პური.

² „საქანა“ — ციგა.

იტრიყო. დაუპატიჟებლად ხმით მატირალი არ იტირებდა და მხოლოდ რამდენჯერმე შეუპატიჟების შემდეგ იტირებდა. ხმით მატირლები ტირილს სხვადასხვანაირად იწყებდნენ და სიტყვებსაც სხვადასხვას ამბობდნენ¹.

XXII. მესულთანე (სულის მატირალი)

მესულთანე დედაკაცი იყო, მამაკაცი მესულთანე არ იქნებოდა. ხშირად მესულთანე იგივე ხმით მოტირალი იყო. ტირილის ფორმა ორივესი ერთნაირი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „სულეთობის“ დროს ხმით მოტირალი მიცვალებულის ენით ლაპარაკობდა: ჭირისუფალს, „ზედამჩროს“, არიგებდა საიქიოდან, წინასწარ ეუბნებოდა ზედამჩროსს, რა ზიანი მოელოდა ოჯახს და სოფელს. მაგალითად „მესულთანე“ მიცვალებულის პირით იტყოდა: „ჩემო მოჯალაფეო (ცოლს მოჯალაფეს ეძახოდა სული), დავწირენით ობოლი, ობოლ-ქვრივები, ჩემზედ ნუ დალონდებით, მე ეს დაბადების დღეს მწერებივ, თქვენ მათურეთ თქვენს თავს, შვილებს გაუმთხილდით“ და სხვა. ასეთი ლაპარაკი იმის ნიშანი იყო, რომ მიცვალებული შვილების მოსალოდნელ უბედურებას ხედავდა.

მესულთანე თუ სოფელზე ილაპარაკებდა ასე იტყოდა: „სოფელ გამთხილდას, სოფელში სისხლ იღვრების“ ან და „სოფლის მიჯნას გაუმთხილდით“. პირველი თქმა იმის ნიშანი იყო, რომ სოფელში სისხლი დაიდგრებოდა, მეორე კი იმას ნიშნავდა, რომ სოფელს მტერი შემოესეოდა. აგრეთვე მიცვალებული მესულთანის პირით საიქიოდან მოითხოვდა სტუმრებისათვის ლუდს და ტაბლას: „მეჯალაფეო, გამიგონეო, მინდა საწდელი ლუდიანო“. ეს ნიშანი იყო, რომ მიცვალებულს საიქიოს სტუმრები ეწვიენ და ლუდი არა ჰქონდა, ამიტომ ლუდისათვის უნდა ეთქვათ შენდობა.

თუ მიცვალებული რაიმე ჭრილობისაგან იყო მკვდარი, საიქიოდან მოითხოვდა „სახეიელს“ (შესახევეს) და წყლულის საპოხს: „მამეცით წყრულის შქსახეეიო, საპოხ მამეცით წყრულისადაო“. მაშინ ჩვრებს, კარაკს ან ნალებს

¹ ხმით „მატირალს“ ტირილის დროს ჯოხი ან მიცვალებულის ხანჯალი ეჭირა ხელში. ტირილის დროს ის თვალებს ხუჭავდა და ჯოხს (თუ ხანჯალს) ორივე ხელით ებჯინებოდა. ჯოხს ან ხანჯალს შუბლზე მიიდებდა, დაიქვითინებდა, მერე თავს მალა ასწევდა, სიტყვას იტყვოდა, ისევ შუბლზე მიიდებდა: რაც ხელში ეჭირა და ისევ დაიქვითინებდა. ხმით ტირილის დროს ყველა გაჩუმებული იყო, არაეინ არ ტირიოდა ხმამალა; ხოლო როდესაც ხმით „მატირალი“ ყოველი სიტყვის შემდეგ დაიქვითინებდა, მაშინ სხვა მოტირალი ქალებიც დაიქვითინებდნენ. ხმით მოტირალი მიცვალებულის წარსულ ცხოვრებას და ნამოქმედარს აღწერდა თავის სიტყვაში. ძველ მიცვალებულსაც გაიხსენებდა — „შატირებდა“, განსაკუთრებით იმ მიცვალებულს, ვისი პატრონებიც იქ უსმენდნენ. ხმით მოტირალი, როცა ტირილს გაათავებდა, თუ ხანჯალი ეკავა ხელში, იქ დადებდა, საიდანაც აიღო, თუ „მანდილის კანკი“ ეკავა ხელში მანდილს გაისწორებდა. ტირილის გათავების შემდეგ ქალები შეაქებდნენ: „შენი ჭირიმე, შენი. ხმით მატირალ რომ არ იყვას, მაშინ მკვდრის ტირილ რას დეფერებოდ“. კმით „მატირალი“ ანებებდა თავს ტირილს და სხვები განაგრძობდნენ ძახილთ ტირილს, „ბებერი კმით მატირალი ამშვენებს მკვდარასა“-ო.

შენდობას ეტყოდნენ. მოსულთანე დედაკაცი, თუ ნიორს შექამდა, იმ დღეს სულით ვერ იტირებდა, ნიორის სუნი ძალიან სძულთ სულებს, ამიტომ მესულთანე ნიორს ნაკლებად სჭამდა და განსაკუთრებით იმ დღეს რა დღესაც „ტალავართახე“ უნდა წასულიყო „საქნარში“.

გარდა „ტალავართახედ“ „სულთანობისა“ სახლშიაც „მაუტიდოდა სულნი“ მესულთანეს. მაგალითად ჭირისუფალს უნდოდა გაეგო თავის მკვდრისაგან, ხომ არაფერი აწუხებდა მას ან ხომ არაფერი უნდოდა: ტაბლა ან სალოცავი. ან ჭირისუფალს თვითონ რაიმე უჭირდა, მაგალითად: სახლში ავადმყოფი ყავდა ან პირუტყვი ეხოცებოდა, ან რძის შედღეების დროს კარაქი ან ყველი უფუჭდებოდა. ამ შემთხვევაში მესულთანესთან წავიდოდნენ, თან წაიღებდნენ სამ „ხშიადს“ (კერს) და ერთ სანთელს. და მას თავის გაკვირვებას ეტყოდნენ: თუ მესულთანეს იმ დღეს ნიორი ჭჭონდა ნაჭამი, იტყოდა: „დღეს ნიორ ვჭამ და საულნი არ მაძივლენ“. თუ არა და ხშიადებს რომელიმე იქ დამსწრე პირის სახელს დასდებდა და „დაჯდებოდა“¹. მესულთანე ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიტანარებას დაიწყებდა, თან ანთებულ სანთელს უტკებოდა, რომელიც მას ხელში ეჭირა; შემდეგ იწყებდა ცახცახს, ხელების სრესას, თავის ქნევას და სხვ. მერე დაიკვივითებდა, ხელებს მუხლის თავზე მოიხვევდა და თავის ქნევით მიცვალებულის ენით დაიწყებდა ლაპარაკს.

მიცვალებულის დაარბიება საიქიოდან. თუ ავადმყოფი იყო ოჯახში, სული ეტყოდა: „მე დღეს თაოდ დაოლ ხთისკარზედა-დ ვსთხოვ, რომ ნუ დამიღონებავ; დაადვიე ყალანივ², გადამირჩინევი“ მერე ეტყოდა ამადაამ ხატში საკლავი გინდათო და სხვა. თუ პირუტყვი ეხოცებოდათ, ამაზე სული ეტყოდა: „სად და რომელ ხატში რა სჭირდებოდა დასაკლავი, რომ პირუტყვი გადაერჩინათ. თუ კარაქი და ყველი უფუჭდებოდათ, მაშინ სული ეტყოდა: ამადაამ „დო-ბილთაში“ გჭირდება „აშლი“ ანდა თიკან-ბატკნების დახოცვა და სხვა“. თუ თვითონ რამე აწუხებდა სულს, იმასაც მესულეთეს პირით ეტყოდა: „სახელსადებები მინდა საგძლადო“ ან „წყურულის შესახვევი“, „წყურულის საპოხი“, ან ტანისამოსის ნაწილი; მაგ., ფეხსაცმელები და სხვა. ერთი სიტყვით, მესულეთე

¹ როცა ტაბლის გარშემო სანთელს აანთებდნენ, ერთი რომელიმე იქ დამსწრეთაგანი (ჭირისუფალი თუ სხვა მოკეთე) სანთელს დაიჭერდა (ჭირისუფალი მეორე სანთელს დაიჭერდა) და ამბობდა: „საცა შენ ხარ (მიცვალებულის სახელს იტყოდა) შენ სადგურ-სამყოფი, როგორც ჩვენს ველთა ჩვენს წინ ას, ეს გამზადებულ სუფრავი სულსამც შენს მეგობარების, თუ რა ვალონებს ჩვენ ვერ ვიყოფადი—გამაგვიცხადი, ათქმი მესულთანეს...“ შემდეგ მიტყეული სანთელს სუფრას მიაკრავდა და „დაჯდებოდა“.

² ყალანი—გადასახადი ხარჯი ხატისათვის.

³ თუ „ნაწველ-ნადღევში“ უფუჭდებოდათ მესულთანესთან წავიდოდნენ, თავის გაკვირვებას ეტყოდნენ. მესულთანე ხშიადებს სახელს დასდებდა, —უმთავრესად იმის სახელს, ვინც ოჯახიდან „თავიანი“ (უფროსი) იყო გარდაცვალებული: ქალი თუ მამაკაცი. ამის შემდეგ, თუ მესულთანეს გაუთმელდებოდა სულის მოსვლა, იტყოდნენ: ორი სული ერთმანეთს ეცილებნისო; „ორთაზე“ უნდა საუბარო. მერე დასდებდნენ სახელს ჯერ პურს და მარილს. სულები ერთიმეორეს შეეცვლებოდნენ: მესულთანეს ჯერ ერთი სული მოუფიდიოდა, მერე მეორე. ერთიმეორის მაგიერად ციკოდნენ სულგმა ლაპარაკი. თუ პატარა ვინმე იყო მიცვალებული, რომელსაც ლაპარაკი არ შეეძლო, არ ეზერხებოდა, მის მაგიერ უჯროსი ილაპარაკებდა: მე უდგეორავ მევენდავ, ამას სჭირდების „საგალი“, „სახეილი“, პირის გასახლობი ასახვრეტი (დასაღვეი) რაჲ და სხვა.

დედაკაცის დახმარებით ჭირისუფალი გაიგვბდა მიცვალებულს რა სჭირდებოდა ან ცოცხალს რა მოელოდა; თუ უბედურება მოელოდა, როგორ აეცილებინა იგი თავიდან.

მესულთანე დედაკაცი გაბედული და სიტყვის ოსტატი უნდა ყოფილიყო, რომ ხალხის ყურადღება მიექცია, თორემ მასთან „სასულეთებლად“ არავინ მივიდოდა. მესულთანე დედაკაცს ყველა პატივისცემით ექცეოდა, მისი ლაწლვა არ შეიძლებოდა. თუ მესულთანეს ვინმე აწყენინებდა, მისი მიცვალებულის სულით მესულთანე არ იტირებდა.

მესულთანესთან ყოველთვის დედაკაცები დადიოდნენ. მამაკაცები მას იმდენად არ აქცევდნენ ყურადღებას. დედაკაცები სიზმარში ნახავდნენ თუ არა მიცვალებულს, მაშინვე მესულთანესთან წავიდოდნენ, რომ დანამდვილებით გაეგოთ, თუ რა უნდოდა, რა სჭირდებოდა მიცვალებულს და რასაც მესულთანის პირით შემოუთვლიდა სული, ჭირისუფალი „სახელს დაუღებდა“, „შენდობას“ ეტყოდა იმას, რასაც სული დაუსახელებდა და ამის შემდეგ ჭირისუფალი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი საიქიოს მიუვიდოდა მიცვალებულს.

მესულთანე დედაკაცი თუ „მესამრელოე იყო“ (თვიური ჰქონდა), მაშინვე რისულეთებდა.

XXIII. ს უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ი

ხევსურეთში ყველა — ორს, სამს ან მეტს სახელს ატარებდა. ორი სახელი კი აუცილებლად უნდა ჰქონოდა ყველას. ერთი სახელი იყო ჯვარის, მეორე ნათლობის და მესამე სულისა. სულის სახელი აუცილებელი იყო და არც იყო შემთხვევა, რომ სულის სახელი არ რქმეოდა ვინმეს.

სულის სახელს არქმევდნენ ასე: მაგალითად, როცა ახალდაბადებული ბავშვი იყო სოფელში და ნახეს სიზმარში, რომ ეს თუ ის მიცვალებული ბავშვის პატრონის ოჯახში შევიდა ან მის კარშიდამოწე დადიოდა, ან ბავშვის აკვანს დაუჯდებოდა და რწევას დაუწყებდა — ეც იმის ნიშანი იყო, რომ ბავშვს იმ მიცვალებულის სახელი უნდა დარქმეოდა. კიდევ: ბავშვს თუ რამე აწუხებდა და ბევრს ტიროდა, ბავშვის პატრონი მესულთანესთან წავიდოდა. მესულთანე ეტყოდა მიცვალებულის პირით: ამაღამის სახელი დაარქვითო. სული ან თვითონ ან მეორე სულის ენით იტყოდა: მე მინდა ჩემი სახელი ეწოდოსო. რომელი სულიც მოითხოვდა სახელის დარქმევას, იმის სახელს დაარქმევდნენ. ვისი მიცვალებულის სახელსაც დაარქმევდნენ ბავშვს, იმ მიცვალებულის პატრონი ბავშვს მოსაკითხს მოუტანდა — არაყს და „ბედისკვერს“ და მიცვალებულის სახელის მატარებელს მიცვალებულის პატრონი მოკეთედ და მეგობრად გაიხდიდა. სულის სახელს ახლობელი მოკეთისას არქმევდნენ. უცხოს სახელს არ დაარქმევდნენ. დარქმეული სახელის გამოცვლაც შეიძლებოდა. მაგალითად სიზმარში ვინმე ნახავდა, რომ ბავშვის აკვანთან მეორე მიცვალებული ზის ან ბავშვის სახლში შევიდა, ან კიდევ რაიმე მიიტანა მეორე მიცვალებულმა, ან სიზმარში ნახეს, რომ მიცვალებული, ვისი სახელიც ერქვა ბავშვს — სახლიდან გამოვიდა, მეორე მიცვალებული შევიდა; ეს საქმარისი იყო, რომ ბავშვის სახელი გამო-

ეცვალათ და მეორე მიცვალებულის სახელი ეწოდებინათ. ამას ასე ხსნიდნენ: საიქიოს ხდებოდა დათმობა: პირველ მესახელეს ალბად სთხოვა მეორემ, რომ ზემო სახელი ერქვას-ო.

XXIV. ს უ ლ ი ს ხ უ ც ე ს ი

სულის ხუცესი მარტო მიცვალებულს ემსახურებოდა: ის „საქნარებში“ ტაბლას, ლუღს და არაყს დალოცავდა. სულის ხუცესობა ყველას არ შეეძლო. ყველამ არ იცოდა ტაბლის დალოცვის დროს სათქმელი „კურთხევანი“. „კურთხევანი“ სოფელში ან ერთმა კაცმა იცოდა ან ორმა, შეიძლებოდა სოფელში არავისაც არ სცოდნოდა „კურთხევანი“ და თემიდან მრეყვანათ სულის ხუცესი. ვისაც სურვილი ჰქონდა სულის ხუცესი ყოფილიყო ის „კურთხევათ“ ზეპირად სწავლობდა. მარტოვად ტაბლისთვის სახელის დაღება, შენდობის თქმა ყველას შეეძლო, ქალი იქნებოდა თუ მამაკაცი.

სულის ხუცესი ტაბლასთან დადგებოდა, ხელში ლუდიან თასს ან არაყიან ყანწს დაიჭერდა და ოთხ სასმელი არაფერი იყო, ხელში სანთელს დაიჭერდა და დაიწყებდა ტაბლის დალოცვას. პირველად იტყოდა შესავალს, რომელსაც „პირის ქარს“ ეძახდნენ. „პირის ქარს“ რომ მოათავებდა, მერე ხალხიც და თვითონაც სასმელს შესვამდა, ხოლო ხალხი ერთხმად იტყობა: „შუნდნას ალაღმითავრად მავშარას ღმერთმა. საიქიოს ცოდვას ხედიდას“-ო. მერე სულის ხუცესი დაიწყებდა „კურთხევათ“.

„პ ი რ ი ს ქ ა რ ი“: „ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მაღლი შენდა. ღმერთო დიდებისა, მაღლის მეტი შენ არა მაგებხსენების. ღმერთო გეძახის (მიცვალებულის სახელს იტყობდა ქალი იქნებოდა თუ მამაკაცი). ღმერთო გეხვეწების, ღმერთო შეიხვეწე, ღმერთო იხვიანე, ნაცემ ნაცემად აკმაე, ნაცემისა ააღვინე. ატირომიისად გააციინე. ღმერთო, ნუ დაღლე შენდა საჯსენებლად, სულის საგონებლად. ღმერთო ახვადე ველი და ვმალი მტრისა, ვმა სიკვდილისა. უზუბუქეთა წმიდა ხეთისშობელნო, თაოდ მთავარნო, ცათა ნათელნო, სულთა ბორკენო, სულთ წინამძღვარნო, თქვენ მათუვალეთ, თქვენ მიუხვეწეთ მანდიური რიგით, მანდიური წესით, წირვა-მწირველთ ჟამით, იერუსალიმის ნათლით, ქრისტის გარიგებით, სადაც ქრისტენი პურობენ, ანგელოზნი ჟამობენ, ცოდვიანი ნანობენ, მაღლიანი გაისვენებენ, სულწმიდა მიჯსენების, სადაც შენ ხარ — შენ ანლაბი ას (მიცვალებულის სახელი იტყობდა), სული შენი მიჯსენების, სულსამც შენს: მაეკვარების ეს დაღებულ ტაბლაი, დაკრულ სანთელი ხეთის წესით, ეს ყანწი-ქურჭელი საქაოს გამაქჩერებული, გამაქტებული, გამაშაადებული სამანდაოს შენიმც საწვარი, შენიმც საგაძლი, ცოდვისასამც იაღად მქნელი. მჯელსად-მჯავრსამც გარიდებს, მძიმესამც გიზუბუქებს, ცოდვას, წინ მაგებებულს, უკან დაწეულს, სიკვდილის ღღეს დამწყვდეულს, ველით ნაქნარს, ენით ნათქვამს, თვლით ნანახს, ყურით გავონილს. შამავიდა ანგელოზი, ფეკითა ქრისტესითა, ქრისტეო ღმერთო, დასწრეუ ჯვარიო სულს იმასავ, სუფრას ამასავ, კერას იმასავ, სარკმელს ამასავ. შენ დელად ღიდის ღვთისაო, ღიდის სახარებისაო, ცაო.

ცისაო, სამართალო ღთისაო იყავ ბრძანებისაო. ალალი იყავ მრავლთა მოწყა-
ლყო". ხალხი იტყოდა: "ამინ, შაუნდნას, ღმერთთა მაჰმარას".

მერე ხუცესი „კურთხევათ“ დაიწყო: „ცის ღმერთო, თიკუნი კურთხევა,
ჩვენი ღირსია მარადისადმი, კურთხევა ცეცხლის კრავისა აბრამისათა, ზეცით
მსხვერპლი მოდიოდა, პურუმთა და პურმარტყეველთა, დაუტოვნა სიონელმა ასი
კაცი, ასი ვერძი. წაიღეს და წამაიღეს აიშ მთათა, თავისათა, სახარების მურ-
კოზითა, რომელიც გამიჩნდებოდა ქებითა შენითა მიხიელ საჩხიელისითა; ან.
დღედაცაცისითა ან მამაკაცისითა. გამიჩნდა შაბათს მარიემ მაგდანელია, იესო
კოროზმანელია. მაიკითხნა მოძებარნი ჩვენ და ჩვენი მწვევრისანი. წავიდეს და
ქრისტეს უთხრეს: ეგი ას უფალო დიდება და აღგომა, რა ყამთა მაგეწიენით,
კაცი მდიდარნი, ცხრომალთა აშპარტიონთა. უფალო ვერბა დღე და შენია
ღამე; შენ დაამკვიდრე ბნელი და ნათელი, შენ დაგიფარა ერმა ყოველმა. უფა-
ლო აკურთხე პური და მარილი, სკანი სკანალე, წყალს — იორღანე, ღვინო
ვადმოსვალე. აკურთხე უფალო წინ დაგებულთა ხუთითა ხოდაბურითა, რო-
მელმც ას თორმეტი ავგსო არ მისითა ნესტითა, ხუთათანი დააძინა. უფალო
წასვლით შენითა პაეღე მოვიდა, მოკვდა ცოდვათა მისა წილთა. ვანიშნა ას-
თორმეტნი მოციქულთა, ხოლო ღმერთსა მადლი მისცა. ლოდნი ვინ გადაა-
ვორნა, კარნი გადალახნა მისანი, შიგ ნაწილი წააშინნა, უდღინი მგლოვი-
აინი სიხარული სიტყვა ურწისა, უკვდავისა მარიამისა. ქრისტემ თქვა — წმიდა
ორ, გამაეღდი გამარობული, გამოდი გამამეცხადენი, თუ ვინ ხარ ბნელეთში
ან ბერი ან უძლური ხორცი მიხედვენ უფლისენი, სისხლი, მაცხოვრებისანი,
რომელიც დღულა და გადმოდოდა გამაეცხებოდა თმას და წვერსა. დავითი-
ნინი შენისა უფალო თესლი ეგია, რომელიც საშნი ყარამანი მარამანი სმენ და
ქამენ. მაგათ ტაბლისაგან არას შეგვეგრვინებდა, მათი აღო ამაღლდებოდა, სული
წმინდა ვადადაბლდებოდა. ამინ“. ხუცესი რომ „კურთხევათ“ დაამთავრებდა,
ყველა იტყოდა: „შენ შაუნდენ მრავალთ მეწყალო ღმერთო“ და თას-ყანწებს
ღასცილიდენ.

XXV. მიცვალებულის გახსენება

მიცვალებულებს ხევესურეთში არასოდეს არ ივიწყებდნენ: ერთი წლის შემ-
დეგაც გაიხსენებდნენ და რამდენიმე წლის შემდეგაც. მხოლოდ სანამ ერთი წელი
შესრულდებოდა, ხარჯების გარდა მიცვალებულს სამჯერ მისი გაიხსენებდნენ:
„სულთაქრქვას“, „თიბის შამშაბათს“ და „წელწად დილას“.

1. სულამის დღე და პირი-ფინის დღე

შინაურულად მიცვალებულის გახსენება ხდებოდა ყოველი კვირის იმ დღეს,
რა დღესაც ის გარდაიცვალა. ამ დღეს „სულამის (სულის ამოსვლის) დღეს“
ეძახდნენ. მაგალითად, მიცვალებულის „სულამის“ დღეა პარასკევი: მიცვალე-
ბულის პატრონი ყოველ პარასკევს სახელსადებებს გამოაცხობდა, ზოგს გული-
ანს და ზოგს უჯულოს. ყველას შენდობას ეტყოდა. გულიანებს შესკამდნენ და

ხშიადებს „ტალავარჩაჩი“ ჩასდებდნენ. ხშიადები სამი ან ხუთი უნდა ყოფილიყო. ტალავარჩი ნადებ ძველ ხშიადებს ამოიღებდნენ და შესქამდნენ. ასე მიორდებოდა სანამ „ტალავარჩი სხენ“. როდესაც ტალავარჩი აიღებდნენ, „სულ ამანის დღეს“ მიცვალებულს აღარ უდგამდნენ ტაბლას.

„სულ ამანის დღის“ გარდა ტალავარჩი აღების შემდეგ ყოველ ქირ-ლხინის დღეს იცოდნენ მიცვალებულისათვის ტაბლის დადგმა, „სახელის დადება“, „შენდობის თქმა“. „სახელსადებებს გამოაცხობდნენ, უფრო გულიანებს („ქადის-კვერებს“). ქადის-კვერებს გარეცხდნენ წყალში, მერე ერბოს წაუსვამდნენ, ტაბლაზე დააწყობდნენ, სამ-სამს ან ხუთ-ხუთს ერთმეორეზე. შემდეგ ჯამით-ერბოს დასდგამდნენ, ყველის ნაჭერსაც დასდებდნენ, აგრეთვე აღუღებულ რძეში-ერბოს ჩაყრიდნენ და ჯამებით დასდგამდნენ ტაბლაზე. თუ არაყი ჰქონდათ, ბოთლით არაყს დასდგამდნენ. თუნგი თუ წყალს მოუდგამდნენ ტაბლას გვერდით, სანთელს აანთებდნენ და ტაბლაზე მიაკრავდნენ. „სახელსადების“ დროს სახლში კატა არ უნდა ყოფილიყო, კატას მოსძებნიდნენ და გარეთ გაავლებდნენ. კარს ცოტათი გააღებდნენ სულების შემოსასვლელად, რადგან თუ კარი დახურული დაუხვდებოდათ, ვერ შემოვიდოდნენ და ისევ უკან გაბრუნდებოდნენ. შენდობის მთქმელი, სულ ერთი იყო ქალი იქნებოდა თუ კაცი, და იქ დამსწრენი ყველანი ფეხზე ადგებოდნენ. შენდობის მთქმელი ხელში არაყიან ყანწს დაიჭერდა, ან ყველის ნაჭერს, ანდა ქადის-კვერს. ზოგი შენდობის მთქმელი ხელში „არცისკანთაი“ (მაშა) დაიჭერდა. ტაბლა სახლში ცეცხლის ახლოს უნდა მდგარიყო¹.

შენდობის მთქმელი დაიწყებდა: „ღიღება შენა, მადლი შენა ღმერთო. საიქაოს ნათქვამ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, ჩემის თქმით, ქრისტეს გარიგებით, იარუსალიმის მადლით — შაგანდნასთ ღმერთო, მაგაწარასთ, სადაც თქვენ ხართ ჩემო დედ-მამანო: ეს ტაბლა, ეს სასმელი, ეს საპოხი, ეს ზისცვარი და ეს წყალი თქვენამც გერგებისთ. გელსამც გახვრავთ, კალთასამც გაიხვევთ. გელუხებოლად, ფერუქცეველად, წაუქცეველად იქამც მაიგვისთ, სადაც რქვენ „ანდაბი“ ას. თქვენამც გაუნაწილებთ თქვენებს წვილებს, შვილისშვილებს, მაკეთებებს, ქალ-ღისწულს, თქვენამც მისცემთ-ღ გაცემთ; ისრ, რაგველაც თქვენ გინდოდასთ, მე თუ ვერ გინდობდა-ღ ჩემგან ტაბლას თხოულობდას, ვინაც იქნების „შამამწყედელუ“ სტუმარი იქნებისა, სახლის შამამბრუნ ვინ, უპატრონო მკედარი, თუ უსახელო — თქვენამც მისცემთ, თქვენაც გაცემთ; ნუმეცარავინ გაწუხებთ, ემწვილ იქნებისა, ასახვრეტს თხოულობდასა, — ემ ზისცვარსამც გამაიყენებთ, ამიოამც უღობოთ პირს; უწყლო ვინ იქნებისა, ემ წყალსაც ასმევთ; წერულიან ვინ იქნებისა, ემ სახეივლითამც უხვევთ წყროლს. უსაგძლო ვინ იქნებისა, ემასამც გამაიყენებთ საგძლად და საპოხლად ერბოს. შაგინდნასთ ღმერთმა, მაგაწარასთ. თქვენ შანდობა მაგდიოდასთ და ამით ცოდვასამც ივტობთ. ჩემს სახლს ბარაქე დაატენთ. ავი გულითამც ნუ შამაზოლთ ჩემს სახლში; თვალ-გულსამც ნუ ვისას მამრევთ. თქვენ შანდობაი, ჩვენ სიცოცხლეი კარგად ყოფაი —

¹ ტაბლაზე აგრეთვე ქსოვილის ნაჭრებსაც დასდებდნენ: საიქიოში წყლულის შესახვევად დასჭირდებოდა.

კაცისა, საქონისაი, საქონის ნაწველისაი და კაცის ნაწნავის ბარაქასამც მოგეცემთ“. შენდობის თქმას რომ გაათავებდა, მერე ყველაფერს, რაც ტაბლანზე რამ იყო, „დაეწვეოდა“, ცოტას წყალს დაღევდა, კოვზით რძეს შეხვრვანდა, პურს და ერბოს შესჭამდა და თუ არაყი იყო ყანწით დაილოცებოდა და დაღევდა.

„სახელსადებებს“ ყველა შეექცეოდა და ამით თავდებოდა ტაბლისათვის შენდობის თქმა ანუ სახელის დაღება.

2. მიცვალებულის ბახსენება „წელწად დილას“

ჭირისპატრონი ახალწელ დილას, როცა ტაბლას შენდობას ეტყოდა, გამოვიდოდა ვარეთ, ეზოში ცეცხლს დაანთებდა, ცეცხლის ახლოს დაჯდებოდა, ხელში არაყიან „ჭურჭელთ“ (კოკას ან ბოთლს) დაიჭერდა, მალე მებზობები და მოკეთებები მოვიდოდნენ, ყველა თითო ბოთლ არაყს მოიტანდა და ცეცხლის ახლოს დასდგამდა. როდესაც ხალხი შეიკრიბებოდა, ყველა ბოთლს სულის ხუცესი შენდობას ეტყოდა იმ მიცვალებულის სახელზე, ვის კარზედაც იყვნენ. ამის შემდეგ ერთმანეთს ასმევდნენ არაყს. მერე მეორე ოჯახში მივიდოდნენ, სადაც ახალი გარდაცვალებული იყო. როდესაც „კარჩი მისვლას“ მოათავებდნენ, ჭირისუფლის კარიდან ჩაბამდენ ფერჭისას (ჩადგებოდნენ ფერხულში) და წავიდოდნენ ხატის კარზე სამხიარულოდ და ლუდის სასმელად. სანამ ჭირისუფლის კარზე არ მოვიდოდა სოფელი, მანამდე მხიარულობა ხატში და სოფელში არ შეიძლებოდა.

3. „ხალარჯევა“ (მიცვალებულის ბახსენება)

მიცვალებულთა გასახსენებელი დღეებიდან მთავარი „ხალარჯევა იყო“. ამ დღისათვის ყველა ოჯახი არაყს გამოხდიდა, ხოლო „ხალარჯევას“ დილით სახელსადებებს გამოაცხობდა. ნაწილს სახლში დასდებდნენ სახელს და იქვე შესჭამდნენ, ხოლო ნაწილს სახელსადებს, არაყს და აღუღებულ რძეს (ერბოს წყაროს) წაიღებდნენ სასაფლაოზე. იქ ყველა თავის მიცვალებულის საფლაოზე დასდგამდა ტაბლას. სულის ხუცესი ტაბლებს შენდობას ეტყოდა და ხალხი იქვე სევამდა და სჭამდა. საფლაოზე ტაბლით წასვლის წესი ადრევე გადავირდინილა, რადგან სასაფლაოზე შეკრებილნი თურმე ერთმანეთში შუღლობდნენ და ხშირად ერთმანეთს ხანჯლებით სასიკვდილოდაც სჭრიდნენ. ამიტომ მოისპო სასაფლაოზე ტაბლით წასვლა.

ამ წესის ნაცვლად ვისაც ახალი მიცვალებული ყავდა, ერთი ან ორი წლის, ან და გაოხრებული ოჯახი იყო, ისინი გამოხდიდნენ არაყს. (ტაბლას კი ყველა დაუდგამდა და მკვდართა სახელსადებებსაც ყველა გამოაცხობდა). ვისაც არაყი ჰქონდა, ის დაპატიჟებდა სახლში მოვებრეებს და მებზობებს, ხოლო სასაფლაოზე ერთ ბოთლ არაყს, სამ ან ხუთ ცალ ქაღის-კვერს წაიღებდა, თან სულის

ზუცეს წაიყვანდა და იქ შენდობას ეტყოდნენ. არაყს იქვე დალევდნენ ან სახლში წამოიღებდნენ.

თუ ოჯახი სულ „გაოჯრდებოდა“, არაყინ დარჩებოდა მამაკაცი — ქუდიანი, მაშინ „წილ-წაწილი“ გადაეცემოდა ახლობელ მოგვარეს. ვისაც მამული და სახლკარი ჩაბარდებოდა, ის ვალდებული იყო ყოველ ხალარჯვებას მიცვალებულისათვის ხალარჯვება გადაეხადა. ლუღს ადუღებდა ხუთიდან შვიდ „ჩხუტამდე“ (საზომია), „საარაყეს გამოწურავდა“ (არაყს გამოხდიდა) ორ ქვებს ან სამს, ხაეიწს ადუღებდა, საღებლო პურებს გამოაცხობდა, ავრეთვე ქაღის-კვერებს და რამდენიმე ცალ კუბატს; ამ უკანასკნელებს ქაღის-კვერებზე დაწყობდა. ამას ეწოდებოდა „კოდ-სამკურთხეველონი“.

4. მიცვალებულის ბასენებზე „თიზის შამშაბათს“

„თიზის შამშაბათს“ (როცა სოფელი პირველად გადის სათიბად) ჭირისუფალი არაყს გამოხდიდა, ფაფას ადუღებდა და პურებს გამოაცხობდა: ზოგს ჭაბაბლეს და ზოგს გულიანებს (ქაღის-კვერებს). ამ დღეს მთელ სოფელს დაპატივებდა, თემიდანაც დაიბარებდა მოკეთებებს. როდესაც სოფელი და მეთემე მოვიდოდა, ჭირისუფალი ტაბლას დაამზადებდა, ფაფას ბაკნებით და ჯამებით დასდგამდა, არაყს ლიტრებით დაუდგამდა ტაბლას გვერდით, ადუღებულ რძეში ერბოს ჩაყრიდა, ტაბლაზე დასდგამდა ჯამებით (ერბოს იმიტომ ჩაყრიდნენ) რომ ფერი მიეცემა რძესო და მკვდართ მიიზიდავსო). ტაბლაზე სამს ან ხუთ სანთელს დააყრავდნენ. მერე სულის ხუცესი ტაბლას შენდობას ეტყოდა. ტაბლის დილოცვის შემდეგ ქალები ტალავართ გაშლიდნენ და სტიროდნენ. ხმით მოტირალებიც იტირებდნენ: თემიდან მოსული ქალები თითო ბოთლ არაყს მოიტანდნენ და „ტალავართაში“ ჩასდგამდნენ. ტირილს რომ გააოავებდნენ, სანამ „ტალავართ“ ახვედნენ, ერთი უფროსი ქალი არაყიან ბოთლებს („მინეებს“) შენდობას ეტყოდა და ჭირისუფალი ტაბლით გაუძღვებოდა, ტაბლას დაუდგამდა — ქალებს და მამაკაცებს ცალ-ცალკე. ჭირისუფალი „თიზის შამშაბათს“ რომ გადაიხდიდა, მერე სოფელს ნება ჰქონდა, რომ „ცელი ბალახში შეეტრნა“, მანამდე კი არაყინ არ წავიდოდა სათიბად, ჭირისუფლის ხათრით. იმ დღეს ჭირისუფალი თითონაც მოსთიბდა.

5. „აპვისების შამშაბათი“

„აპვისებისა შამშათსაო, მკვდარი ჩაელენ ტაბაკსაო, ვინაც მალე პური ქამას, ვაი იმის ჯალაფთაო“. აპვისების შამშათს (აღდგომის წინა დღე) მკვდრებს „სულეთში“ „ხთის ულუფა“ მიუღის — „სამზეოს ნალოცი არ სჭირდებათ“ დილითო. ამიტომაც მიცვალებულის პატრონები ამ დღეს დილით ტაბლას შენდობას არ ეტყოდნენ, რადგან მკვდრებს ღვთის ულუფა მიუღისთ და ჩვენი ნალოცი რომ მიუვიდეს, ღვთის ულუფას მოსცდებიანო. ამიტომ საღამომდე

ტაბლას არ დალოცავდნენ. სანამ მიცვალებულის ტაბლას შენდობას არ ეტყოდნენ, ოჯახში პურის ქამა არ შეიძლებოდა ყველა „პირნილაობდა“ — ყველა სიმშვილობდა.

XXVI. გარდაცვალებასთან დაკავშირებული სხვა წესები

1. თაოდ თავის დამარხვა (თავის დამარხვა)

ჩაეს ისინი „იმარხავდნენ“, ვისაც თავისიანი არავინ ჰყავდა ისეთი, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ დამარხავდა. „თავის დამარხვა“ მამაკაცებმაც იცოდნენ და ქალებმაც. თავს უფრო მოხუცები იმარხავდნენ. თავის დასამარხავად მზადება იგივე იყო, რაც ჩვეულებრივად მიცვალებულის სამარხ-საქნარისათვის მზადება. თავის დამმარხავი ლუდს აღუღებდა, არაყს გამოხდიდა, პურს გამოაცხობდა, „სანთელ წელთავეხას“ გადაიხდიდა, დოღსაც გამართავდა, ცხენს „დაიკურთხევიდა“; ერთი სიტყვით, ყველა წესებს შეასრულებდა. მოკეთებებს და სოფლებს დაჰპატიებდა, მხოლოდ ხარჯების დროს თვითონ მონაწილეობას არ ღებულობდა. როცა ყველაფერს მოამზადებდა, ხალხს სხვები მიიწვევდნენ და სტუმრებსაც სხვები მიეგებებოდნენ.

2. ქვრივი (შერთვა და ზათოხვება)

დაჭერივებული მამაკაცი ცოლს ერთი წელიწადი გლოვობდა და სანამ წელი არ შესრულდებოდა ცოლს არ შეირთავდა, თუნდაც წერილი შეიღებოდა რჩენოდა. მართალია, ცოლები აღრევე ეტყოდნენ: შენ ჩვენი ხათრი ხუ გეჭნება და შენს კილოზე მოიყვანე ცოლიო, მაგრამ ის მაინც არ ირთავდა ცოლს. წელიწადი რომ შესრულდებოდა, ცოლები და მოგვარეები ჩაერეოდნენ საქმეში და „გააბედვინებდნენ“ ცოლის შერთვას.

ქვრივი ქალის მდგომარეობა კი სულ სხვა იყო. ერთი წელიწადი ისიც გლოვობდა ქმარს; თუ უშვილო იყო და ახალი მოყვანილი, ისიც ერთი წელიწადი რჩებოდა ქმრის სახლში, გათხოვების ნება არა ჰქონდა და ვერც ვერავინ ითხოვდა სანამ ქმრის სახლში იყო. ერთი წელი რომ შესრულდებოდა, ქირსიუფალი ქვრივ ქალს გაისტუმრებდა „მამისახლში“. რძალი ყველა თავის ტანისამოსს წაიღებდა, ავრეთვე ძროხას და ცხვრებს გაატანდნენ. თუ რამდენ სულს საკონელს გაატანდნენ ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რძალმა რამდენი წელიწადი დაჰყო ქმრის ოჯახში. თითო წელი თითო ძროხას უღრიდა, მხოლოდ პირველი და ბოლო წელი ანგარიშში არ შედიოდა; თუ ქალი ქმრის ოჯახში სამს წელიწადს დაჰყოფდა, მაშინ ერთი ძროხა ერგებოდა.

ქვრივს „მამისახლში“ „ქმრეულთით“ გაყვებოდა მამამთილი — ქმრის მამი, მახლი ან ქმრის შინში. ისინი თან წაიღებდნენ არაყს ტიყით და ერთს საქლავს წაიყვანდნენ. საკლავს მამისახლში დაკლავდნენ, ხორცს მობარშავდნენ, ტაბლას დასდგამდნენ, ტაბლას და არაყს შენდობას ეტყოდნენ. მასპინძელი (ქალის ოჯახი) მეზობლებს და მოგვარეებს დაჰპატიებდა, დამსწრეთ ტაბლით.

და არაყით გაუმსპინდლებოდა. მეორე დღეს ქალის ქმრეულები სახლში ბრუნდებოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა ქვრივ ქალს ნება გათხოვებისა, თუმცა ხშირად უშვილო ქალები ქმრის პატივსაცემად გაუთხოვრები რჩებოდნენ: „საიქიოს მასთან ვიქნები და რომ გაეთხოვდე მასთან პირი მექნება „განბილებული“ (შერცხვენილი).

თუ ქვრივ ქალს შვილები დარჩებოდა, ერთი წელი რომ შესრულდებოდა ქმრის სიკვდილიდან, „ქმრეულები“ ქალის მშობლებს დაიბარებდნენ და მათთან ერთად რძალს მოელაპარაკებოდნენ. თუ გაქვს გულში გათხოვების სურვილი ესლავე გათხოვდიო, არ „იწარამაროო“ და მკვდარი არ შეარცხვინოო, ესლა გირჩენია „მძიმედ წახვიდეო“ („მძიმედ წასვლა“ — პატივისცემით, პატიოსნად წასვლას ნიშნავდა). თუ ქალს არ უნდოდა გათხოვება, ის მაშინვე იტყუადა: მე ობლებს ვავხრდიო, თუ არა, წავიდიოდა „მამისახლში“ იმავე წესით, რა წესითაც უშვილო ქალი. მასაც თან მიჰქონდა თავისი ტანისამოსი და წლებსიდა მიხვდვით თავისი „ნამაშვრალი“ პირუტყვი და სხვა ნივთები.

3. „სხვისი ჴელით სიკვდილი“

როცა ვინმე დაჭრილი იყო სხვისგან ცივი იარაღით ან თოფით, თუ დაჭრილი მაშინვე არ მოკვდებოდა, მაგრამ მოსარჩენი არ იყო, ისევე ემხადებოდა ოჯახი, როგორც ჩვეულებრივი ავადმყოფობის დროს და სიკვდილის პირობებში. მოგვარებები, ახლო ბიძაშვილები და მეზობლები ისეთივე დახმარებას უწყევდნენ მომაკვდავის ოჯახს მის მოვლაში, როგორც თავის დღით სიკვდილის დროს. ისეთიარაღვე ხდებოდა სოფლის შეტყობინება, სალოჯინის დაწვა კი სხვა. მხოლოდ თუ სხვის მიერ დაჭრილი უცბათ გარდაიცვლებოდა, მაშინ კი სხვანაირად შეხედებოდნენ სიკვდილს. თუ იმავე სოფელში იყო მოკლული, სადაც სცხოვრობდა, მხოლოდ არა თავის სახლში, არამედ მეზობლის სახლში, მაშინ მიცვალებულს ოჯახის წევრები და მოგვარე მამაკაცები ყურადღებას არ აქცევდნენ და შეიარაღებულები მკვლელს დაედევნებოდნენ; მიცვალებულს მეზობელი მამაკაცები თავის სახლში წასვენებდნენ. ქალები სტიროდნენ, მაგრამ მიცვალებულს წასასვენებლად ხელს არ მიაკარებდნენ, რადგან ჩვეულებისდა მიხედვით არ შეიძლებოდა, რომ ქალს საკაცე აეწია.

თუ მოკლული სხვა სოფელში იყო, მაშინ იმ სოფლიდან გამოგზავნიდნენ „შემტყობინებს“. შემტყობინები არ უნდა ყოფილიყო მკვლელის მოგვარე ან სისხლით მონათესავე, რადგანაც ისინიც მტრად ითვლებოდნენ. შემტყობინები უნდა ყოფილიყო სხვა გვარის კაცი და არც ძალიან ახალგაზრდა, რადგან შემტყობინებს თავისი იმედი უნდა ჰქონოდა. შემტყობინები შეატყობინებდა თუ არა გვარს მომხდარ ამბავს, მაშინვე უკან თავის სოფელში გაბრუნდებოდა. მიცვალებულის გვარი შეიარაღებული გაემგზავრებოდა იმ სოფელში, სადაც მათი მიცვალებული იყო. გვარის გარდა სოფლის სხვა მამაკაცებიც წავიდოდნენ, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. მისულებს წინ საკლავს დაახვედრებდნენ და დაკლავდნენ. მიცვალებულს წამოასვენებდნენ თავის სოფელში საკაცეთი.

საკაცეს ახლობლებს არ წაალებინებდნენ: გამყოლ სოფლებს მიჰქონდათ სოფ-
ლაძე და სახლშიც ისინი შეასვენებდნენ.

4. თ ა ვ ი ს მ ო კ ვ ლ ა

თვითმკვლევლობა სხვადასხვა საშუალებებით და მიზნებით ხდებოდა. უფრო ხშირად თვითმკვლევლობა თოფით ხდებოდა. მამაკაცის თვითმკვლევლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობაში მძიმე ტკივილებით, რომელსაც ვერ უძლებდა ვაჟკაცი, ან მეტისმეტი მოხუცებულობით, როცა ოჯახში უსიამოვნო და უკმა-
ყოფილო ცხოვრება ჰქონდა. თვითმკვლევლობას მიმართავდნენ აგრეთვე იმ შემ-
თხვევაშიც თუ ახალგაზრდა მამაკაცს რაიმე ბუნებრივი ნაკლი ჰქონდა: ხელს ვერ
ხმარობდა ან ფეხს, ყურთანამენა აკლდა ან მხედველობა. და თუ მამაკაცი სხვა
გაჭირვებაში, მაგალითად, როცა მტერი დაამარცხდებოდა, ან ვინმეს მოუკლავ-
დნენ და სხვა, თავს მოიკლავდა, სირცხვილად იყო მიჩნეული. მამაკაცი თავს იკ-
ლავდა თოფით, თავის ჩამოხრჩობა ან წყალში გადავარდნა არ იყო მიღებული;
თუ მოხუცი მამაკაცი იყო, შეიძლება მას ჩამოეხრჩო თავი და წყალში კი მაინც
არ გადავარდებოდა. ხევსურების რწმენით თოფით თავმოკლული „იაღში იდგა“,
ცხონებულებთან იყო და ცხონდებოდა, სხვაგვარად თავის მკვლეელი არ ცხონდე-
ბოდა.

თვითმკვლევლობა ქალებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებში, უფრო
იყო გავრცელებული. ახალგაზრდა ქალებში თვითმკვლევლობა ხდებოდა შემდეგი
მიზეზების გამო: ახალგაზრდა ქალს რომ მშობელი, ღედა იქნებოდა თუ მამა,
რაიმე ოდნავ სიტყვიერი შეურაცხყოფას მიაყენებდა ან და თუ დაუშლიდნენ
ვაჟთან სიხსოვებს, ეს უკვე საკმარისი იყო, რომ ქალს თვითმკვლევლობა ჩაე-
დინა. აგრეთვე თუ მშობლები ისეთ ქმარზე გაათხოვებდნენ, რომელიც ქალს
არ მოსწონდა, ან ქმარი თუ მოუკვდებოდა, თუნდაც შვილები დარჩენოდა, ხში-
რად ქალი თავს იკლავდა. ქალს თუ შვილები დარჩებოდა, განსაკუთრებით ვა-
ჟიშვილები, იშვიათად მოიკლავდა თავს. უშვილო ახალგაზრდა ქალა და ახლად
გათხოვილი ძალიან ხშირად დაქვრივების შემდეგ თავს იკლავდნენ. აგრეთვე
ქალს თუ მოუკვდებოდა საყვარელი მამა, მამა ან მკვიდრი მოგვარე ბიძაშვილი,
ამ შემთხვევაშიაც თავს იკლავდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ღედას ან მამა-
მას შვილის სიკვდილის გამო თავი მოეკლა, ცოლი-კი სულ ადვილად იკლავ-
და თავს. შვილი არ იკლავდა თავს მშობლების სიკვდილის შემდეგ (ობლობის
გამო).

თავის მოკვლა ქალებში, უფრო ხშირად თოფით ხდებოდა, ვიდრე წყალ-
ში გადავარდნით ან თავის ჩამოხრჩობით.

თავის ჩამოხრჩობას იმიტომ გაურობოდნენ, რომ დახრჩობის დროს ადამ-
იანი ძალიან იტანჯებოდა და გვიან კვდებოდა და სიკვდილის შემდეგ სახე
უმახინჯდებოდა: თვალები გადმოუცვივდებოდა, ენა გადმოუვარდებოდა, გაი-
ბერებოდა და სხვა.

წყალში იმიტომაც არ იხრჩობდნენ თავს, რომ ჯერ ერთი, წყალში დამხ-
რჩვალ ადამიანის პოვნა ძნელი იყო, მეორეც, წყალი ტანისამოსს გახდიდა,

სახეს „შეუშლიდა“ კლდეებზე მიჯახებით და სხვა. თვითმკვლელობის საშუალებად მიღებული იყო თოფი, რადგან იგი ადამიანს მალე უსაზბოდა სიცოცხლეს და სახესაც არ შეუშლიდა. რაიმე საწამლავეთ თავის მოწამლევა არ იყო მიღებული.

თვითმკვლელობა თოფით სახლის გარეთ არასოდეს არ ხდებოდა.

თოფის ხმაზე მივიდოდნენ ოჯახის წევრები და მეზობლები. და როცა ნახავდნენ თავმოკლულს, ხმამალა მოთქმა-ტირილით შეატყობინებდნენ მახლობლებს. თუ თვითმკვლეელი თავს თოკით ჩამოიხრჩობდა, ესეც ყოველთვის სახლში ხდებოდა და არა გარეთ¹, ვინც მას პირველი იპოვინდა, ქალი იქნებოდა თუ კაცი, ჩამოსჭრიდა თოკს და ტირილს ასტებდა.

თუ თვითმკვლეელი წყალში დაიხრჩობდა თავს და ვინმე წინასწარ დაინახავდა, წყალში გადაეარდნას თვალს მოკრავდა, მთელ სოფელს შეყრიდა, ერთი აურზაური ატყდებოდა: დიდი, პატარა, ქალი თუ მამაკაცი ყველა იქითკენ ვაიქცეოდა, სადაც თვითმკვლეელი გადაეარდა. წყალში ჩაეარდნის დაედევნებოდნენ და ყველა ცდილობდა მის გადაარჩენას: წყალში შესტოპავდნენ და გამათრევდნენ. თუ მდინარე ადიდებული იყო და წყალში გადაეარდნის უკვე მოეტაცა მდინარეს და ვერ ნახავდნენ, სოფელი მამაკაცები და სხვა სოფლიდან დასახმარებლად მოსული პირები ეძებდნენ დამხრჩვალს, სანამ არ იპოვინდნენ. თუ გაძნელებოდა მისი პოვნა, წყალში დამხრჩვალის საპოვნელად მიმართავდნენ კარატის ჯვარს (ლიქოქშია). მხოლოდ ამ ხატს, „ჯვარს“ მიმართავდნენ ასეთ შემთხვევაში.

მოიყვანდნენ ამ ჯვარის ხელოსანს, რომელსაც ჯვარის დროშა მხარზე ჰქონდა გადებული. ხელოსანი დაიწყებდა ძებნას წყალში: ხან სად შესტოპავდა დროშით და ხან სად, სადაც უფრო ღრმა იყო წყალი, იქ ეძებდა. ამ ჯვარს იმიტომ მიმართავდნენ, რომ წყალში დამხრჩვალს თითქოს ავი სული მფარველობდა და კარატის ჯვარი კი ავი სულების მტერი იყო. თუ გვამს ვერც ამ ხერხით იპოვინდნენ, წყლის დაკლებას ელოდნენ და შემდეგ სძებნიდნენ. თუ წყალში მაშინაც ვერ იპოვინდნენ, ხმელეთზე, რიყეებზე დაიწყებდნენ ძებნას; თუ დამხრჩვალის რაიმე ნიშანს იპოვინდნენ: ხელს, ფეხს ან ტანისამოსის ნაგლეჯს წამოიღებდნენ სახლში და დასაფლავებდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ მიცვალებულს.

5. „ჯავის დაღევა“ (ჯავით სიკვდილი)

ზევათ სიკვდილი ჟურო ვაზფხულობით ხდებოდა, როცა მთებში თოვლი ღვებდა, აგრეთვე ზამთარშიც, როდესაც ძალიან დიდი თოვლია და ზეაგები ჩამოდის. მგზავრები (აგრეთვე მონადირეები და მწყემსები) ხდებოდნენ ზევის მსხვერპლნი. ზევათ მოკლულის საძებნელად მთელი სოფელი წავიდოდა. წა-

¹ ყოფილა თავის ჩამოხრჩობის შემთხვევა ბოსელში და წისკილშიც.

ვიდოდნენ გრძელი ჯოხებით, ნიჩბებით და ბარებით. იწყებდნენ თოვლის თხრას. მიცვალებულს გრძელი ჯოხებით თოვლის სიღრმეში ეძებდნენ. იმ ადგილს, სადაც მკვდარი იყო ზვავის ქვეშ მოყოლილი, თუ ჯოხით რაიმე ნიშანს იგრძნობდნენ, დაუწყებდნენ თხრას. თუ მიცვალებულს იპოვიდნენ, ორ გრძელ ჭერს ერთმანეთს მიაკრავდნენ და წნელის საკაცეს გააკეთებდნენ. თან ჰქონდათ წაღებულ ნაბადი ან ფარდაგი-ხალიჩა, შეახვევდნენ მასში და საკაცზე დადებულს შინ წამოასვენებდნენ. მოტირალი ქალები გზაზე შეხვდებოდნენ. შეძლებდნენ შეასვენებდნენ სახლში, დაასვენებდნენ გრძელ სკამზე და ტიროდნენ.

6. კლდიდან გადმოვარდნით სიკვდილი

კლდიდან უფრო ხშირად მონადირეები ვადმოვარდებიან ხოლმე, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც მთები ძალიან გაყინულია, წრიაპი ვეღარ ებმის კლდეს. ჩვეულებრივი მგზავრებიც, განსაკუთრებით მთვრალები, ვადიჩეხებიან ხოლმე ვიწრო და კლდიან ბილიკებზე. ამ შემთხვევაშიც იმავე სოფლის და ახლო მდებარე სოფლის მამაკაცები წავიდოდნენ საქმენალად: ეძებდნენ კლდე-ღრეებში, სანამ არ იპოვიდნენ. შემდეგ სახლში მოასვენებდნენ და თავის „საფლავ-სამარეში“ დაასაფლავებდნენ.

7. „ქოხში“ („სამარელოში“) გარდაცვლილის დამარხვა

თუ „მექოხე“ დიაცი მოკვდებოდა, მას „საფლავ-სამარეში“ არ ასაფლავებდნენ (საერთო სასაფლაოზე არ დამარხავდნენ). არც ეკარებოდნენ ახლოს. მხოლოდ მესამრელოე ქალები მიდიოდნენ გარდაცვლილთან. ისინი ჩააცმევდნენ ტანისამოსს. საფლავს მამაკაცები გასთხრიდნენ და ქალები დაასაფლავებდნენ. როცა „მექოხე“ კვდებოდა, ხალხი მივიდოდა ქირისუფლის კარზე და ქირს უწყენდა. დედაკაცები ქოხის კარზე მიდიოდნენ, სადაც მიცვალებული ესვენა. თემიდანაც მოვიდოდა მოტირალი და იმავე წესით ტიროდნენ, რა წესითაც სხვა მიცვალებულებს. მხოლოდ ქოხში მომკვდარს სახლში არ შეასვენებდნენ: ის უწმინდური იყო და მამაკაცები არც მიეკარებოდნენ. ქოხში მომკვდართათვის იქვე ქოხის ახლოს იყო სასაფლაო გამოყოფილი. იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო სასაფლაო ხატის ახლოს არ იყო, მაშინ ამ სასაფლაოს ახლოს, ცალკე, მოშორებით დაასაფლავებდნენ ქოხში გარდაცვალებულს.

პირველად „მექოხეს“ დაასაფლავებდნენ „საჩეხებში“ (ქოხის, სამარელოს ახლო-მახლო). დასაფლავებიდან შვიდი თვის ან ერთი წლის შემდეგ მიცვალებულის ძვლებს ამოსთხრიდნენ ამ საფლავიდან და ნეშტს გადაიტანდნენ საერთო სასაფლაოს ახლოს და იქ დაასაფლავებდნენ. ამბობდნენ: შვიდი თვის შემდეგ „სიწმიდეს ვავაო“, უკვე გაიწმინდება. ზოგიერთი მიცვალებული კი რჩებოდა „საჩეხებში“. როდესაც „ძვალთ“ სასაფლაოზე გადაიტანდნენ, ქირის-უფალს დასაფლავების შემდეგ ერთი საკლავი უნდა დაეკლა და „გზანი და საფლავი უნდა დაენათლა“. დაკლავდნენ ცხვარს ან ხბოს, სისხლს ჯავით შეინახავდნენ და რომელი გზითაც მიცვალებული გაატარეს სასაფლაოზე, იმ გზას და

საფლავებს სისხლს მოასხურებდნენ. ამით „გზათ და საფლავით“ დანათლავდნენ. ვინც მიცვალებული წაასვენა, მათ „ხელებზე ასასხმელს“ გამოუცხობდნენ და დანათლავდნენ, რადგან „მეჭობე“ დიაცს „შერიენენ“. ქოსში მომკვდარ დიაცს იმავე წესით უმზადებდნენ ყოველგვარ ხარჯებს, რა წესითაც სხვა მიცვალებულებს.

8. ბავშვის სიკვდილი „ქოსში“

თუ ახალდაბადებული ბავშვი ქოსში მოკვდებოდა, არც ის დაიმარხებოდა საერთო სასაფლაოზე. მასაც „მესამრელოე“ ქალები ქოხის ახლო გაუთხრიდნენ საფლავს და ისინივე დაასაფლავებდნენ. მოტირალი მიდიოდა ქირისუფლის კარზე. ქირს უწყენდნენ. თემშიაც შეატყობინებდნენ. დედაკაცები კი, სადაც ბავშვი და ბავშვის დედა იყო იქ მოდიოდნენ და ტიროდნენ. ხმით მოტირალიც ტიროდა. ახლობლები ძახილითაც ტიროდნენ. მიცვალებული ბავშვი შემდეგ არ გადაჰქონდათ საერთო სასაფლაოზე, იქვე რჩებოდა.

თუ ქოსში დედას ძალიან ავად ყავდა ბავშვი და მისი მორჩენა საეჭვო იყო, ბავშვს გარდაცვალებამდე ქოხიდან ოჯახში შემოიყვანდნენ, რომ სული სახლში ამოსვლოდა და საფლავ-სამარეში დამარხულიყო. ქოსში მომკვდარ ბავშვს ქელებს არ უხდიდნენ. მხოლოდ „საპირივსნოს“ დააყენებდნენ მტრედით, და „წყალ-წილას“ გადაისდიდნენ. ფაფას აღულებდნენ, არაყს გამოხდიდნენ, დაპატიყვებდნენ მოგვარე-მოკეთებებს და სოფლის ყველა ბავშვს. ფაფასა და აღულებულ რძეს ჩამოუღვამდნენ ყველას და რძეში ერბოს ჩაჰყრიდნენ. ამით თავდებოდა ქოსში მომკვდარი ბავშვის ხარჯები.

9. „მხნაკრაში“ (მხნით მოკლული)

მეხისგან მოკლული ყველა მიცვალებული საიქიოს ბედნიერიაო. მას ღმერთი აძლევს სასუფეველს. არის თქმულება, როცა ღმერთმა მეხი გააჩინა ეშმაკების მტრად, საომრად, ღმერთს ჰკითხეს: როცა ეშმაკს მოკლავ მეხით, შემთხვევით რომ აღამიანი მოყვეს რა ვუყოთო, სად წაიყვანოთ მისი სულიო. მაშინ ღმერთს უთქვამს: მეხნაკრავი ჩვენს სასუფეველში დავაყენოთ და კარგი ადგილი მივცეთ სამყოფელადო. ვინც მეხნაკრავი მოკვდებოდა, ის „სულეთ“-ს ჭედნიერი იყო.

10. „სულის ქსნა“ (კარატის ჯვარის მოხშვნა)

კარატის ჯვარს (სალოცავია ლიქოქში) მაშინ მოიყვანდნენ, როდესაც მიცვალებული იყო წყალში დაძმრჩეალი, ზვავის დალეული, ან თავდაზმრჩეალი. კარატის ჯვარი ავი სულის მტერია და ხვესურების წარმოდგენით ასეთ მცვალებულებს ავი სულები, ეშმაკები, ებატრონებიან. რათა მიცვალებულის სული ეშმაკებისაგან ეხსნათ, კარატის ჯვარს მოიყვანდნენ. კარატის ჯვარი, თუმცა პირაქეთ ხვესურეთში იყო, მაგრამ იგი ამ საქმეში მთელ ხვესურეთს ემსახურებოდა: პირაქეთაც და პირიქითაც. ქირისუფალი მივიღოდა კარატის ჯვრის

„ხელოსან-მედროშაისთან“ (ხატის მოსამსახურე იყო) და წამოიყვანდა. დროშა თვითონ მედროშეს მოჰქონდა. სადაც მკვდარს იპოვნიდნენ, მედროშაე სულდა-ნალეფთან მივიდოდა, დროშას გადმოიღებდა მხრიდან და იმ ადგილას დაარქობდა. იქ ერთ ცხვარს დაკლავდნენ. წასვლისას ჰირისუფალი კარატის ჯვარის ხელოსანს ერთ ცოცხალ ცხვარს და ერთ სპილენძის ქვაბს მისცემდა.

11. „ს ა ფ ლ ა გ ი ს მ ო ზ ო მ შ ა“

იმ პირთ, რომელნიც თავის სამშობლოდან წასული იყვნენ და შორეულ კუთხეებში მიიცივალნენ, ხევსურები აუცილებლად თავის მიწა-წყალზე მოიტანდნენ, ყოველგვარი სიძნელისა და დიდი ხარჯის მიუხედავად. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა მიცვალებულს ვერ იპოვნიდნენ: წყალში დამხრჩვალს, ან უცხო ქალაქში ან ოშში მოკლულს და რომელსაც ვერ მოასვენებდნენ თავის სამშობლოში, ასეთ მიცვალებულს თავიანთ სასაფლაოზე საფლავს მოუზომავდნენ.

ეს ასე ხდებოდა: არაყს გამოხდიდნენ, სახელსადებებს გამოაცხობდნენ, ტაბლას დასდგამდნენ. სახელსადებებს, ზოგს გულიანს, ზოგს უფულოს, არაყს, ტაბლას და მიცვალებულის „ტალავარს“ წაიღებდნენ სასაფლაოზე, თან ხალხსაც წაიყვანდნენ. იქ ოთხკუთხედად მიწას მოზომავდნენ, არ ამოთხრიდნენ ისე შემოხაზავდნენ ბართ ან თოხით. ტაბლას დასდგამდნენ და ტალავარს დააწყობდნენ მოზომილ მიწაზე და დალოცავდნენ; დალოცვდა სულის ხუცესი. ამის შემდეგ მიცვალებულს თავის საფლავ-სამარეში წილი ედევა. თუ მიწას არ მოუზომავდნენ, საფლავ-სამარეში წილუდები იყო და ეს ოჯახისათვის დიდ უბედურებად ითვლებოდა.

12. „ურჯულ-ჩსალ სახელის დადება“

თუ ხევსური ქისტს მოკლავდა, რაც ხშირი მოვლენა იყო, მის სახელზე დაც ტაბლას დასდგამდნენ: გამოაცხობდნენ სახელსადებებს, სატაბლო პურებს და გულიანებს, მხოლოდ „ურჯულოს“ სანთელს ტაბლაზე არ აუწებდნენ. რძესაც ააღებდნენ, რძეში ერბოს ჩაჰყრიდნენ. რაიმე ქსოვილის ნაჭერსაც დასდებდნენ ტაბლაზე, წყალსაც დასდგამდნენ ტაბლის გვერდით. ტაბლას კარების უკან დასდგამდნენ და იქ ეტყოდნენ შენდობას შემდეგი სიტყვებით: „სადაც შენ ხარ (იტყოდნენ ქისტის სახელს), თუ ჩვენგან რას იხედავად-ჩვენგან რა მაგიდოდას საგძალ იქნებისა თუ პირის ვასალბობი ზისცვარი, წყრულის საპოხინდოდას თუ შესახვევი, ეს შენამც გეგმარების, რაადაც ვინდ იმადამც გამაიყენებ. ჩვენებს მკვდრებსაც ნურაით დაალონება-დ შააწუხებ. შაგინდას, მაგავმარას დმერთა“. ხელს სამჯერ უკუღმა შემოუქნევდნენ ტაბლას. თუ სიზმარში ნახავდნენ, რომ თავის მიცვალებულმა უთხრა: ესე მაწუხებს „სახეილის“, ფეხსაცმელების ან ტანისამოსის თხოვნითო და ხელით უჩვენებდა „ურჯულოზე“, რომელიც მას მოჰყავდა, ურჯულოს“ „მამკლავის“ ოჯახი, რაც მიცვალებულმა უთხრა სიზმარში, მას სახელს დასდებდა, შენდობას ეტყოდა, „ურჯულ-ლოსათვის“ სახელდადებულს ღარიბებს აძლევდნენ.

13. „მკვდარ თ ვირვა“

მკვდართ „წირვა“ იცოდნენ ჩხუბის დროს და თავის გასამართლებლად. ჩხუბის დროს ორი მოჩხუბარი მიცვალბულის სულეს ულანძღავდნენ ერთმანეთს, რომ ამით უფრო გაებრაზებინათ ერთიმეორე. მაგალითად იტყოდნენ: „შე მკვდარ გადაძალღებულო“, „შე მკვდარ ჩაცვიულო“, „შე მივიკლავ ვირს შენთ მიმჩვალთ“, „ძალ იყვას შენის მკვდრისად“, „ძალ-ციკან გადავიდნენ შენთ გულისუკეთიათ მკვდართ“, „ყველა შენის მკვდრისად იყოს, რაიც ქვეყანაზე უსურმაგ დადის“, „შენთ მკვდართ გადავასხამ ძაღლის სისხლს“, „შენთ მკვდართ გადავაკლავ თავჩაღმ ცხენ-ჯორებს, ძალ-ციკავებს“ და სხვ.

თავის გასამართლებლად „მკვდართ წირვა“ მაშინ სჭირდებოდათ, თუ ვინმე ცილს სწამებდა და თავი უნდოდათ გაემართლებინათ, მაგალითად ვისმეს თუ ქურდობას აბრალებდნენ, ან ენის მიტან-მოტანას, თავს ის „მკვდართად წირვის“ საშუალებით იმართლებდა. მაგალითად: „თუ მე მამებაროს (ეტყოდა რასაც აბრალებდნენ) მაშინ ჩემის მკვდრისად იყვას ქვეყანაზე რაიმე უსურმაგ დადის, მაშინ მკვდარ ჩაცვიულო, მკვდარ ჩაძალღებულო ვიყავ. მაშინ მე მივიყუდ ჩემთ მკვდართ საიქიოს ძალ-ციკანით, თუ მე მაგის მამებარე ვიყვ, თუ არა და ვინც მე მამებარე იმის მკვდრისად იყვას ისე, რაიც მე ვთქვი ჩემის მკვდრისად“. თუ ენის მიტან-მოტანას აბრალებდნენ, მაშინაც ამ სიტყვებსავე ვაიმეორებდნენ. გარდა სიტყვიერი წირვისა კიდევ იცოდნენ „ძალ-ციკათად ცემა“.

14. „ძალ-ციკათად ცემა“

თუ ცილს სწამებდნენ ქალს ან მამაკაცს, ის თავის გასამართლებლად რომელიმე სახლის ბანზე ავიდოდა, ძაღლს დაიჭერდა ხელში ან კატას და ბანიდან ხმამაღლა იტყოდა: „ვინაც მე ქურდობას მამებარე (ან ენის მიტან-მოტანას), მაშინ იმის საყურებლად-დ სოფლის საყურებლად ვიძახ, თუ მე ამ საქმეში დამნაშავე ვიყვად-დ მართალ არ ვიყვ, მაშინ ეს ძაღლ იყვას ჩემის მკვდრისად, ამ ძაღლის სისხლ გადავასხი ჩემთ მკვდართ საფლაზე და თუ არა და ვინაც მე მამებარე ტყუილად, მაშინ ძაღლ იმის მკვდრისად იყოს-დ ამის სისხლს გადავასხას იმის მკვდართ საფლაზე“.

ძაღლს სამჯერ მაგრად ჯოხს დაჭკრავდა და ძაღლი რომ აწკმუტუნდებოდა, დაუმატებდა: „მტყუენის მკვდართ საფლაზედამც აწკმუტუნდების ვეს ძაღლ ვესრ“; თუ კატა ეჭირა ხელში, კატას სამჯერ „დაჭკრავდა“ (დაანარცხებდა) მიწაზე და იტყოდა: „ციკა იყოს იმის მკვდრის საპირიქსნო, ვინაც მტყუენი ას“. ხშირად თავის გამართლების დროს ძაღლს თოფსაც დაჭკრავდნენ (მოკლავდნენ თოფით) და იტყოდნენ: „ეემ ძაღლის სისხლითამ ეხიარებინან, გადაინათლებინან, მტყუენის მკვდრის სულნი“-ო.

თუ სოფელში რაიმე დაიკარგებოდა და ვერ იპოვნიდნენ, კატას მოკლავდნენ და ხალხის გასავლელ გზაზე ხეზე ჩამოკიდებდნენ. კატა ქურდის „მკვდარ საწირავად“ იყო მოკლული და ჩამოკიდებული.

15. კ ი ლ ე მ ც „შ ა წ ი რ ა ბ ა“

ჩხუბის დროს თუ მოჩხუბარი იარაღით (ხანჯალი იქნებოდა თუ „ლაჯია“) მოპირდაპირეს სისხლს გამოადენდა, დამპრელი დაჭრილს თავის „მკვდართ შაწირავდა“ და ეტყოდა: „უნცროსიმც ხარ (სახელს იტყოდა მკვდრისას), თუ რა ჩემის ჯელისა გვირს,—საიჭიოსამც ეუნცროსები, იმის ჯელქვეითიმც ხარ: წყალსამც უზიდავ, ჯლანსამც უზანდავ, ცხენსამც უკაზმავ, იარაღთამც უწმედ. ძალლო (სახელს ეტყოდა), არ ხარა კი ღირსი იმის უნცროსობისა. იმის ჯელქვეითიმც ხარ“.

შეწირული ძალიან იწყენდა და სანაცვლოდ დაუძახებდა: „ძალიმც ას შენის მკვდრის უნცროსი, ციცი, ცხენ-ჯორები. ქვეყანაზე რაიც უსურმაგები ას აიშებმ ვაუწივან უნცროსობაი, მე არ შეკადრების შენის მკვდრის უნცროსობა საიჭით“. ასე შეწირვა ძალიან იშვიათად ხდებოდა, რადგან შეწირული ძალიან ნაწყენი რჩებოდა და ამ ამბავს დიდი ჩხუბი და აყალ-მაცალი მოყვებოდა. „შაწირული“ მტრად გადაეკიდებოდა „შამწირავს“.

ქალის „შაწირვა“ და მიცვალებული ქალის სახელზე მამაკაცის „შაწირვა“ არ შეიძლებოდა.

16. „შ უ რ ი ს მ ა ზ რ ა“

იყო კიდეც ასეთი შემთხვევები: მაგალითად ვინმემ მოუგონა რაიმე ქორი რომელიმე ოჯახს. ვისაც ცილს დასწამებდნენ, ის ცილის დამწამებელს მტრად გადაეკიდებოდა. შეიძლება თავი გაემართლებინა და შუაკაცების პირით შეუთვლიდა: „თუ მართალს ამბობ დამიმტკიცე საფლავზე შავდომით და ყურის მაჭრით“—ო. ან კიდეც, როცა ოჯახი რამეს დაკარგავდა და ვისზედაც ეჭვს მიიტანდნენ, შეუთვლიდნენ შუაკაცების პირით: „საფლავზე ყური მაიჭრას, რომ ის დამნაშავე არ არისო“.

ვისაც თავი უნდა ემართლებინა, ის იმის მიცვალებულის საფლავზე „მიიჭრიდა ყურს“, ვის წინაშეც თავი უნდა ემართლებინა. შუაკაცები ორივე მოპირდაპირეს წაიყვანდნენ საფლავზე და თან ეკალს წაიღებდნენ. თავის გამმართლებელი საფლავზე შედგებოდა: „თუ მე დამნაშავე ვიყავ-დ ამ საქმეში ბრალმედლობდას, მაშინ მე ამის (სახელს იტყოდა მიცვალებულისას) ცოლდა მეკიდოს კისერზე-დ ამის ყურმაჭრილ ყმა ვიყვ“. ამის შემდეგ შუაკაცები ყურს ეკლით „გამახკაწვრავდნენ“ (გამოფხაჭნიდნენ), ისე რომ ყურის ბიბილოზე სისხლის წვეთებს ჩამოედინა. ამით ბრალდებული იმართლებდა თავს, ხოლო ცილისმწამებელს ამის შემდეგ სათანადო პასუხს მოსთხოვდნენ. ყურს მარტო მამაკაცი იჭრიდა. ქალები საფლავზე არ მიყავდათ და არც ყურს იჭრიდნენ. არც ქალის საფლავზე შეიძლებოდა, რომ მამაკაცს ყური მოეჭრა.

17. აბადით ხელის დაწვა და შურის გახმობა

ბავშვობაში აბედით ხელის (მკლავის) დაწვა იცოდნენ. ხევისურს საიჭიოს შესვლისას კარზე დაუხვდებოდნენ კარის დარაჯები, ხელს გაუსინჯავდნენ და

თუ მკლავზე დაწვის ნიშანი არ აღმოაჩნდებოდა — ცეცხლზე „გააშანთებდნენ“ (გაახურებდნენ) სახნის-საკვეთის და მკლავს ამით დაუწვავდნენ. ამიტომ ბავშვები ყველანი იწვავდნენ მკლავს აბედით, საიქიოს სახნის-საკვეთით ხელს დაწვის შიშით. აბედს დაამრგვალებდნენ და მკლავზე დაიდებდნენ. შემდეგ აბედს ცეცხლს მოუკიდებდნენ და სანამ აბედი არ „დადაკვლებოდა“ — არ დაიწვებოდა, არ აიღებდნენ. აბედი ხორცს დასწვავდა და დამწვარი ემჩნეოდა. ზოგიერთი ერთ ხელს დაიწვავდა, ზოგი ორივეს და ვისაც მეტი „დაწული“ ექნებოდა, მით უფრო კარგი იყო. ზოგი ჯვარედინად იწვავდა მკლავს, ზოგი ოთხკუთხედ და სხვა. ყურებსაც ყველა იხვრეტდა. საიქიოში შესვლისას გზაში უსინჯავენ ყველას ყურებსო და თუ გახვრეტილი არა აქვთ, მათ გველი გაუხვრეტავს ორივე ყურსო. ყურებს ნემსით იხვრეტდნენ.

18. „სახელის დადგმა ძირ-თივისად, ნაწველ-ნაღვმებისად და მარლისად“

ჭირისუფალი ყოველთვის, როცა „დაკურთხეულ“ ცხენს ქერს აჰმედა, — ქერს შენდობას ეტყობა. ის ქერს ჯერ თოფრაში ჩაყრიდა და მერე სახელს დასდებდა: „სადაც შენ ხარ, შენიმც საჭმარი ას, შენს ცხენსამც აჰმეე. ცხენ შეჭროობითამც ნუ დავალონებსა-ღ მგებრთაში იქნებისა თუ ცხენთაში უქნამც ნუ ჩამარჩები ამხანაგებს“. შემდეგ ცხენს თოფრას თავზე ჩამოაცმევდა.

მარილსაც შენდობას ასე ეტყობდნენ: „ეს მარილიმც შენ გვეჭმარების, რა-დაც გინდ იმადამც გამოიყენებ — ცხენისად გინდ თუ სხვისად რაისად“. სახელ-დადებულ მარილს შეინახავდნენ და ყოველთვის იმ მარილს აჰმევენდნენ სულის ცხენს.

შემოდგომაზე, როცა თივას სასლში მოიტანდნენ და ზეინებად დასდგამდნენ ბან-კარზე, ჭირისუფალი ერთ ზეინს, რომელიც კარგი თივისაგან იყო აგებული, იმას სახელს დასდებდა მიცვალებულის სახელზე: „სადაც შენ ხარ, შენამც ხეშარობ ვემ თივას ცხენის საჭმელად; შენს ცხენს დასჭირდებისა, თუ სტუმარ ვინ მაგვი იმის ცხენს დასჭირდებისა. შენამც გვეჭმარების, შენამც გერგების, უთიოობაიმც ნუ შაგაწუხებს“.

შენდობა ნათქვამ თივის ზეინს სულის ცხენს აჰმევენდნენ და როცა ეს ზეინი გათავებოდა, ჭირისუფალი მეორე ზეინს დასდებდა სახელს. სახელის დაუღებ თივას ცხენს არ აჰმევენდნენ, არც ქერს და არც მარილს, რადგანაც შენდობა უთქმელი „საიქიოს მკვდართ არ ეხმარების და უქეიროდ, უმარილოდ და უთიოვოდ კი დალონდებისო, ცხენი დაუწყებს წუხებასო“.

თუ ოჯახს რძის ნაწარმოები უფუჭდებოდა ან რძე დაეღვრებოდა, მიცვალებულის სახელს დასდებდნენ რძეს და კარაქს: „ანაბრიე თხოულობს, ანაბრიე სჭირდება ზისცვარი პირის გასაღობად და კარაქი წყურულის მოსაპოხლოდ“ — ამზობდნენ ხოლმე, თუ მიცვალებული წყლულიანი იყო. თუ არა და „სხვისთვის სჭირდებაო“ იტყობდნენ: „სახლის მამყოლ იქნების ვინ, საღ და ჩვენ არ ვიცით“ — ო. სახელს დასდებდნენ თავის უფროსი მკვდრისათვის ან და ვინც ბოლოს გარდაიცვალა: „სადაც შენ ხარ, შენ ანდაბი ას, შენამც გვეჭმარების, შენამც გერგების ეს ზისცვარი, ეს საპოხი. რადაც გინდ, გჭირდების, იმადამც

გამაიყენებენ, შენ გუქირღებისა, თუ სხვა ვინ შამამბრუნავი მიხედავს, მიწვდას, მე არ ვიცოდ, მე არ ვიცნობდ, შენამც ვასცემ, შენამც მისცემ“.

19. „მიცვალებულის ზანი რდარინა“

როდესაც ხევსურეთში მიცვალებულს ასაფლავებდნენ, თუ ძველ საფლავს ამოსთხრიდნენ და იქიდან ძვლებს ამოიღებდნენ, იმ ძვლებს ერთად შოაგროვებდნენ, კარაქით „გაპოხდნენ“ და ისევე საფლავში ჩაყრიდნენ. თუ ძვალი „ზეპირ“ (მიწის ზემოთ) დარჩებოდა და მიწა არ მიეყრებოდა, მაშინ ამბობდნენ, დიდი წვიმა მოვა, ქვეყანას წალეკავს წყალი და აღარ იდარებსო. ხალხი იტყოდა: „ცა-ლურბელნ დასტირიან, ანაბრივ ძვალ დარჩ „ზეპირ“-ო. სასაფლაოზე ძვალის ძებნას დაიწყებდნენ და თუ ნახავდნენ, მიწას მიაყრიდნენ.

აგრეთვე თუ გვალვა დაიჭერდა და ზედმეტი სიციხეები, მაშინ სასაფლაოზე, კაცის ძვალს მოსძებნიდნენ და წყალში ჩაავდებდნენ: გაავდარდებო. თუ წვიმიანობა დადგებოდა ისევე მოძებნიდნენ ძვალს, წყლიდან ამოიღებდნენ და ისევე მიწაში ჩასდებდნენ, რომ გამოდარებულყო.

XXVII. წარმოღვინა „სულეთისა“ (საიქიოზი)

1. საიქიო

როდესაც აღამიანი მოსარჩენი არ იყო, ის „მკვდართ უქცევს“ (ელაბარაკება), მას მიცვალებულები გამოეცხადებიან და „სულეთისკე აწივენ“ (ეპატრიებიან). როდესაც მოკვდება, მაშინ „მგებრნი“¹ მოუვლენ. „მგებრნი“ ზოგნიცხენებით მოვლენ და ზოგნი ქვეითად. თუ მამაკაცი მოკვდებოდა, „მგებრებდა“ „დედიძემები“ და თავისი მოგვარეები მოუვიდოდნენ. ცოლეულები სიძის მგებრში არ წავიდოდნენ. თუ ქალი მოკვდებოდა, „ქალის მგებრთაში“ მოდიოდნენ „მამისახლი“ (მამის მოგვარეები), დედიძემები და ქმრეულები. თუ ყმაწვილი მოკვდებოდა, ქალი იქნებოდა თუ ვაჟი—დედიძემები და „მამიძემები“ მოდიოდნენ. „მგებრთაში“ მიცვალებული პირველად დედიძემებთან მიყავდათ და მერე ბრუნდებოდა თავის გვარში. თუ ქალი მოკვდებოდა მას ჯერ დედიძემებთან წაიყვანდნენ. მერე მამიძემებთან და მამიძემების შემდეგ ქმრეულებთან მიყავდათ.

სადაც ახლად მიცვალებული მიყავდათ: დედიძემებთან თუ მამიძემებთან,—ამას ეწოდებოდა „ანდაბში“ მიყვანა².

ქალი მამიძემების „ანდაბიდან“ ქმრეულების „ანდაბში“ მიდიოდა და იქ ჩრჩებოდა სამუდამოდ. ქალი თუ მეორე ქმარზე იყო გათხოვილი, საიქიოს პირველად პირველი ქმრის „ანდაბში“ რჩებოდა იმდენ ხანს, რამდენი ხანიც ცხოვრობდა პირველ ქმართან,—მერე კი მეორე ქმრეულის „ანდაბში“ მიდიოდა.

¹ მიცვალებულები, რომელთაც ახალი მიცვალებული მიყავთ.

² „ანდაბი“—საიქიოს მყოფი გვარები. თვითველი გვარი ცალ-ცალკე იყო ერთად-თავმოყრილი—„ანდაბ-ანდაბად“.

ამაოდ მორწმუნე ხეცსურის წარმოდგენით „სულეთი“ სამ ნაწილად იყოფა: სამოთხე, ჯოჯოხეთი და კუპრის ალი. როდესაც ახლად მიცვალებულს „სულეთს“ შეიყვანდნენ, მას პირველად „ბეწვის ვიღზედ“ გაატარებდნენ. „ბეწვის ვიღი“ კუპრის ალზეა გადაებული. კუპრის დიდი გუბე სდგას ძალზე გავარჯარებული, ისე ცხელი, რომ კუპრის გუბე სულ ცეცხლის ალად არის გადაქცეული. ცეცხლის ალიდან ცხელი „ონჩქარი“ (ონშივართი) ამოდის და „ბეწვის ვიღი“-ს ძირში ეხვევა. ვინც „სამზეოს“ დიდი ცოდვის მქნელია, ხიდიდან გადავარდება და კუპრის ალში ჩავარდება. კუპრის ალში ჩავარდნილი სულებს სთხოვს შველას და ევედრება, რომ ამოიყვანონ კუპრის ალიდან: „მიშველეთ, ამოყვანეთ“-ო. იქ მყოფი სულები ეტყვიან: „აბა რაად ამაგიყვანათ. შენ რა ამაგიყვანს მანდით, შენ სამზეოს რა მადლ გიქნავ, რომ იმ მადლმ ამაგიყვანას“. ვინც კუპრის ალში ჩავარდება, ის იკარგება, არც სულები ხედავენ მას და არც „სულეთის“ დემონს“ ეკითხება მისი არაფერი.

ვინც ნახევრად ცოდვიანია და „საკუპრისაღე“ არ არის, ის ხილზე გავა. „ბეწვის ვიღის“ იქით ძალიან დიდი, ტრიალი მინდორია; თვალი არ სწვდება. მინდორი ახალი ბალახით არის გამწვანებული და აქა-იქ ტყის ბურქებიც სდგას. მინდორის შუაში დიდი ციხეა. ციხე ისე მაღალია, რომ მისი წვერი ცამდე მიდის. ციხე ოთხი თვალია. ამ ციხეს გარედან აქვს მიდგმული კიბე წვერამდე. ციხის დიდი, განიერი და მაღალი კარები აქვს შებმული და კარებთან ორი-დიდი ძალი აბია: ერთი ერთ გვერდზე და მეორე მეორე გვერდზე. ამ ორი ძალის შუაში კარებთან ზის მეტად დიდი, ბებერი კაცი „სულეთის კარის ყარაული“. ამ კაცს აქვს თეთრი თმა, გრძელი თეთრი წვერი და უღვაშები. უღვაშები ყურებამდე და წვერი მუხლებამდე სწვდება. ვინც „ბეწვის ვიღს“ გავიდა, მას ამ კაცთან მიიყვანენ და ეს კაცი იტყვის, თუ სად უნდა შეიყვანონ. როდესაც ეს ბებერი გაუშვებს მკვდარს, ძაღლები გამოეკიდებიან. მკვდარი უბიდან „სავძალით“ ამოიღებს, რომელიც დასაფლავების წინ „სამზეოდან“ გაატანეს, ძაღლებს გადაუყრის და ისინი მოეშვებიან.

ამის შემდეგ სულს ერთ ოთახში შეიყვანენ, სადაც „ბჭენი“ სხედან, დაუდგამენ „საუნჯო“ სკამს და დაჯდება. „ბჭეთ“ ყველაფერი იციან მისი ჩანადგენი ცოდვა და მადლი. თუ საჯოჯოხეთთა ჯოჯოხეთში ვაგზავნიან; თუ მადლიანია, მაშინ იქ დასტოვებენ; სხვა მკვდრებთან. თუ ცოტა ცოდვა ედება და მეტი მადლი, მას ციხის ქვედა სართულში შეიყვანენ, სადაც ძალიან ბევრი ხალხია ერთად თავშეყრილი. თუ მადლიანია, მას მეორე თვალში (სართულში) დასტოვებენ. ქალ-ვაჟებს, რომლებიც „უწამებელი“ არიან: ქალი გაუთხოვარი და ვაჟი უცოლო, მათ მესამე სართულში ამყოფებენ. ბავშვები: ვაჟები თუ გოგონები, ციხის მეოთხე „თვალში“ (სართულში) არიან; ესენი ყველა მადლიანია. ძუძუმწოვარა ბავშვები ციხის თავზე არიან ანგელოზებმად, რომლებიც ზედა სამ სართულში ცხოვრობენ, ისინი კიბით აღიან და ჩამოდიან. ვინც „ძირის თვალში“ (ქვედა სართულში) ცხოვრობს, ისინი კარებიდან შედიან და გამოდიან. ჯოჯოხეთი ბნელი ადგილია, ძალიან კუდი სამყოფელი. იქ არც სინათლე აქვთ და არც გართობა-გახარება. იქ ცოდვიანების საწამებელია. მათ არც „ხითთ შუქი ადგებათ“. არც სამზეოდან ნალოცი ტაბლა მიუღდისთ, არც კვირა-

ობით „ხითთ ულუფა“ აქვთ გამწესებული, არ ედგმით ულუფა. და ვერც მადლიან მკვდრებში გაერევიან. სამოთხე კი მადლიანთ სამყოფი ადგილია, სადაც „ხითთ შუქი ადგება“. იქ „ხითის ულუფა“ კარგი აქვთ. იქ მყოფი ქალ-ვაჟი სულ მხიარულობს და სულ ლაღად არის. სამოთხეში დიდი ლხინი და გართობა აქვთ. დილა-საღამოობით მინდორზე გამოდიან და ლხინს მართავენ. უკრავენ ფანდურს—ტაში და ფანდური აქვთ გამართული, სიმღერა, ერთიმეორის გაზარება და სხვა.

„სულეთში“ მეტად უყვართ მხიარულობა, მით უმეტეს მაშინ თუ „სამზეს“ ხალხი მხიარულობს. სულეთში მყოფი სულელები თხოულობენ სამზესს მყოფ ხალხისაგან მხიარულობას, „ტომ-ფანდურს“ და გართობას. მით არ უყვართ არც ტირილი და არც გლოვა სამზესს მყოფი პატრონებისა. თუ ოჯახში ძალიან გლოვა-ტირილია, სულეთში „ხკრთებიან“ და სახლში აღარ მიდიან. რომელ ოჯახშიც მხიარულობენ და „ტომ-ფანდურს“ უკრავენ, მკვდრები იქ მიდიან და „უჩინ-რად“ (შეუმჩნევლად) ყურს უდებენ. სამოთხეში მყოფი სულელები დილა-საღამოს ერთად იკრიბებიან, ერთად თამაშობენ. ხელი-ხელ ჩაქიდებული ქალ-ვაჟნი ციხეს გარშემო უღლიან და ისე მღერიან. ციხის გარშემო ტრიალ მინდორზე ცხენებს აჯიბრებენ. ვისაც ცხენი არ ყავს, ისინი მაყურებლად გამოდიან და ცხენების ჭენებას უცქერიან.

მოჯოხნეთში მყოფი სულელები ასეთ გართობას მოკლებულნი არიან.

მინდვრის შუა გულში წყლის დიდი გუბე დგას. ამ გუბეში დილა-საღამოს მხედრები ცხენებს ჰბანენ. ქალები ამ გუბეში თავს იბანენ. ტრიალ მინდორში გრძლად სუფრაა გაშლილი. ამ სუფრაზე აწყვია ყველაფერი ის, რასაც სამზესს შენდობას ეტყვიან: პური, ქაღები, ქაღის-კვერები, ხორცი, ყველი, ერბო, ხავიწი, ზისცვარი (რძე). წყალი დადგმულია: თულუნებით, თუნგებით, „კოთაებით“ და სხვა ჭურჭლით. ლუდი დადგმულია: საწდებით, ჩხუტებით, თასებით და სურებით. არაყი დადგმულია: „გაკეთებული მინაებით“ და საარაყე ჭურჭლებით. სუფრაზე თავიდან ბოლომდე სანთლებია გამწკრივებული. შუადაშუა დიდი კელაპტრები ანთია. სუფრას „ხითთ“ შუქი ადგია და განათებულია. მაც სუფრაზე აწყვია, მას არც სვამენ და არც სჭამენ. სურფას არაფერი აკლდება.

როდესაც ახალგაზრდები „ცხენთ რბოლებს“ გაათავებენ, სუფრაზე დასხდებიან; სუფრაზედაც ძალიან მხიარულობენ. „ზედამდეგნი“ ერთ ჯერად ვერცხლის „კოჭობით“ (თასით) რაღაც სასმელს ჩამოარიგებენ. მარტო ამას დალევს ყველა; დანარჩენს არაფერს არ დაეწევიან. ამ უცხო სასმელს უფრო მხედრებს ასმევენ, რადგანაც ისინი დალილინი არიან. ვინც საიქიო „მაიხილა“ (ცოცხალმა ნახა სიზმარში, ან მოკვდა და მერე ისევ გაცოცხლდა), თუ მას ეს სასმელი დააღვინეს—მოკვდება, აღარ დაბრუნდება, თუ არ დააღვინეს—სამზესს დაბრუნდება.

ვინც საიქიოს „მაიხილავს“, „კაცის დღეს“ გაიგებს, რადგან სულელების ლაპარაკს მოუსმენს, აქვს თუ არა მოახლოვებული სიკვდილი. აგრეთვე როდესაც ის გამობრუნდება „სულეთიდან“ და გზაში შეხვდება სულეთისკენ მიმავალი „ცოცხალი“ კაცი, რომელიც მკვდრებს მოყავთ სულეთისაკენ,—ეს უკვე ნიშანია, რომ მას „დღე“ მოახლოვებული აქვს.

საიქიოს ყველაფერს ადრე გაიგებენ, თუ სამზეოს ვის რა მოეღოს. პირველად სულეთში გააჩვენებენ სამზეოს ბედ-ილბალს, სამზეოს საიქიოს განაჩენის თანახმად მოხდება ყველაფერი. იქ იციან—ვინ როდის მოკვდება ან ვის რა ბედი აქვს ცოლქმრობაში: ვაჟი ვის გაუჩნდება ან ქალი. — ამას ყველაფერს სულეთში გაიგებენ, სანამ სამზეოს შესრულდება. აგრეთვე სამზეოს თუ მტრები არიან შესარიგებელი, ძალიან ბევრიც რომ ეცადნენ „რჯულის კაცები“ ვერ შეარიგებენ, სანამ საიქიოს არ გადაწყვეტენ მათ შერიგებას. აგრეთვე თუ ვინმემ სამზეოს კაცი მოკლა, ამასაც საიქიოს გადაწყვეტენ. როდესაც მესისხლე მტრებს არიგებენ, ჯერ საიქიოში უნდა შეარიგონ. სანამ „სულეთს“ არ დასხდებიან რჯულის კაცი და არ გააჩვენებენ მათ საქმეს, მანამდე სამზეოს მესისხლე მტრებს ვერ შეარიგებენ. მათი შერიგება არ მოხდება, სანამ სულეთიდან ხელს არ მოუშარბათ. როდესაც სამზეოში მოხდება მკვლელობა, როგორც აქ ვადაემტრებიან ერთმანეთს გვარები, აგრეთვე სულეთშიაც, — იქაც „აირვივან“. რაც სამზეოს მოხდება გაჭირდება თუ დალხინება, ქორწილი თუ სხვა, — „სულეთაც“ მკვდრები მონაწილეობას ღებულობენო.

ავადმყოფობის დროს თუ ვინმე ისე იყო ავად, რომ სიკვდილი მოსალოდნელი იყო, საიქიოს მაშინვე გაიგებდნენ და „სულეთის“ ღმერთს სთხოვდნენ: ნუ დაალონებ ოჯახს, ნუ მაამორებ სამზეოსო და სხვა. ამას მიცვალებულები მესულთანის პირით შემოუთვლიდნენ ავადმყოფის პატრონებს: „ძალიან ვებეწეებით სულეთის ღმერთს, მუკლის კვრით უგორდებით ყოველ „ცისკარს“ (დილას), მაგრამ რაიც დაბადების დღით სწერებოვ, იმას აქით ვერას ვაშველებთ“—ო.

როდესაც ახალ მიცვალებულს მებატრონე სამარხ-საქანარს გადაუხდოდა, საიქიოს ნალოცი მიუვიდოდა, საიქიოს ერთი „ანდაბი“ მეორე „ანდაბს“ დააბატებოდა და გაიმართებოდა სტუმრობა.

ამ წვეულებაში მხოლოდ ისინი ვერ მიდიოდნენ, ვისაც სამზეოდან შენდობის მთქმელი არავინ ყავდა ან სამარხი არ გადაუხადეს: მათ ძალზე რცხენიათ და შორს სდგებიან. სამოთხეში ვინც არის მათ კვირობით ხვთით ულულუა მოუღის და ამ დღეს სამზეოდან რაც ილოცება მიცვალებულთათვის, არ სჭირდებათ, არ ღებულობენ, რადგანაც იმ დღეს ღვთის ულუფით არიან კმაყოფილები. „სულეთში“ მყოფთ ტანისამოსიც უცვდებათ. მოზარდებს იგი უმოკლდებათ, რადგან იქ განაგრძობენ ზრდას. ამიტომ თუ მოზარდი მოკვდებოდა, პატრონი რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ხელ ტანისამოსს დაამზადებდა იმ ზომისას, რა ზომისაც სჭირდებოდა მიცვალებულის ტოლს—ცოცხალს. ამ ტანისამოსს მიცვალებულის ტოლს მიცემდნენ, რადგანაც საიქიოს მკვდარს მოხმარებოდა.

ვისაც სამზეოს გამსხენებელი და პატრონი ყავს, მათი მკვდრები ბედნიერებად და ვისაც საიქიოს ნალოცი არ მიუღის, ან ახალგაზრდებს ცხენები არ ყავთ,—ისინი ძალიან იტანჯებიან და ტოლ-ამხანაგებს ჩამორჩენილი არიან.

როდესაც ძუძუმწოვარი ბავშვი მოკვდება, მას თავისი „ამბოკვარი“ (მომგლეო) ჩაიბარებს, „აღუმებს“ (აწყნარებს, უყვავებს მტირალ ჩივლს) და უგლის. სამზეოდან პატრონი რძეს „სახელს უღებს“, — შენდობას ეტბნება მალე: „ვინაც ჩემის ყმაწვილის ამბოკვარი ხარ ამითამც აღუმებ, ამ ასახვრე-

ტიომაც უღობო პირს, უძუქუობითამც ნუ შავაწუხებს, უსახერეტოობითამც ნუ დაგალონებს. შენიმც საგმარია ეს ზისცვარი“.

პატარას ყველა უელის, ხელიდან-ხელში გადადის და „აღუმებენ“, რომ ძუძუ არ მოითხოვოს.

თუ ვინმე სამუხოს სიზმარში ნახავდა, რომ სულეებმა შავი ქალაღი მოუტანეს ან ვისმე სხვას მიუტანეს—ეს იმის ნიშანი იყო, რომ ის მოკვდებოდა. ვინც „საიქიოს გაციდის“, „მაიხილავს“, ის ხედავს რომ საიქიოს „მწერენლი“ სწერენ შავ ქალაღებს იმათ სახელზე, ვინც უნდა მოკვდეს. ვის სახელზედაც დასწერენ, ის მალე მოკვდებაო, იტყვის „საიქიოს გამცდელი“.

2. საიქიოს „ბახილვა“ (ნახვა)

საიქიოს ნახვა მძიმე ავადმყოფობის დროს სიზმარში ხდებოდა.

მოგვყავს ერთ-ერთი „მნახელის“ ნამბობი, რომელსაც მძიმე ავადმყოფობის დროს „უნახავს“ საიქიო: „წამიყვან ორმ კაცმ უცნობმ, დიდ მინდორში მიმიყვანეს, იქ იღვ ერთ ციხე, ციხეს შავი მალალ კარები ებ, კარები ყვითლით რაითამ იყვ „მასყედლიო“ (მოვარაყებული). კარ გააღეს-ად ხალხი შავედით. იქ ბევრ ხალხ ისხდ. დედროვან ცალკედ ისხდ, მამროვან ცალკედ. ხალხ სადაც ისხდ, იმ ოთაღი მალალ მკლავის სისქე საბელ იყვ გამბულ. საბელზედ სათლები ენთ, სათლები სინათლეს აძლევდ ხალხს. ვინაც ბებრები-დ ძალიან აოღმყოფებ იყვ ისეები ყველან მჭარგვერდზედ იყვენს მიტყულები (მიწოლილი), ყველას წინ ტაბლა ეღვ. ტაბლაზედ ლუდიან საწედები-დ არაყიან ქურკლებ იღვ. ტაბლაზედ, სადაც ხინკალი-დ ფაფა იღვ, იმას ყველას მირდლი (ობი) ხქო მაკიდებული (მკედარნი არც ხინკალს ჭამენ და არც ფაფას. „არც ილოცების ფაფაი-დ ხინკალი“).

„რომენ ტაბლაზედაც კეცეულებ ელაგ, ის ტაბლები ვასუფთავებულ - ვანათებულლებ იყვ. საჭმელს არც ვინ არ ჭამდ. ტაბლას უახრებდესად, ყველას უნაროდ. ხალხი ამას არც ვინ არ იღებდ. ყველანივ გაწუმებულენ იყვენეს. სადაც დედროვან ისხდ, იქ ერთ ბებერ დიაც ერივ. ყველაზედ სქელი-დ მალალ იყვ. ის დიაცების მეთაურ იყვ. ის დიაც ადგ, კელჩი ბურნითიან მჭვარ ეჭირ. დიაცების ჯარს ჩამაურ წინ, ვინაც ბურნითს სწევდ იმათ ბურნით შაყრივ. მე სრუ ბოლოში ვიჯე. ჩემთან რო მავიდ ბურნითიან მჭვარ გამამიწვად. მე ტიჯილ დავიწყი. სრუყველამ ჩემსკე გამახენ, ყველას შავებრალდი, თქმით კი არც ვის არა უთქვამ. ტირილით ვუთხარ იმათ, ვინაც შამამიყვან, აქ არ მინდავ, იქავ შინ წამიყვანეთავ. დიაცმ კელით ალიშნ, წაიყვანეთავ. მე რო გამამაბრუნეს გზანი ორთ შავთ კაცთ ერთ კაც მახყვანდ. იმ კაცის თორ-პილ არ მანახვიეს (სახე არ მაჩვენეს). ის კაც იზიდებოდ, კელჩით ვასაგლეჯად ემზადებოდ. კარებს რო გამამაცილეს, ორივ კაც გაქრ. მემრ მეავ გამამეღვიძ.

მე რო გონს მავედ, ჩემ მამა მამკედარიყვ. ის ყოფილა, ჩემ მამის სულნ იყვენეს გზანი რო შამყარეს. თორ-პილ იმით არ მანახვიეს, რო ტირილს დავიწყებსავ, აქაურობას ახმპურებსავ. საიქიოს ძალიან ჩუმად არიან. თავგის ფხაქუნიც აწინებს სადამ“-ო.

XXVII. სახელოვან წინაპართ ხსოვნა

1. ალიათ მგელა და მისი საფლავი

ალიათ მგელა არხოტს ხელოსანი იყო (ხატის მოსამსახურე), ის მკითხავიც ყოფილა. „ქაცის დღეს იგებდა“: იცოდა ვინ მოკვდებოდა და ვინ მორჩებოდა ავადმყოფობის დროს, როდესაც ალიათ მგელასთან მივიდოდა ავადმყოფის პატრონი,—ალიათ მგელა მაშინვე გაიგებდა ავადმყოფი მოკვდებოდა თუ არა. თუ ასეთი ავადმყოფის პატრონი „ჯვარში“ საკლავს-სამხვეწროს მოიყვანდა დასაკლავად, მგელა საკლავს არ დაკლავდა. თუ ავადმყოფი არ იყო მოსარჩენი, ის ეტყოდა ავადმყოფის პატრონს: „შენი ავადმყოფი არ მორჩება და საკლავი რომ არხოტის ჯვარს დაუტკლა, არხოტის ჯვარი შერცხვებავო და მას სირცხვილიანი არაფერი არ უნდა“—ო.

როდესაც მგელა გამხდარა ავად, მას გაუგია, რომ მოკვდებოდა. უთქვამს თავისიანებისთვის: მე ხვალ მოკვდები, როდესაც მზე გადაიხრებაო. ალიათ მგელა ჯვარის საყვარელი ხელოსანი ყოფილა და ხალხიც თურმე მეტად დიდ პატივს სცემდა და ხათრც ჰქონია მისი. როდესაც მგელა კვდებოდა მას უთქვამს: მთავარ-ანგელოზმა ჩემი სასაფლაო წმინდა ადგილას,—თავის ტყის ძირში „ფურთ ვაკიაზე“ მომიზომა და იქ დამსაფლავეთო. როდესაც მომკვდარა იქ დაუსაფლავებიათ, სადაც მას უთქვამს. მგელას საფლავი წმინდად იყო შენახული. მას დედაკაცები ახლოს არ ეკარებოდნენ.

მგელას საფლავზე ქვის კოშკი იყო დადგმული. კოშკი პატარა იყო, თალი ჰქონდა გაკეთებული, სადაც ანთებულ სანთელს მიაკრავდნენ. საფლავს დაბალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავანს შიგნით არც მამაკაცები შედიოდნენ, ხელოსანი თუ მივიდოდა და სანთელს დაანთებდა. მგელას წელიწადში ერთხელ დღეობასაც უხდიდნენ მისი შთამომავალი ალიანები (ჯაბუშანურები). დღეობას ამალღება დღეს იხდიდნენ, ლულს ადუღებდნენ, მგელას საფლავზე წაიღებდნენ, ერთ ცხვარსაც წაიყვანდნენ, რომელსაც იქვე დაკლავდნენ; ხორცს მოხარშავდნენ, პურებს და ქაღებებს წინა დღითვე გამოაცხობდნენ და მათაც იქ წაიღებდნენ. როდესაც ტაბლას დასდგამდნენ, ტაბლაზე სატაბლო პურებს დააწყობდნენ, სამ-სამს ერთმანეთზე. სამ ხავიწიან ქადას გამოაცხობდნენ. ქადაზე სამ სანთელს დააკრავდნენ. იქ სამ „ჩხუტ“ ლულსაც წაიღებდნენ. როდესაც ხატის ხუცესი საკლავს დაკლავდა, ის ამ საკლავით მგელას სულს მთავარ-ანგელოზს ახვეწებდა და იტყოდა: „მგელაის სულის სახვეწწარ იყოს და სამწყალობენლო ცოცხლებისაო“.

როდესაც ალიათ მგელას დღეობას იხდიდნენ, ალიანები თავის სოფლიდან ყველას დაპატიებდნენ, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს. საფლავთან ტაბლას დგამდნენ, მამაკაცებისათვის ცალკე, ქალებისათვის ცალკე და ლულსაც ასმევდნენ.

აქ ზედმეტად მზიარულებდნენ, მღეროდნენ, თამაშობდნენ, ოხუნჯობდნენ და სხვა:

2. ბერდიათ გაბა და მისი ღლეობა

ბერდიათ გაბა გადმოცემით ამლის „რკინის ჯვრის“ ხელოსანი ყოფილა. თურმე ძალიან ბედ-იღბლიანი კაცი იყო. მისი შვილ-ბოლო ძალიან გამრავლებული ყოფილა: ბევრი ვაჟი ყოლია. ხატს ძალიან ყვარებია. ქისტებთან ომის დროს რკინის ჯვარი—მისი სალოცავი, ძალიან ეხმარებოდა და უმართავდა ხელს. ხალხსაც ძალიან დიდი რიდი და პატივი ჰქონდა მისი, რადგან რკინის ჯვრის ხელოსანი იყო და იმავე დროს ბევრი შვილის პატრონი. როდესაც ის მომკვდარა, დასაფლავებით, თუმცა საერთო სასაფლაოზე დაუსაფლავებით, მაგრამ მის საპატივცემოდ მისი ღლეობის გადახდა დაუწყებიათ.

გაგას ღლეობას იხდიდნენ დეკემბერში, იმ ხატში, სადაც ის ხელოსანი იყო (რკინის ხატში). ამ ღლეობას მისი შთამომავალი ბერდიშვილები იხდიდნენ და ეხვეწებოდნენ მის „დავლათს“ (იღბალს). გაგას ჩამომავლობა მის ღლეობაში ერთ საუკეთესო ცხვარს დაკლავდა. წინასწარ ხუთ „ჩხუტ“ ლუდს მოხარშავდა და ტაბლას დასდგამდა. ტაბლაზე სატაბლო პურებს დააწყობდნენ ერთ-ერთზე თითო სანთელს აანთებდნენ. ჯვარის ხუცესი ტაბლას „მა-აქსეიება“ (იხუცებდა); ხალხი გაგას სულს ეხვეწებოდა: „შენმა იღბალმა გვიშველას და გაგვამრავლოს შენი ჩამომავლობაო“. მერე ტაბლას დაუდგამდნენ მამაკაცებს იქვე ჯვარში და დედაკაცები კი, რადგან ხატში (ჯვარში) ვერ მიდიოდნენ, მოშორებით დასხდებოდნენ, იქ გამოუტანდნენ მათ ლუდს და ტაბლას. ამ ღლეობაშიც მეტის-მეტად ლხინობდნენ და თამაშობდნენ.

მიცვალებულის კულტი ბარისახოს თემში

ზოგადი წესები

როდესაც ბარისახოს თემში ავადმყოფი გარდაიცვლებოდა, ოჯახი ხმამაღლა ტირილს დაიწყებდა. სოფელი ტირილის ხმაზე მივიდოდა. მამაკაცები სახლში შევიდოდნენ, ზოგი გარეთ დაჯდებოდა. დედაკაციები კი ყველა შედიოდნენ მიცვალებულთან. ვინც მიცვალებულს „მიკვლავდა“ (მიეკარებოდა, შეეხებოდა), ის მიცვალებულს „ტალავარს“ გახდიდა. „სულამაე“¹ ში (სულის ამოსვლის დროს). მიცვალებულს თბილი წყლით გაბანდნენ და ერბოთი „გახპობდეს“ (ერბოს წაუხებდნენ ტანზე). თუ მიცვალებული მოხუცი იყო მას არც გაბანდნენ და არც გაპობდნენ. გაბანის და გაპობის შემდეგ ახალ „ტალავარს“ ჩააცვამდნენ. ჩაცმის შემდეგ გარეთ „დარიფანჩი“ გამოასვენებდნენ. „დარიფანჩი“ ფიცრებს დააწყობდნენ, ფიცრებზე ჯერ „ფლასს“ დააფენდნენ, მერე ხალიჩას გაშლიდნენ. თავქვეშ საბანს დაუდებდნენ ბალიშის მაგიერ და მიცვალებულს ზედ დააწყენდნენ ისე, რომ თავი დასაველეთისაკენ ჰქონოდა.

მიცვალებულის იარაღს ზედვე დააწყობდნენ. სადაც მიცვალებული დასვენებული იყო იქ „ქანდარაზე“ მის ტანისამოსს ჩამოჰკიდებდნენ. ამის შემდეგ მთელი სოფელი წილს ჰყრიდა და ვისაც წილი შეხვდებოდა ის წავიდიდა „მტყობიელ“ სოფლებში. „ჭირის მტყობიე“ იგზავნებოდა იმ სოფელში, სადაც ჭირისპატრონს ნათესავეები ჰყავდა. „მატირალნი“ მოვიდოდნენ, იტირებდნენ მიცვალებულს და ჭირისპატრონს ჭირს უწყენდნენ. საღამოზე ყველა მოტირალი წავიდიდა თავიანთ სახლში. დარჩებოდნენ მხოლოდ „ნარევეები“. როდესაც მზე ჩავიდიდა, „ცივს“ (მიცვალებულს) ისევ შინ შეიტანდნენ. მიწაზე ფარდას გაშლიდნენ, ზედ ხალიჩას დააფენდნენ და მიცვალებულს მასზე დააწყენდნენ.

ღილით, მზე რომ ამოვიდოდა, მას ისევ გამოასვენებდნენ და ღერეფანში დაასვენებდნენ. დასაფლავების დღედ მიღებული იყო შაბათი, სამშაბათი და ხუთშაბათი. სხვა დღეებში დასაფლავებია არ შეიძლებოდა. დასაფლავების დღეს სოფელს შეატყობინებდნენ: ერთი ვინმე ხნიერი მამაკაცი ბანზე ავიდოდა¹ და იქიდან დაიძახებდა: „პურ უნდა გამოვაცხოთ“ („სასამარხე“). ღომლებს შეუთებდნენ ცეცხლს². დამარხვამდე, წინაღლით, „ცხენ ტაბლებს“, „საკმითმატიროლოებს“ და „სანერბიელოებს“ გამოაცხოებდნენ. რა დღესაც მარხავდნენ, იმ დღეს სატაბლო „მაჭრებილ“ პურებს გამოაცხოებდნენ. როდესაც ღომლები გახურდებოდა, ჭირისპატრონთან მივიდოდა ოთხი ან ხუთი ქალი, ცოლს მოზელდნენ და პურებს გააკეთებდნენ. ეს „პურები“ ღომლებში მიჰქონდათ. გამოცხევა-

¹ ვინმე დამსწრე უფროსი მამაკაცთაგანი.

² პურის ცხობა ჭირისპატრონის სახლში არ ხდებდა.

რი პური ჭირისპატრონის სახლში მიჰქონდათ. ერთ ქვებ არაყსაც გამოხდიდა ჭირისპატრონი. ტაბლას „დააგებდნენ“: ორ-ორ პურს ერთიმეორეზე დააწყობდნენ, ზედ ყველს დაადებდნენ. ხავიწს ქვებით მოიტანდნენ. სამ ან ხუთ ჯამში ხავიწს დაასხამდნენ (ჯამები კენტი უნდა ყოფილიყო) და ტაბლაზე დასდგამდნენ. ტაბლაზე თხუთმეტ სანთელს დაანთებდნენ. ტაბლას სულის ხუცესი „შანდობას“ ეტყოდა.

ამის შემდეგ სოფელს დაუძახებდნენ: „მატირალნი მახლიოდათავ“. ტაბლის დალოცვის შემდეგ ცხენს „დააკურთხევიდნენ“. სადაც „ცივი“ ესვენა იქ მოიტანდნენ ცხენის ტაბლას. ტაბლაზე ეწყობა: შვიდი გულიანი „კეციული“, შვიდი „კუბატი“ და შვიდი „კმიადი“ (პატარა პურები) და ერთი „ნახელიტრა“ (ჭურჭელია) არაყით სავსე. „ცხრავევ“ სანთელს აანთებდნენ. ერთ სანთელს ტაბლაზე დააკრავდნენ, ერთს „ნახელიტრაზედ“ და დანარჩენ სანთლებს იმათ მისცემდნენ ხელში, ვისაც არყიანი ყანწები ეჭირა. ერთ სანთელს და ერთ ყანწს სულის ხუცესი დაიჭერდა ხელში. „სულის“ ცხენს მიიყვანდნენ. ცხენის „სამბურს“ (თოკს) მიცვალებულს ხელზე მოახვევდნენ. თოკზე ცოლსაც ეჭირა ხელი (თუ ცოლი არ ჰყავდა, მაშინ დედა ან და დაიჭერდა).

„სულის“ ცხენს უნავირს ადგამდნენ, ზედ ნაბადს დააკრავდნენ და იარაღს დაჰკიდებდნენ. სულის ხუცესი „კურთხევით“ (სულის ხეცობა) რომ მოათავებდა, ცოლი მარჯვენა ხელით ცხენს მათრახს დაჰკრავდა და იტყობდა: „შენიმე საკმარი ას ვს ცხენი, უცხენობითამც ნუ ღონდები, წინაშამც იქნები, უკენაშამც ნუ დასჩები“. ცხენის დაკურთხევის შემდეგ „ცივს“ „ნარევი“ ასწევდნენ და წაასვენებდნენ. უკან მიყვებოდა მოტირალი ქალი და კაცი. შუა გზაზე დაასვენებდნენ. სადაც დაასვენებდნენ იქ სულის ხუცესი ერთ „ცხენ ტაბლას“ და „სანერბილოებს“ დალოცავდა. მხედრები ცხენებით „ცივს“ და მოტირალს სამჯერ გარს შემოუფელიდნენ და მეორე სოფელში წავიდოდნენ, სადაც მიცვალებულის ნათესავებს ჰქონდათ „ცხენ-ტაბლა“ დადგმული.

„ნარევი“ მიცვალებულს წაასვენებდნენ სასაფლაოზე. „მატირალი“ დედაკაცები და მამაკაცები უკან დაბრუნდებოდნენ ჭირისუფლის სახლში და იქ მათ მასპინძელი ტაბლას დაუდგამდა. საღამოზე სტუმრები წავიდოდნენ. დარჩებოდნენ ახლო ნათესავები და ბიძაშვილები. „ნარევი“ მიცვალებულის სახლში ორ ღამეს ათევდნენ¹. სადაც „ცივი“ ესვენა იმ ადგილას წყალს დასდგამდნენ და სანთელს უცვლიდნენ: სანთელი მთელი ღამის განმავლობაში არ უნდა ჩამქრალიყო. მიცვალებულს რომ დასაფლავებდნენ, იმავე საღამოს „საპირიკს-ნოს“ დაკლავდნენ. მეორე დღით ხორცს მოხარშავდნენ, ტაბლას დააგებდნენ, სოფელს დაუძახებდნენ. ერთი ვინმე უფროსი კაცი დაუძახებდა: „მატირალნი მახლიოდათავ“. სოფელი მივიდოდა—ქალი და კაცი. ტაბლას სულის ხუცესი დალოცავდა და ხალხს მიიწვევდნენ. ჭირისპატრონი, თუ არაყი ჰქონდა, ასმევდა. მოსულ მოკეთებს, მეზობლებს კი არ ასმევდა-არ ევალებოდა. ჭამის შემდეგ ხალხი აიშლებოდა და წავიდოდა.

¹ პირაქეთ ხვესურეთში ორ ღამეს სტეხენ, პირიქითში ერთს.

დასაფლავებიდან ორი კვირის შემდეგ ჭირისპატრონი არაყს გამოხდიდა, სულის ხუცეის დაუძახებდა და სოფელში მოკეთებებს დაჰპატივებდა. ტახტს გააწყობდა: ტახტში ჩალას ჩააგებდა, ფარდაგს გადააფენდა, ზედ ხალიჩას და ნაბადს გადააფარებდა. ტახტის გვერდით ქვემოთ მიწაზე ხალიჩას ან ფარდაგს გაშლიდნენ და ზედ მიცვალებულის ტანისამოსს და იარაღს დააწყობდნენ. წინასწარ გამოაცხობდნენ შვიდ ხაფიზიან ქადას და „კუბატებს“. ტაბლაზე დააწყობდნენ ქადებს და ქადებზე „კუბატებს“. ტაბლის გვერდით არყით სავსე ჭურჭელს დასდგამდნენ. „უსმელა“ წყალსაც (ახლად მოტანილ წყალს) დასდგამდნენ. შვიდ სანთელს დაანთებდნენ: ერთ სანთელს სულის ხუცესი დაიჭვრდა ხელში, ხოლო დანარჩენებს ტაბლასა და ტახტზე დაანთებდნენ. სულის ხუცესი ტაბლას, ტახტსა და „ტალავართ“ შენდობას ეტყოდა: „სადაც შენ ხარ. (სახელს იტყოდა), შენამც გეკმარების. ემ ტახტს საწოლადამც გამაიყენებ. ეს ტალავარი შენამც გეკმარების, შენამც იკმარებ გაუცვეთლად. გაუცვეთიმც გეჭმების, გაუგლეჯიმც გეჭმების; ეს ტაბლაიც შენამც გეკმარების. რაადაც გინდ. იმადაც გამაიყენებ. საგძლად გინდ თავისად, თუ მამყოლ სწორ ამხანავისად. ეს არაყიც შენამც საკმარი ას, სტუმართანამც ნუ რაით დალონდები“. დალოცვის შემდეგ ტანისამოსს „ტახტში“ ჩააწყობდნენ და ზედ ნაბადს წაახურავდნენ.

ჭირისპატრონი რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგებოდა „სანთელ ღღის“ მზადებას. „სანთელ ღღე“ უნდა გადაეხადათ სიკვდილის დღიდან შვიდი კვირა რომ შესრულდებოდა, ან ცხრა კვირა. კვირების რიცხვი კენტი უნდა ყოფილიყო. „სანთელ ღღეს“ ჭირისპატრონი ლულს ალულებდა. ამ ღღეს ცხენ-ღოლს არ იხდიდნენ, ხოლო თუ „უკეთი იყო“ (ახალგაზრდა ვაჟი) მიცვალებული, მაშინ კი „ურბოლოებდნენ ცხენით“, გამართავდნენ „ცხენ-ღოლს“. დღით სოფელს დაუძახებდნენ: „მატირალნი მახდიოდათაე“-ო. სოფლებში მოკეთებებს შეუთვლიდნენ: „სანთელ ღღეს ვიკდით, მოდით“-ო. მოკეთებები არყით მოდიოდნენ.

შუადღეზე ხალხი შეიკრიბებოდა: „ტალავართაზე“ დედაკაცები იტირებდნენ: „კმით მატირლები“, „მესულთაენები“ და სხვა. ტირილის შემდეგ ხალხს ლუდ-არაყით გაუმასპინძლებოდნენ. დედაკაცებს დასვამდნენ, „ტაბლას ჩამაურიგებდნენ“ (ორ ქალს ერთად დაუდებდნენ ორ კვერს, კვერებზე ხორცს და ყველს დაუწყობდნენ). ოთხ „ზედამღვს“ ამოირჩევდნენ: ორი ლულს ასმევდა და ორიც არაყს. სანამ პურისჭამას დაიწყებდნენ, სანთელს ჩამოურიგებდნენ (ყველას ხელში მისცემდნენ თითო სანთელს). ვინც „ტაბლაზე“ იჯდა სანთელს აანთებდა. სანთლებთან ერთად თითო „კვერულს“ ჩამოურიგებდნენ (პატარა პურები). ვიდრე სანთლები ნახევრად არ დაიწვებოდა, პურს არ სჭამდნენ, არც ლულს და არაყს დალევდნენ. სანთლები ნახევრად რომ დაიწვებოდა, ერთად შეაგროვებდნენ და კედელზე მიაკრავდნენ. შემდეგ იწყებდნენ პურისჭამას და ლუდ-არაყის სმას.

დედაკაცები რომ ტაბლიდან ადგებოდნენ, მამაკაცებს დაუდგამდნენ ტაბლას, მამაკაცებს სანთლებს არ აჭერინებდნენ. საღამო ხანს, რამდენი კომლიც იყო სოფელში, იმისდამხედვით წილს ჰყრიდნენ, თუ ვის რამდენი სტუმარი შეხედებოდა; ვისაც შეხედებოდა „წილით“ (კენჭის-ყრით) სტუმარი, ის წაიყვანდა სახლში და იქ გაუმასპინძლებოდა: ასმევდა არაყს, დაუდგამდა ტაბლას,

ხინკალს, ქაღებს და ქადის კვრებს აჰმევედა. სტუმრები ღამეს იქ გაატარებდნენ. მეორე დილას სტუმარი და მასპინძელი ისევ ჭირისპატრონის სახლში მიდიოდნენ, ლუდს და არაყს სვამდნენ. შუადღისას სოფელს დაუძახებდნენ: „მატირალნი მაზდიოდათაჲ“-ო. სოფელი მოვიდოდა. დედაკაცები „ტალავართ“ გაშლიდნენ; მამაკაცები „ტაბლას“ დააგებდნენ. ტაბლას და ლუდიან კოდს სულის ხუცესი დალოცავდა (ერთ კოდ ლუდს „სანთელდღეს“ დასტოვებდნენ მეორე დილისათვის—„წელთავებისად“). ტაბლის დალოცვის შემდეგ ხალხს „ტაბლაზე“ დასვამდნენ. ტაბლაზე ქალებს ცალკე დასვამდნენ და მამაკაცებს ცალკე. საღამოს სტუმრები სახლში წავიდოდნენ. ჭირისპატრონი სტუმრებს შუაგზამდე გაჰყვებოდა და თან ლუდსა და არაყს გააყოლებდა.

მესამე დღეს ჭირისპატრონი „სულამაის დღეს“ გადაიხდიდა¹. ლუდიან კოდს, რომელიც შენახული იყო წინანდელ ხარჯებიდან, დალოცვინებდა. დილით სოფელს უძახებდა: „მატირალნი მაზდიოდათაჲ“-ო. სოფელი მოვიდოდა. დედაკაცები „ტალავართ“ გაშლიდნენ. ტირილის შემდეგ „ტალავართ“ აიღებდნენ. ერთი ქალი აღგებოდა, ტანისამოსს ხელზე გადაიკიდებდა და რაზედაც ტანისამოსი ეწყვი იმ ფარდავს გადაჰბერტყავდა. ტანისამოსს მოშორებით დააწყობდნენ. ტანისამოსის აღების დროს დედაკაცები იტყოდნენ: „ღმერთო, ნუღარას მარკეს დაახედვებ ამ სახლს, ავი კარგად მაუქცი, ჭირი ღვინად მაუკვინე“. მამაკაცებს და დედაკაცებს ტაბლას „დაუდგამდნენ“ (ცალ-ცალკე). პურს აჰმევედნენ. როცა მოთავებოდა მიცვალებულის ხარჯები, ჭირისპატრონი „სულამასულში“ (როდესაც გარდაიცვალა იმ დღეს) „თავმოსაპარსაო“ გადაიხდიდა². ერთს „საწღეს“ (ლუდიან ქვებს) და არაყიან ჭურჭელს დალოცავდნენ. ვინც მგლოვიარე იყო და თმა-წვერი ჰქონდა მოშვებული — მოიპარსავდა. მოპარსვის დროს ეტყოდნენ: „ბევრჯელამც მიაპარსავ თავს შვიფობით და დღეგრძელობით, სამგლოვიარო აგკადას ღმერთჲ“. „საქნარის“ (ხარჯების) გადახდის შემდეგ ჭირისპატრონი „ხალარჯების“ მზადებას შეუდგებოდა: აღუღებდა ლუდს, გამოხდიდა რამდენიმე ქვებ არაყს, გამოაცხობდა პურს, აღუღებდა ხავიწს და ბრინჯს. „უბარებდენ“ (აბატიებდნენ) მოკეთებეს. მოკეთებები არაყით მოდიოდნენ. სოფელს „უძახებდენ“—„სოფელი, მოდიო ხალარჯების რიგს გადაუდგათ“-ო. როცა სოფელი და მოკეთებები შეიკრიბებოდნენ, ჭირისპატრონი სულის ხუცესს დალოცვინებდა ლუდიან კოდს, ტაბლას და მოკეთებების მიერ მოტანილ არაყსაც. ჭირისპატრონი წინაღლით მიცვალებულის საფლავზე ერთ ცხვიარს დაკლავდა და ხორცს მოხარშავდა. ხალხს „ტაბლაზე დასხამდა“, ჩაოჸრეგებდა: პურს, ხორცს, ხავიწს, ბრინჯს და ყველს. ამას პარასკევ დღეს იხდიდნენ. „ხალარჯების“ მარტო მამაკაცები მიდიოდნენ, დედაკაცები კი აღარ მიდიოდნენ, რადგან „ტალავარნი“ არ „უსხენ“ და არ ტირიან. როდესაც პურის ჰამის და ლუდის სმას გაათავებდნენ, ჭირისპატრონი „ფანდურის გასტეხდა“. პირველად ფანდურს თვით დაუკრავდა და დამღერებდა. ფანდურის „გატეხის“ შემდეგ ხალხი მზიარულობდა: ცეკვავდა და მღეროდა.

¹ სულამაის დღე—სულის ამოსვლის დღეა, ხარჯებში შედის.

² „თავმოსაპარსაო“—პირიქით ხეფსურეთშიც იციან და ხარჯებში შედის.

მიცვალებულის კულტი: რწმენასა და უკენახადუს
თემებში

ზოგადი წესები

როშკას ყველა სოფელში სულთაკრეფას არაყს გამოხდიან. „ის რა უარაყო არც ვინ არ დარჩების“. ჭირისპატრონი ლულს ადუღებს. „ვისაც მკვდარს სიკვდილიდგეს წელ არ აქვ გათაული-დ სულთაკრეფის რიგ არ უქნავ“. ლულს ადუღებს შინ, კოდიც თავის ჭერხოში უდგას. შაბათ დილას დააცხოზენ სამარხო პურებს, „ლაოშებს“, „ვაცებს“; ადუღებენ დოხანს. „მემრ ჭირისპატრონებ შაიყრებიან ერთადა-დ გახყოფენ ხალხს, ე. ი. სოფელს იმთენად, რამთენიც ჭირისპატრონი ას. ვინაც ვის ერგების, წალღალვენ მაწვევარსა-დ იმ ხალხს აწვევენ. კაცი, დიაც ყველა მივ“ (ხალხის გაყოფა და ისე დაპატიყება მარტო რომშია არის ჩვეულებად. სხვა სოფლებში ასე იციან: ჯერ ერთ ჭირისპატრონთან მივა მთელი სოფელი, მერე სხვასთან და ასე შემდეგ. რომშია კი სოფლის მცხოვრებთ იმდენ ნაწილად დაყოფენ, რამდენიც ჭირისპატრონია და თავის ხვედრ ხალხს დაპატიყებს ყველა და მთ სცემს პატივს). ჭირისპატრონი კოდთან ვაშლის ფარდაგს, დააწყოზს ზედ სამარხო პურებს, მიიტანს დონხიან ქვაბსა და დასდგამს იქ. მარილს დაყრიან პურებზე, კოდს სანთელს დააკვრენ, ამოიღებენ ერთ საწედე ლულსა და დასდებენ ტაბლაზე, არაყსაც მოიტანენ ქინთითა და დასდებენ ტაბლასთან (ქინთი ხევსურულად ჰქვიან ტიკს), თულუხით წყალს დასდგამენ; „ყველა სასმეოთ დაასხმენ: თასებსა-დ ყანწებს; ყანწებს არაყიანებს ხალხ. დაიქერს კელჩი, ლუდით სახვე თასებს ყველას დაზდგამენ, ყანწებსაც იმით იქერენ კელში რომ ძირ არ აქვად არაზე დაიდგმის, ხან კი იციან რომ ყანწებსაც პურის კვრებში ჩააშობენ ძირებით. წყალთაც წამასხმენ წიწწანშია-დ ან, თუ აქვ თასში, ამასაც აქ დაზდგამენ (წიწწანი — პატარა ჯამი). მემრ ყველას ანთებულს სანთელს დააკვრენ აქ რაიც ას დალაგებულ; დადგების სულის ხუცესი (სულის ხუცესი სხვა არის, ის არ „ხუცობს“. სულის ხუცესი ის ხდება ვინც ისწავლის სულის ხუცობას. ჯვარის ხუცესი კი „დგება“ ჯვარის და მკითხავების საშუალებით), პირ ამასაყედისკვლად გაუდგების სულის ხუცობათ“. სულის ხუცობის დამთავრების შემდეგ ყველანი იტყვიან:

„შაუნდნას, მაკმარას ღმერთმა ქრისტიანობის გამჩენმ“. აიღებენ თასებს და კელში ჩამაურიგებენ ყველას. ყველა თითოობით დაილოცება: „ავაშენასთ ღმერთმ (მასპინძლის სახელი), ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, მარკეი-დ ავ ნულარა მაგცასთ, ნულარა დაგალირასთ, ლხინზე შავიცვალასთ ეს ტაბლაიცა-დ მაკეთე-მაკითხავიც. თქვენ ავზედა-დ ურიგოზე ნულარავინ გაგსაჯენასთ, დავხარჯენასთ; ლხინზე გადინასთ დღეს ამას იქით მაკეთისაყა-დ შინაც ლხინ მაგცასთ. შაუნდნას ვისადაც ილოცების. ყველან დაილოცებიანა-დ შასმენ რაიც ვის უჭერავ ყანწი თუ თასი“. მასპინძლის გულის გასაკეთებლად ყველანი აქებენ ლულსაც, არაყსაც. „კა არაყ გამაგსელოსთავ, კა ლულ მაჰკდარავ“. შესმენ ყველანი კოდთან თითო თასს. ამავე დროს: „კოდსთან ტალა-

ვართაც დააწყობენ გაშლით ფარდაგზედ. ზედ ერთს ფეკს სანთელს დააკვრენ-ნად ილოცებინ ტაბლასთანად კოდსთან ერთად. დალოცვლ ტალავრიანს ფარდავს ორნი დიაციი ასწევენად წაიღებენ კარჩი. იქ ან ბანზე გაშლიანად ან კარშია; დაიწყებენ დიაციები ჯერ ძახილით ტირილს, მემრ კმით მატირალს ატირებენად ქვითინით აძლევენ ბანს. ტირიან დიაციებ მანამდინ არ დაიღლებიან ტირილით. მემრ რო დაიღლებიან, დადუმდებიანად. მებურნითები ერთიმეორეს ბურნიის ასწევებენ“ (ხევისურეთში ბურნუთის წვევა ქალბში ძალიან გავრცელებულია და ზოგიერთი მამაკაციც ეწევა).

„მემრ ორ დიაცი იქავ ასწევს ტალავართად წაიღებენ იმ ტახტი, რომენიც ამ წელს ამ ტალავართად ას დათმობილი. ფარდავით ჩაზღებენ ტახტიად დააწყობენ იქავ ლამზად, ზედ ნაბაღს დახურვენად დანებებენ თავს. მემრ დიაციებს დაუდგენ ტაბლას სამარხოს, ხშიად-ლაოშებს, მარილსად ღოხანს. ღოხანს ჩაუსხმენ ხის ჯამებთანად ჩაუდგენ შიგ ქიტურაებს. ჯამებ ყველასად საკამო თუ არ აქვ, ზოგჯერ ორ-სამნიც ჭამენ ერთს ჯამშით ღოხანს. თუ ქიტურები არ აქვ საკამო, მაშინ ერთი ქიტურით „ხვრეტენ“ რიგ-რიგას. დიაციებიც განაწილებული ხყავ ჭირისპატრონებსად თავთავის წილად ნამრგლები ხყავ შინ წაყვანილები. მაგრამ ტირილში, სადაც კმით მატირალბ მეტ შახვდების, მეორედ ტალავართახეთაც კაცს მოულაღვენად წაიყვანენ კმით მატირალს, რომით მკვდარზედაც იტირასად ამ ტირილით აქასად აღიდას იმთ მკვდარიც. მატირალბიც არც თავს ღმადლებენ, წავლენად იქავ იტირებენ. იმთ ტირილზე დიაციებიც ყველანი ქვითინებენ. კაციებს ცალკე დაუდგენ სამარხო ტაბლასად ასმევენ ლუღ-არაყს. ტირილში კაციები აქ არას დროს არ ღებულობენ მონაწილეობას, კმით ტირილში კი იციან ზოგებმ კაციებმ ახლოს მისვლიად ყურობაკმით ნატირალის. ესიც ხნიერებმ კაციებმ იციან, როსაც კმით მატირალი ძველებს კეებს ოშკაციებს ვის შატირებს, მაშინ ცრემლებ ჩამადინების კაცსაც. ესიც ძვირად ვინ იცის, კაცის ტირილ სირცხვილი ას, ნამეტნავად ახალგაზღისა, ახალგაზღა სრუ არ იტირებს“.

„ჭირისპატრონებისას სმა რო მათავდების, ამ დროს კიდევ გაიტანენ სათოფებსად დააყენებენ ისეთისავ წესით. რომლიც წესი სხვა უკესურეთ ას. თოფებს ჯერ წილის ყრით აკლიანად მემრ უწილოდ დაიწყებენ კლას. კაციებს როსაც სათოფებს აკლიან თოფს, ყმაწვილები ამ დროს კაციებს დააყენებენად აკლიან ისრებს. ისრები აქაც ეკლისებ იციანად მშვილდები ღნალისა, ან არყისა, შოთხისა. საბამს დაღვრებენ კანაფისას, რო მაგარ გამავიდას. წინავ ზროიც იკოდეს ისრისად რკინისა, სათოფებზედა კაციებზე რაიც ღვების, იმას ის იტანს ვინაც ან „ვაცს“ აიტანსად ან სათოფეს. სათოფებსთანაც მიაქვჭირისპატრონებს სასმელად ასმევენ ხალხს. სხვა ახალ წესი აქ-არა იციან. რაიც სხვა კესურეთ — აქაც აისრ ას“.

„რაიც კესურეთ კაი ცხენები ას, სუყველა სულისად ას დაკურთხვეული. ვინაც კა მკვდების კესურეთ, თუ ცხენი შინ არ ხყავ სხვაკმით მიკითხვენ, იყიდიან, მისციემენ როგორც კა ცხენი ისრაც მეტს ფასს. მაგალითად ხუთს ძროხას, ექვსს, ან მეტს, ან კიდევ ნაკლებსად მას დაკურთხვიებენ. თუ ისთ ვინ მკვდ, რო ქონებია. აქვად ბევრ, არ ვინ დარჩ იმის ჭირისპატრონი,

მაშინ უფრო ცდილობენ კა ცხენ იშოვანად ამისთანა დღისად მრავალ ოჯახზემ ხუფე კაი ცხენები“. კეესური კშირად იტყვის: „ერთ კაცი ორ, რომ მაგკვდ ჩემ ჯალაფნი ცხენს ვეღარცაით მაიყვანენ, ერთა ცხენაი გვყავ, თაოდ მინდ, მთელსაცად-დ მკვდარსაც. ამას ეტყვიან უფრო იმას თუ ჩაუვიდ ვინ: ცხენ მაგვეციე დასაკურთხევილადავ. მაგრამ კშირად ისით ჭირისპატრონ მაუფ სათხოვლადად, ხათრით ვეღარას ეტყვიან. წაიყვანენ ცხენს, კელს გამამებენ მკვდარს, დააკურთხევიენად მეგრ პატრონსავ უბრუნებენ, თან ხუთ-ექვს ძროხასაც მაუყოლებენ. დაკურთხეულს ცხენს აღარცვინ იყიდისა-დ თუ იყიდ ვინ ნახევიარ ფასი ღირს კეესურეთ ასეთ ცხენი. რად მინდავ, იტყვის კეესური, სხვათად დაკურთხეულ ცხენიე სხვისაივ, ჩემ ხო არ ასავ, სხვის ცხენ რაად უნდა ვინახავ, მე რომ მაგკვდ ჩემთ ჯალაფთ საით უნდა იშოვანავ ცხენიე. აზირ, საკუთარ ცხენ შავინახავ, რომ მთელსაც გამამიდგასაოდ მკვდარსაცავ. კეესური დაკურთხეულს უნავირსად მათრავსაც არ იყიდის: რად მინდავ სხვისად დაკურთხეულვი, ჩემ ხო არ იქნებისავ, თუ კი საკუთარ ხო ასავ, რა ხალიზით უნდა შავშდავ ზედავ. ძალიან იშვიათად იყვ, რომ იყიდ ვინ დაკურთხეულს ცხენს, უფრო იყიდ ღარიბი უქონელ, რომ ესეთ ცხენი ნახევიარ ფასში იყიდებოდ—ღარიბს კელ მიუწვდებოდ ამის საყიდლად. თუ შორს ვინ გავხიდ ცხენს, რომ აქ ამ ცხენს არ იცნობდესა-დ არ იცოდეს დაკურთხეულ იყვა თუ არ, მაშინ ამ კაცს ხალხსთან ერთად ე. ი. ხალხს დაისწრობდესა-დ პირობას დასდებდეს; თუ ეს ცხენიე დაკურთხეულ ამაჩინდავ, მაშინავ ნახევიარ ფას უნდა დამიბრუნავ, შიძელვის რომ სრულს ფასედავ დასდებდეს პირობას, რომ სრულს ფასს დაუბრუნებდა-დ ცხენზეითაც კელს აიღებდ“.

„წინკალულ მხივილმ გამიხარდი წიკლაურს კი აკლიე ერთხან ცხენის ნახევიარ ფასი. გამიხარდი იყვ არხოტიონი-დ მხივილი პირაქათელ კეესური-დ არ იცოდეს დაკურთხეულ იყვა ცხენ თუ არ. არხვატი-დ წინკალე ერთის დღის სავალზე არიან ერთუს დამორებულნი, მხივილს იქაურ რა ეცოდინებოდ. გამიხარდიმ მაიყვან თავის სახლისკაცისად, ბაბუკურთ თათარისად, დაკურთხეულ ცხენიე გასაყიდლად, ძალიან კა ცხენ იყვა-დ მეწონ მხივილს. ეს ცხენ კეესურეთულად ათ ძროხა მაინც ღირდ ისით კა ცხენ იყვა-დ გამიხარდიმ ექვს ძროხად მხივილ. მხივილს ამაზე ექვ შავპარა-დ დაიწყ კითხული: დაკურთხეულ ხო არ ასავ ეს ცხენიე; ბოლოს გაიგ, რომ გამიხარდის მალეუყუებავა-დ დაკურთხეულ ცხენ მიუყიდავ. დაუბარ მხივილმ მტერობა: შენ რომ მამატყუევი მე, გავიგო-დ იცოდავ რომ მე მტერი ორავ, მე არ მაგეპარებივი, მზას იარეოდ. სადაც შავგლევიც თუკრელს არ გავიგობავ, თუ საქონს არ დამიბრუნებავ. გამიხარდიმაც შამაუთვალ: რომ მე შენ არას გიბრუნებავ, იმტერევი რამთვენიევი გინდავი, აბა თუ მტერობა გინდავი, სულარი ზიდვე უბითავ. დაუბარ მხივილ, სადაც შავგლებივი მე სანაჭრევიდ არ მაგიქნევი იარაღსავ. მე სასიკვდილოდ ვიშულღებავ. ახლა გამიხარდიმ დაუბარ: აბა მე ფარჩას ვერცაით ვიშოვებავ, შენ ზიდვე სულარი-დ სადაც. შავიყრებითავ ან ერთს გამავადგებისაოდ ან მეორესავ. გავძელდ მტერობად. ბოლოს შავიყრენს გზაზედ. თითო ოროდ ხანჯარ კი დახკრეს ერთუსად. ხალხ შახვად, მაღე ვამეშველენს, თორე ჩახკოცდეს ერთუს. ბოლოს რომ მარჩეს, აუღვ შუაში კაც-შუაკაცი-დ რჯული ქნეს. რჯულმ ნაჭრევიდ შიგში გაღბარ,

რაკი ერთნაირად შვირდად, გამიხარდის დაადგ სამის ძროხის დაბრუნებაი-დ, არაყით შინ მასვლა მიხიელისად“ (არაყით შინ მისვლა ხეესურეთში ნიშნავს ქედის მოხრას მოპირდაპირის წინაშე და უდრის ხუთი ძროხის გადახდას. რჯულის კაცები ასეთს ჴშირად გადასწყვეტენ: ორ მოპირდაპირეს შორის დამნაშავეს მიუსჯიან: ან ხუთი ძროხა უნდა მისცეს დაზარალებულს ან არაყი უნდა მიუტანოს და მიუვიდეს სახლში. ამას ჰქვიან „შინ ხეეწნა“. უმრავლესობა ხეესურებისა ხუთ ძროხას იხდის და კაცთან არაყით არ მივა, ეს არის ერთგვარი თავმოყვარეობის საკითხი იმათებურად. „სახეეწრად სხვის სახლში არ შავძერები-დ ორჯელ ხუთს ძროხას გადავიხდი“-ო იტყვიან ხეესურები).

ხეესურეთში იტყვიან: „რჯულის მაჭრილ კელ არ გეტკივანებისავ“... „გამიხარდინმაც რჯულის ნათქვამზე უარი აღარ თქო, რაკი კეესურები ესრ ამბობენ რჯულმავე რაც გინდა დაგადოსავ სირცხვილ არ ასავ. ადგა-დ სამ ძროხაიკ დაუბრუნა-დ შინაც მიუვიდ არაყით. ეს ერთი ვთქვით მაგალითისად, თორემ ბევრ ამისთანა მამკლარ კეესურეთ, უნაგირის მიყიდვაზედ, ცხენის მიყიდვაზედ, თუ ისევე დაკურთხეულებ გამაჩინდებოდ, ძალიან დიდ მტერობა ჩამაუგარდებოდ გამყიდსა-დ მყიდველს. ბევრ ქრა-ჭრილობაიკ ყოფილა-დ რჯულიკ ამაზედ. ზოგი დასაკურთხევიებლად-დ თაოდ საყონიებლად არ გაიყვანდ ცხენსა-დ მამაშინ ვისაც შვირდებოდ, ისი ქოოდ იყიდდ ცხენს, თუ ასეთს ხათრს ვინ გაუწყვედა-დ მიხყიდდ ამ დღეს კას ცხენს, იმას დაკურთხევიებდეს. თუ შინ იმის მკედარ ვინ იქნებოდ რიგანი ის იყვანიებდ ან ძმა ან შვილი, თუ ამის კარგ მამკლელი-დ მკედარ არ ვინ იქნებოდ, მამაშინ დაკურთხევიებდეს მისცემდეს ვის, ან დისწულს, ან დედიძმას, ან სხვას მაკეთეს, ვინაც ამ მიცვალეზულისთან სიცოცხლის დროს კარგად იყვ (ე. ი. მეგობარი). ხოლოთ ისითს კაცს კი აარჩევდეს ვისაც ცხენ უყვარდა-დ ეხალიზებოდ იმისად კა მავლაი-დ მკედრობაიკ თუ შეეძლიეკ. უფრო არჩევდეს დოღვი მარბოლს ცხენს, რომენიკ წინ დაბროდად. ამაში არც ფასს ზოგებდეს. თითქმის თორმეტ ძროხამდენ აძლევედეს. დოღვი მარბოლის ცხენის დაკურთხევეა იმით უყვარდ, რო, როსაც დოღვი არიან. მამაშინ ტირილ სატიროლოვიასა-დ კშირად მივიგნებენ ამ ცხენის პატრონს შატირებენ, ტირილში კმით მატირალებიცა-დ სხვაიკ ვინაც ძახილთ ტირის. იმ ცხენს ვინაც უფლისა-დ ვისაც ხყავ იმის სახელს კი არ აკსენებენ, აკსენებენ იმას, ვისადაც დაკურთხეული. ას (მაგალითად ცხენი დაკურთხეული ას ჯურაკისადა-დ შასანახავად მისცეს გიგას—გიგია უფლისა-დ იმას ხყავ ცხენი, ამის სახელზე კი არ ვინ იცნობს ამ ცხენს, ამას ხქვიან ჯურაკის ცხენი, წინ ვის ცხენ მავიდაო-დ—ჯურაკის ცხენი, ეს ვის ცხენიაო-დ ჯურაკის ცხენი. აქ გიგას არ ვინ აკსენებს). ჰოდა, მკედრის პატრონს ძალიან უნდ რო სახელოვან ცხენ იშოვას. რო ხალხი იმის სახელს კშირად იგონებდასა-დ ამით არც ზოგვენ ფასის გაღებას. ამ ცხენს ვისაც აჩუქებენ, ის ვალდებული ას, რო კარგად ხუტრას, აჭმოს თივა-ქერ-დ არც ნალბ დააკლას, თუ კარგად ვერ უფლის მამაშინ შაიძლების, რო ქვეც წაართვან ცხენი-დ სხვას მისცან, თუ შინ არ ვინ ას შამნახავი; თუ შამნახავ შინ ვინ ას, ხო თაოდ იყვანიებს. ამ ცხენის გაყიდვის უფლება არ ვის აქვ—ვისაც კელჩი ას. მკედრის პატრონისად დაუკითხავად გაყიდვა მინც ძალიან ეზარების. თუ გაყიდავ ცხენი, მაშინავ საკუთრად

არ ხკმარდებმისავ საიქმისავ ეს ცხენიე. თუ მანინც განსაკუთრებულ-მდგომარეობაი ას, ან დაბერდ ცხენი, ან დაკოკულდ, ან მთხობიასა-დ ცულდ საყვანეიბი, მაშინ ჭირისპატრონ ან გააყიდვიებმსა-დ ან გააცვლევს ამ ცხენს. თუ გასცვალ, მეორე ცხენს დააკურთხვიებმს ანაც სხვას ცხენს იყიდის იმის ნაფასურითა-დ იმას დააკურთხვიებმს. თუ ასეთ არც ერთი იქნ, მაშინ ცხენის გამყიდმ უნდა იყიდას ხუთის მანათის სალოცავი (ხუთი მანეთი მაშინდელი ანგარიშით, როცა ხევსურეთში ერთი ძროხა ღირებულა ხუთი მანეთი). სალოცავი იქნების ან ვერცხლის თასი-დ ან რვლის ჩხუტა, უფრო ვერცხლის თასი იციანა-დ ზედ სწერავ, რო შანდობა უთხარით ამა-და-ამ კაციასდავ. ვერცხლის თასს ან ჯვარჩი მიიტანენად ან შინ იქონიებენ. ამ თასით, სადაც ვინ სასმელს შასომს, კშირად ივონებენ ვისაც შასანდობარ აწერავ ზედ. სალოცავს რო იყიდიან—გამასწურავენ ერთს საარაყესა-დ მიიტანეს ვისაიც ცხენი იყვ იმათას. თასსაცა-დ სასმელსაც ერთად ვტყვიან შანდობას იმისად ვისადაც დაკურთხეული იყვ ცხენი. შანდობის თქმა ჩვეულებრივი ას, როგორც სხვა რა დალოცვა მკვდრისად“.

„საუბარს მახყვა-დ მოკლედ საჭიროი იმაზედ საუბარიც. კაც რო მაკვდების, როგორც ვთქვით, თუ შინ არ ხყავ ცხენი, მაშინ სხვაქნითაც იშვიებენა-დ იყიდიან. ცხენი შეიძლება ყველას არ დაუკურთხვიონ, უფრო უკურთხვიებენ უშვილოს და კარგი ქონების პატრონს დედისერთას, ახალგაზრდებში წესად იყო თითქმის ყველას დაუკურთხვიებდენ, თუ შესაძლებლობა ჰქონდათ. ქალებს ცხენს არ უკურთხვიებდენ, თუ ვინმე გამოწავლის ამას გამედავდა, იმასაც სისულელეში ჩამართმევიდნო; „ქალს ცხენი რად უნდაო“. ცხენს მაიყვანენ მკვდრის ზედდებას: გაღბანენ, გასწმევიდნა-დ აკმევიენ თივა-ქერსა-დ გაალამაზებენ. მემრ ქალები დაუწვენენ ფაფარს ბევრ ადგილას, გააკერებენ ფაფარზედ საფაფრეს. საფაფრე გაკეთებული ას ფარჩისაგან ცხენის კისრის სიგძეი, ზედ დაკრული აქვ მძივ ღილები-დ ბოლოზე აბრაშუნის ფეცვი აქვ გამსხბული. ამას ფაფარზედ გააკერენ: ან ერთს ან ორ-სამს. ქოჩორიც დაწნული უნდა ხქონდას ცხენსა-დ იქაც მძივით გაკეთებულ საშუბლურ ექნების დაკრული. ერთს მძივიანს ყელსადებს გაუკეთებენა-დ დახვიებენ მკერდზე. ძუა დაწნული აქვა-დ ბოლოში ნაჭრის ბაწრები აქვ შაბმული. მკვდარს რო გამაზადებენ დასამარხავად, ცხენსაც შახკაზმებდეს (ეს ხდებოდა უფრო ძველად). გამაუკრებდეს ძუასაცა-დ მაიყვანდეს მკვდარსთან, საბლით კელზე შაბმებდეს ცხენს (მნიცვალეზულის მკლავზედ მოაბამდენ ცხენს თოკით), ხურჯინს გადახკიდებდეს, ხურჯინში სასმელს ჩასდგამდეს. ამ დროს თუ ჰქონდ, საგძალს ჩასდებდესა-დ მკვდრის ტარავარსა-დ იარაღსაც ახკიდებდეს. დადებებოდ სულის ხუცესი, კელიჩ ყანწს დაიქერდ (უნაგირის ტახტაზე ანთებული სანთელი იქნება დაკრული და მათრახიც აქვე არის დაკიდებული). ცხენისა ავშარაის საბელ მკვდრის კელზედ იქნებოდ შაბმული-დ ალვირის ტარს კვდრისა ან დედა დაიქერდა-დ ან ცოლი, ცხენ რო არ დამმთხვარიყვა-დ კვდარ არ დაეთრევ კელით. სულის ხუცესი შაუდგებოდ სულის ხუცობას: ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო უშველი (ჭირის პატრონის სახელი), მარკენ ნუღარას დაადირებ, ავ კაით დააცილო, სადაც შენ ხარ (მნიცვალეზულის სახელი) შენ სულ მაიკსენების, მანდაურის წესითა-დ სამართლით, შენიმც საკმარ ას ეს ცხენ-

ნიც, ეს უნაგირიც შენამც გეკმარის, უცხენოიმც ნუ იქნები, ცხენიან სწორ ამხანიგშიამც ზდგებარ, ნუმცარაით დლონდები, რაკელც შენ ჯალაფთ გაუქჩერებავ შაკაზმულ ცხენიც, ხურჯინ-საგძალიც შენამც ხემარობ. ამას მახყვების სულის კურთხევა ისეთივ სიტყვებითა-დ წესით რაკელაც სხვა დროს იციან სულის კურთხევა“.

„ხუციესი რო სულის კურთხევასც დაამთავრებს, იტყვის: „შაგინდნას, გაკმარას ღმერთმა ქრისტიანობის გამჩენმ“. დაასხამს ლუღს ან არაყს ცხენს, უნაგირზე, უნაგირის ტახტზედად ამბობს შასანდობარ სიტყვებს. მემრ გამართომს მათრაკს ვისაც ცხენ უჭერავ ისი-დ (დედა იქნება ან ცოლი, ან სხვა მახლობელი ნათესავი) აღირებს მათრაკსა, დახკრავს ცხენს და იტყვის: „რაკელიც ჩვენ გაგვიქჩერებავის ეს ცხენი, შაკაზმულობაიც, საგძალ-სასმელიც, ისრამც შენ მაგიოს, შენამც ხემარობ, ცხენიან სწორ ამხანიგშიმც ზდგებარ, უცხენოშიამც ნუ იქნები, ნუმცარაით ღონდები-დ სწუხდები“. ცხენის დაკურთხევას რო მათავებენ, საკაცე გამზადებული ას, ასწევენ საკაცესა-დ ტირილით წაიღებენ. ცხენს კელჩი ვინ დაეჭერს ერთი-დ თან მიაყოლებენ სამარის კრამდინ. რო დაასაფლავებენ, ერთ ვინ შაჯდებისა-დ გააქც-გამაქცევეს ცხენს იქი-აქათი, ცოტა სასმელ რა ექნების ხურჯინჩიად შასამევეს იმას ვინაც გზაში შახვდების“.

„დაკურთხეულ ცხენს ჯერ ყველა დროს უვლიან კარგად. წელწადსა-დ წყალკურთხევას დილას ღამიანად მიხყავთ წყალზე, აქმევენ ქერსად. თუ ყინულ არ ას, ქვეც გააქც-გამაქცევენ. ჭირისპატრონებ კი გახედვენა-დ ტირიან იმის მნახველები“.

სუდის ხუცობის ნიმუშები

სახელის დაღება

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლი შენდა, ღმერთო, უშველი ამ მასპინძელს (სახელი), ჭირისპატრონს, მარკეს ნულარას დააღირობ. აჰმა ზარალ-ზარალად, მარცხი ზიან-ზიანად, გლოვა ლხინზე შეუცვალი. ეს ტაბლაიცა-დ ლხინის მაკეთე-მაჰეთხავ უდინი დღეს ამას იქით. ღმერთო, უშველ ამ მასულ-მაწეულ ხალხსაცა-დ მარკეზე ნულარაზე ვის დაქჯი-დახარჯავ, კლოვ ლხინზე აღინენ ამ სახლშიაცა-დ შინაც ლხინ მიეც.“

სულთა გვიწყალენ, გვაკურთხენ, კურთხევითა მადლისა ხთისითა, გვიწყალენს ჩვენ დიდისა წყალობითა, მრავლითა მოწყალებითა მრავალთა მოწყალისითა, ვარა დღე, ვახარე ვარა დღესა ამის სულისას, უხარწვრი ესე წერილი უკან რომენმა შეხკაფე ჯოჯოხეთი ძალითა და შაძლებითა მყოლის მამისითა ჯვარისა წმინდისითა. სულნი ნათლად გაშავესნენ და შაასხენ წრიაღსა რომენსა აბრამისას, წმიდანო ანგელოზნო, სულთ ამოკვარნო, სულთა მაყარნო, დიაკონო ქორო პირველო, იორდანეს წყალზე გარმანახდებოდა ნათელი ნაკურთხეველსა, კურთხეულიმც ხარ შენ უფალო ჩვენთაო, ქებულო და დიდებულო მამათაგან ჩვენთა, დიდებო, დიდებით ამალღებულო. ჩვენ ქებით შავსწირავთ ზღვენთა დიდებისათა, შავსწირავთ ანგელოზთა საღასა გალობასა, შენ უთხარ იერუმსალეთისაო, შენ იყავ იერუმსალეთს ნატრულო სტეფანო სანატრელო, ხთისაო გვირგვინ დამოსველო. ქრისტეს დაწამებულო, რომენთა მუცელთა ქალწულისათა შეხკაფენ ცანი ანგელოზთანა. ხოყანანი ქრისტე პატიოსანი, ნება იყო უფალო არცაა ძალი, ხსნილობა, განსვენება იყო. ვისადაც სანთელი ენთების, ტაბლა ეგების, სულ წმინდა მაიკსენების, სულსამც შენს მავკმარების, დადგმულ ტაბლა, კოდი; სანთელი, დადგმულნი თასნი, ავსებულნი ყანწნი, ჭურჭელი. შენსამც სულს ანათებს, ანათლიერებს, აიაღებს, ცოდვასამც გკდის, მსჯელსა მჯავრესამც გარიდებს, სამძიმარსამც გიზუბუქებს. ცოდვანიმც შავენდობიან ენით ნათქვამი, კელით ნაქნარი, წინ მაგებებულ, უკენ მაწეული, ყურით განაგონარი. სიკვდილის დღეს დამწყვედეულს თვალთ ნახული-დ ვერ დამალული შენსამც ცოდვის მკდელი, ცოდვისამც მადლად მაქნელი, თუ რა სულმკვდარ გაწუხებდასთ, შანდობას გველოდდას, ჩვენ ვერ ვგონობდათ, თქვენისთამც ნებით დიწვეთ ტაბლაზე, ძალითამც ნუვინ გამაგეკიდებისთ. ცოტაიმც დიდად გეჩვენებისთ, რიოშიმც წმიდად გეჩვენებისთ, ფერუქცეველად წაუქცეველად, ეემ სინათლით თქვენამც ხმარობთ, გარგასთ, შავინდნასთ ღმერთმ მრავალთა მოწყალემა. მასპინძელს ბარაქსამაც აძღვეთ, ავსა მარკესამც ნულარას გარგენსთ“.

ჩაწერილია აბიკა არაბულისგან, 1939 წ. აგვისტოს 10-ს, ს. როშკაში.

სახელის დაღება

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, სულიმც შენ გეზარებისა, კაცი შენ გეხევეებისა. ღმერთო, უშველე ამ ოჯახსა, ავსა, მარკესა ნულარას მისცემ, აკმარე ავ-ზიანი.

ღმერთო, შენის მიცემითა, ჩემის თქმითა მოიხსენიე მინდიაი.

სადაც შენ ხარა მინდია, სული შენი იხსენებისა, შეგიდნასა, მაგახ-მარასა.

ეს დადგმულნი კოდნი, დასხმულნი საწდენი, დავებულნი თასნი, დად-გმულნი ტაბლანი, როგორც ჩვენ გაგვიქრებამე, ისემსც შენ მაგიდისა.

კარიმც, საკვამიმც მღე გაქეს.

ნუმტარა-შაგიშლის ხელსა.

როგორც გინდა ისემც ჩამახვალა, ისემც გახვოლა, შაგინდნასა, მაგა-ხმარასა.

ჩაწერილია თათარა არაბულისაგან 1929 წ. აგვისტოს 14-ს, ს. ბარისახოში.

[პირის ჰარი]

„წმინდა არს ღმერთი; წმინდა არს ღმერთი, კურთხეულშია, მთავარი მთავარ-ანგელოზი, საკითხავია გაბრიელ მარწყველის ოხით. დაადგეს თავსა თავისასა კოველნი კოველთა უტევეანი სიტყვეანი გამრავლებითა, ცოდვილნი გაწმენდინია, მაღალ თაშია ჯარნი. ერნი, ურუმნი მარწყველნი ანგელოზნი ბევრითა ბევრეულთა, ათასითა ანგელოზებითა, აწა ვილოცოთ, აწა ვილოცოთ. წმინდა არს სახარება მარკოზისა თავითა საქველო საგლეხო შენ ტაძარნი, ეკლესიას კაცნი შენს ქვეშ შვრებიან, კირნი დავალნეს, სულნი შამაგბარნეს, ჭა-დაგობა ქნეს, ხუცობა, მესხტე, მედროშეობაი. შაიწყალენ, აკურთხე ძალო და მადლო დიდის სახარებისაო. იორდანე გადმაკდებოდა. მამაო ჩვენო ქებულო, დიდებულო. საშველის ღმერთსა სტეფანელნი, გალობანი შენნი, ქრისტეს და-ნერგულო, ქრისტეს დაწამებულო. რომელნი შენს მუცელს უკვდავი სიტყვა უკვდავის მარიამისა. უფალო, დიდება შენდა. დავასხენ ბარზიმინი, ვეზიარენ. შაეკალ ცხვარი ტარიგი დღესა ამასა შაბათსა ხელითა დღლისითა, მიჭიელ გაბ-რიელისითა. ადგეს ჭადავნი, ხუცესნი, მცდელნი; დაატკბენ წყალნი წარენი. იხილა პირმან ბაგმან ჩვენმა უკეთურება გონებანი ჩვენი მაკურთხებელი, ან ძალნი შენნი მანამხელთა შენთა. შენავ შამაგწიროთ ქებთა ბელთემისათა. უღვეართა გედვა ყარაულთა მკართა შენთა დეეშინა და შიშობდეს. უფალო, არას შავსკოდებიოთ თავსა უფლისასა, სისხლსა სვამენ, ზორცსა ჭამენ წყე-ვარნი, მწყევარნი განკურნებისანი სიცრუვისა ჩვენისანი, მწარე გლეხთუ სულთა ჩვენთა. დაუტიენა სიონელნი ასი ვაცი, ასი გერძი აიბ თასა თავისასა. ვითაარ-ცა იონია, რაცა დღენი მისნი ეფრემისანი.

დუკანოზია, მირონი ღეთისია. გარმადის, გარმეცხების წონითი მამიშენი-სა მარიამი წელსა აწერილია საზღელია მარჯამ მარწულობანი, მთას მტრედი

ვადმხანებოდა სიყვარულისანი გარდამ იტყოდეს. ჩვენო ძმანო საყვარელ-
ნო, სამნი ხართ სიონისანი, მტკიცედ იყვენით, შაუშინარა, შაუშყინარა, ცუ-
დად იყვას შრომა ჩვენი. თქვენაც საქმეს ემატებოდით ჩვენს. ქუხდა უფალი
წყალისა საწყალთასა. მრავალთაგან შადგა, შაძირწუნა კმამა უფელისამა. არამც
არ შაიძლო კითხვა სახარებისა. უფალო, შენ მოგვანიტენ წყალობანი“.

ჩაწერილია სულის ხუცის ხოციო არაბულისაგან, 1929 წ. აგვისტოს 10-ს
ს. ბარისაზოში.

[პირის პარი]

„ღმერთო, უშველე ბეწიკას, ღმერთო, ნულარას მარკეს მისცემ, ღმერთო,
ავ კით დააცილე. შანდობა სულ წმინდასა. სადაც სულ წმინდა მაიკსენების,—
სული თქვენიანავ მაიკსენების, სულსამც თქვენს შეხმარების. დადგული ტაბ-
ლა, დაკრულ სანთელი, დაჭვრეთილი ხთის წესი, ყანწი და ჭურჭელი, შენ
საკმარია. ღმერთო, დიდება შენდაო, ღმერთო, მადლი შენდაო, ღმერთო, დიდე-
ბის მეტით, ღმერთო, შენ არა მოგეკსენებისა. ღმერთო, ხვეწება კაცისა, ღმერ-
თო, ბარება სულისა. ღმერთო, კაცი შენ გეძახს, ღმერთო, სული შენ გებარე-
ბის. ღმერთო, გეძახს ბეწიკა, ღმერთო, გეხვეწების, ღმერთო, შაიხვეწე, ღმერთო,
იგრე, ღმერთო, იხვიანე, ღმერთო, ნუ დალიე შენად საკსენებად, სულის სა-
გონებად, ღმერთო, ახკადე კელი და ხმალი მტრისა. კმა სიკვდილსა მამოვრე.
წმინდანო ხთისშობელნო. თაეი მთავანნო, ცათა ნათელნო, სულთა მბაკვარნო,
თქვენ მიუთვალეთ, თქვენ მიუჩენეთ მანდიუთი რიგითა, მანდიუთი წესითა,
წირვა მწირველთ ჟამითა, იარუსამლეითის ნათლითა, ქრისტეს გარიგებითა;
საცა ქრისტე პურობს, ანგელოზ ჟამობს, ცოდვიან ნანობს, მადლიანი გაისვენ-
ებს, სულ წმინდა მაიხსენებს, საცა შენ ხარ, ანავ სულ შენ მაიხსენების, სულ-
სამც შენს მაიხმარების; დადგული ტაბლა, დაკრული სანთელი, დაჭვრეთილ
ლთის წესი, ყანწი და ჭურჭელი შენიმც საკმარია, შენიმც საგძალია, შენიმც
საიღებია; ცოტამც დიდად მავიდს, რიოშიმც წმიდად; როგორც გამაუჭირე-
ბია, გამაუშანდებია,—ეგრემც შენ მაგეხმარების. შენისამც ცოდვის მკვლეია,
ცოდვის ილა მქმნელია; მჯელს-მჯავრესამც გარიდებს; მძიმესაც ვიზუბუქებს,—
წინ მაგებებულს, უკან მაწუღლს, სიკვდილის დღეს, დამწყვდიულს, კელთი ნაქ-
ნარს, ენთ ნათქვამს, თვალთ ნანახს, ყურით განავონარს; შენისამც ცოდვის
მკვლეია, ცოდვის ილაღ მქმნელია. შამოვიდა ანგელოზი ფეკითა ქრისტესი-
თა, ქრისტეო ღმერთო, აკურთხე, დასწერე ჯვარი სულს იმასა, ტაბლას ამასა,
კარს იმასა, სარკმელს ამასა. შენ დედაო დიდისა ღმერთო, დიდის სახარება-
საო; ცაო ქერებისაო. დრუბელო ნაწილისაო, ხატო ღმერთო, —იყავ ბძანები-
თაო, აღნად და მთავრად (პირჯვარს გამოიხსავს). შაუნდენ მრავალთა მოწ-
ყალო ღმერთო“.

ჩაწერილია ხატის ხუცის გიგია წინიას ქე კინჭარულისაგან, 1929 წლის აგვის-
ტოს 9-ს, ს. ბარისაზოში.

[კურთხევანი]

„ღირსა ხსნილობ იყოს, ჯვარსა კურთხეულობა. კურთხეულშია ღმერთი უფალი აწდამარადი თუქუნი თიუჟან შაგვიწყალენ ჩვენ ყოველში უფალი აწდამარადი გვაცხონა და გვაკურთხევიენ ურჯულოებან ჩვენ. მამაო და ღმერთო ჩვენო, გვევედრება სული ჩენი. მოგვიშე და მოგვიტე პური ჩვენ არსობილთა. რაც უფალმ მაგვიტან, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შაგწირავ ღმერთსა ქები-თა და მსხვირპლითა. ხატო, ხატო, ჩვენ გახსენებთ შენ გადიდებთ. თვალნი მაილა არიან მაღლისა ღთისანი, წმიდისა ღთისმშობლისანი, ხოლო სიმაღლე-ნია, დაბალნი დაბლიდან ამალღებულან, რაც უფალმა მაგვიტანა ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. ღმერთო, რა ჟამი გვიხსენი ჩვენ კაცთა მცბრომალთა, ამპარტი-ონთა. თვალნი მცრემალენია, ფეკნი ბიკოლოზისანი. მეორე მავილა ადგილსა ამასა იასო და გესორე, რაითა იცნა უფალმა პეტრე მოწაფეა ხთისა. არზინნი შაშინებულან, არსილნი შაკვირებულან გალილის და ეტყვიან: გალილია გა უფალო. ძეთა რალა თქვია ჩვენთა კაცისათა პეტრეს და უთხრეს—გე ვინ გგო-ნია, ანუ ვინ მერია, ანუ ვიმნერელია. ჩვენ გვაცხოვნა, თავიც იხსნა, შავსრამე ქრისტესა ღმერთსა, ჩვენც გვაცხოვნა, თავიც იხსნა. მაგაზე დაგაშენი ეკლე-სიათა, სიტყვა არს უკვდავი სიტყვა უკვდავის მარიამის. რაც უფალმა მაგვიტა-ნა ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. დასარწმუნებელია ჯვარი წმიდა გარდამოხ-დებოდა.

მაგაზე განიმწესენი სიონი ზღუდენი იერუმსალიმთისანი. რჯული იმაშია ათრევიან სხეპართა სიმართლისა და იერუმსალიმთსა შენ იყავ დიაკონ. ხოლო ბირველი ვარგინე ღმერთსა შავსწირე. სამნი სიტყვანი ღთისანი ვანგარულსა ადგელსა და ვარგალ შემოსავლელსა, ვარგალ შემოსილსა ჯვარსა ამასა, წმიდასა ამასა. ღმერთო, რა ჟამი გვიხსენი ჩვენ კაცთა მცბრომელთა, ამპარტიონთა. თვალნი მცრემალენი, ფეკნი ბიკოლოზისანი. მარე მოვიდა ადგილსა ამასა იასო და გესორე. არსილნი შეშინებულან, არზინნი შეკვირებულან და ეტყვიან—გა-ლილია გა უფალო ღმერთო მართალთა მამაო გამავნილებელო, რომელმა შაღ-მოსენ ცანი ღრუბლითა, ქვეყანანი წვენილითა, წვიმა გადაანამაზადეა წვიმა ქვე-ყანათა ზედა. შენია დღე და შენია ღამე. შენ არაგარა ერმა, უფალმა. სკანი სკანალე წყალს იორდანე, ღვინო გადასცვალე. უფალო ხუთითა ხუდაბურითა ხუთათანი აავსენ არმისთა ნეშითა, ას თორმეტნი აავსენ ბარმისთა ნეშით-თა. რომელნი დულდა, გარმოდიოდა თმასა და წვერსა. დავითი მამიშენისა უფალო თესლი ეგვა, სამნი მანანი ყარმანნი სმენ, ჭამენ. მაგათ ტაბლისაგან არა შეერგინებოდეს. იალო ამალღებოდა, ჯვარი წმიდა გადაამაკლებოდა. უფალო, დიდება შენა“.

ჩაწერილია სულის ხუცის ხთისო არაბულისაგან 1929 წ. აგვისტოს 10-ს, სოფ. ბარისხოში.

[კურთხევანი]

„ღღეს ღირსად კსნილობა იყვას, სულთა კურთხეულობა. კურთხეულშია—ცაა ღმერთი თიუქუნი თიუქუნი. კურთხევა ცოცხლის კრავისა ჩვენდა ღირსია“

შარადისადმე. შევსწევე ნაკდა საგვლეცსა აბრამისასა. ზეციით სხვერპლი მადიო-
და პურუმთა და პურმეტყველთა. დაუტია სიონელმა ასი ვატი, ასე ვერძი. წა-
ვიდეს და წამოიღეს სახარებოდ მორკაზითა თვითა მთასა თავისას, რომენიც
გამოჩინდებოდა ქებითა შენითა მსხვერპლითა მიხიელ სარხიელისითა, ანა დე-
დაკაციისითა, ანა მამაკაციისითა. გამოჩნდა შაბათსა დღესა მარამ მავალდონე-
ლია, იასონ მაკალდანელია. მოიკითხნა მოძებარნი ჩვენნი ჩვენის მწვერისანი.
წავიდეს და უფალსა უთხრეს—ეგია, უფალო, დიდება და აღგომა. რა ეამთა
მოეწიენით კაცთა მდინარათა, მცხრომალთა, ამპარტიონთა. შენ კი ას დღეი,
შენია ლამეც, შენ დაამკვის ბნელი და ნათელი. შენდა გიარა ერმა ჟოელმა.
უფალო, აკურთხე პური და მარილი, აკურთხე, უფალო, თესლი ეგია სკანის-
კანალე, წყალს იორდანე, ლვინოც გარმასცვალე. აკურთხე, უფალო, წინ დაგე-
ბულითა ხუთითა ხატაბურითა. ხუთათასნი დაავსენ, ასთორმეტნი დააძლენ,
უფალო, გასვლითა შენითა. პავლე მოვიდა, მოკვდა. ასთორმეტია მოციქულთა,
ხოლო ღმერთსა მადლი მისა. ლოდი ვინ გადააგორა, კარნი გალახნა მისანი,
შიგა მწოლნი შააშინა უღედონი მველევარენი. უფალმა თქვა—მე წმიდა ვარ,
გამავალ გამარობითა. გამოდით გამოგვეცხადენით ვინ იყვენით ბნელეთშიგა ან
ბერი, ან უძლური, ხორცინი მიკლენ უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი. რო-
მელნიც დულდა და გადმოდიოდა, გადმოეცხებოდა თმასა და წვერსა. დავითი
ნონიშენისა, უფალო, თესლი ეგია, რომელნიც სამნი ყარმანი მარმანი სმენ და
ჭამენ, მაგათ ტაბლისაგან არა შეგვერგინებოდა, არა შეგვეძინებოდა; თიალოც
ამაღლდებოდა, სულიც წმინდა გადმაკდებოდა. ღმერთო, დიდება შენდა“.

ჩაწერილია ხატის ხუცის გიგია ნინიას ძე კინჰარაულისაგან, 1929 წლის აგვის-
ტოს 9-ს, ს. ბარისახოში.

«დებანოზის ღაფუშალოზება ხატში ახალი მკვდრის პატრონების სუფრაზე»

„მელამის-თევნო! თქვენის სახლის აშენებითაო, თქვენის დღეგძელობი-
თაო. კარი მყოფითაო, ემა ანგელოზების დიდებითად მიცემიდა, სააქაოს ნათ-
ქვამი საიქიოს ნათქვამი საიქიოს მიდიოესავ და მკვდარსა შანდობა მიუვიდო-
დესაო. რა ხელ ჩვენ ხელთსავ, გარიგებული ეს ლუდიანი თასები, გარიგებული
სუფრაი, ეგრემცა სულსა თქვენისა მკვდრისამც მიეზმარებისავ. შაუნდნეს, მაი-
ზმაროსავ. ღმერთმა რა ზნი თქვენ გექჩერებისთავ, ცოცხლებ გადღეგრძელას-
თავ, სხვა მარხე ნუღარ გაჩვენოსთავ“.

ვახ. „ივერია“, № 9, 1889 წ.

«მკვდრის დალოცვა»

ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, დიდებისა და
მადლის მეტი შენ არა მოგხსენება რა. შენგანაა გაჩენილი ყოველი სამართა-

ლი, ზვეწება კაცისა, ბარება სულისა. ღმერთაო, იურვე, იზოიშნე; ღმერთო, რაც დაჰკლებია ნუღარას დააკლებ; ღმერთო, გაცემული აღადგინე, ატირდომრილი გააცინე, საცა ქრისტე პურობს, საცა ანგელოზი აცმობს, ცოდვიანი ნანობს, მადლიანი გაისვენებს. შამოვიდა ანგელოზი ფეხითა ქრისტესითა. ქრისტეო, დასწერე ჯვარი სულს ამას და სუფრას იმას! ცაო ქერუბისაო, ღრუბელო ნათლისაო. სხვათა მასწავლებელო დედაო დიდის მეუფისაო ალაღად და მთავრად აცხონე სული მისი ვისიცი სახელ ჭლების, სანთელ ენთების“.

ჩაწერილია 1865 წელს. გაზ. „ივერია“, № 9, 1879 წ.

დახვლით ტირილი

1. ძახილით ტირილი ღისა ძმაზე

რაკელ თიბის შამშაბათი გოქვე ძმაო,
სხვან სათიბად ეშხადებიან ძმაო,
შენ ცოლ უპატრონოი ას ძმაო,
მიწა შენს დასა ძმაო.
შენ სწორებ თიბაჩი მიილალებინ ძმაო,
ქვე დაგშლიანა მიწანი ძმაო.
შენთ თვალთ მიწის ჭიან ქვე იქჩერებენა ძმაო,
დასააზრებლად საქჩერე არ იყავ ძმაო.
აეხლა მიწაში, გიგონებთო ძმაო.
ნეტარ რაი ვქნათ, რა გვეშველების ძმაო.
უწყემსო ცხვარივით მაგწირინი ძმაო.
საყვავე-ყორნებ მაგჩრითა ძმაო,
შენთ უქჩერებელ მკართ ვენაცვლე ძმაო..
შეც მამკლა, შენაშეც აგაყენა ძმაო.
ცხენ ოკერ მკედარს-კითხულობს ძმაო.
ეეხლა მთა-გზან გამასულნი ძმაო,
სამგზავრობა გინდა ძმაო.
იარად დაიჯანგებისა ძმაო,
პატრონის კელ მაუვლებელი ძმაო.
ამადეგ ნუ იგვიანებ ძმაო,
თიბაზე წასვლა გინდა ძმაო,
განა ფეკით გინდ სიარული ძმაო.
აგერ ცხენ ოკერ აქ არ გყავა ძმაო.
ძალიან დაწუხებულნი ორ ძმაო.
და გენაცვლ ველარ გნახავ ძმაო,
თავის ლურჯაზე გადამჯდარსა ძმაო,
ანაც მთიბლებჩი გარეულსა ძმაო.
შენთ სოფელთ ღმერთმა უშველასა ძმაო,
შენის გულისად მაგიდესა ძმაო,
არც არვინ თიბაზედ შიდიანა ძმაო.

2 ძახილით ტირილი სამძიმარზე

რად არას შინამბოშ, სამძიმარ ჩემო,
რაფე დაწუხებულები ორთ, სამძიმარ ჩემო,
იქავაოდავ ხარა, სამძიმარ ჩემო,
გაქეთა რა მიდენ-მოდენა, სამძიმარ ჩემო,
ნათესაობა იცითა რაბ, სამძიმარ ჩემო,
ქვე რაფე დაღუნებულები არინ, სამძიმარ ჩემო,
რაფე სულნ გვიწუხან სამძიმარ ჩემო,
სცნობთა რას ერთეცს, სამძიმარ ჩემო,
სოფლელებს დაემშვიდობე, სამძიმარ ჩემო,
ქვე რაფე დაღონებულ დედ-მამათ სწირავ, სამძიმარ ჩემო.

ხმით ნატირადის ნიმუშები

1. შარბანაული ნატირალი

შარბანაული შავარდნო,
მთიბელნი გიხარიანდაეო.
მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო
ღუმას ზისცეარში ხარშავდაეო.
ბევრაის ჯიკვის გამგორესაო,
თოფსა კირიმსა ზიდავდაეო.
მტრისა ბევრაის გამჯავრესაო,
წელზე ფრანგულსა იბამდაეო.
სტუმრის ბევრისა მასახურსაო,
ტყავსა ქემნითა ხკერავდაეო.
ბევრაის მტრისა გამრიგესაო,
ენასა მბჸეჩი ზიდავდაეო.

2. ბატირაჰი ნატირალი ბუბასაბან-

რად არ სტირ აღუაის ქალო,
ვითამ შენ იყეა მამამთილიო,
აბეჩაე კუნჩალაურაო,
მბჸე კევის-ბერჩი მარულაო.
მადის ლიქოკა მეძალეო,
ორპირ მავიდა ცოლეულიო,
არ შამაუტეე მეძალესაო,
დავამუქარებ ვაშკაცებსაო.
შამავაგებებ ადადასაო,
ომში კივილით დამავალსაო.
კმალისხლიანსა ბათირასაო,
სალდათსა მაზქლოლივა წინაო.
რუსულად მადის საუბარიო,
სწორფერნ ვერ სცნობენ თავისანიო,
მადრანით მაღალთ ბუჯიასაო,
ამრევსა თავის სოფლისასაო.
ქალზლისნი დავნატრნეს ცრემლნიო.
ლაშმრუდი ბურციკაისშვილიო
ღვედრიდა ბაწარაულასაო.

ქალაის-სოფელ კვირიკასაო,
 ქალზლის გემოსა პირისწყალსაო.
 კარწეულთისას წამახვილიო,
 სოფლობაი გოქვე არეულიო.
 წავდლალავ კაცსა აქუშოსაო,
 მაშივა ბაბუაის შვილიო.
 მარკედ გვაშინებს აბიკაიო,
 დაგვიკვრენ თოფსა ლომიკანიო.
 რომენმ იამბეთ ლიქოკელმაო,
 კოცან ჩალხურთა ერთმანეთიო.
 კოცან თუ საკოც გქარბავთ კაცლო,
 ეგ ქვე რაია საკვირელიო.
 ის უჯრო იყვა საკვირელიო,
 ჩვენ რო დავლიეთ შარშ-ზაფხულიო.
 ძმას, ძმა ჩამუჯდა საყუჩიგაო,
 ვერქენის ტოტზეით დაფშენიტაო,
 აბლუნა თავის მამულშიგაო,
 დამკრეფიც დაენატრა კაციო.
 მამკლავ დაგვიდგა პირდაპირაო,
 უდელოს ბოლოთ უთხრა გვრინო.
 ყურთ მაგვდიოდა სუყელასაო.
 ანაბრივ ასწავლებდა შინშსაო,
 ნაბლუნსა აბიკაისასაო.

3. გორგოზე ნატურალი ლედისაბან

გორგო, დედა შაგენაცვლაო,
 ბერის ჯიკვის რქათ გიგონ წვერნიო.
 ბევრაის დედა აატირეო,
 აებლად ტირის დედაშენიო.
 გორგი, შენ ხარა უთურგაფიო,
 იყავ არლოტის ერთკი მკარო.
 შენ სიკვდილ ქისტებს გაუხარდაო,
 იყავ მითხოვლთ ნიავ-ღვარდო.

4. წაალსიპითელი და მატანძური.

თუ არ იჯერებ სამძიმარაო,
 აგჯაბრდა ვაშკაცებივითაო,
 ეგ გვაროდ დავაკვებთ გვარსაო,
 წყალსიპითელი მაგანძურსაო.

ჩუჩაყური ღვავის ქარსაო,
 უძე ბინაი ორწყალრიაო,
 ტანის ღელით იქამს ჩქამსაო,
 მაცნე ფხიტუსა გადმომდგარაო.
 ოკერკეველი აძლევს ბანსაო,
 ფიტხელაურ გვყვავ ლეკვიანიო.
 აძრახდი, აყოლებენ ბანსაო,
 უძახეთ ჭიელ-გუდანელთაო.
 სამაგანტუროს ერთკი მკართაო,
 ვამხადებ თინი ბექაურთაო.
 მა წყალსიქითლის საქმარედაო.

5. იმედავი ნატორალი დისაბან

ფასიორათამც დალღევს ღმერთიო,
 მისცეს ღურბინი იმედასაო.
 აკუმოს ღელით გამახენაო,
 ძმის მამკლავ იცნა აკოსთავაო.
 მაშინ რა ხქენი, და გენაცვლაო,
 ბუჩასეულმ რო ჩამაგზვივლაო.
 ნამკრევეთ სათავეს ნაყუდებო,
 დაგაწყვეტიენა კაფიანიო,
 ნამკრევენი სისხლით დავასერიენაო,
 ცელდაგჩა ნამკრევეთ სათავესაო,
 ნამკრევეთ ბოლოში სალესველიო,
 ახურათ სანათიზძიასაო,
 შვილიმც ხყონ შენის დავლათისნიო.
 შენზე კმლით მასვლა რად უნდოდაო,
 ბუჩასეულიც გეყოფოდაო.
 აცა ვერ წახოლ გუროელოო,
 აპარეკი გამაგიდგაო,
 ბუჩასეულს ქვე რას გვაკეცებთო,
 კირიმის ბარტყი ჩვენც ნახეთო.
 ვერ წავა თქვენი იმედაიო,
 გუდელას იწვა ნატყვიარო,
 გმინსა და გმინსა აყოლებდაო.
 შენ რა კა დაგცდა აკოელოო,
 დასცდა დიდ კაი გუროელსაო,
 შენ დაგცდეს ღვედის იარაღნიო,
 იმას ბალთანი, აშურმანიო.
 შენ დაგცდეს ლეგან ტალავარნიო,
 იმას ჩოკაი სკლატიანიო.

შენ დაგჩა ბოსელ ბოსლის-კარიო,
 იმას ციხეი ციხის-კარიო,
 ციხის კარ უზის ახალხალიო,
 ციხეს კოდნ უდგან პერიანნიო.

6. სიძეჲ ნატირალი ცოლისდისაბან

სიძეჲ ამაშინ მამეწონეო,
 სამტყუს მეტანე ამხანიგადო,
 კალთან რო გადაიკვართენიო,
 თოფი ჩულჩიგით გამასწვადეო.
 აღეედრე სამუკაობაიო,
 ზვიადი შენ მამართვი შინაო.
 სამტყუს მახკრიფე ბეწვითურაო.
 სანგიჲ, ჩიოდა მხეჟალაიო,
 წირვას ჩიოდა გინეზასაო,
 მე ეგე არ მამგონდებოდაო,
 კარის კვლაივით მამდიოდაო.
 სიძეს ენაცვლა ლელიაიო,
 სანგის ენაცვლა ცოლისდაიო.

7. ხომისურაჲ ნატირალი ცოლისდის ბუბიანისაბან

ხომისურაო, შაგენაცვლეო,
 მე იმას რაად მატყუებდიო,
 მაგიოლ გიორგიობასაო,
 მაგიტან ჯიკვის სატყავეთაო.
 შაგენანდა, ხომისურის მხემაო,
 საკარის მალალ შაკდომაიო,
 არხოტიონთად მეტობაიო,
 კმლითა სანგალში გადასვლაიო.
 დამეწვენეს შენნი სიძობანიო,
 მემრ ჩემნი ცოლისდაობანიო,
 თავჩიით ამამკენიტენ თმანიო,
 ჩაისხენ ჯიბის მასრაჩიგაო.
 აეგრაჲ მია კუჭულანიო,
 მესხნიან სარტყლის უბეჩიაო.
 აის დრო არ გვერჩიყვისაეო,
 შატილ ვისხდიდით ციხის კარაოჲ
 აღ-ჩადიოდის ხოყანაიო,
 არც-კი ვის გადავხენდიდითაო.

8. ხმსუა ბულიაუჩი ნატირალი

ქალმა დავციოთენ ჯღანწინდანიო,
 სასიპის ლელეს სიარულსაო.
 თვალით გიჭირე ველარ გნახეო,
 ხიალოს კალოს ყოფილიყავო.
 გელდიაურის მთიბელჩიგაო,
 ლეგოსნებჩია ლურჯოსანიო.
 სათავ-სათავეს მაუფლიდო,
 ნამკრევეთ ტოტეხსა მაუჭრიდო.
 ნაზირ-ვეზირნიც დაგიოცნაო,
 ბაცასად ბისოს მამადანიო.
 რაიც ერთადა არ შაგვეყრიანო,
 ერთუცის თავსა გვანატრებენო,
 მარიანობას წამახვიდო,
 კალოთ-გორ მაგცემ პირობასაო.
 ხარაჯის უბე ჩავიფიცხდაო,
 სამხარაულა გარმავიდაო,
 ულაღვენ კაცსა მამაშჩემსაო,
 გიპირობს გამაკიდებასაო.
 ნუცრას ერთს ხკითხავ მამიდათაო,
 ჭეტყოველს ხკითხე მარნაულსაო,
 მემრ წაედ გიგას დავეკითხეო,
 აკოს სანაგის მემიჯნესაო.
 წაიქენეს რიგნი აკოჩიგაო,
 სანაგის სანაგმ დაიძინაო,
 დროშათ ქვე ვინალ აგვიბემდაო,
 კმალას წითლითა ატლასისთაო.
 ლაშქართ ქვე ვინალ შაგვიყრიდაო,
 გიგაურ სამხარაულისთაო,
 მუხრან ქვე ვინალ გაღბეგრევედაო,
 მინდორსა სისხლით შალეზულსაო.

9. მზიას ნატირალი ბოზბიზი

გორგი შენ ხარა თველქათიო,
 მთაჩი მკოცელი ჯიკვებჩისაო,
 ჭალას მითხოველთ ვაყებჩისიო.
 შენ შენ ფერნ გინდან მატირალნიო,
 შენის ვაჟობის დამფასავნიო.
 ბრალია მგელა არ მამიკვდასო,
 რო დასწვა მიწის ლოგინზედაო.

ვეფხვო დასყარე იარაღიო,
 არწივმა დაიჭუქენ ჩკარნიო,
 ჯიკვო, საწოლთით გადმალეარდიო,
 ირემო, დაინაყენ რქანიო.

10. ღის ნატირალი გრკბიჯი

მითხოთ გამადის გორგის თოფიო,
 ყაწიშნ ნათობენ სახანოსაო.
 გორგო, შენ და შეგნაცვლაო,
 მუკლთა მაშვრალთა დაღალულთაო,
 მკართა ნაწყენთა საგძლისათაო,
 თვალთა დამწვართა წამლისათაო,
 ყბასა თოფისა დამტერეულსაო.

11. დედამათაზი ნატირალი

გუღელას მუშა აირივო,
 წყალი მავიდა სისხლიანიო.
 რა ვინ ქნა, რა ვის მაუვიდაო,
 სად ვინ ჩაკოცა ერთმანეთიო:
 ბუჩუკურ-უკენაკოვლებსაო
 ვაჟებს ერთმანეთ უკოცაო.
 წინწინ დისწულსა დედიმანიო
 ერთმანეთ უნადირებიაო.
 დისშვილს ბიძაი შამაშკრიაო,
 იმად ვიყავ ბიძაისიო,
 გავშჩევივა ფარიკაობასაო,
 ფარს ქვეთა მუსკრი შამამასწვერო.
 ბიძაისაო ნუ გასტყვიდიო,
 ვაშკაცსა ბევრიღ ვადახედებისო,
 დისწულს აო მახკვლენ დედიმანიო,
 თუ მაკლეს იქავ იტირებენო.
 წაედი დედას უამბიდიო,
 ბიძა გავწირე სისხლიანიო.
 დედა შვილობით გებვეწებო:
 „დედავ შვილობას ნულარ მეტყვიო,
 ერთი ბიძაიც შამამაკვდაო“.
 აეგი გინდა უარეო,
 დაუჯეროსო დედისასაო.
 არ იჯერებენ ბუჩუკურნიო,
 გიგა არ გვინდა კაცებჩიგაო,

დედიშმათაკე მაიწვედაო,
 დისწულ ხო დედიშმათაიაო.
 არყის ბოჯოლთა დაიმოწმანო,
 გიგაის წვერთა ჭაღრიანთაო,
 ჯიკეის რქათავით დაგრეხილთაო.
 შენ რაი(კ) გექნას ბუჩუკურსაო,
 ღორო არ დაზდეგ ბუჩუკუროო,
 ღორო ღორობა არ მაშაღეო,
 ჯერ სალა-კორკა გამამართვიო,
 ახლა შუაცხვირს მეკიდებო.

12. ნატირალი დაპირამზულ საჰმროზი

დავბერდი შენსა მალოდინსაო,
 ქალი ლამაზი ბექაურთო.
 გადამიყოლე გადმაგეყებო,
 მამის იმედო წიკლაურთო.
 არა და სხვას ვის გადავხეყებო;
 ვაჟი ბევრია გიგაურთო.
 გუშინაც კაცი მამილალო,
 თამარისშვილმა თანგულამო.
 მამიტანინა ქიჩილანიო,
 ცხრათ ძმით საკარგემოდ ატანილნიო;
 ავიღენ, იქავ გაუტანენო,
 არ იყენეს ჩემ კვალთ სახურავნიო,
 სადილონ იყენეს, საერონიო.
 შაკედად მიაც შამაკდინეო,
 წვრილაო შენნი ჭირნი დათაო,
 ერთხანად კიდევ გადავახენათ
 გულდამაყარსა პირიქითსაო.
 ციხენ სად უდგან თანგულასაო
 თამარისშვილსა ხოხისანიო,
 ციხემ ჩარდახნი ჩამაყარნაო,
 წავიდეს თანგულაობანიო.
 თეთრი ჯორი ხყავ თანგულასაო,
 თეთრსა ძუასა აბიბინებსო.
 ჭალაით ქვათა ხოხისათაო,
 აღმა და აღმა აზიდვიებსო,
 ციხისა მასაწვერაოდაო.
 თავად ციხესა თანგულასაო
 ციხეს ციხენ ქვე რაღად უნდანიო.

13. ძმაზე ნატირალი ღისაბან

აეგეთასამც ნუ ვინ იკდისო,
 მე რო ვიკადე ფარსმის თავაო,
 ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო,
 სიპრიელათა ილობებდაო.
 თავითი ყორნებ უგოგეცდაო,
 თვალთად კი ვერა დაეწონაო,
 კელი ზღებიყვა დაშნაზედაო.

14. მამის ნატირალი ოპილმზუა

შვილინ წავალენ თიბაზედაო,
 ჩემი სულიაი, კურდღელიაი,
 ახუნო არცად ღნახენაეო?
 თვალთ დავკვირტე ახუნ-გოროი,
 არცად აჩინდა ნამკრევებიო.
 ბერო, რად სტირი შვილთა შენთაო?
 ჩარგლის-კართ იყენეს შენნი შვილნიო,
 შამაწოლილინ ვეძაზედაო,
 ბრუნვედეს სისხლინ მორეგჩიაო.
 კელჩი ეჭირა შიშვლემ კმლჭბიო,
 ერთმანეთს ყორნებს ულაღეცდესო.
 შვილინ სულო-დ კურდღელიაი,
 ირმის გულისად დაკოცლნიო,
 იმედი მამეშალა თქვენიო,
 ბებერს მამას რო ათიბიებთო.
 ერთხან დავწირენ ცელსალენნიო,
 მეორედ ამატანიენითო.
 მარჩანობას დავდეც ცელიო,
 ენკენისასა საფარცხველიო,
 თიბად გავიდეს ჩარგალენნიო,
 სულა ძალს ეძახს ბარიასაო.
 არიქალ ჩემო ბარიააო,
 ტყეჩი ირემი შამივარდაო,
 ვაიმე ჩემო სიბერეეო,
 ირმებმ სრევალი დამიშალაო,
 ნეტა ვინ მამცა მშვილდ-ისარნიო,
 ერთ ორიმც დამაზინებეიო.
 ჩემთა საფუკავთა დამქაქაენიო,
 მიწათად გამაფერებეიანო,
 სულამ საწოლთით არ მაზდივაო,
 მეკუნდარჩიგით კურდღელამაო.

კარო ირემო ნუ ჩაივლიო,
 ჩარგალ მისტიათ კარისასაო,
 თორემ სულაი-კურდღელაიო
 პირს დაამტვრევენ ლოდისასაო.
 დაგკრავს ისარსა მისრიაიო,
 გამახვეწილსა ფშავლისასაო.
 თვე დადგა მარიანობისიო,
 კარის ყვირილი გავიგონეო,
 აფხუშოს ძირით შამახვირნაო,
 შახვირნე შენმა ოკრობამაო,
 თივათ დაგიყრი ქოჩისათაო,
 ხხუნ სულიის დათიბულთაო,
 ნაკრეფთა კურდღელაისათაო.
 ჩემო ჩარგალო ცოტინაო,
 აბრაშუმის საბლით მაზომილო.
 ჩარგალ ცას შალგავ ლურბლიანსაო,
 დღით სამჯერ იცვლის გუნებასაო.
 ქალო რომენი გირჩევ ქმარიო,
 ქისტაური თუ ჩარგალელიო.
 ქისტაურ პურსა არ მაგაკლებსო—
 ნადირის კორცსა ჩარგალელიო.
 ქალმა ქისტაურ დაირჩივაო,
 კორცე რად მინდა უბუროდაო.

15. ძმაჯე ნატირალი დისა

ვაშკაცის გვრინი გავიგონეო,
 მწუხიარემა ლოგინჩიგაო.
 სატირლად გული მამერივაო,
 სანადიროთა მაგცემ ჩემთაო
 კალთათა ოკერკევისათაო,
 თუ მამგერი ძმასა დაკარგულსაო,
 სანეს სწორებჩი სავეხურსაო.

16. მითხოვლისაგან მოკალულჯე თარშასაგან ნატირალი

ათათა კვლიმთ მინდიაო,
 ომით მაშვრალო, სისხლით მთვრალიო,
 ვაჟო მითხოხა რაკელ იყავო,
 თოფს რო ისრევდეს მითხოვლნიო,
 შაშინ რაი ხქენ მინდიაო,
 ფეკჩი რო ნიკორმ ჩაიხვივაო.

შენაც რო დაგკრეს მინდიააო,
 შამაგაწვინეს არყის ძირჩიო,
 ზედ მადიოდეს მითხოვლიო,
 გაგწირეს თავის სოფლელებმაო,
 ქისტნ კმლით გილაუნა კურდღელამაო,
 ივანეთ მეკანტალიამაო.

17. კაკაბთელეზზე ნატირალი

ეხლა შამახკე კალოსთავაო,
 რასალ შახედავ დათვის ჯვარსაო.
 აგიდგათ ქისტთა ცოდობრალიო
 შენ და მშაველათ მამუქასაო.
 აის დრო არ გერჩიყვისთავო,
 ერთად რო სამზირ ლაზდიოდითო.
 ქისტსა ბუსკას რო ხანჯრვედითო,
 აკსენებდიდით ბოსელასაო.
 თვალგულით ჩასთქით ბერდიადიო,
 დაგჩათ. მითხოსა კელდაჭრილიო.

18. მამისცოლი (დედინაცვალი)

მოდ და იქაე ჩაღვორებდიო,
 პირმატუსვილო სვილის კვერიო,
 ნაქნარო მამისცოლისაიო,
 წყევა-კრულვითა გამამცხვარიო,
 ტაბლაე კელუკულმ გადმადგმულიო,
 ვერ მასვლა გადმაყოლებულიო.
 ვინ ეტყვის ჩემსა მამის ცოლსაო,
 მთიბელი ველარ მავა შინაო.
 კართ მაგცემსთ სამახარობლოდაო,
 ჩემსა ღილასა ჯორელასაო.
 პირდაპირ უსხენ მესისხლენიო,
 კარსა ირემსა აყვირებენო,
 სადილობამდენ აყვირებენო,
 სადილობიდგეს დაზკვრენ თოფსაო.
 კარსა ირემსა აგმინებენო.
 ბიძაისაო, ნუ გასტყდიდიო,
 ოშკაცსა ბევრილ გადბადებმაო,
 — დისწულს არ მახკვენ დედიძმანიო,
 თუ მაკლეს იქაე იტირებენო.

19. შაბილივნივხე ნატირალი მჰმალუაისაზან

თვალჭრელო ჩეენო აბულეთაო,
 ნადირობ არ იყავიავო,
 მაღალი წვერი არიშქიხიო
 აღარცად მაიარიაეო.
 ჭანთეთ არ ჩინდა ტერელოიო,
 თოფის კვა' არ მაღიოდაეო.
 იდუა არცად ომოზდაეო,
 ხოლივა არ იცინოდაეო.
 ყელჭრელი იდუაის თოფიო,
 სულწუხალ არ გადიოდაეო.

20. შაბილიონ თათართ ჯამახხაზი ნატირალი

აღე შე თათართ ჯავახაო,
 მე შენზე უფრო მამდის გულსაო,
 ვაგიტყდა კმაი კარათესაო,
 ზულაის წვერ რო გადიარეო.
 ლუბის თავით რო მაიზინკლეო,
 ნასახელარი ამალბრუნდო.
 წელთ კმალ გიკდება სისხლიანიო,
 გამარიკაის ამკაფავიო.

21. ბაღურიათი საჰურა

ბაღურიათით მადის გმინიო,
 წუხალ ხყავ კმარუაისშვილიო.
 გულს ურჩო უჭირს ნატყვიარიო,
 მოკლიას ამაუდის სულიო.
 მდევართ ქვე რად მიღმეტდებოდიო,
 დედის ერთა ორ რად არ სთქვიდიო,
 მეშველაობით ვინ იძახდაო,
 ქალხალიც არ მიუდიოდაო.
 მე გიყავ ძალღმა კუღიანმაო,
 მე გაგაღვიძე მძინარაიო.

22. გიზა გიზაური

ცელნი მავლესნათ ნამქვისლარო,
 ქოჩებიდ შავაწითებვიათო.
 უბნით ბუზბაი გამაგვხენებსო,
 ოზლის კალოთაც შარინდაიო.

ქალნი ორნივაც ლამაზნიაო,
 ორნივაც ქმრების მწუნობარნიო.
 ქალი ნამკრევეთა კითხულობდაო,
 აეგ ნამკრევენი ვისანიაო.
 ნამკრევენ ჩემნია ჩოხლისანიო,
 თვალად ლამაზის ვაჟისანიო.
 გუშინ-წუხრ სადამ უკეცნიაო,
 მუქარაებსა მთიბლებზიაო,
 ვჩეგრეთ გიგაი გიგაურიო,
 თორელ ნამკრევეთით დავაბრუნეთო.
 აისრემც უბირისწყლებს ღმერთიო,
 რაიც თორელსა უნანიანო.
 გორს აქათ არ გარმაჩენილანო,
 გორს იქით ეტოლებოდიანო.
 თიბა ჩემთანა თორელსთანაო,
 ყმაწვილებსთან ქვე რად გეგონაო.
 თორელის მზემა დაგანაჯღნებო,
 ჯაბურის ცხენის ნალთავითაო.
 მთიბლად გაქებენ ბიძაშემსაო,
 წამავალ თვალით საჭერლადაო.
 ნურას წამახოლ ბიძისიო,
 ვაჟი ბევრია გიგაურიო,
 ახალ ვაჟები ფუდულობენო,
 ქუდებსა გვერდზე დაიბურვენო.
 ვნახე და არას მამეწონაო,
 გეგა ქალების საკეცხურიო;
 ექვსი მტკაველი ცელი სქონდაო,
 თორმეტს ეჭარბა ცელისტარიო.
 თვალებსა რასამ იწითებდაო,
 ნაჯინჭველავ არს დათვივითაო.

23- მზამალუასაბან ნატირალი სამუკაზი

ათათა ბიქო ბალახაიო
 გამკვირებინარ სამუკაიო!
 იმით კი უფრო გამიტრედლიო
 სკლატის ცმა არა იცოდდიო.
 ლეგა ჩოკაი ჩაიცვიდიო,
 გვერდზედა ქუდი გაიგდიდიო.
 აღაღებულსა ღგვანდი წყალსაო,
 ვერ გასავალსა ცხენისასაო.
 პირ-გამართულსა ღგვანდი თოფსაო,
 კმაძალიანსა სიათასაო.

დაფხაებულსა ღვგანდი კმალსაო,
ფრანგულსა სისხლჩი დაჩვეულსაო.

24. ბურიალზე ნატირალი

თოფო პირები შავარჩინეო,
თუ მახვალ ბულოთ ქალიშვილიო,
შაათ ხორას თუ მარჩინეო,
მაგის ნიასა გიგასაო.
ერთხანად კიდევ გიტირებდიო,
შამჩა ხორასკე მაჩივარიო,
მონებ სიტყვები დამიწირეო.
ქალო ხორაო შქამე ლოდიო,
აებლა ხედნე სკამის ფეკთაო.
ოროლის ტყვიის ვალეზულთაო,
ფებლა ხედნე ყვერუ-ქერათაო,
სისხლის მორევეთა შიგ ნაბრუნთაო.

25. ბერშათ ბაბაზე რძლისაბან ნატირალი

ჩეენი ჩამლეი მივიღოდაო,
ცხენსა შავრასა მახდეზავდაო.
ჩეენ ქვე რა გვეჩამლებიანო?
ცა დაბურვილნ ორთ საკვირელნიო.
ერთ კარჩი გვიწევს ფალავანიო,
სხვას ძმას შინ ამაგვიდის სულიო.
ჩამლეი იტირიდით იქაო,
საც ჩამლღის გედვასთ სატირელიო,
თოფსამც კარასა ვენაცვლებიო,
ჩამლას გაგაის ვატენილსაო.
თოფის ისარსამც ვენაცვლებიო,
ჩამლას გაგაის ჩაგებულსაო.

26. დედისძმაზე ნატირალი ელენასაბან

შენდ მაკვდა შენი ელენაიო,
უნცროსო ჩემო დედიძმათაო.
რახან ჯალაფთა ვაგავაჯავრანო
სამთასიქითოდ წამახვიდიო,
მთასიქითლებსა გაცნობიებთო.
თოფი თუ გინდა, მაგცემთ თოფსაო,
პატრონის გულზე ნამართებსაო.

კმალი თუ გინდა, მაგცემ კმალსაო,
 ფრანგულსა ხოლიგაისასაო!
 ქალი თუ გინდა, მაგცემ ქალსაო,
 სრუ სკლატიანსა ნათელსაო.
 ცხენი თუ გინდა, მაგცემ ცხენსაო,
 ლურჯას ოთხზედავ ნალიანსაო.

27. მარტიათ ჩაღზიაში ნათიასაბან
 ნატირალი

თუ რჯული გინდათ, გიქამთ რჯულსაო-
 გარჯულებთ აბის დიშვილასაო,
 უჭრის ენაი გოგაისაო.
 თუ შუღლი გინდათ, გიქამთ შუღლსაო-
 გაშუღლებთ ვეშაგურის შვილთაო.
 დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსაო,
 ჩვენმა ანდაბმა გაიშარჯეო.
 ოროლ დისწული მაიყვანესო,
 ჩემის ბუბაის სიყმის-შვილიო.
 მოდი წავიდათ დედულთასაო;
 ჩემსა შოთასა გაძმობილებო,
 დიდ გამეზარდა მინდიკაიო.

28. გოგიათ ივანეში ნათიასაბან ნატირალი

ფანდურვ ვიძახათ მე და შენაო.
 ივანევ, აგვაყოლე ბანო!
 ტუტუტო გოგიაის შვილო
 ბერიძიშვილს კი ვერ უჯობიხარო.
 აეხლად ხედნეთ გოგიასაო,
 მამამ რო ცერად გადმაგხენაო.

29. დედანო, დედა ბაბავაგლიო

დედანო, დედა გამავაგლიო,
 ვარცილი, საცერი გამავართვიო.
 ჩემსა ნაქნარსა ვერვინ იქამსო,
 შე რო ვქენ დედამთილობაიო.
 შინ მივიყვანე ახალზალიო,
 ნეფეი არ ჩამაკდა შინაო.
 არ ვიქამ შენის გულისასაო.

მე გავზღდი ჩემსა ბაბუასაო,
 ჯავრისად მაგიგონებ ჯავრსაო,
 ნამკრევეთა აუღგები აღმო,
 ვიძახებ მთიბლურთ კაჟიათაო.

30. ბარსიათი ივანეში ნატორალი მისი
 ცოლისაგან

სულეთის ღმერთო მადლიანო,
 მამე ნებაი საუბრისიო:
 გამამაცხადე სამზეოსაო,
 შენ ამაძრახე სამზეურთაო.
 ახლა ჭურჭელი მამეც კელთაო.
 ჯიკვო, წაედი საწოლთკედაო,
 ვეფხვო, დაყარე საომარიო.
 ჩემო ოქაო გადამიშვიო,
 შამილის თავით გეხვეწებო,
 წილი გაგიწყდა ბაბლიაო,
 ხმა გამიტეხე წყალსიქითაო.

31. მიაშც ნანატრი გამიცხადაო

მიამც ნანატრი გამიცხადაო
 სამშობლო გატიალეზულსაო.
 მემც მამკლა შენამც აგაყენაო,
 დედ-მამან გაგალაღებინაო.
 დედასამც მალე დასცილდებო,
 ხთისოს კი ვერ აგვივდი ფერსაო.
 მიაც ეგრ უყავ ნადირათაო,
 მე თაოდ გამაეზღენენ კარიო.
 არ ვტყუი, არ გამიწყდან ძმანიო,
 გაგამ არ დამიდევნას კარიო.
 ჩვენ ხო არ ვიციტ ცოდო-მადლიო,
 ზენ გორზე ჩაეაქციეთ კაციო,
 მაგრამ ღმერთ მაგვეცემს მაგიერსაო.

32 ცოლის ნატორალი მმარზე

გამიციინებენ ლაღნი კაცნი,
 უმაწვილ-უმწუწვილნი უმეცარნი—
 ქმარს ტირის ტოლათ შუქიანი,
 შვილის კვირაის ახალზალი.

შენ წილ გაიყვეს, შე სამიწეო,
 შენ მოგარგინეს ახალ სახლიო;
 ცეცხლ დაუთნები უმყოფლავიო.
 მე გეტყვი ვერვის დაუწონაო:
 შენ ცელსა აყენებენ დოღესაო,
 შენ კარებს გაიყარეს წილიო.

33. დანიშნული ჰალის ნატირალი საქმროზა

ჩემო მამაო, მამამთილო,
 ჩემი აქ მოსვლა რად გეწყინაო?
 შენ შვილს მიქებდეს სამეფოდაო,
 წამოვედ იმის საცნობლადაო.
 ეგ კარჩი აღარ გამოჩინდაო,
 აღარ იკადრა ჩემ ნახვანიო.
 დავსწყვიეა დედის ერთაიაო,
 თუ არა მყოლებ დამიწბილაო.
 ჩოკა მოვართვი ორშიანიო,
 თათი, ბაჭიკი ყაჭისაიო,
 არ იღებს გაჯავრებულაო.
 დღეს მოვედ, იქვე წაოლ ხვალაო,
 უკლო უკლოდავ გაგბრუნდებო.
 გვირგვინი მაშინ გამიწავაო,
 აეხლად მიწამ გააშავოსო.

34. ბერდელას ნატირალი ბიძაშვილზა

ტანიეს ამბავ გავიგონეო,
 ციხემა ჩარდახნ ჩამოყარნაო,
 მაუკლავ ოჩიაურაიო.
 გამაგრდი შუქიაურთ ქალო,
 გაჯავრდი, გაიმაგრე გულიო.
 დაზარდენ ქორის ბაკალანიო,
 წალალენ შურის საქებრადაო.

35. ბიბი ჯაბაშანაშჩხე ნატირალი

მტირალსა ტირილს ნუ ხპატიჯებთო,
 მინც იტირებს ბატარასაო.
 დავსწყვიეა, დედა გამიგონებსო,
 გულს გაიჯავრებს ბერდელაიო.
 მეწიკუა ხარ შაგენაცვლეო.
 შაგაშინებენ უცხოელნიო,

შამაგეჩვევის სურიელიო,
დაიგებს თმათა ლოგინდაო.
დასხამს გულზედა შარაბესაო.
გველია, ბოლოს მოგებრუნებსო,
დედის ძუძუ არ გეგონასო,
არ მოხკრა პირი უმეცარმაო.

36. ნანუა არაბულის ნატირალი

დედანო, ჩემსა მაცნატრსაო
სხვანიმც კი ნუ მოგიკვლენთ შვილსაო..
თოფ დახკრეს ჩემსა მშვენიერსაო,
მეშველაობით იძახინაო:
„ძმებო აღარას მიშველთაეო!
ქვეც ვკვდები ღონე დამელიეო!“.
ძმებ აატირის ვაშკაცებო,
მე ფარავის ღილ გავიკსნიდიო,
ფეკნი უბეში დაუთბნიდიო.

37. ღის ნატირალი ძმაზე

ეგ გინდა, დაი დაგენაცვლა,
წიქაე სისხლიან ტალავარსა.
გეუბენ, გაუმთხილდი მტერსა,
თორემ თოფს დაგკერენ მესისხლენი..
არ შაგებრალებს ურჯუჟკაი,
მამკლავსა იმედისასა.

38. დედის ნატირალი შვილზე

მზეო დადეგ და დაგვიანდი,
მზე სდგეხარ უკენობისაო,
ვიყრებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდისაო.

39. ბერდედის ნატირალი შვილზე

ლელაო, დედა შაგენაცვლაო!
გამწყრალი მიხოლ დედისაიო.
შენმა მზემ, შენი სიკვდილითაო,
მე არას გამოვიღვე გონსაო:

ვერ დამაცილებ გიგისასო
სამ წელს ლოგინჩი ჩალეულსასო.

40. ძილუას ნატირალი შიშინაზი

ღმერთსამც ნუ ეთქვა—გაზღდიყვაო,
ბაჭუათ ახალის შვილიო,
სწოთ მეტობას რას დაიწყებდაო,
სწორებს რას დააჩაღებდაო.

41. ნათულას ნატირალი ძმრის დისწულაზი

გიტირებ ნათელისძის მზემეო,
ვაშკაცო ბალიურთაო,
დისწულო ერისთვიანთაო,
შე მაურავის ქალიშვილო.
ნუ დაღბრუნდები, არა გინდაო,
მაშა წაგეყონს შკოლაჩისაო.
საფლავს ვითხრიან ბარუქასაო,
ნაზარდო სააზნაუროდაო,
ნაწოლო ბამბის ლოგინჯედაო.

42. ცინათ თარუას ნატირალი მამათეზი

ნუ გამიცინებთ მატირალნო,
„ცულა“ მეც მიწევეს ბარუქასაო.
აბეჩავ ხიზნათ მარტიაო.
ღიჩინმა გაიქნივა კელიო.
აის დრო არ გერჩიყვისაეო
ჯურკას რომ ჯგვარჩი მიატანეო,
გაჯავრებული ღვედრიდიდიო.
მოვედ ხიზნათ ულაყაიო!

43. დედის ნატირალი შვილაზი

დედა გენაცვლას ბერდიააო,
შევალო არიარეზედაო—
შენ არხოტიონთ ამანათაო;
თუ საშინაოდ წამოხვედიო,
ახიელისას იარდიო—
ბადისა დაემადრიელიდიო,
მადლობა გადაუხადიდიო,
გაგიღა კარი საყდრისაიო.

სამი დღე გავათენებიაო,
 ამლით აღინა მატირალიო —
 შაკეთე უმაკეთეოიო.
 დედო, ნუ წახოლ აკუშოსაო,
 თორემ მესისხლენ დაგკერენ თოფსაო,
 აღიონანი მამაცნიაო.
 სიკვდილო აიტანე ქრთამიო,
 წილს მოგცემთ ბერდიასასაო,
 დავარაყილსა მოგცემ თოფსაო,
 ლურჯასა შაგიკაზმავ ცხენსაო,
 კართ მაგცემ ბერდიასათაო,
 კართ მაგცემ კართა დაუღვლილთაო.
 ორნივ წამაოლთ დედ-მამანიო,
 ნათელას დავიყენებთ წინაო,
 ქალსა გათქმულსა სიკეთითაო,
 ულომც ბერდია დამიბრუნეო.

44. ცოლის ნატირალი ჰმარჯი

გიტირებ ლამიანის მზემაო,
 აგრე მიწას გასარევაო;
 შენ შამაზენე სრუყველასაო,
 დიაცმა ქმარი დავიტირეო
 მავალი არიარეზედაო.
 ველზე მთენეო ღამეთაო
 მლაკაო მთა-ლემადეთაო.
 გაუტეხელო რკინის კვერო
 მავალო საურჯულოოსაო.
 კელ მაგიმართას მშვიდობითაო,
 წახვედ მიუხოლ თავისებსაო,
 წერასამც მოხკდი თათუასაო,
 ყალანსამც მოკდი მოკლიასაო.

45. ნანუპას ნატირალი წიკლაურჯი

ამბად მოვიდა კევსურეთა:
 მომკვდარა მარაისძის შვილი,
 ამლას ციხეი დაიშალა.
 მე არ ორ შენი მაცნაური,
 კევსურნ განობდეს კევსურეთა.
 მე შენი ცოლი გამიკვირდა:
 მთა-წვერთა მიუღიან თვალნი—

არც ვიც შენ უფრო ენანები,
 თუ შეილ კალთიდან გადუმხდარი.
 კაის დედაო გამიკვირდი,
 კას შეილსად არცად გაუშობდი,
 საც წავიდოდა, გავწყევბოდი;
 აუკდიდი სიზსა, საბურავსა,
 ზედ დედა ჩავეხურებოდი.

46

ო! მზეო დადეგ, დაგვიანდო,
 მამშვიდობებენ ბერდიასაო.
 მზეგ სდგებარ უკნობისაო,
 კვლავ ველარ ვნახავ ბერდიასაო!

47. ძილუას ნატირალი ზმვილუჲე

დედა გენაცვლოს ბერდიო,
 ო, დედო, „წყარო“ გამოვედითო,
 ვიყრებით დედაშვილობითო.
 დედო, დაგიშლის სიკოჭლეიო,
 შავრასა შავიკაზმავ ცხენსაო.
 თუ გინდ წახვიდი დედულთასაო,
 თუ გინდა დედის დედულთასაო,
 ჩაიარდი ჭიმლისასაო,
 ქალი კმარაი იკითხიდო.
 კმარავ დაგეწვენეს ქალობანიო,
 ზალტე-სათითე ვერცხლისანიო,
 სათმენი აბრაშუნისანიო.
 კერაჩი ველარ დავეტევიო,
 ბერდიავ, ალაგი მინდა დიდო,
 სანდუას გადაგიგდებ ბანსაო,
 ნათუას წავილაღავ შინაო.

48. ლულას ნატირალი ოჩიაურბეზე

ოჩიაურნი ჩამოსეტყენაო,
 მეხ დახკრა ნინიას სახლთაო,
 იწივლა გველმა ლიბუჩიაო,
 კეზ გატყდა, კერას გაერეკაო,
 ოროლნი გაიხვიენა ძმანიო,
 ორნივ გადასჩეს დედ-მამანიო,

8. ხმისაღრ ბჟღიარაჟი ნატირალი

ქალმა დავციითენ ჯღანწინდანიო,
 სასიპის ღელეს სიარულსაო.
 თვალით გიჭირე ველარ გნახეო,
 ხილოს კალოს ყოფილიყავო.
 გელდიაურის მთიბელჩიგაო,
 ლეგოსნეზჩია ლურჯოსანიო.
 სათავე-სათავეს მათუელიდო,
 ნამკრევეთ ტოტემსა მათუქრიდო.
 ნაზირ-ვეზირნიც დაეიკონაო,
 ბაცასად ბისოს მამადანიო.
 რაიც ერთადა არ შავგყრიანო,
 ერთუცის თავსა გვანატრებენო,
 მარიაანობას წამახედიო,
 კალოთ-გორ მაგცემ პირობასაო.
 ხარაჯის უბე ჩავიფიცხდაო,
 სამხარაულა გარმაფიდაო,
 ულაღვენ კაცსა მამაშჩემსაო,
 გიპირობს გამაკიდებასაო.
 ნუცრას ერთს ხკითხავ მამიდათაო,
 ჭეტყოველს ხკითხე მარნაულსაო,
 მემრ წაედ გიგას დაეკითხეო,
 აკოს სანაგის მემიჯნესაო.
 წაიქცნეს რიგნი აკონიგაო,
 სანაგის სანავმ დიიძინაო,
 დროშათ ქვე ვინალ აგვიბემდაო,
 კმალას წითლითა ატლასისთაო.
 ლაშქართ ქვე ვინალ შავვიყრიდაო,
 გიგაურ სამხარაულისთაო,
 მუხრან ქვე ვინალ ვალბეგრევედაო,
 მინდორსა სისხლით შალბულსაო.

9. გვიას ნატირალი ზორბიჯი

გორგი შენ ხარა თველექათიო,
 მთაჩი მკოცელი ჯიკეებისაო,
 ჭალას მითხოველთ ვაჟებისიო.
 შენ შენ ფერნ გინდან მატირალნიო,
 შენის ვაჟობის დამფასავნიო.
 ბრალია მგელა არ მამიკედასო,
 რო დასწვა მიწის ლოგინზედაო.

ვეფხვო დახყარე იარალიო,
 არწივმა დიკუქუქენ მკარნიო,
 ჯიკვო, საწოლთით გადმალვარდიო,
 ირემო, დაინაყენ რქანიო.

10. დეს ნატირალი გორბიჯი

მითხოთ გამადის გორგის თოფიო,
 ყაწიშნ ნათობენ სახანოსაო.
 გორგეო, შენ და შაგენაცვლაო,
 მუკლთა მაშვრალთა დაღალულთაო,
 მკართა ნაწყენთა საგძლისათაო,
 თვალთა დამწვართა წამლისათაო,
 ყბასა თოფისა დამტვრეულსაო.

11. დედიმათაჯი ნატირალი

გუდელას მუშა აირიგაო,
 წყალი მავიდა სისხლიანიო.
 რა ვინ ქნა, რა ვის მათეიდაო,
 სად ვინ ჩაკოცა ერთმახეთიო.
 ბუნუკურ-ტყენაკოვლებსაო
 ვაქემს ერთმანეთ უკოკიო.
 წინწინ დისწულსა დედიმანიო
 ერთმანეთ უნადირებიაო.
 დისშვილს ბიძაი შამამჭრიო,
 იმაად ვეყავ ბიძაისიო,
 გაეშვივა ფარიკაობასაო,
 ფარს ქვეთა მუსრი შამამასწვერო.
 ბიძაისაო ნუ გასტყდიდიო,
 ვაშკაცსა ბევრიდ გადახკვდებისო,
 დისწულს აო მახკვლენ დედიმანიო,
 თუ მაკლეს-იქავ იტირებენო.
 წაედი დედას უამბიდიო,
 ბიძა გავწირე სისხლიანიო.
 დედა შვილობით გეხვეწებო:
 „დედავ შვილობას ნუღარ მეტყვიო,
 ერთი ბიძაიც შამამაკვლაო“.
 აეგი გინდა უარეიო,
 დაუჯეროსო დედისასაო.
 არ იჯერებენ ბუნუკურნიო,
 გიგა არ გვინდა კაცებჩიგაო,

დედიძმათაჲე მიიწვედაო,
 დისწულ ხო დედიძმათაიაო.
 არყის ბოჯოლთა დაიმოწმანო,
 გიგაის წვერთა ქალრიანთაო,
 ჯიკეის რქათავით დაგრეხილთაო.
 შენ რაიჲ გექნას ბუჩუკურსაო,
 ლორო არ დაზდეგ ბუჩუკუროო,
 ლორო ღორობა არ მამალეო,
 ჯერ სალა-კორკა გამამართვიო,
 ახლა შუაცხვირს მკვიდებიო.

12. ნატორალი ღაკირიბუჲლ სამპროზი

დაებერდი შენსა მლოდინსაო,
 ქალი ღამაზი ბეჲაურიო.
 გადამიყოლე გადაგყევიო,
 მამის იმედო წიკლაურიო.
 არა და სხვას ვის გადავხყევიო,
 ჭაყი ბევრია გიგაურიო.
 გუშინაც კაცი მამილალო,
 თამარისშვილმა თანგულამაო.
 მამიტანინენა ქიჩილანიო,
 ცხრათ ძმათ საკარგემოდ ატანილნიო.
 ავილენ, იქაე გაუტანენო,
 არ იყენეს ჩემ კვალთ სახურავნიო,
 სადიღონ იყენეს, საერონიო.
 შაკედაღ მიაც შამაკდინეო,
 წვრილაო შენნი ჭირნი დათაო,
 ერთხანად კიდეგ გადავანენათ
 გულამაყარსა პირიქითსაო.
 ციხენ საღ უღღან თანგულასაო
 თამარისშვილსა ხოხისანიო,
 ციხემ ჩარდახნი ჩამაყარნაო,
 წაეიდეს თანგულაობანიო.
 თეთრი ჯორი ხყავ თანგულასაო,
 თეთრსა ძუასა აზიბინებსო.
 ქალაით ქვათა ხოხისათაო,
 აღმა და აღმა აზიდვიებსო,
 ციხისა მასაწვერაოდაო.
 თავად ციხესა თანგულასაო
 ციხეს ციხენ ქვე რადღ უნღანო.

13. ძმაზე ნატირალი ღისაბან

აეგეთსამც ნუ ვინ იკდისო,
 მე რო ვიკადე ფარსმის თავაო,
 ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო,
 სიპრიელათა ილობებდაო.
 თავითი ყორნებ უგოგეცდაო,
 თვალთად კი ვერა დავწონაო,
 კელი ზდებიყვა დაშნაზედაო.

14. მამის ნატირალი შვილებზე

შვილნი წავლალენ თიბაზედაო,
 ჩემი სულაი, კურდღელიაო,
 ახუნო არცად ღნაბენაეო?
 თვალთ დავკვრიტე ახუნ-გორიო,
 არცად აჩინდა ნამკრევებიო.
 ბერო, რად სტირი შვილთა შენთაო?
 ჩარგლის-კართ იყვნეს შენნი შვილნიო,
 შამაწოლილნი ვეძახედაო,
 ბრუნევედეს სისხლის მორევიაო.
 კელჩი ეჭირა შიშვლებ კმლებიო,
 ერთმანეთს ყორნებს ულაღვედესო.
 შვილნო სულაო-დ კურდღელიაო,
 ირმის გულისად დაკოცონიო,
 იმედი მამეშალა თქვენიო,
 ბებერს მამას რო ათიბიებთო.
 ერთხან დავწირენ ცელსალესნიო,
 მეორედ ამატანიენითო.
 მარიანობას დავდეც ცელიო,
 ენკენიასა საფარცხველიო,
 თიბად გავიდეს ჩარგალელნიო,
 სულა ძალს ეძახს ბარიასაო.
 არიქად ჩემო ბარიასო,
 ტყეჩი ირემი შამივარდაო,
 ვაიმე ჩემო სიბერეეო,
 ირმებმ სრევალი დამიშალაო,
 ნეტა ვინ მამცა მშვილდ-ისარნიო,
 ერთ ორიმც დამაზინებიაო.
 ჩემთა საფქავთა დამქაქავნიო,
 მიწათად გამაფერებინაო,
 სულამ საწოლთით არ მაზდივაო,
 მეკუნდარჩივით კურდღელამაო.

კარო ირემო ნუ ჩაივლიო,
 ჩარგალ მისრიათ კარისასაო,
 თორემ სულაი-კურდღელიო
 პირს დამტვრევენ ლოდისასაო.
 დაგკრავს ისარსა მისრიაო,
 გამახვეწილსა ფშავლისასაო.
 თვე დადგა მარიაანობისიო,
 კარის ყვირილი გავიგონეო,
 აუხუშოს ძირით შამახყვირნაო,
 შახყვირნე შენმა ოკრობამაო,
 თივით დაგიყრი ქოჩისათაო,
 ახუნ სულაის დათიბულთაო,
 ნაკრეთა კურდღელისათაო.
 ჩემო ჩარგალო ცოტინაო,
 აბრაშუმის საბლით მახომილო.
 ჩარგალ ცას შალგავ ლურბლიანსაო,
 დლით სამჯერ იცვლის გუნებასაო.
 ქალო რომენი ვირჩევ ქმარიო,
 ქისტაური თუ ჩარგაღელიო.
 ქისტაურ პურსა არ მაგაკლებსო—
 ნადირის კორცსა ჩარგაღელიო.
 ქალმა ქისტაურ დაირჩივაო,
 კორცი რად მინდა უპუროდაო.

15. ძმად ნატირალი დისა

ვაშაკის გვრინი გავიგონეო,
 მწუხიარემა ლოგინჩივაო.
 სატირლად გული მამერივაო,
 სანადიროთა მაგცემ ჩემთაო
 კალთათა ოკერკევისათაო,
 თუ მამგერი ძმასა დაკარგულსაო,
 სანეს სწორებში საკვეხურსაო.

16. ბითხოვლისაბან მოკლულზე თარაშასაბან ნატირალი

ათათა კვლიმათ მინდიაო,
 ომით მაშვრალო, სისხლით მთვრალიო,
 ვაჟო მითხოხა რაკელ იყავო,
 თოფს რო ისრევდეს მითხოვლენიო.
 მაშინ რაი ხქენ მინდიაო,
 ფეკჩი რო ნიკორმ ჩიხვივაო.

შენაც რო დაგკრეს მინდიაო,
 შამაგაწვინეს არყის ძირჩიო,
 ზედ მაღიოდეს მითხოელნიო.
 გაგწირეს თავის სოფლელებმაო,
 ქისტენ კმლით გილანა კურდღელამაო,
 ივანეთ მეკანტალიამაო.

17. პავბატილშეხი ნატირალი

ეხლა შამახე კალოსთავაო,
 რასად შახედავ დათვის ჯვარსაო.
 აგიღვათ ქისტთა ცოდობრალიო
 შენ და მშაველათ მამუკასაო.
 აის დრო არ გერჩიყვისთავო,
 ერთად რო სამზირ ლაზდიოდითო.
 ქისტსა ბუსკას რო ხანჯრევიდითო,
 აკსენებდიდით ბოსელასაო.
 თვალგულით ჩასთქით ბერდიიო,
 დაგჩათ მითხოსა კელდაკრილიო.

18. მამისცოლი (დემინაცვალი)

მოდო და იქავ ჩაღვორებდიო,
 პირმატუსვილო სვილის კვერიო,
 ნაქნარო მამისცოლისაიო,
 წყევა-კრულვითა გამამცხვარიო,
 ტაბლავ კელუკულმ გადმაღმულიო,
 ვერ მასვლა გადმაყოლებულიო.
 ვინ ეტყვის ჩემსა მამის ცოლსაო,
 მთიბელი ველარ მავა შინაო.
 კართ მაგცემსთ სამახარობლოდაო,
 ჩემსა ლილასა ჯორელასაო.
 პირდაპირ უსხენ მესისხლენიო,
 კარსა ირემსა აყვირებენო,
 სადილობამდენ აყვირებენო,
 სადილობიდეც დახკვრენ თოფსაო.
 კარსა ირემსა ავმინებენო.
 ბიძაისაო, ნუ გასტყდიდითო,
 ოშკაცსა ბევრიდ გადახკვებო,
 — დისწულს არ მახკვლენ დემინანიო,
 თუ მაკლეს იქავ იტირებენო.

19. შატილივნებაში ნატირალი მზიქალუსისაგან

თვალქრელო ჩვენო აბულეთაო,
 ნადირობ არ იყავიავო,
 მაღალი წვერი არიშკიხიო
 აღარცად მიაირიავო.
 ჭანთეთ არ ჩინდა ტერელოიო,
 თოფის კმა არ მადიოდავო.
 იღუა არცად ომობდავო,
 ხოლიგა არ იცინოდავო.
 ყელქრელი იღუაის თოფიო,
 სულწუხხალ არ გადიოდავო.

20. შატილიონ თათართ ჯამახაში ნატირალი

ადე შე თათართ ჯავახაო,
 მე შენზე უფრო მამდის გულსაო,
 გაგიტყდა კმაი კარათესაო,
 ზულაის წვერ რო გადიარეო.
 ლუბის თავით რო მაინქლეო,
 ნასახელარი ამალბრუნდიო.
 წელთ კმალ გიკვდება სისხლიანიო,
 გამარიკაის ამკაფავეო.

21. ბაღურიათი საჭურა

ბაღურიათით მადის გმინიო,
 წუხად ხყავ კმარუაისშვილო.
 გულს ურჩო უჭირს ნატყვიარიო,
 მოკლიას ამაუდის სულიო.
 მღევართ ქვე რად მიღმეტდებოდიო,
 დედის ერთა ორ რად არ სთქვიდიო,
 მეშველაობით ვინ იძახდაო,
 ქალხალიც არ მიუდიოდაო.
 მე გიყავ ძალმა კუდიანმაო,
 მე გაგაღვიძე მძინარაიო.

22. გიბა ბიბაური

ცელნი მავლესნათ ნამქვისლარო,
 ქოჩბილ შავაწითებიათო.
 უბნით ბუბაი გამაგვხენებსო,
 ობლის კალოთაც შარინდაიო.

ქალნი ორნივეც ლამაზნიაო,
 ორნივეც ქმრების მწუნობარნიო.
 ქალი ნამკრევეთა კითხულობდაო,
 აეგ ნამკრევენი ვისანიო.
 ნამკრევენ ჩემნია ჩობლისანიო,
 თვალად ლამაზის ვაყისანიო.
 გუშინ-წუხრ სადამ უკეცხიაო,
 მუქარაებსა მთიბლებჩიაო,
 ვჩეგრეთ გიგაი გიგაურიო,
 თორელ ნამკრევეთით დავაბრუნეთო.
 აისრემც უპირისწყლებს ღმერთიო,
 რაიც თორელსა უნახიანიო.
 გორს აქათ არ გარმაჩენილანო,
 გორს იქით ეტოლებოდიანიო.
 თიბა ჩემთანა თორელსთანაო,
 ყმაწვილებსთან ქვე რად გეგონაო.
 თორელის მზემა დავანაჯღნებო,
 ჯაბურის ცხენის ნალთავითაო.
 მთიბლად გაქებენ ბიძაშჩემსაო,
 წამაველ თვალთ საქერლადაო.
 ნურას წამახოლ ბიძისიო,
 ვაჟი ბევრია გიგაურიო,
 ახალ ვაჟები ფუღულობენო,
 ქუდებსა გვერდზე დაიხურენო.
 ვნახე და არას მამეწონაო,
 გიგა ქალების საკეცხურიო;
 ექვსი მტკაველი ცელი ხქონდაო,
 თორმეტს ეჭარბა ცელისტარიო.
 თვალებსა რასამ იწითებდაო,
 ნაჯინქველავ არს დათვივითაო.

23. მხეპალუხასაბან ნატორალი სამუჟაჟე

ათათა ბიჟო ბალახაიო
 გამევირებიხარ სამუჟაიო!
 იმით კი უფრო გამიტრეღდიო
 სკლატის ცმა არა იცოდდიო.
 ლეგა ჩოკაი ჩაიცვიდიო,
 გვერდზედა ქუდი გაიგდიდიო.
 ალალებულსა ღგვანდი წყალსაო,
 ვერ გასავალსა ცხენისასაო.
 პირ-გამართულსა ღგვანდი თოფსაო,
 კმაძალიანსა სიათასაო.

დაფხაებულსა ღვანდი კმალსაო,
ფრანგულსა სისხლჩი დაჩვეულსაო.

24. ბუროელზე ნატირალი

თოფო პირები შაგარჩინეო,
თუ მახვალ ბულოთ ქალიშვილიო,
შაათ ხორას თუ მაარჩინეო,
მაგის ნიასა გიგიასაო.
ერთხანალ კიდევ გიტირებდიო,
შამჩა ხორასკ მაჩივარიო,
მონებ სიტყვები დამიწირეო.
ქალო ხორაო შქამე ლოდიო,
აებლა ხედნე სკამის ფეკთაო.
ოროლის ტყვიის გაღებულთაო,
ეებლა ხედნე ყვერფე-კერათაო,
სისხლის მორევეთა შიგ ნაბრუნთაო.

25. ბერშათი ბაბაზე რძლისაბან ნატირალი

ჩენი ჩამღელი მივიდოდაო,
ცხენსა შეერასა მაზღეზავდაო.
ჩვენ ქვე რა გვეჩამღებთანო?
ცა დახურვილნ ორთ საკვირელნიო.
ერთ კარჩი გვიწევს ფალავანიო,
სხვას ძმას შინ ამაგვიდის სულიო.
ჩამღელი იტირიდით იქაო,
საც ჩამღლის გედვასთ სატირელიო,
თოფსამც კარასა ვენაცვლებიო,
ჩამღას გაგაის გატენილსაო.
თოფის ისარსამც ვენაცვლებიო,
ჩამღას გაგაის ჩაგებულსაო.

26. ღვინისმაზე ნატირალი ელმნასაბან

შენდ მაკვდა შენი ელენაიო,
უნცროსო ჩემო დედიძმათაო.
რახან ჯალაფთა გავაჯავრანო
სამთასიქითოდ წამახვიდიო,
მთასიქითლებსა გაცნობიებთო.
თოფი თუ გინდა, მაგცემთ თოფსაო,
პატრონის გულზე ნამართებსაო.

კმალი თუ გინდა, მაგცემ კმალსაო,
 ფრანგულსა ხოლიგაისასაო!
 ქალი თუ გინდა, მაგცემ ქალსაო,
 სრუ სკლატიანსა ნათელასაო.
 ცხენი თუ გინდა, მაგცემ ცხენსაო,
 ლურჯას ოთხზედავ ნალიანსაო.

27. მარტიათ ჩაღზიანამ ნათიანსაბან
 ნატირალი

თუ რჯული გინდათ, გიქამთ რჯულსაო.
 გარჯულებთ აბაის დიშვილასაო,
 უჭრის ენაჲ გოგაისაო.
 თუ შუღლი გინდათ, გიქამთ შუღლსაო.
 გაშუღლებთ ვეშაგურის შვილთაო.
 დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსაო,
 ჩვენმა ანდაბმა გაიმარჯვაო.
 ოროლ დისწული მაიყვანესო,
 ჩემის ბუბაის სიყმის-შვილიო.
 მოდი წავიდათ დედულთასაო;
 ჩემსა შოთასა გამობილებო,
 დიდ გამეზარდა მინდიკაიო.

28. გოგიათ ივანეჲმ ნათიანსაბან ნატირალი

ფანდურე ვიძახათ მე და შენაო.
 ივანეჲ, აგეაყოლე ბანო!
 ტუტუტუცო გოგაიის შვილო
 ბერიძიშვილს კი ვერ უჯობიხარო.
 აეხლად ხედნეთ გოგაისაო,
 მამამ რო ცერად გადმაგხენაო.

29. დედანო, დედა გამავაგდიო

დედანო, დედა გამავაგდიო,
 ვარცილი, საცერი გამავართვიო.
 ჩემსა ნაქნარსა ვერვინ იქამსო,
 მე რო ვქენ დედამთილობაიო.
 შინ მაიყვანე ახალზალიო,
 ნეფეი არ ჩამაკდა შინაო.
 არ ვიქამ შენის გულისასაო,

მე გავზდი ჩემსა ბაბუასაო,
 ჯაერისად მაგიგონებ ჯაერსაო,
 ნამკრევეთა აუღგებები აღმაო,
 ვიძახებ მთიბლურთ კაფიათაო.

30. ბარსიათი ივანეში ნატირალი მისი
 ცოლისაგან

სულეთის ღმერთო მადლიანო,
 მამე ნებაი საუბრისიო:
 გამამაცხადე სამზესოთაო,
 შენ ამძრახე სამზურთაო.
 ახლა კურჭელი მამეც კელთაო.
 ჯიკეო, წაედი საწოლთკედაო,
 ვეფხვო, დაყარე საომარიო.
 ჩემო ოჟაო გადამიშვიო,
 შამილის თავით გეხვეწებო,
 წილი გაგიწყდა ბაბლიაო,
 ხმა გამიტეხე წყალსიქითაო.

31. მიამც ნანატრი ბაშიცხადარო.

მიამც ნანატრი გამიცხადარო
 სამშობლო გატიალეზულსაო.
 მემც მამკლა შენამც აგაყენაო,
 დედ-მამან გაგალაღებინაო.
 დედასამც მალე დასცილდებო,
 ხთისოს კი ვერ აგვიკდი ფერსაო.
 მიაც ეგრ უჟაე ნადირათაო,
 მე თაოდ გამავზდვენე კარიო.
 არ ვტყუი, არ გამიწყდან ძმანიო,
 გაგამ არ დამიღვენას კარიო..
 ჩვენ ხო არ ვიციით ცოდო-მადლიო,
 ზენ გორზე ჩავაქციეთ კაციო,
 მაგრამ ღმერთ მაგვეცემს მაგიერსაო.

32 ცოლის ნატირალი მხარეში

გამიცინებენ ლაღნი კაცნი,
 ყმაწვილ-ყმუწვილნი უმეტარნი—
 ქმარს ტირის ტოლათ შუქიანი,
 შვილის კვირას ახალზალი.

შენ წილ გაიყვეს, შე სამიწყო,
 შენ მოგარგინეს ახალ სახლიო;
 ცეცხლ დაუნთებე უმყოფლავიო.
 მე გეტყვი ვერვის დაუწონაო:
 შენ ცელსა აყენებენ დოღსაო,
 შენ კარებს გაიყარეს წილიო.

33. დანიშნული ჭალის ნატირალი საჰმროჲმ

ჩემო მამაო, მამამთილო,
 ჩემი აქ მოსელა რად გეწყინაო?
 შენ შვილს მიქებდღეს სამეფოდაო,
 წამოვედ იმის საცნობლადაო.
 ეგ კარჩი აღარ გამოჩინდაო,
 აღარ იკადრა ჩემ ნახვანიო.
 დაესწყვიდა დედის ერთაიაო,
 თუ არა მყოლებ დამიწბილაო.
 ჩოკა მოვართვი ორშიანიო,
 თათი, ბაჭიჭი ყაჭისაიო,
 არ იღებს გაჯავრებულაო.
 დღეს მოვედ, იქვე წაოლ ხვალაო,
 უკლო უკლოდავ გავბრუნდებიო.
 გვირგვინი მაშინ გამიშავაო,
 აებლად მიწამ გააშავოსო.

34. ბერდუღას ნატირალი ბიძაშვილჲმ

ტანიეს ამბავ გავიგონეო,
 ციხემა ჩარდახნ ჩამოყარნაო,
 მაუკლავ ოჩიაურაიო.
 გამავრდი შექიაურთ ქალო,
 გაჯავრდი, გაიმაგრე გულიო.
 დაზარდენ ქორის ბაკალანიო,
 წალალენ შურის სძებბრადაო.

35. ბიბი ჯაბუშანუშრჲმ ნატირალი

მტირალსა ტირილს ნუ ხბატიჯებთო,
 მაინც იტირებს ბატარასაო.
 დაესწყვიდა, დედა გამიგონებსო,
 გულს გაიჯავრებს ბერდუდაიო.
 ბეწიკუა ხარ შაგენაცვლეო.
 შაგაშინებენ უცხოელნიო,

შამაგეჩევევის სურიელიო,
დაიგებს იმათა ლოგინადაო.
დასხამს გულზედა შარაებსაო.
გველია, ბოლოს მოგიბრუნებსო,
დედის ძუძუი არ გეგონასო,
არ მოხკრა პირი უმეცარმაო.

36. ნანუა არაბულის ნატირალი

დედანო, ჩემსა მაცნაურსაო
სხვანიმც კი ნუ მოგიკვლენთ შვილსაო..
თოფ დახკრეს ჩემსა მშვენიერსაო,
მეშველაობით იძახინაო:
„ძმებო აღარას მიშველთაეო!
ქვეც ვკედები ღონე დამელივაო!“.
ძმებ აატირის ვაშკაცებო,
მე ფარაგის ღილ გავიკსნიდიო,
ფეკხი უბეში დაუთბნიდიო.

37. დის ნატირალი ძმაზე

ეგ გინდა, დაი დაგენაცვლა,
წიქავ სისხლიან ტალავარსა.
გეუბენ, გაუმთხილდი მტერსა,
თორემ თოფს დაგკვრენ მესისხლენი..
არ შაგიბრალებს ურჯუკაი,
მამკლავსა იმედაისასა.

38. დედის ნატირალი შვილზე

მზეო დადეგ დე დაგეინდი,
მზე სდგებარ უკენობისაო,
ვიყრებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო.

39. ბერდედის ნატირალი შვილზე

ლელაო, დედა შაგენაცვლაო!
გამწყრალი მიხოლ დედისაიო.
შენმა მზემ, შენი სიკედლილითაო,
მე არას გამოვიღვე გონსაო:

ვერ დამაცილებ გიგეასაო
სამ წელს ლოგინჩი ჩალეულსაო.

40. ძილუას ნატირალი შიზნიაჲ

ღმერთსამც ნუ ეთქვა—გაზღდილიყვაო,
ბაჭუათ ახალის შვილიო,
სწორთ მეტობას რას დაიწყებდაო,
სწორებს რას დააჩალებდაო.

41. ნათუას ნატირალი ჰგრის დისწულუჲ

გიტირებ ნათელისძის მსემაო,
ვაშკაცო ბალიაურთაო,
დისწულო ერისთვიანთაო,
შე მაურავის ქალიშვილო.
ნუ დაღბრუნდები, არა გინდაო,
მამა წაგეყონს შკოლაჩაო.
საფლავს ვითხრიან ბარუქასაო,
ნახარდო სააზნაუროდაო,
ნაწოლო ბამბის ლოგინხედაო.

42. ციათ თარუას ნატირალი მაქათეჲ

ნუ გამიცინებთ მატირალნო,
„ცუდა“ მეც მიწევს ბარუქასაო.
აბეჩავ ხიზანათ მარტიაო
ღიჩინმა გაიქნივა კელიო.
აის დრო არ გერჩიყვისაეო
ჯურკას რომ ჯვარჩი მიატანეო,
გაჯავრებული ღვედრიდილიო:
მოვედ ხიზანათ ულაცაო!

43. დედის ნატირალი შვილუჲ

დედა გენაცვლას ბერდიაო,
შავალო არიარეხედაო—
შენ არხოტიონთ ამანათაო;
თუ საშინაოდ წამოხვედიო,
ახიელისას იარიდიო —
ბადიას დემადრიელიდიო,
მადლობა ვადაუხადიდიო,
გაგელა კარი საყდრისაიო.

სამი დღე გაგათენებიაო,
 ამლით აღინა მატირალიო —
 მაკეთე უმაკეთეოო.
 დედო, ნუ წახოლ აკუშოსაო,
 თორემ მესისხლენ დაგკერენ თოფსაო,
 აღიონანი მამაცნიაო.
 სიკვდილო აიტანე ქრთამიო,
 წილს მოგცემთ. ბერდიაცხასაო,
 დავარაყილსა მოგცემ თოფსაო,
 ლურჯასა შაგვიკაზმავ ცხენსაო,
 კართ მაგცემ ბერდიაცხათაო,
 კართ მაგცემ კართა დაუღვლილთაო.
 ორნიე წამაოლთ დედ-მამანიო,
 ნათელას დავიყენებთ წინაო,
 ქალსა გათქმულსა სიკეთითაო,
 ულომც ბერდია დამიბრუნეო.

44. ცილის ნატირალი შპარჯი

გიტირებ ლამიანის მზემაო,
 ავრე მიწას ვასარევაო;
 შენ შამაჩვენე სრუყველასაო,
 დიაცმა ქმარი დავგიტირეო.
 მავალი არიარეზედაო.
 ველზე მთენეო ლამეთაო
 მლაკაო მთა-ლემადეთაო.
 გაუტეხელო რკინის კვერო
 მავალო საურჯულოოსაო:
 კელ მაგიმართას მშვიდობითაო,
 წახვედ მიუხოლ თავისებსაო,
 წერასამც მოხკდი თათუასაო,
 ყალანსამც მოკდი მოკლიასაო.

45. ნანუპას ნატირალი წიკლაურჯი

ამბად მოვივა კევსურეთა:
 მომკედარა მარაისძის შვილი,
 ამლას ციხეი დიიშალა.
 მე არ ორ შენი მაცნაური,
 კევსურნ განანობდეს კევსურეთა.
 მე შენი ცოლი გამიკვირდა:
 მთა წვერთა მიუღიან თვალნი—

არც ვიც შენ უფრო ენანები,
 თუ შეილ კალთიდან გადუმხდარი.
 კაის დედაო გამიკვირდი,
 კას შეილსად არცად გაუშობდი,
 საც წავიდოდა, გავხყებოდი;
 ავკდიდი სიპსა, საბურაესა,
 ზედ დედა ჩავეხურებოდი.

46

ო! მზეო დადეგ, დაგვიანდიო,
 მამშვიდობებენ ბერდიასაო.
 მზევ სდგებარ უკენობისაო,
 კვლავ ველარ ვნახავ ბერდიასაო!.

47. ძილუას ნატირალი შვილუა

დედა გენაცვლოს ბერდიო,
 ო, დედო, „წყაროს“ გამოვედითო,
 ვიყრებით დედაშვილობითო.
 დედო, დაგიშლის სიკოჟლეიო,
 შავრასა შავიკაზმავ ცხენსაო.
 თუ გინდ წახვიდი დედულთასაო,
 თუ გინდა დედის დედულთასაო,
 ჩაიარდი ჭიმდისასაო,
 ქალი კმარაი იკითხიდიო.
 კმარავ დაგეწენეს ქალობანიო,
 ზალტე-სათითე ვერცხლისანიო,
 სათმენი აბრაშუნისანიო.
 კერაჩი ველარ დავეტევიო,
 ბერდიავ, ალაგი მინდა დიდიო,
 სანდუას გადაგივდებ ბანსაო,
 ნათუას წავგილაღვ შინაო.

48. ლალას ნატირალი ოჩიაურბეზუ

ოჩიაურნი ჩამოსტეყვნაო,
 მეხ დახკრა ნინიას სახლთაო,
 იწვილა გველმა ლიბუჩიაო,
 კებ გატყდა, კერას გაერეკაო,
 ოროლნი გაიხვიენა ძმანიო,
 ორნივ გადასჩეს დედ-მამანიო.

ტოტით მბღუნავნი ბებერანო.
ცელები ჩამაყარნა ზეგვაო,
ქეიშას მამჩლები ნამკრეჭიაო.

49. ნანუას ნატირალი შვილზე

დედა გენაცვალას ბაჭყურაო,
დედის ფერაო ტუნტულაო,
უენარაო, უთავგზიაო.
ო, დედო, განა აგრე გინდაო,
სოფლებებ რადარ მოიკითხეო,
კელობა რადარ ჩააბარეო...
სიკვდილო ქრთამსაც აიტანდიო,
თუ აიტანდი მოგცემ ქრთამსაო:
კართ მოგცემ ქორა ჯორელათაო,
ნიშასა შაგიაზმავე ცხენსაო,
კმალს მოგცემ „ჩიქორთაულასაო“,
ქალთ მოგცემ ძილასა ნათელასაო,
ლელასა დაგიყენებ წინაო,
დიაცსა ბაჭყურაისასაო,
კა მოწონებით მოყვანილსაო,
მშესა გორისპირ ამომკდარსაო,
სისკარსა ვადამრძანებულსაო,
თუ გამაუშობ ბაჭყურასაო.
დედო, ვერ გავსძლებ უშენოდაო,
განა „საჯუთისგოროდ“ გზრდიდიო,
ო, დედო, სააზნაუროდაო,
თაეის ლოკინზე ვერ გქჩეობდიო,
საფლავს ვითხრიან, „ჯუთის გორაო“...
დღეს დღე გაქვს უკენობისაო.

50. ძმისწულ-მამიდათ ნატირალი

მამიდა დაგილეგდა ზლებიო,
ლეგან დამისხნეს ტალავარნიო.
არც არა დამილეგდა ზლებიო,
არც ლეგან მისხენ ტალავარნიო:
ბევრიდ ძალდ დავა კეესურეთაო,
ბაბუათ სანდუასავითაო!...

51. ნათელას ნატირალი ჰერკულეზე

მე კი ვმალე და ვერ დავმალე
კეესურთ ვაეგა კეესურეთსაო:

ბერდიშვილთ დაეხურა ბორტვიო —
 მეხ დახკრა დაბალ ბეწინასაო,
 ბეჭის თავამდე გამოვარდაო,
 ბაბუტთ ბეწინაც გაიხვიო.
 ტირილმა გამომართვა გონიო,
 ხოცამა ქმრეულებისამაო,
 შიგ ნარჩევების მიდენამაო.

52. ნანუას ნატირალი ძმასა და ბიძაშვილსზე

ნაკადსამც ნუვირ იკდის ჩემსაო
 დიაცი მანდელ დახურვილიო:
 მე დამელიენეს დათვიანიო,
 მე დამიჩუმდა ზენურანიო...
 დალეულიყვნეს დათვიანიო,
 შავედი, შაურიე კელიო.
 მე რომ წინწინა მივეყუდეო,
 საწოლსა დათვიანისასაო,
 ქია-ლუაი ასჩენიყვაო...
 სდგომიყვა წყალი თავითიო,
 შიგა სდგომიყვა ქიტურაიო,
 შავზვრიტე, ძმარი ყოფილიყვარო...
 ქიშველის გორმა დამბერაო,
 ქიშველის გორით ქარ-ნიავმაო,
 ნათიბმა კანჯარაისმაო.

53. სანუას ნატირალი ძმისთან მოვლულ დედაზე

სიკვილიო, ღმერთიმც დაგიმადლებსო
 ბევრათ უბანზე მომავალოო!..
 ამ ჯალაფობის მომსვენეიო,
 ამ მეზობლობის დამჩუმებოო.
 — დედანო, დედა გამოვადიო,
 ვარცლი, საცერი გამოვართვიო,
 მამას ვერ უთხარ მამობაიო,
 ქერხით შინ აღარ ჩამოუშვიო,
 მამკლაგი ჩემის დედისაიო.
 ადეე, შინ წაედ ბასილხს ქალოო,
 დედაო, როშკას შაიარეო.
 — დედანო რაკელ გამიკვირდაო:
 საბელ მოგყუდნა ჩარქეზამაო...
 ეგ გინდა ბასილთ თარეშაო,
 ბევრათ გიყამა შავხურეო,

წინავაც ეგე უნდა ექნარ,
 ამაგას უჭურევდეს სხვანო.

54. ნათელას ნატირალი ძმამულეზე

ტირილმა გამომართვა გონი,
 ტირილმა ქმარეულებისამო,
 რჩობამა არიარეზედაო.
 ვაყების ფერკისაობამო,
 ქალების ბუჯიკანტობამო.

55. ნანუას ნატირალი

რაი ორ კახბი კუდიანიო,
 ბლოელნო არ გაშინებთაეო?!
 ჯერა დაველიე მაისახლიო,
 მემრე ბოლოიც მოვიკენიტეო!..
 ავღტები გადავივლი მთასაო,
 შინ მიოლ გატესვილათასაო.
 ჯერ იმას ვკითხავ რაკლად ასაო,
 მემრ კერას გადმოუდენ სისხლსაო.
 ვაიყვეს ჩემის მამის წილიო,
 ყანან დასაბლნეს ვაკეთურნიო!..
 შინდა ყანაი საქანევადაო,
 შინდა ქეიტკირი სამყოფოდაო,
 სახელს დაუდებ უთუათაო.

56. გზავინარის ნატირალი ძმებზე

თქენი ქირიმეთ, გუროელნო,
 ტერელოს არვინ წახოლთაეო...
 ტერელოს მამჩეს ორნი ძმანიო,
 შელ-კვერნან თრიან დოდოჩათაო.
 მოსწყურდა წყალი ხოლიგასაო,
 მოშივდა ჰური იდუკასაო.
 იდუკასთან მაქეს ნაბარეზიო,
 ე თმანი გამომიტანენიო.
 ძმანო, მოხვედით მშვიდობითაო,
 წყლის ერთ კი მკარზე მომზირალნიო...
 უფრო მომწონდის იდუაიო,
 უფრო ლამაზი ედგის ტანიო;
 დაოკრდეს ძმანი ქავციხენიო,
 დახკარგეთ დედის ნამაშვრალიო..

57. უცნობის ნატირალი ლემანზე

დედაე, ნუ სტირი დედობითაო,
ერთა-ორ დამაკლდება გულსაო,
ჩოკან დამკადნა ტანზეითაო,
ახალგაზრდულნი ნანეფარნიო,
ამ ჩემმა მენაძველაემაო.
ჩამომაკდინა ცხენზეითაო,
მუკლზეით ჩამოსაკდომელმაო,
ცხვარშიგით დამირჩივა ცხვარიო,
სწორშიგით გამოსარჩეველმაო.
ლევანო, ძმობას გეფიცებო,
ლაშარს არ წაოლ უშენოდაო!

58. ბუბას ნატირალი ძმაზე

ვიცი გადმოცხობრი „ჯუთის გორსაო“
საფლაეთა ბეწინაისათაო,
მამკლავ მყავ ბერდიანისაო.

59. დედის ნატირალი შვილზე

დედანო, თქვენი ჭირიმეთაო,
არავის გყავთა სისხლიანიო,
ან წყლის ნათრევი ლამიანიო?!...
მე რომ მამიკლეს გეგუთრაიო,
თავ იმან ჩამომალებიფო,
ნეტაე სიგირგალ მანახვიფო,
ნეტაეი კარგად მაცნობიფო,
მამკლავ ას გეგუთრაისაიო.

60. ცოლისდის ნატირალი სიძეზე

სიძეე, გენაცვალოს ცოლის დაიო,
მაგეწონდი მამკეთეობითაო,
კარგ იყავ სამამკეთეოდაო!...
გირჩიეთ ქალი ქალეზიფო,
ნახონთ ლელაი პირლამაზიო.
ლაშქარ მეტობა რად გინდოდაო,
განა შენ ქალზალ მადიოდაო.
მიშველე, იმას ვინ გეძახდაო!..

ნაყროს გორ დადგეს ცხენ მხედარნიო,
წვრილნი ყმაწვილნი წიოდესაო,

ცხენ მხედართ შაშინებულეზიო,
დედ-მამა დანატრებულეზიო.

62. დედის ნატირალი შვილზე

ნეტავ უმაწვილო ავაძრახაო,
ბერდენკა გამაგართმევიეაო:
დედისად დავალიშნებიეაო,
ძირჩი დედაიმც ჩამოგვიეაო,
ზედამც დავახურა მამისცილოო.

63. ნანუქას ნატირალი მამიდაშვილზე

რაექნა დედანო მატირალნო,
რაკელ ვიქჩერა სატირალადო
ეგ ცისკარაულთ ფალავენიო,
ციხეი ახიელელთაიო,
ციხე უდროოდ ჩამოშლილიო.
ხანჯარო, შენამც ავაძრახაო,
ხანჯარო ბერდიისაიო,
მაგცამც პატრონის საქციელიო,
ენამც ჩავიდვა უენოსაო.
გულს მოგდებ ჩემო მამიდააო:
წაოლ უამბობ ნათელასაო,
შინითაც გატიალებულსაო.
ბერდოვ, დედიდა შავენაცვლაო,
ესაჩუს ვადმიაირიდიო,
შინშ ბეწიწურიც მომგვარიდიო,
გიჟმაჟ ბიჩინა გურაიაო,
ჩემი მზე, ჩემი დამლუბავიო...
შენ არაი გაქვ სახატრავიო,
დისწული დედისმმათაიო,
სულის ღმერთს ვამეეთხოვიდიო,
წამამგვარიდი ბეწიწურიო,
ბოთლანი შაუნახენ ჭრელნიო,
ცხენი უკეებე ქერ-თიფითაო.
ლურჯამ დანაყნა ნალუსმარნიო,
ლურჯამ პატრონის მაძებარმაო.

64. დის ნატირალი ძმაზე

დედანო, რაექნა, ვერ ვიტირებო,
მიმძიმს ტირილი ვრთის ძმისიო,

ვერ ვქჩერობ დასატირებლადო,
 იმედსა ჩემსა ჩამოშლილსაო.
 და შაგენაცვლას გიორგისაო,
 ვაშკაცს სახელის მოყვარულსაო,
 მავალსა შუერის საძებრადო,
 ქისტების ტყვიით დახარჯულსაო.
 ძმობამ, ვერ გავსძლებ უშენოდო,
 შენ ვერ გიგონებ სამარესაო,
 მზეს ვერ შავხენებ უშენოდო,
 მზეს უშენობით დაჩლილულსაო.
 შენ ცოლს ვერ ვიჭერ შინ წასულსაო,
 ქალსა სიკეთით არჩეულსაო.
 დედას ვერ ვიჭერ გულ მტკივნასაო,
 მამას ტარივით აბრუნვილსაო.

65

ქმრის ძმამ დაგჭიკა ბუბიკაიო,
 სასამარეოდ გაგამზადო.

66. სამძიმარის ნატირალი ჯღუშნაჭი

აბეჩაე ჰოლიკაურთ ვეფხოვო,
 მორიალესა ღვანდი მგელსაო,
 მტრისაკენ დასატიებლადო,
 მგორიალესა ღვანდი ქვასაო,
 მთაშიგით ჰალას გაეარდნილსაო.
 ეს ტახტიც რადარ გაიყოლო,
 გვერდების მოსასვენებლადო.
 ნაბადიც უნდა წამოგელო,
 აედარჩი დასაფარებლადო.
 დვირბინიც უნდა წამოგელო,
 ნადირთად გასახენებლადო.

67. ბერძნულს ნატირალი შვილზა

სიკვდილო გასაოხრებელო,
 მთაშიგით ბარად ჩამოსულო,
 ორნივამც დაგტენხიყვეს ფეკნო,
 ორნივამც წამოგთხარნა თვალნიბ.
 ლელო, დედა შაგენაცვლო,
 რაკელ დიდს მორევს დამახედვო!...

დედამ გიშველა, ვერ გიშველაო...
დედაჲ მიშველე იძახდისაო,
—ლეღავ მიშველე ვიძახდიდო,
მშველელი არვინ იყვის ჩვენო...

68. ნათელას ნატირალი დისწულუჲ

ბევრია პირის ლოლო ქარო,
დისწულს არ მოხკვლენ დედისძმანო,
მოხკვლენ—იქავაც რტირებენო.

69

თამაშობს ბუწანქარულიო,
ქერჩაობს ნაკარელაჩიო,
ცხენმა პატრონის მძებარმაო,
ტოტით ქვიშანი გაღმოიღნაო.

70

ცხენნი მოვიდეს ერწოს ყელაო,
დედანო არვის გიჩინსთაეო,
გიჩინანთ, არ გიკვირანთაეო.

71. ცნატი თარუსს ნატირალი უცხოჲ

აბეჩავ გუგუათ თათიო,
ძველი ღრო არ გერჩიყვისაეო:
ერთ ღროს რო სთავურობდიდო,
ქისტურ ტალავარს იცვემდიდო.
წელჩი დაბანჩას იტანდიდო,
რა სათამაშოდ გაღმოკდიდო,
მაშივ ღილღურად დახკივლიდო.
მავიდეს შენი დედიძმანო
მცნობებლნი თოფის კველვისანო,
მთაშიგით ბარად ჩამასულნიო,
მძებნელნი უშიშისანო.

72. ნათელას ნატირალი მამიშვილებჲ

ვატებო, არ გარეულებო,
ციანო ქვე მოხვეითაეო,
თქვენ მოგწონსთ თქვენი ბაბუაიო,
მეც კარგი კი მყავ უნცრუაიო.

თანეთ ვიარებოდიდო,
 სატუსალოჩი შავიდიდო,
 ციხის კარები დავლიდო,
 წამომეგების უნცრუაიო,
 ციხის კარჩია სიცილითაო:

73. ქალის ნატირალი ოჩიაუჩხე

გადაკდი გასატიალეზო,
 ცასა ლურბელო გადაღრიდეო,
 მზეო დადეგ და ჩამოხენო,
 მოვა ყმაწვილი უმზეურთაო,
 მივას აღარას დამბრუნავიო.
 უზის გვერდზედა ბერდედაიო,
 დედა ზის უფრო გულმტკივანიო.
 დედის ჭირიმე მიხიელაო,
 დაბრუნდი ავიარათ შინაო.
 ნუ გატყუებენ დედიძმანიო,
 სალაჟლიაოდ გადუმებენო,
 შაგისმენ ცხენის კისერზედაო,
 ოჯავ, საამლოდ წაგიყვანენო,
 გიხუთვენ, არ გამოგიშობენო
 უნაწილონი მიხიელაო!..
 შენ მენაწილედ აგიყვანენო.

74. დის ნატირალი ძმაზე

აცალეთ, თუ ვერ შავიფერაო,
 თუ გაგაცდივა სახლის კარიო,
 ცოლეულთ მგვლევიარეო,
 აბჯართ მზიდავო ხურჯინითაო.
 ეგ იცის შენმა სიმოვრალემაო,
 თაოდ თხოვამა სასმლისამაო,
 მემრ იმათ კელის დაქნევამაო,
 ლელის ჭაღაით დაბრუნავამაო.

75. დის ნატირალი ძმაზე

ენაცვალოს დაი გორგის წვერთაო,
 ჯიკვის რქასავით დაგრეხილთაო,
 მკართა ნაწყენთა საგძლისათაო,
 ბეჟთა ტყვისგან დამტერულთაო:

76. ნათელას ნატირალი მამიაზი

დედა გენაცვლოს, დედის ქალო,
 ახალ ტალავარ ჩაიციდიო,
 ე თმანი ხუთად დაიწნიდიო,
 სულეთ ბიბინით იარდიო,
 ობლის ობოლი გაზარდიდიო,
 დედო, კალთაჩი ჩაისვიდიო,
 თოხოლჩათ ქალ ორ იკეციდიო.

77. ბერადის ნატირალი მამიაზი

გადიდებულო ქორით ქალო,
 საყურიანო ვერცხლიანო,
 ქალო დაგეწენეს ქალობანიო,
 ქალო, თვალკრელო, თმაყვითელოო,
 გაღეგდა შენი საკერავიო,
 ჩავარდა სააბრაშუნიო,
 გაგორდა შენი სათთიეიო,
 მიწაი ჩამოგშლის თმათაო,
 წაიღებს გველი ბუღეჩიოჲ.

78.

ვაშკაცო ხიზანისშვილო,
 ჯაზრდილო დიდის კაისადაო,
 მტყელ მტყელის მამულეებისადაო,
 ნარჩევის იარალისადაო.

79. შვებალის ნატირალი ღამითუჲ

დავითგ, გენაცვლოს მზექალიო,
 გაზდილსა ხოდედისასაო,
 კარსა მყვირალსა სულეთჩიოო,
 ციხესა ამლას ჩამოშლილსაო.

80. არხოტიჲმეზი

ტირილ რად უნდა კვესურებსაო,
 საძროხის ყურეს ნახოცებსაო,
 ტირილი არხოტიენებს უნდაო,
 საკარის მაღალ ნაკოცებსაო.

81. ჩაჩაშრთ ნათელას ნატირალი

კაცი მამკვდარი გააკრგდებო,
 ძმათ უბირასა გეძახდიანო,
 აშალუი გექვინისაო,
 საკემის სატენი დუსთურაიო...
 ეეხლა ვადინებულხარო,
 კაცთან დამდგარხარ კაცურადაო,
 ჩოკა ჩაგიცვამ სკლატისაიო,
 ჩოკა სადიდოდ დაკერულიო.
 წამოგებურავ მაშთაგურიო,
 ძმათ უარიას, ბეჩაეასაო.

82. თარუას ნატირალი გიბიზი

გიტირებ აგრემც გენაცვლებიო,
 ღირხარ ვაშკაცი სატირლადაო:
 შურის საძებრად დამაელიო.
 არხოტის ჭალას დაზღვილიო,
 ტყეისგან დანაგაბრებულიო,
 შენ დაალეგენ დედმამანიო,
 შენ დააოკრენ სამნი დანიო.
 ეხლა მიზდიხარ სამუდმოდაო,
 მზე გიდვას უქენობისაიო,
 გჩება აბჯარი, იარაღიო,
 დაგჩა შეინდაი უმკედროდაო.
 ცხენი დაგეძებს საოკროიო.
 იკლებს სოფელსა ჭიხვინითაო;
 ცოლი შინ დაგჩა ახალხალიო;
 ცოლი ნარჩევი სიკეთითაო,
 კარგის დედ-მამის გვარისაიო.

83. მინის ნატირალი

თქვენი ჭირიმეთ, ბერდიშვილნო,
 ვაჟასა საბუილაისასაო,
 ნეტავ თოფს ქვე თუ გაკლითაო.
 სირცხვილ ას სამნად ჩაგყუდებენთო,
 გაგიცინებენთ კევსურეთაო.
 მაკლეს დისწული ბერდიშვილთაო.
 დისწულს არ მოხკვლენ დედისძმანიო,
 თუ მოხკვლენ, იქავ იტირებენო.

84

ცა გასქდა, მეხი გაისრივო,
 აჭუხდა მეხი როშკის თავსაო,
 ჭიუხთ კალთები ჩამოშალაო,
 როშკას უწვდინა ნაგაბარმაო,
 როშკას ყმაწველი გაიხვივო.
 გათელა ბერდიისშვილიო,
 როშკას დედანი დაალეგნაო,
 ყინჩად ატირა დედროვანიო,
 დედ-მამათ კარებ დაუჯარაო.
 შორად ნუ წახოლ შეგენაცვლეო,
 თორემ თოფს დაგკრენ მესისხლენიო,
 არ დაგინდობენ ახოელნიო,
 იქვე დედულთას წამოხვიდიო,
 დისწული დედიმამათაიო,
 სკამს უქალავად ჩამოჯდებიო.

85. ბერდია ცისკარაულზე

გუშინ გავიგით კევსურეთაო,
 ციხე ახიელ დიშალაო—
 ციხეი ჯურჯიაულთაიო.
 კოჭლათ აღარ ჰყავ ბერდიიო,
 შეიქსნა კმალი თემ-სოფელსაო,
 მშვილდმა მიზანი ჩამოყარნაო.

86. ნინოს ნატირალი

ო, თოფო ტიალობა შენიო,
 დახოლ პატრონის საქებრადაო.
 თოფო ნეტა ვინ აგაძრახაო,
 გაუბნა ჭირნი ომისანიო.

87. ბუბას ნატირალი ბიზიზე

სდიდობ კი ქორაისშვილო,
 ვერ სჯობხარ ხაძიისშვილსაო,
 უფრო კან ესხნეს ტალავარნიო
 გარდახატულნი ყაწიმითაო.
 ყინჩად ტიროდა დედროვანიო,
 ქალბალი დალეგებულ იყვაო.

88. ბიჩინაბაჯი

ამბავი გავიგონე ცუდიო:
 ხიდი გაუტყდა გველეთელსაო,
 ბიჩინავაი დბთხრიალდაო,
 წულა დაუსხლტა ნალიანიო,
 მირგვლივ აბრუნდა მორევიო.
 ბიჩინავაის შავნაბადიო,
 ჩარგალ მაკელეს ბერიშვილთაო,
 ქუდი ბატონის ნაჩუქარიო,
 წყალმა ბატონსავე წაუტანაო.
 ბატონმ თავს იცა მათრაკითაო,
 ქუდი წყალმ საით მართანაო,
 თუ მოკვდა ბიჩინაგურიო.

89. გვჩინი (ფრაგმენტი)

ცელი ვლესე და ვერ გავლესეო:
 გადალესული ყოფილიყვაო...
 ცოლი ვწურთნე, და ვერ გავწურთნეო:
 ჯალაფთა უწვრთნი ყოფილიყვაო.

90. გვჩინი (ფრაგმენტი)

აღარ ჭრის ამანათის ცელიო;
 ამანათობა მოსწყენიაო;
 აისრევ ამანათის ცოლსაო,
 დედათ ფერობა მოსწყენიაო.

91. დის ნატირალი ძმაჯი

ჩემის გიჟაის ტალავარნო,
 ფეკი ჩაყრილნო კრილიანნო,
 დანა-სარტყელო მასევილო,
 პატრონის ნდობა მათუკლავო,
 წელთითა უდროდ შამახსნილო.
 ჩიოდა თოფი ბერდენკაიო,
 პატრონის კელჩი აღებასაო,
 ნადირთად კვალის ჩამაჭრასაო,
 გილდების ჩაძვრიალებასაო!..
 გენაცვლას დაი თავაურაო,
 ასუსტი ხარ კლდეჩი ვერ ივარგებო.

92. გვრინი (ზრახმენტი)

თიბე ჩემთანა თორელსთანაო,
ყმაწვილებთან ქვე რა გინდოდაო.

93. გვრინი (ზრახმენტი)

მე ეგეთ არ ვინ მინახიაო,
ენახე გიგაი გიგაურიო,
ხან თიბდა, ხან-კი ნადირობდაო.
ხან ცელს ნამკრევი დახუდებდაო,
ქიჩოს ქალებში ლოგინობდაო.

94. გვრინი (ზრახმენტი)

ქალი ნამკრევეთა კითხულობდაო,
— ევგ ნამკრევენი ვისანიო
დაკაეკაულნი, კბილანიო?
— ნამკრევენი ჩემის ჩოხლისნიო,
თვალად ჩიხაის ვაჟისანიო.

95. გვრინი (ზრახმენტი)

ფეკნი არ დამკრნა საძაგელო,
ვაშკაც არ დამაკინჩინაო.

96. გვრინი (ზრახმენტი)

ქოჩნი ჩამომცდა წკუტუნითაო,
ქოჩნი ნალევის დატუქესილნიო.

97. გუღელა

რა ამბავია გუღელასაო,
მოვიდა წყალი სისხლიანიო?
— აკოვლებს უკენ-აკოვლებსაო,
ვაყებებს ერთუცი უჩიგიაო—
უკლოთა დისწულ დედისძმათაო
ერთუცი უნადირებიაო...

98. ბიძაჴ ნატირალი (ზრახმენტი)

რად მამკალ ჩემის ფურის კარო,
ბიძაი გამაშავიანეო.

99. გვრინი

ტილო ჩემო სიბერეო,
 ირემმა საფუენ დამიშალნაო,
 ნეტავინ მამცნა შვილდ-ისარნიო,
 ერთ-ორიმც დამაზინებიაო;
 კარი ირემი საოკროიო,
 კარი ირემიმც მომაკვლიაო.

100. გვრინი (ვრამხმინი)

დილა მყვირალი კარმაზვერიო
 წუხრისად დამიჩუბებიაო.

101. კმელაზე ნატირალი

გიტირებთ ნათელისძის მზემაო—
 რაკი არ ღირხართ სატირლადო,
 კაის დროს ნამაქეთვარნი
 ჩემის კმელაის ცოლეულნო.
 თქვენ ფასნო სინა-რკანისანო,
 გაუტეხელნო ბასრის კმალნო,
 არხოტ ნაბამნო რკინის კარნო,
 კორცის მჭამელნო, სისხლის მსმელნო,
 ომით მაშვრალნო, სისხლით მთვრალნო,
 შამახვეწილით სუდიასაო:
 მისცას კმელასა ღამის გზაიო.
 მე გეხვეწებთ სრუყველათაო,
 კმელასა ნუ დამიკრავთ თოფსაო.

102. წუნაზე ნატირალი

მთვარე წავიდა, მზე მოვიდაო,
 წუნა საწოლთით არ დაბრუნდაო.
 არმად მოგეკცას სახლის შვილიო,
 წუნაის ნაჭმევ-ნამადლებიო.
 წუნა შენ მოაკვლიე გულანელთაო,
 პირ უბანელთა, ლობიანთაო.

103. ხამისცოლი

ერთხანად კიდევ გადავხენათო,
 ნალევო, გუდამაყრის მთათაო;

პატარაი ორ დაჩეულო—
 თიბასა გუდამაყარჩიაო;
 შვიდი დღე-ღამე მითიბიაო
 ობოლსა დუმაცხოველისაო!
 ცხრა ფური ხყვანდა მამისცოლსაო,
 ცხრასავ თივითა უკვეებდო,
 სატან არ შამიტანებიაო,
 ერბო თვალთამც არ მენახაო:
 პირ მოტებოლო ქერის კვერაო,
 ნაქნარი მამისცოლისაო,
 ტაბლავ კელუკუმ გადმოდგმულოო;
 ზედ მამკლავ გადმოყოლებულოო
 პირჩაღმისკედავ ჩაღვორვედო.
 ვინ ეტყვის ჩემსა მამისცოლსაო,
 ვაიტანს სამახარობლოსაო:
 პირდაპირ უსხენ მესისხლენიო,
 სადილობამდენ ამღერებენო
 სადილობიდეგს დახკერენ თოფსაო.

104. გვრინი (ჭრამმინტი)

დაგჩეს ოკრადა, ცოლისდაო,
 წითელ-ყვითელი ქოქომონიო:
 დღეს შენდა გამოხედენაჩიაო
 ცელ ჩარჩოშიგით გადავტებეო.

105. თანგულაჴი ნატირალი

მაშინ რაი ხქენ თანგულოო,
 ბუჩასეულმ რო ჩამოგხვილნაო.
 დაგასრევიენა კაფიანიო,
 ნამკრეენი სისხლით დაგასრევიენაო.
 ნამკრეეთ სათავეს დაგჩცა ცელიო,
 ნამკრეეთ ბოლოჩი გამოღვარდო.

106. გვრინი (ჭრამმინტი)

შამამაწვადენ საშთიბლონიო
 პირთეთრო ჩემო ცოლისდაო.

107. ბუჩუაჴრჴი

არ დასდეგ ღორო ბუჩუკურო,
 ღორო ღორობა არ მაშაღეო,

გარდამეკიდე წიკლაურსაო.
 გასწავლი ფარიკობასაო,
 წიკლაურისად ამკიდესაო,
 აცა, რა გექნას ბუჩქურაო!

108. ფირცხელაურჯე

გრძელია გორ-კეკელის გორიო,
 ფირცხელაურო, ვერ შახკდებო,
 თუ შახკე გორ-კეკელის გორიო,
 ჭიგანეს კიდსა ვერ გახკდებო.
 თუ კიდსა გახკე ჭიგანესაო,
 უსაჭურისძეს ვერ დახვდებო.

109. მისრიას მშვილდი

ნადირნი ნადირთ ახარებენო,
 ოკერკეულნი კიშკეურთაო:
 გაუტყდა მშვილდი მისრიასაო,
 ისარნი სწორებს დაურიგნაო,
 მშვილდისა კანქნი ყმაწვილებსაო.

110. გზრინი (ფრაგმენტი)

ნეტა ვინ გაუმარჯვა ღმერთსაო,
 ქალი თამარიმც მომცა ვაჟიო,
 წილიმც ჩამიდვა უბისთავსაო,
 თამარ მთიბლებშე ჩამიყენაო.

111. ლათვიანი

ჩირდილით იძახს დათვიაიო:
 ბუჩქურელნი შინ ხართაეო,
 ვერ გასაზღვლებს ყმაწვილებსაო,
 ქვაბნია მოეხარშა გველიო,
 ბოლოწითელი, წამლიანიო.
 შვიდი სულისი ჯალაფისიო.
 დაგვჩა ყმაწვილი აკავანთაო,
 თქვენი ჭირიმეთ გაზარდილითო—
 გექნებათ წყემსი უმადურიო.

112. სულა და თანგულა

ბერო, ნუ სტირი მამილასაო,
 ბერო, მე ვნახენ შენნი შვილინიო:

იწვნეს ორნივე ჩარგლის კართაო,
ბრუნევედეს სისხლის მორევიანო,
სულას სუკს სჭირდა ნატყვიარიო,
თანგულას აგბინებდეს ბეჭნიო.

113. გვრინი (ფრაგმენტი)

ქუთხო, ნეტა ვინ დაგაქცივაო,
ნეტავ უბისთავ აჩინაო!..
უბისთავ ჩამახეწებიაო,
ქალები ბადრიანებიაო.

114. გვრინი (ფრაგმენტი)

ქალებო, ჟამის ნაკოცებო,
ქვიშასა არ იყვენითაეო,
ქიშველა არ გახეწეთაეო,
ქიშველ მთიბლები არ თიბდაეო,
ცელები არ უგელებდაეო.

115. გვრინი (ფრაგმენტი)

უქმი იძახა დათვიამაო,
მარიანობა შამაფიდაო.
მთიბელი მარიანობილდესო
მკლავთით მაგარი უნდა ვაჟიო.

116. დათვიანა

სადილობამდენ დათვიამაო
ნამკრევენი ორნი აიტანნაო,
სადილა დაჯდა დათვიაიო
კვერსა ნაკელჩი დაატანაო.

117. გვრინი (ფრაგმენტი)

—თიბად გაქებენ მამასჩემო,
წამაოლ თვალთ საჭურულადაო,
—იქ ნუ წამოხოლ ქალო ჩემო:
ვაჟებ დავთხოვენ მუქარასაო—
მამასა მეწყინება ბერსაო.

118. მთიბელი ჯვარის სათიბეზი

ფასიროათამც დაღლევს ღმერთიო,
 მისცეს დვირბინი იმედასაო—
 აკუშოს ღელით გამახენაო,
 იცნა მთიბელი მთიბლებჩიო,
 ლეგოსანაი წითლებჩიო.
 მთიბელი ჯვარის სათიბეთაო
 თოფმა ბუჩამა ჩამოგზვივნაო,
 დაგასრევივნა კაფიანიო,
 ნამკრევენი სისხლით დაგასგრევნაო,
 ნამკრევეთ სათავეს დაგნა ცელიო,
 ნამკრევეთ ბოლოჩი საღესველიო.

119. გვრინი (ვრახმენტი)

თოფსა ბუჩასა ნუ გვაკვებებთო
 კირიმის მარტოკი ჩვენაც გვაქვისო.

120. მთიბელი გიგა

მთიბელ ვინ იყვა ისეთაიო,
 გიგა რომ იყო გიგაურიო.
 შვიდი მტკაველი ბქონდა ცელიო,
 შვიდი მტკაველი საღესველიო.
 შვიდნი თივანი დაეთიბნესო
 სადილობამდენ გიგაურსაო.

121. გვრინი (ვრახმენტი)

ყანა მკვე დედის ნებოროაო,
 საკელნ არ მკიან სკლატისანიო,
 ღელით ბუბაი გამოგზენებსო,
 ობლის კალოთა შარინდაიო,
 გიცნობენ წითელ პერანგასაო.

შენიშვნები ხმით ნატირაღებზე

1. შარმანაულზე ნატირალი

ვისი ნატირალი არის ან ვინ იყო შარმანაული ეს არც მთხრობელმა იცოდა და ვერც სხვებმა ახსნეს.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ., 15.8.937 წ., ს. შატილი.

2. ბათირაზე ნატირალი ბუბასაბან

ლიქოკელი ბუბიკას. ნატირალი. იქ მოკვდა ბათირა კარგი ხეცურის და ყველა ლიქოკელი მიცვალებული არის აქ ქებით ნახსენები. აბიკა არის მოკლული ლომიკათ სუშბატისაგან ძველს მოსისხლეობაზე. სუშბატას უთხრეს: აბიკა შენ მამულს ხნავსო, აბიკას მამა-პაპებს სუშბატას ძველების სისხლი ემართად და ამიტომ „მონად“ იხდიდნენ. წავიდა და მოკლა ზენის დროს აბიკა სუშბატამ. მოტირალი ამბობს, ძმამ ძმა მოკლაო იმიტომ, რომ ბიძაშვილები იყვნენ და ემდურის მას, რომ მოსისხლემ მღერა გაგვაგონაო.

ჩაწერილია გიორგი ლიქოკელისგან, 55 წ., 10.7.937 წ., ს. აჭე.

3. ზორბრზე ნატირალი დედისაბან

გორგი, იმ დროის მეომარი კაცი, ე რძოდა მითხოვლებს. დედა მისი ტირილით ამბობს: ზეგრის დედა ატირეო და ახლა დედა შენი სტირისო. აქ აჭებს დედა მონადირეობაზე და ქისტების ხოცვაზე.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატილი.

4. წყალსიქითელი და მბანძური

წყალსიქითელი ქალი იყო მკვდარი და იმაზე სტიროდნენ ხმით მოტირლები. ქალი ახალგაზრდა იყო და მოტირლები იგონებდნენ თავის მიცვალებულებს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა ჩემი გვარის მიცვალებულები არიან უფრო კარგები და არა ჩემიო.

ასეთი კილოთი სტიროდნენ ახალგაზრდა ქალზე, რომ ის ქალი ჩემ გვარში უნდა გავათხოვოო საიქიოს.

ჩაწერილია ბერდია წიკლაურისგან, 70 წ., 25.7.937 წ., ს. როშკა.

5. იმედაში ნატირალი ღისაპან

„ბარისაწვანი“ არიან სოფ. ბარისახოში მცხოვრებნი და „ბათაკანი“ ცხოვრობენ გიორწმიდაში (პირიქით ხეცსურეთში).

პირველად მტრობა რაზუნდ მოხდა ეს არავის ახსოვს, მხოლოდ გადმომცეს, რომ „ბარისაწვით“ გვარი წავიდა და დაეცა გიორწმიდაში „ბათაკათ“ გვარს. ბათაკათ გვარს ეს დროზე ვაუგია და ივინიც შეხედნენ საბრძოლოდ მომზადებულნი. მოუხდათ ბრძოლა. ორივე მხარეზე ბევრი კაცი დაიჭრა, მხოლოდ ერთი მოკვდა „ბარისაწვათა“-გან შუბით დაჭრილი ბათაკათ თორელი. შუბი დასცა ბარისაწვათ კაცმა სახელად თათარამ. თათარა თვითონ წყალს გაღმა „გაუფარდა“ და გაიქცა. ბათაკანი ხშირად დადიოდნენ თორელის მკვლელის თათარას მოსაკლავად, მაგრამ ის გაფრთხილებული იყო და ვერ მოკლეს. ბოლოს დურბინდი ითხოვეს ს. ჭორმეშავში ფასიორათაგან (იმ დროს დურბინდი სხვას არავის ჰქონდა ხეცსურეთში) და იმითი ერთი მთიდან მგორე მთაზე იცნეს ძმის მკვლელი. თათარა თიბავდა ცელით. მიეპარა ახლოს თორელას ძმა იმედა და ტყვიით მოკლა თათარა. თათარასთან ერთად თიბავდა მისი ძმა აპარეკა, როცა თათარა მოკლეს, აპარეკა დაედევნა იმედს და თათარასვე თოფით იმედაც გზაში მოკლა. ვახდა ორი ძმა მოკლული ბათაკათი და ერთი ბარისაწვათი. მერე ბათაკათ აპარეკას ბევრი სდიეს მოსაკლავად, მაგრამ ხელში ვეღარ ჩაიგდეს, რადგან აპარეკამ იცოდა არ გაუშვებდნენ მოუკლავად, ამიტომ ძალიან ფრთხილად იყო. მერე როცა აპარეკა ძალიან მოხუცდა, მინიც მოკლეს ბათაკებმა სიბერის დროს. როცა იმედამ მთაში სათიბში მოკლა თათარა, ხოლო აპარეკამ იმედა, ეს ნატირალი მაშინდელი არის ბარისაწვით ქალის თათარას ღისაგან. ის აქ ქება-დიდებით იხსენიებს თავის ძმის აპარეკასაგან მოკლულს თორელს. ტირილში ამბობს: „ჩემმა ძმამ დაკარგა ცული სახლკარი, ცული ტანსაცმელი და უბრალო იარაღი“. თორელამ კი ბევრი რამ კარგი დაკარგა ჩაცმა-დანურვა, იარაღი, სახლკარი, ციხე-ქვიტკირი და თან ლუდით სავსე კოდები დარჩა საქორწილოდ მომზადებულიო. ბათაკათ ეს ნატირალი რომ გაიგონეს, უფრო მათი მკვლრის ქება და თავისის დაბლა დაყენება, კარგი გული ვაუხდათ, თორელას ტანისამოსიდან ამოიღეს თორელას ქული, გაგზავნეს იმ ქალთან და დაუბარეს: აი ამ შენი ძმისაგან მოკლული თორელას ქულით გთხოვთ თორელას „საქნარებში“ (საქნარები: ხარჯები) წამოდიო. ქალიც წავიდა და თორელის ხარჯებს დაესწრო. მხოლოდ მაშინდელი ნატირალი არავის ახსოვს. ამ ქალის მოყვანით ბათაკათ მოსისხლეობის წესი დაარღვიეს, რადგან იმედს მკვლელის ნათესავისაგან მათთვის გზაში შეხვედრაც არ შეიძლებოდა და მათ კი მკვლელის და შინ მიიყვანეს. ქალიც ხატოიანად იქცეოდა.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატლი.

6. სიმჟამ ნატირალი ცოლისდისაბან

სამუკა (სანგი) ჭინჭარულთ პაპა ყოფილა. მას ლეკეთიდან მოუტანია ლეკებისაგან დიდი ხნის მოკლული ცოლისძმა. სიძეს, სამუკას, გაჰყოლია ცოლისდისაგან ლეკეთში ზვიადის მოსატანად და ორი თუშცი. მიუცია „საჯსარი“ ლეკებისათვის. ვაურეცხია მკვდრები და წამოუღია ცხენებით სამი, მხოლოდ მეოთხე წყალს წაუღია ვარეცხის დროს. მკვდრები იყვნენ: ერთი ფშაველი, ორი ქისტი და ერთი ხევსური ზვიადი. თურმე ლეკები კიდევ არ ანებებდნენ მკვდრებს, სანგემ თოფი მოიმარჯვა და უთხრა ლეკებს: სულ ერთია თქვენც დაგზოცთ და ჩემს თავსაც აქ მოვიკლავო, მე სამუკა ვარო. მერე დასთმეს ლეკებმა და ტირილში იმიტომ ამბობს ლელა: „სიძეო, მაშინ მამეწონეო, თოფი ჩუღჩით ამასწავადეო“. ის პირები ლეკებმა დახოცეს მოტყუებით: „სამზირლად“ წავიდნენ ლეკეთში (სამზირლად—საყაჩაღოდ, უფრო კაცის მოსაკლავად) ზვიადი, ფშაველი მაჩურო ბაჯა და ორი ქისტი დარქიხანათ ჯოყოლა და ბუგუ. არ ვიცი ქურდობა უნდოდათ, თუ უფრო კაცის მოკვლა. ისინი იქვე ლეკეთში შეხვდნენ ლეკეთიდან გამოსულს მზირს და ერთმანეთს გამოემეპურენ. ლამე იყო და სახეები არ ირჩეოდა. ჯოყოლამ სთქვა მე აქ ძმობილის ხმა ვიცი, მოდი მივიდეთ მათთანო. ამხანაგები უშლიდნენ, მაგრამ ჯოყოლამ მაინც არ დაიშალა და ამხანაგებითურთ. მივიდა ლეკებთან. ისინი შეხვდნენ, როგორც მასპინძლები. მთაში ჩვეულებაა: მასპინძელს იარაღებს აზარებს სტუმარი და ამათაც ეს წესი შეასრულეს. მაგრამ ისინი თავზე ხელაღებული ყაჩაღები გამოდგნენ. ოთხივენი იქვე დახოცეს და თითქმის ერთ თვემდე მკვდრებიც იქ ეყარნენ. სანამ „საჯსარი“ არ აიღეს პატრონებს აღარ დაუბრუნეს.

ცოლისდა ლელა მის მოტანის გამო დიდ პატივს სცემდა სიძეს სამუკას. სამუკას ცოლი კი ემდურებოდა, რომ მცემს, მლანძღავს და მაგინებსო. მაგრამ ცოლისდა ტირილით ამბობს: ჩემი და მზექალა ჩიოდა შენგან ლანძღვა-ვინებას, მაგრამ შენ რაკი ჩემი ძმა მოიტანე, მე მაინც შენზე ცუდი გული არ შექონდაო.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატოლი.

7. ხომიზურაჲ ნატირალი ცოლისდის ბუბიანისაბან

ხომიზურა იყო არხოტიონი კაცი, გვარად „გიორგათა“. მას ჰყავდა ცოლად შატლიონი ქალი ლელა და ცოლისდა ბუბიკა. ხომიზურა მოკლეს ქისტებმა. სავარის მაღალზე ომი ჰქონდათ ქისტებსა და არხოტიენებს. ქისტები იყვნენ ჩასაფრებული (სანგარი) ხოლო არხოტიენები არა, მაშინ ხომიზურა შიგ გადანტა: „სანგალოში“ და „ახყარა“ ქისტები. ახლა სხვა არხოტიენებიც მიეშველნენ. ქისტები გააკციეს და ცხვარც დაატოვებინეს, რომელიც მათ მიუღიოდათ მემცხვარეებისა. ხომიზურა მაშინ დაიჭრა და მერე მოკვდა ამავე ჭრილობისაგან. ცოლისდა ამაზე სტორის ხმით: „ჯიჯვის სატყავეთ დამპირდი და რად მომატყუეო“ (სხვათა შორის ხომიზურა განთქმული მონადირე იყო). შენ ჩემი თმა შეინახე ჩემს სახე-

სოვრად და მე შენი თმამო. შენ შეგნანდა არხოტიონთად მეტობა და სან-გალში გადასვლაო. ეტყობა ბუბიკას ძალიან უყვარდა თავისი სიძე და იგიც პატის სცემდა მას.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატლი.

8. ხევისურ გელდიაშრაზ ნატირალი

გელდიაური იყო სახელგანთქმული ვაჟკაცი, ლამაზი, თვალადი, ტანადი, მეომარი და ყველაფრით სრული. სოფელ ბულალაურთაში იყო კიდევ სახელგანთქმული ქალი სილამაზით, შრომის-მოყვარეობით და თავდაჭერილობით. ამ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოსწონდათ და უნდოდათ ცოლი და ქმარი გამხდარიყვნენ, მაგრამ მამიდები უშლიდნენ გელდიაურს: „ის ფშაველია და შენ ხევსურია, ფშავლის ქალი რად გინდაო, ხევსურიც არ დაგაკლდებო. წინათ ფშაველი, ხევსური, მოხვეე და სხვა ერთი მეორის ქალს არ ირთავდნენ, ამასთანავე თხოვა და გათხოვება უფროსებს ეკითხებოდათ და არა ქალ-ვაჟს. ამიტომ დაუშალეს გელდიაურს ფშაველი ქალის მოყვანა მამიდებმა, მანაც ხათრი ვერ გაუტება. როცა გელდიაური მოკვდა, ბულალაური ქალი მივიდა და იტირა: ნეტავ ვეზირები დაგიხოცა, მამიდებო, ნურავის ჰკითხავ, მარიონობას მოდი და პირობას მოგცემ. ჩენი ცოდვა ჰქონდეს შენს მამიდებს. ერთურთის თავს გვანატრებენო და სხვა. აქვე ტირის ბარისახოში მომკვლარსანავის სანავზე, ის იყო ქისტის ნაბიჭვარი.

ჩაწერილია დათეია ლიქოკელისგან, 50 წ., 12.7.937 წ., ს. ქობულა.

9. შჳინას ნატირალი გორბიზი

გორგი იყო შატლიონი კაცი, სახელგანთქმული ნადირობასა და ქისტებთან ბრძოლაში. ხევსურეთში კარგს კაცზე იტყოდნენ: ვეფხვივით არისო, ან მგელვით, ან არწივსავით, ან ჯიჯვივით. ასეთებს პატის სცემენ და საქებადასეთ სახელსაც უწოდებენ. ეს სახელები მომტირალმა გორგის ყველა უწოდა თავისი ტირილის დროს.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატლი.

10. დის ნატირალი გორბიზი

გორგი ქება-დიდებათ არის ნახსენები.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატლი.

11. დედიშათაზი ნატირალი

ბუჩქუკურთა და უკინახო მეზობელი სოფლებია ერთიმეორესთან. იგინი კინკლაობდნენ ერთმანეთს შორის ერთი პატარა ადგილის გამო და ხშირად ხდებოდა ჩხუბი.

ბოლოს ერთმანეთს დაეროვნენ ხმლებით და შუბებით. ამ ჩხუბში ერთი მეორეს შეხვდნენ დისწულ-დედისძმანი. დისწული იყო პატარა და დედისძამ გამოსაცდელად ტყუილად ხმალი მოუქნია; დისწულს ეგონა მკლავსო და ბიძის შუბი ჰკრა და სასიკვდილოდ დასჭრა. ბიძამ სთქვა: მე მინდოდა დისწული გამომეცადა და ფარაკობას დამეჩვია, მაგრამ მან შუბი გამომიქანა და მე ფარი ველარ მოვასწარიო. ბიძამ უთხრა დისწულს: „წადი და დედას უთხარი: ბიძა მოვკალიო და ის დაგიმალღებსაო“. იმან კი დედას თხოვა: ბიძა შემომაკვდა და დედაშვილობას ნულარას მეტყვიო.

ჩაწერილია მამუკა ჭინკარაულისგან, 60 წ., 15.8.936 წ., ს. ბარისაზო.

12. დაპირებულ საშროზე ნატირალი

ქალი იყო დაპირებული ვაჟაკის საცოლედ. ის ახალგაზრდა მოკვდა და ქალმა ხმით იტერა: შენს მოლოდინში დავბერდიო, წამიყვანე, წამოგყვებიო. ციხეს უქებს და ცხოვრებას.

ჩაწერილია აპარეკა არაბულისგან, 15.8.936 წ., ს. ბარისაზო.

13. ძმაზე ნატირალი დისაბან

ფარსმის-თავი თუშეთისაკენ არის და იქ და-ძმა ყოფილა წასული. როგორღაც ძმა ადრე წამოსულა. ქალი და მისი ამხანაგები კიდევ შეგვიანებულან და ერთი კვირის შემდეგ, წამოსულან. მათ გზაში ტყუილი მოკლული ამ ქალის ძმა უნახავთ: დამ ხმით იტერა: ასეთი ნურავის დავმართოს მე რომ ფარსმის-თავს დამემართაო. ძმა შემხვდა გზაში ნატყვიარი და თავს ყორნები დასტრიალებდნენო.

ჩაწერილია ალექსანდრისგან, 100 წ., 10.7.932 წ., ს. ახიელი.

14. მამის ნატირალი შვილზე

სულა და კურდღელა იყვნენ ჩარგალები, კარგი მონადირეები. ერთხელ ირემი დასჭრეს და ორივე ძმა დაედევნა კვალზე. მამის ჩარგალი ძალიან ტყინი იყო. მიყვინ კვალზე და ჩარგლის-კართ მყოვე წყალზე (ვეძახე) მოკლეს დაკრილი ირემი; დაღლილები იყვნენ და დაიძინეს. ამ დროს მძინარეებს თავს წაადგნენ ლეკები და ისრებით ორივენი დახოცეს. ამას სტირის ხმით მათი მამა (ფშავში ხმით მამაკაცებიც ტირიან, ხოლო ხევსურეთში კი არა). მამა ეუბნება შვილებს: თქვენთვის სირცხვილია, რომ ბებერს მამას მათიბიებთო, ცელი და სალესავი სიბერის გამო ერთხელ დავტოვე და თქვენ ახლა ხელმეორედ ამადღებინეთო. ხალხი სათიბად დადის და თქვენ კი სანადიროდ დადიხართო.

ჩაწერილია გიორგი ლიქოკლისგან, 55 წ., 18.8.937 წ., ს. ბექე.

15. ძმავე ნატირალი ღისაბან

ძმა ჰყოლია ლაშქარში დაკარგული და დაც ავად ყოფილა. ერთხელ ვაჟ-
კაცის მღერა გაუგონია და ამბობს ტირილით, თუ ძმას მომგერი სანადირო
ადგილებს დაგიტომბო. მართლაც იმან მკედარი იპოვა და მოიტანა.

ჩაწერილია გიორგი ლიქოკელისგან, 55 წ., 18.8.937 წ., ს. აჟე.

16. მითხოველისაგან მოკლულზე თარუასაგან ნატირალი

ველიმათ მინდია იყო წასული ქისტეთში „სამზირლად“. ქისტებმა გაუგეს
და სროლა აუტეხეს. მინდია ცხენზე იჯდა და ჯერ ცხენი მოუკლეს, მერე მინ-
დიაც მოკლეს. მისი შეზობელი ამხანაგები გამოიქცნენ. ერთი ვითომ ამხანა-
გებზე უარესი კაცი დარჩა ცხედართან და ქისტები არ მიუშვა. ის კაცი იყო
ქურდი და მეტ სახელს როგორც ქურდს „ივანეთ მეკანტალიას“ ეძახდნენ. ამის
შემდეგ კი ხეცურებმა ის დააფასეს მამაცობისათვის.

ჩაწერილია გიორგი ლიქოკელისგან, 55 წ., 18.8.937 წ., ს. აჟე.

17. კაკმატელზე ნატირალი

არ მახსოვს ვინ მიაგბო, არც სწერია და არც ვეცი ვისზეა ნატირალი,
მხოლოდ მიწერია, რომ ხახმატლებზე არის ნატირალი. შინაარსიდან ჩანს, რომ
ქისტების მოკლულებზე უნდა იყოს ნატირალი.

ჩაწერილია გიორგი ლიქოკელისგან, 55 წ., 18.8.937 წ., ს. აჟე.

18. მამისცოლი (ღეღინაცვალი)

ეს ამბავი არის ღეღინაცვლისაგან შეწუხებული ობოლი ახალგაზრდისა.
მას შემთხვევით ღედის შორეული ბიძაშვილი შემოაკვდა და მოსაკლავად ეძებ-
დნენ. სახლშიც კარგი მდგომარეობა არ ჰქონდა. ისეთი ღეღინაცვალი ჰყავდა,
რომ პურს ისე არ მისცენდა, წყევა-კრულვაზედ არ დაეყოლებინა. სადმე წასავ-
ლულად რომ მოემხადებოდა, ღედისნაცვალი საგძალს ჩაუდებდა და თან და-
ატანდა „ვერ მოსვლა შენი“. ერთხელ ასეთის წყევით გაისტუმრა ობოლი სა-
თიბზე. თიბვის დროს ობოლი ფიქრობს ნეტავ მოვიდოდნენ და მომკლავდნენ
მოსისხლენიო. რა მიხარია: სახლში მტერი, გარეთ მტერი და უკეთესი იქნე-
ბოდა რომ მოვკვდებოდეო. ამ დროს თვალი მოჰკრა მოსისხლეებს, რომლებიც
ეპარებოდნენ მოსაკლავად. დაჯდა ამოიღო ის პური, რომელიც ღეღინაცვალმა
გულაში წყევა-კრულით ჩასდო და დაავორა ქვევით. შემდეგ ადგა, დაიწყო თიბვა
და თან მღეროდა:

„არ მინდოდე და ჩაღვორებდეო,
პირ მატუსვილო სვილის კვერაო,
ნაქნარო მამის ცოლისაო,
წყევა-კრულითა გამამცხვარო“—და სხვა.

ჩემი მამისცილი რომ გაიგებს ჩემს სიკვდილს, სამახარობოდ ხარებს მისცემს მათ ვინ ეტყვისო, რომ მე მესისხლეთ მომკლესო. მესისხლეებს ეს ყველაფერი ესმოდათ და ისიც გაიგეს, რომ განგებ არ ერიდებოდა სიკვდილს დედინაცვლისაგან გამწარებული. თან მათი დისწულიც იყო, შეებრალათ და დაუძახეს.

დისწულს არ მაჯკვლენ დედისმძანიო,
თუ მაკლეს იქავ იტირებენო.

აღვნენ, აიღეს იარაღი, წაეიდნენ და შორიდან დაუძახეს: „შენ უნდა მოგვეკალი, მაგრამ ვერ გაგიმეტეთ, როგორც ობოლი და ჩვენი დისწული და ჩვენგან ნულარ გეშინიაო.“

ასე გადარჩა სიკვდილს ობოლი.

ჩაწერილია ალექა ოჩიაურისგან, 100 წ., 10,7.932 წ., ს. ახელი.

19. შატილიმენეზე ნატირალი მამაშალსაბან

ნატირალია ქისტებთან მოჩხუბრებზე და მათგან დახოცულ ახალგაზრდებზე. მაგ. იღუა და ხოლიგა ქისტებმა დახოცეს ორივენი.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 15.8.937 წ., ს. შატილში.

20. შატილიონ თათრათ ჯამახაზე ნატირალი

ჯავახა დადიოდა ქისტებში კაცის მოსაკლავად და მით თავი მოჭქონდა. მერე, რომ მოკვდა, ერთმა ქალმა იტირა ასე ქება-დიდებათ.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 15.8.937 წ., ს. შატილი.

21. ბაღურიათი საშურა

საყურა (მოკლია—შეცვლილი სახელია) იყო შატილიონი. ქისტებთან ბრძოლის დროს ქისტიც მოკლა და თვითონაც დაიჭრა. ქისტებთან ბრძოლა მოუხდა ასე. ქისტებმა ხარები მოიპარეს და მღვევარი გაუღდა. საყურას ეძინა და ერთმა ლამაზმა ქალმა ჩუათ თამარმა გააღვიძა და უთხრა ქისტებზე მღვევრის გადგომის შესახებ. საყურაც დაეღვენა, მალე წამოეწია და იქ დაიჭრა. დაჭრილი სასიკვდილოდ იყო და ქალები ტიროდნენ. საყურა ჩუათ თამარს შეეხვეწა: მანამ ცოცხალი ვარ ხმით მიტირე, ხომ ვიცო მკვდარს მიტირებ და მე რაღა მინდა, ხომ ვეღარ გავიგონებო? თამარს და საყურას უყვარდათ ერთმანეთი, თამარმა არ იტირა ხმით, მაგრამ დაჭრილმა თავი მოაძულა. მანაც იტირა ქება-დიდებათ, მეომრობით. საყურამ სთქვა ამის შემდეგ: „ახლა სიკვდილს აღარ ვინაღვლიო“. მეტად ესიამოვნა თამარის ტირილი და მალე კიდევ მოკვდა.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატილი.

22. ბიბა ბიბაური

ეს გიგათ გიგა იყო კარგი ვაჟკაცი, მაგრამ მის შესახებ არ არის ნატირალი, არამედ როცა მას თიბვაში ეჯიბრებოდნენ მაშინდელი კაფიები. მის შესახებ მღერიან ხოლმე თიბვის დროს.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატილი.

23. გვიკალუსასან ნატირალი სამუკაჟი

სამუკა ყოფილა ხევსურულ წესებსა და მამაცობაში განთქმული კაცი და ამიტომ მომტირალი ადარებს მის ვაჟკაცობას — თოფს, ხმალს და სხვა. აგრეთვე ამბობს: შენ კობტად ჩაცმა არ გიყვარდაო და ახლა რომ დაგინახე სკლავი გეცვა, გამიკვირდაო (სკლავი მუღდის ქსოვილი). წინათ ლეგას ჩოხას იცვამდი და გვერდზე ჭუდს იხურავდიო და ახლა კი სულ სხვანაირად გხედავო. ეს იმი ჭომ რომ ხევსურები ვინც მდიდარი იყო „სკლავს“ იკრავდნენ, სამკვდროდ ინახავდნენ და მკვდარს ჩააცვამდნენ. ეს ნიშნავდა მიცვალებულისთვის დიდ პატივისცემასა და მის სიდიდეს.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 16.8.937 წ., ს. შატილი.

24. გურიელზე ნატირალი

გურიელი არის სახელი. მან თავისი თოფის ტყვიით თავი მოიკლა. ზორა არის მისი ცოლი, რომელიც სიცოცხლის დროს მას ძალიან აწუხებდა, ეჩხუბებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. სიკვდილის შემდეგ მისი ცოლის ხორას გასაჯავრებლად გურიელზე ვილაც მოტირალმა იტირა და უმადლის თოფს რომ გურიელი მოკალი და ცოლის ჩხუბს გადაარჩინეო. ამ ნატირალზე თურმე ზორა ძალიან გაჯავრდა, მაგრამ ხალხის ხათრის გამო ველარაფერი სთქვა.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 15.8.937 წ., ს. შატილი.

25. ბირაუთ ბაბაჟი რძლისაგან ნატირალი

ბერაუთ გაგას ძმა ჰყავდა ძალიან ავად და როცა ის სიკვდილზე მიიწურა, მისმა ძმამ ჩამღელმა ტყვიით თავი მოიკლა, რადგან ძმა ძალიან უყვარდა.

ამიტომ ამბობს მოტირალი: ერთი გარეთ გვიწევსო და მეორე ძმას სახლში ამოუდის სულიო. ხევსურების ჩვეულებისამებრ გარეთ მკვდარს აწვენენ და რა თქმა უნდა, რომ მოტირლის სიტყვები „ერთ კარზე გვიწევს ფალავანო“ ნიშნავს, რომ გარეთ გწვა საუკეთესო ვაჟკაცი მკვდარი და მეორე სახლში კვდებოდა. თოფი „წარა“ არის კაჟიანი თოფის სახელი და ამბობს მოტირალიც: თოფს ეენაცვალე გაგაის ვატენილსა და ზუმბას მისგანვე ჩაგებულსაო. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მოტირალი თოფს აიღებდა ხელში, დახედავდა და ამ სიტყვებით იტირებდა.

ჩაწერილია მგელა ჭინჭარაულისგან, 47 წ., 15.8.937 წ., ს. შატილი.

26. დედნიკაზი ნატირალი მღმნასაბანი

ელენა იყო ხმით მოტირალი. მისმა დედიძემ თავი მოიკლა და ელენა მასზე შემდეგი სიტყვებით სტირის: «თუ ჯალაფთ გაგაჯაგრონ მთასიქითში (პირიქით ზეესურეთი) წამოდი და იქ ჩვენ ქალსაც მოგცემთ, ცხენსაც და თოფ-ხმალსაცაო. ქალს მოგცემთო, რომ ამბობს, ეს ქალი იქნებოდა ამ კაცისათვის დანიშნული და გარდაცვლილა, თორემ ისე არ იტყოდა. თოფს მოგცემთ პატრონის გულზე ნამართებსო ნიშნავს, რომ ამ თოფის პატრონს მისი ტყვიით თავი მოუკლავს და ნატყვიარი ჰქონია გულში.

ჩაწერილია მგელა კინჭარაულისგან, 47 წ. 17.8.937 წ., ს. შატილი.

27. მარტიათი ჩალხიკაზი ნატირალი ნათიასაბანი

ნათია არის ხმით მოტირალი და სარგებლობს კარგი მოტირლის სახელით. ის როცა სტირის, თავის ტირილში მოიგონებს და შეატირებს მრავალ სხვადასხვა მიცვალეზულს, როგორც აქაც ეტყობა, — ბევრი მკვდრის სახელია ნახსენები. აქვე მოამბე აშექალი დასძენს: ნათია ტირილში ისეთი სახით სტირის, რომ ვითომ მკვდრებმა იჩხუბეს, ერთი მეორე დასტკრეს და ბოლოს შეირიდნენო. ასეთი ჩვეულება ჰქონია ამ მოტირალს, რომ საიქიოში მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას მუდამ ამ წესით იგონებს. მაგალითად: ჩხუბი, მერე რჯული და არჩეული რჯულის კაცები და ბოლოს შერიგება. ამ ტირილში არის ნახსენები კარგი მერჯულე კაცი — გოგია. კარგი მოჩხუბარი კაცი — ვეშაგურიშვილი, რომელიც რუსეთში მომკვდარა და სხვა.

ჩაწერილია აშექალ წიკლაურისგან, 24 წ., 9.7.936 წ., ს. როშკა.

28. გოგიათი ივანეზი ნათიასაბანი ნატირალი

გოგიათი ივანე იყო ახალგაზრდა კაცი და ზევსურები პატივს სცემდნენ, როგორც კაი კაცს. იგი მოკვდა სხვაგან და აქ ნათიამ იტირა. ნათიამ იცოდა ფანდურის, სიმღერისა და ცეკვის დასახელებაც ტირილში.

ჩაწერილია აშექალ წიკლაურისგან, 25 წ., 9.7.936 წ., ს. როშკა.

29. დედანო, დედა ბამაგაბადიო

ვისგან არის ნატირალი მოამბემ არ იცოდა. მხოლოდ მოტირალს ეტყობა, რომ დედა მოჰკვდომია და ამიტომ ამბობს: «დედა გამოვადი და ვარცლ-საკერი გამოვართვი»-ო. მითომც დისახლისობა ჩამოვართვიო. აქ ვილსაცა ობოლი დარჩენილა და მე გაეზრდიო. მოტირალი ამაზედაც ასე ამბობს.

ჩაწერილია დედაქალ წიკლაურისგან, 20, წ., 9.7.936 წ., ს. როშკა.

30. ბარსიათ ივანოვი ნატირალი მისი ცოლისაგან

მატირალი სულეთის ღმერთს ქმრის სახელით ეხვეწება, რომ ნება მომეცო სამზეოზე გამოსვლისა და სამზეოს ხალხისათვის დალაპარაკებისაო. (ხევსურების წარმოდგენით არსებობს ორი ქვეყანა სამზეო და საიჭიო, აგრეთვე არსებობს ორი ღმერთი: სულეთის ღმერთი და სამზეოს ღმერთი). თავის ქმარს ახსენებს ქება-დიდებათ: ვეფხო, ჯიგვო, ბაბლიაო და სხვა. ესენი ყველა საქმები სიტყვები არის ხევსურეთში. აგრეთვე ჭურჭელს ახსენებს არაერთ საგნეს. ეს ხევსურეთში ნიშნავს პურმარილიანობას და სტუმართმოყვარეობას. ჭურჭელსაც პატივს სცემენ. მაგრამ ამბობენ, რომ ამ მოტირალს თვითონაც უყვარდა ჭურჭელი და აქედან არყის გადაკერა, ამიტომ თურმე მის ხმით ნატირალებში ხშირად გვხვდება არყიანი ჭურჭელი.

ხევსურეთში ქმარზე, ცოლზე და შვილზე არ სტირიან, მაგრამ, ქალების თხოვნით ქალს ხშირად ატირებენ—ქმარზეც და შვილზეც და ტირილში ის უფრო სხვა მიცვალებულებს იგონებს ვიდრე თავისას.

ჩაწერილია აშუქალ წიკლაურისგან, 25 წ., 9.7.937 წ., ს. როშვა.

31. მიამც ნანატრი ბამიჯხალაო

ნატირალი არის ნათიასაგან და ვისზე სტირის ეს გაურკვეველია. ძმებს კი ახსენებს: ორივე უბედურად მოუკვდა და სახლი გატიალდა. დანარჩენი ნატირალი ბუნდოვანდ და გაუგებრად არის მოცემული.

ჩაწერილია დედაქალ წიკლაურისგან, 20 წ., 9.7.936 წ., ს. როშვა.

32. ცოლის ნატირალი ქმარზე

ეს ხმით ნატირალი ეკუთვნის ქმოსტელ ქალს ტოლათ შექიას. როგორც ნატირლიდან ჩანს მას ქმარი მოპკედომია პატარძლობაში. მასთან უცხოვრია მხოლოდ შვიდი კვირა. ხევსურეთში პატარძალი არ სტირის ქმარზე, სირცხვილად ითვლება, მაგრამ მას კი უტირია და ამბობს რომ ქმარზე ტირილს მხოლოდ ისინი გაიკვირებნო, ვისაც უმეცრება სძლევა და ყმაწვილ-ყმუწვილები ე. ი. ბაღლებიო. იგი ქმარს მიმართავს „შე სამიწეო“, ხევსურეთში ხომ ქმრის სახელის ხსენება სირცხვილი იყო. ის ეუბნება თავის ქმარს, რომ მისმა ძმებმა ე. ი. ქმრის ძმებმა, ქონება განაწილესო და შენი წილი ქონებაც მისსაკუთრესო. მისთვის „მოურგენია“ მხოლოდ ახალი სახლი, რომელშიც ჯერ ცეცხლი არ დანთებულა. ტირილის მოტივი არის ქმრის სიკვდილი, იგი სტირის არა ვალდებულებით.

ჩაწერილია ალექა ოჩიაურისგან, 100 წ., 10.7.932 წ., ს. ახიელი.

33. დანიშნული კალმის საჰმროზე ნატირალი

მატირალის ვინაობა არავინ იცის. როგორც ხმით ნატირალიდან ჩანს იგიც პატარძალია, მხოლოდ დანიშნული და დანიშნული საქმრო მოპკედომია. მისულა სატირლად დანიშნულის ოჯახში და აი როდესაც სტირის იგი მიმართავს მამამთილს: რათ გეწყინა ჩემი აქ მოსვლა, მე მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ შენი შვილი მეცნაო.

ჩაწერილია ალექა ოჩიაურისგან, 100 წ., 10.7.932 წ., ს. ახიელი.

34. ბარდღას ნატირალი ბიძაშვილეზი

ეს ნატირალი ეკუთვნის ბერდღა ოჩიაურს. ტირის ბიძაშვილეზე: თუშ ოჩიაურზე, რომელიც მეზობლებს მოუკლავთ. ბერდღა ამბობს, რომ მან ეს ამბავი, ე. ი. თუშის მოკვლა, ტანიეს გაიგო (არხოტიენების საზამთრო საბოსლო) და მიმართავს თუშის მეუღლეს მინან შუქიაურს: „გამაგრდი, დაზარდე, ომლები და შური აძებნინეო.“

ჩაწერილია ბერდღა ოჩიაურისგან, 50 წ., 8.8.932 წ., ს. ახიელი.

35. ხმით ნატირალი ბიძი ჯაბუშანურზი

ხმით ნატირალი ეკუთვნის ქალია ოჩიაურს. გიგი ჯაბუშანურზე უტირია. აქ ხმით მოტირალის ტირილის მოტივი ვალდებულებბაა, რადგანაც ხმით მოტირალს თხოვნით ატირებენ ხოლმე, სხვას სხვის მიცვალეზულზე. იგი თვითონაც ამბობს: „მატირალსა ტირილს ნუ ხპატიჯებთო“. მოტირალი ამბობს, რომ დაგწყევ დღა გამიგონებს ე. ი. გიგის დღა ბერდღა, და გულს გამიგარებსო. ბავშვს ე. ი. მიცვალეზულს მიმართავს: პატარა ხარ, მიცვალეზულები („უცხოელნი“) შეგაშინებენ, გველი შემოგეჩვევა („სურვიელი“), შენ თმაო ლოკინად ღაფებებს, გულზე შარაებს დასხამს, ე. ი. ივლის შენს გულზე, შეეცლება, რომ მოგწამლოს და ბოლოზე პირს ნუ შეახებ, დედის ძეძუ არ გეგონოსო. ამ სიტყვებს იგი იმისათვის იძახის, რომ მსმენელი „მატირალინი“ ატიროს, ხმით მოტირალი უოველთვის ცდილობს ისეთი სიტყვებით იტიროს, რომ ყველაში სიბრალული გამოიწვიოს, ხალხი ატიროს.

ჩაწერილია ბარდღა ოჩიაურისგან, 50 წ., 8.8.932 წ., ს. ახიელი.

36. ნანუა არაბულის ნატირალი

ეს ხმით ნატირალი ეკუთვნის ბურჟეერელ დედაკაცს ნანუა არაბულს. უტირია სოფელ აშლაში ჩაჩაურ წიკლაურის „ტალავრთაზე“. ხმით მოტირალი ხშირად სხვის მიცვალეზულზე იტირებს და ებაახება თავის მიცვალეზულს, თუ ვინმე კარგი ვაჟკაცი ან ქალი ჰყავს მას მეკდარი და ღირს მისი ხსენება უცხოს ტალავრთაზე. აქ ხმით მოტირალი მიმართავს მანდილოსნებს: „დედანო, ჩემსა მაცნაურსაო სხვანიც კი ნუ მოგიკვლენთ შვილსაო“, ე. ი. დედაკაცებო ვისაც მე გიცნობთ და ვინც მე მცნობთ შვილსაც ნურვინ მოგიკლავთო. მე მომიკლეს შვილი რომელმაც მეშველს უხბო და ძმებს უთხრა: ნუ თუ გვარაფერს მიშველით, ვკვდები, ღონე მელეგო, ძმები სტიროდნენ, მე ფარავის (ფარავი ხევსური ქალის ტანისამოსის ნაწილია, რომელიც მკერდს ფარავს) ღილი ვავხსენი და გაციებული ფეხები უბეში ე. ი. მკერდზე დაუთბენი და სხვა.

ისე რომ ეს ხმით ნატირალი იმას კი არ ეხება, ვისზედაც დედაკაცები სტირიან, არამედ სხვა მიცვალეზულს, მაგრამ ეს მაინც ტირილს იწვევს.

ჩაწერილია ბერდღა ოჩიაურისგან, 50 წ., 8.8.932 წ., ს. ახიელი.

37. დის ნატირალი ძმაზე

უცნობის ნატირალი. და სტირის ძმაზე. ძმას წიქას, ე. ი. მიცვალებულს, ურჯუჯაის ძმა მოჟკლავს, იმედა. როგორც ჩანს დას წიქა გაუფრთხილებია: მაგრამ წიქა არ გაფრთხილებულა და მოუკლავთ.

ჩაწერილია მამუჯა ჭინჭარაულისგან, 60 წ., 15.8.936 წ., ს. ბარისახო.

38. დედის ნატირალი შვილზე

არავინ იცის ვისი ნატირალია. როგორც ჩანს დედა სტირის შვილზე და მზეს შიმართავს: ცოტახან დაგვიანდი, რომ ვუყურო შვილს, რადგანაც იმას საცა დასაფლავებენ და ერთმეორეს დაგვაშორებენ დედა-შვილსაო.

ჩაწერილია სანდუა გიგაურისგან, 60 წ., 11.7.936 წ., ს. ბლო.

39. ბერდედის ნატირალი შვილზე

ნატირალია ბერდედა ოჩიაურისა თავის შვილზე, ლელაზე. იგი ამბობს: დედა გენაცვლოს, გამწყვარი მიხვალ, მაგრამ მე მაინც ბევრს არ გინაღვლებ, რადგანაც მე მომიკვდა შენზე უკეთესი გიგია, რომელიც სამ წელს ლოგინში იწვა და ისე დაიღიაო.

ჩაწერილია ბერდედა ოჩიაურისგან, 50 წ., 8.8.932 წ., ს. ახიელი.

40. ძილუას ნატირალი შიშინიაზე

სოფელ ხადუში ნატირალი ძილუა არაბულის მიერ ბაქუათ ახალაის შვილზე, შიშინიაზე. ხმით მოტირალი ამბობს: ღმერთმა დაიფაროს, რომ ის ვაჭრდილიყო, ე. ი. რომ არ მომკვდარიყო, რადგანაც ის სწორებზე მეტობას მოინდომებდა და ყველას დააჩაღავებდაო. ხმით მოტირალი სხვის მიცვალებულზე სტირის.

ჩაწერილია ბაბაღე ქერაულისგან, 25 წ., 13.7.936 წ., ს. უგენხაღუ.

41. ნათუას ნატირალი კმრის დისწულზე

ნათელა წიკლაურის ნატირალი ბადია ბალიაურის შვილზე. თავის კმრის დისწულზე სტირის და ეუბნება: სააზნაურად იზრდებოდი, მოურავების დისწული ხარ. წადი სკოლაში ბარუქს (სასაფლაოზე). მართალია შენ სააზნაუროდ იზრდებოდი (მიცვალებული ღვდლის შვილია), ბამბის ლოგინზე იწევი, მაგრამ ეხლა მიწაში დაწვებიო.

ჩაწერილია ნათელა ბალიაურისგან: 40 წ., 15.8.936 წ., ს. ახიელი.

42. ციათ თარუას ნატირალი მამეთუზე

ციათ თარუას ნატირალი. იგი შიმართავს მოტირალთ: „ნუ, გამიცინებთ მატირალნო ცულა მეც მიწვეს ბარუქსაო“ — იგი ქალებს ახსენებს ვიღაც მიცვალებულს „ცულდას“ (გულისხმობს კარგს) და ამავე დროს აქებს მიცვალებულს ვისზედაც აშკამად სტირის ე. ი. ხიზანათ მარტიას. უწოდებს მას დიინის (დიინი — ამაყი, დიდური) და ეუბნება, რომ მიატანე ხატში საჩხუბრად ვიღაც ჯურკას

და გაჯავრებულ რომ ღვედრიდი (იკვეხიდი, იქალოდი); მაველ ხიზანათ ულაყო, ე. ი. ხიზანათ ამაყო. მოტირალი სტირის მოკეთებზე, ე. ი. ხიზანათ მარჯიას—მარტია ნაროზაულზე.

ჩაწერილბა ლვილა ბალიაურისგან, 60 წ., 15.8.936 წ., ს. ახიელბ.

43. დედის ნატირალი შვილზე

სამილა არაბულის ნატირალი. სტირის შვილზე—ბერდიაზე. ბერდიას კაცი მოუკლავს, პირაქეთ ხევსურეთში. გადახვეწილა არხოტში და როდესაც იგი არხოტიდან შინისკენ, ე. ი. სოფელ ხიტალესკენ, მიდიოდა უნდა გაველო მთა, არხოტის გადასავალი. გზაზე მოსვლია ზეავი და მოუკლავს ბერდია. სოფელ ახიელაში გაუგათ მისი სიკვდილი. ამოუთხრიათ ზეავიდან და სოფელ ახიელაში ჩაუსვენებიათ. შემდეგ მოსულან მისი ნათესავები და წაულიათ სოფელ ხიტალეში. დედა ხმით მოტირალი ყოფილა და რადგანაც ხმით მოტირლები თავის შვილზედაც ტირიან, ამიტომ მასაც უტირია შვილზე. იგი მიმართავს შვილს: დედა შვეენაცვლოს სულ მუდამ უგზოუკვლოდ მავალო, არხოტიონთ ამანათო (ამანათი: როდესაც ხევსურს ძალიან გაუჭირდება იგი სტრეებს სოფელს, მომეტებულ ნაწილად მაშინ როდესაც მოჰკლავენ ვისმეს, შეეხიზნება მეორე სოფელს) თუ ვინციობაა შინისკენ წამოხვედი (მიცვალეულს მიმართავენ ტირილის დროს როგორც ცოცხალს, რადგან მათ სწამთ, რომ მიცვალეული ტირილს უსმენს) სოფელ ახიელაზე გამოიარდი, ბაღია ბალიაურს მადლობა გადაუხადიდი, რადგანაც მან მოტირალი მოიწვია. მაგრამ აკუშოს ნულარ წახელ, რადგანაც მესისხლენი „ჯყონ“ აღიონანი და მამაცნია, მოგკლავენო. შემდეგ დედა მიმართავს სიკვდილს: ქრთამი აილოს მთელი ნაწილი ბერდიისს ოჯახიდან: ვერცხლით მორთული თოფი, ლურჯა ცხენი, ხარები ბერდიასი, „ორგინ დედ-მამანი დახოცნას“ სიკვდილზე ბერდიას მავიერ და დედმამაზთან გაიყოლებენ ნათელას, სილამაზით და სიკეთით განთქმულ ქალს, ოღონდ სიკვდილმა ბერდია დაამბრუნოს.

ჩაწერილა ნათელა ბალიაურისგან, 40 წ., 15.8.936 წ., ს. ახიელბ.

44. ცოლის ნატირალი მხარზე

ქაქია თეთრაულის ნატირალი. სტირის ქმარზე. ის მიმართავს ქმარს: გიტირებ ლამიანის მზემაო (ლამიანი ძმა ყოფილა ქაქიასი, წყალში დამბრჩევალა და პირველად მასზე აუტეხია, ე. ი. უტირია ხმით. ჩვეულება ასეთია, ხმით მოტირალი ხმით ტირილის დროს დაწყებისას იმ მიცვალეულს ასსენებს, ვისგანაც პირველად ხმით ტირილი დაიწყო), რადგანაც შენ ამატირე, შე წყეულო და შემარჩენეო (ქმარზე სტირის, რაც სირცხვილია) დიაცმა ქმარი დაგიტირეო; შენ ისეთი ყოჩალი იყავი, რომ მთელი ქვეყანა შემოგვივლია, მთა ლუმადე დაგილანხია, რკინის კვერივით მგარი იყავი, დადიოდი საურჯულოოს (ე. ი. ქისტებში), ესლა მოხკვიდი და ხელი მოგემართოსო, მიდი საიქიოს თავისიანებთან, წერამც მიმიხიდი შვილებს თათუსა და მოკლიას, ე. ი. მათამც შეენაცვლებიო.

ჩაწერილა მზია ბალიაურისგან, 29 წ., 20.7.939 წ., ს. ახიელი.

45. ნანუკას ნატირალი წიკლაურზე

ნანუკა გიგაურის ნატირალი. უტირია სოფელ ამლაში დავით წიკლაურზე. იგი ამბობს, „ხევსურეთ გავიგით“ შენი სიკედილი. მართალია, მე არ ვიცი—ნობ შენ, მაგრამ ხევსურები გაქებდნენ ხევსურეთში (ტირის არხოტში, ხევსურები ხევსურეთში, ე. ი. პირაქეთ ხევსურეთში). მე კი შენი მეუღლე გამიკვირდა: იგი ყოველთვის მთა-გორებს გასცქერის და არ ვიცი შენ უფრო ენანები თუ პატარა შვილი ობლად დარჩენილი, რომელიც ჯერ კიდევ დედის კალთას არ მოშორებია. შემდეგ იგი მიმართავს მიცვალებულის დედას, ე. ი. დავით წიკლაურის დედას: მიკვირხარ კარგის ვაჟაკის დედავ, მე კარგ შვილს არსად გაუშვებდი, სადაც წავიდოდა თან გაუჰყვებოდი, საფლავშიაც კი ჩაუჰყვებოდი, საბურავს (ე. ი. საფლავისთვის „დახურულ ქვის“, სპს) ავხიდილი საფლავს და მის სამაგიეროდ მე „ჩავეხურებოდი“.

ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 7.7.936 წ., ს. დათვისი.

46.

ამ ხმით ნატირალის მოტირალი არავენ იცის.

ჩაწერილია ნათელა ბალიაურისგან, 40 წ., 15.8.936 წ., ს. ახივლი.

47. ძილუას ნატირალი შვილზე

უტირია ბლოში ძილუა გიგაურს. სტირის შვილზე ბერდიანზე იმ დროს, როდესაც ბერდიას სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ და მიცვალებულს დედას აშორებდნენ. იგი ამბობს: საცაა ვშორდებით ერთი მეორეს, შენ კოკლი ხარ (ფენის ტკივილს მოუკლავს), შაგრას შეგიკაზმავ და ამით იარე, გინდა დედიძათას წახვედი, გინდა დედის დედიძათას, სოფ. ჭიმლაზე ჩაიარე, იქ იკითხე ქალი კმარა (ხშირად ახსენებდნენ მკედარს, რომელიც მივიწყებულია, რომ მოტირლებს გაახსენონ ძველი მიცვალებული. აქ იგი გულისხმობს კმარას, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გარდაცვლილა). შემდეგ ხმით მოტირალი მიმართავს კმარას: შეგიარცხვეს ქალობა, სამაჯურები, ბეჭდები, სათმე აბრეშუმისა. კვლავ უბრუნდება შვილს და იძახის: კერაზე ველარ მოვთავსდები (რადგანაც მას შვილი მოუკვდა, შემნახავი აღარავინა ჰყავს, უნდა წავიდეს მამის სახლში და მეტი ხარჯი დასჭირდება ოჯახს), დიდი ადგილი მჭირდება, შენ ცოლს ნათუას შინ გავიგზავნი, დას კი სანდუას ბანზე გადავავდებო.

ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 7.7.936 წ., ს. დათვისი.

48. ლელას ნატირალი ოჩიაურზე

ლელა წიკლაურის ნატირალი სოფელ ახიელაში; იონეურ ოჩიაურს ერთ დღეს ორი ვაჟი მოჰკვდომია. დარჩენილან დედა და მამა მოხუცები. ხმით მოტირალი სტირის: ოჩიაურთ მეხი და სეტყვა დაატყდა, მით უმეტეს ნინიას სახლს (ნინია—იგივე ივონეური), სახლის ლიბუში გველმა იწივლა, კეზი გატყდა, კერას გაერეკაო. ორივე ძმა მოკვდა. დედ-მამა კი გადარჩა სიკვდილს, ორი ძმის ცელი კი დარჩა მთებში. (თიბის დროს დახოცილან და ცელები სათიბზე დარჩენილა):

ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 7.7.936 წ., ს. დათვისი.

49. ნანუასწნატირალი უშილუა

ნანუა არაბულის ნატირალი. სტირის თავის შვილზე—ნათელისძე არაბულზე. იგი ემდურის შვილს, რომ დინჯია, ლაპარაკი არ უყვარს, თავგზა არაფრისა აქვს. განა ეგრე უნდა რომ მიდიხარ ისე, რომ სოფლელებს არ დაემშვიდობე და შენი ხელობა არ ჩააბარეო. შემდეგ მიმართავს სიკვდილს: სიკვდილო ქრთამი აიტანე, ხარჯს მოგცემ: ქორასა ჯორელას, ნიშა ცხენს შეგიკაზმავ, „ჩიქორთაულა“ ხმალს მოგცემ, ქალებს მოგცემ: ძილასა, ნათულას; ლელას და გიყენებ წინ ნათელისძის ბაჭყურას მეუღლეს, რომელიც ბოჭყურა ნათელისძემ მოწონებით შვიართო. ის ისეთი ლამაზია, როგორც მზე მისის პირს ამოსული, როგორც გარდამავალი ცისკარი; თუ ბაჭყურას დააბრუნებ ე. ი. ნათელისძეს და გააცოცხლებ, ყველაფერს ამას შეგისრულებო. შემდეგ მიმართავს შვილს: ვერ გაეძღვებ უშენოდ, განა იმიტომ გზარდე, რომ „ჯუთის გორ“ დაემარხო (სასაფლაო, სადაც ჯუთულები იმარხებიან). შენს ლოჯინზე დასაძინებლად ვერ გიმეტებდი, ეხლა კი საფლავს გითხრიან „ჯუთის გორ“ და უკანასკნელად ვხედავთ ერთი მეორესო.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 15.8.936 წ., ს. ახიელი.

50. ძმისწულ გავრდათ ნატირალი

ეს ნატირალი ეხება ძმისწულ-მამიდათ. ხშირად ტირილში ქალები ერთი მეორეს გამოაჯავრებენ ხოლმე და როგორც ხევსურები ამბობენ, მათ ერთი მეორე „უსენია“ ტირილში. საქმე შემდეგში ყოფილა: ხევსურს მოუკლავს თავისი მეუღლე, მისულა შვილი, გათხოვილი ქალი და უტირია: მამიდავ, შენი რძალი მოკვდა და რძლები დაგილეგავდნენ, ე. ი. იგლოვენო. მამიდა კი ძმის მხარეს ყოფილა და მწარედ უთქვამს: ჩემი რძლები არ დალეგავებულან, ე. ი. არ იგლოვენ, არც ლევა ტანისამოსი დამიწყვია, რადგანაც ბევრი რძალი დადის ხევსურეთში ჩემი რძალივით, ე. ი. იმ დედაქაცევით, რომელიც მისმა ძმამ მოკლა, რომელსაც სანდუს ეძახოდნენ.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 15.8.936 წ., ს. ახიელი.

51. ნათულას ნატირალი მხრეშუმგზე

ნათელა წიკლაურის ნატირალი. სტირის ქმრეულებზე და ამბობს: მე მინდოდა, რომ არავის გაეგონა მათი სიკვდილი, ე. ი. არ დახოცილიყვნენ, მაგრამ მაინც გაიგეს. ბერდიშვილთ შერცხვათ—ბორტვი დაეხურათ ბეწინა და ბეწინა ქისტებმა დახოცეს არხოტის ქალაზე და ამით სირცხვილი დაედვათ ამღლეებს.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 7.7.936 წ., ს. დათვისი.

52. ნანუას ნატირალი ძმასა და ბიძაშვილებზე

ნანუა ცისკარაულის ნატირალი. ნანუას დაეხოცა ძმა და ბიძაშვილები ჟამიანობის დროს. მისულა შინ პირიქით ხევსურეთიდან და შინ აღარავინ და-

ხვედრია. უტირია ქალს: ნუმც ვინ დაიტანჯება ისე, როგორც მე დაეიტანჯე. ნურც ერთი დიაცი, რომელსაც მანდილი ხურავსო. გამიწყუნენ ბიძაშვილები (დათვიანი—ბიძაშვილობა), გაჩუმდა იმათი უბანი. რომ მოვედი, კარები შევხლე და დათვიას ნაწოლი ვნახე—მატლი ასჩენიაო. თავით ნაღვომ საწყლემში წყლის შავიერათ ძმარი სდგომოდა. შემდეგ მე მომინდა „ჭიშველის გორით“ ტვირთის ზიდვა, სადაც კანჯარუას ეთიბაო.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

53. სანდუას ნატირალი ძმრისბან მოკლულ დედაზე

უტირია ბევრათ ქალს სანდუა გიგაურს სოფელ ბლოში. ხევესურს მოუკლავს მეუღლე, რომელიც თურბე ლალატობდა. ქალს უტირია დედაზე.

მადლობელი ვარ სიკვდილო შენ რომ ბევრათ უბანზე მოხვედი, შენ რომ ეს ოჯახი მოასვენე, შენ რომ გს მეზობლები დააჩუმეო. შემდეგ იგი მიმართავს დედაკაცებს: დედაკაცებო, მე დედა გამოვავდე, სამაგიეროდ მისი აღვლი მე დავიჭირე, ვარცლი მე დამჩრა, საცერიც. მაგრამ მამას მამობას ველარ ვუწოდებ, რადგანაც მან დედა-ჩემი მოკლა, არც შინ შემოუშვებო. შემდეგ იგი მიმართავს დედას: წადი შინ ბასილთ ქალო, წადი რომეაში (ტირილის დროს მიცვალებულთ მიმართავენ როგორც ცოცხალს). შემდეგ ქალის მამიდა, მკვლელის და, სტირის: ძალიან გამიკვირდა როდესაც ჩარქუზამ (კაცმა) თოკი მოიტანა მიცვალებულის ნაბადში შესაკერელად (ხეესურეთში მიცვალებულს წასვენების დროს ნაბადში შეახვევენ—კუბოს იშვითად უკეთებენ). შემდეგ ხმით მოტირალი მიმართავს რძალს—ეგრე ვინდა ბასილთ თარეშაო (თარეშა ძალის სახელია), შევიფერა ბევრათ გიჟამ (ე. ი. მკვლელმა მეუღლემ). უწინაც ეგრე უნდა მოქცეულიყო, მაგას მოუწოდებდნენ სხვანიო.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 8.7.936 წ., ს. დათვისი.

54. ნათელას ნატირალი ძმრისუღებზე

ნათელა წიკლაურის ნატირალია.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 8.7.936 წ., ს. დათვისი.

55. ნანუას ნატირალი

ნანუა წიკლაურის ნატირალი შვილზე. ქალს „მამისახლი“ დახოცია, ვილას დაუხოცია ძმები. იგი ბლოელეს მიმართავს ტირილის დროს—ცული ვარ, რატომ არ გაწინებთ: მამისახლი დავლიე—(ე. ი. ისინი დაიხოცნენ და მე კი ცოცხალი ვარო), ეხლა შვილებიც დამეხოცა. „წაოლ, მთას გადაოლ არხოტისკენ, შინ მიოლ ვატესგალათასაო“ (გულისხმობს ჭოლიკაურებს, რომლებიც ამაში ცხოვრობენ). ჯერ იმით ვკითხავ, როგორ დახოცეს ჩემიანებო; შემდეგ მეც სამაგიეროს გადავუხდი, რადგანაც მათ ჩემის მამის ქონება გაინაწილეს—ყანებო ვაყეში თოკით გაინაწილეს. მე მინდა ყანა მოსახნავად, ქვიტკირები მინდა, რადგანაც მამისახლს უთურთ სახელს დავუღებ, მომხსენიებ ვეყოლებიო.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 8.7.936 წ., ს. დათვისი.

56. მამბინარის ნატირალი ძმებზე

მამბინარ წიკლაურის ნატირალი სტირის ძმებზე. ორი მისი ძმა მოუკლავთ ქისტებს ტერელოს და გუროვლებს მოუწოდებს მოძებნონ ისინი, რადგან მის ძმებს მელები და კვერნები ინაწილებენ. წყალი მოწყურებია ხოლივას, ხოლო იღუას კი პური მოშინია.

შემდეგ მიცვალბულ ძმებს მიმართავს: მოხველით მშვიდობით, წყლის ერთ მხარეზე მზირად ნახსდომნო. თავისთვის იძახის: მე უფრო იღუა მომწონდა ლამაზი ტანი ჰქონდაო. ძმებს მიმართავს: ვატიალდა თქვენი ქავციხე, დაიკარგა დედის შენაძენო.

ჩაწერილია თარუა ოჩიაურისგან, 80 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელღ.

57. უცნობის ნატირალი ლმზ.ნამ

ფაშაველის ნატირალი. სტირის ლეკვა თორელაშვილზე, მეგობარზე, რო-
მელიც მის სახლში ყოფილა გაზრდილი.

ჩაწერილია ბერიძე შუზანაშვილისგან, 82 წ., 4.7.938 წ., ს. შუაფხზ.

58. ბუბას ნატირალი ძმაზე

ბუბა არაბულის ნატირალი. გაბრაზებულს უტირია: „ჯუთის გორს“ გამოგსთხრი, ე. ი. ჯუთელდების სასაფლაოს, სადაც ბეწინაა დამარბული, რადგან მან მოკლა ჩემი ძმა ბერდია და თქვენ მე მაჯავრებთო.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 8.7.936 წ., ს. დათვისი.

59. დედის ნატირალი შვილზე

მოტირალის გეაზი და სახელი არავენ იცის. იგი სტირის შვილზე. მიმარ-
თავს დედაკაცებს: ნუ თუ არავისა გყავთ ტყვიით მოკლული, ან წყლის მიერ
მოკლული. მე კი მომიკლეს გეჯურა, რის გამო დავდარდიანდიო!

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

60. ცოლისდის ნატირალი სიმამზე

ვილაც ცოლისდის სტირის სიძეზე. უწუნებს დაუფიქრებლობასა და მეტიჩ-
რობას.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

61

მოტირალი არავენ იცის.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

62. დედის ნატირალი შვილზე

დედა სტირის შვილზე. შვილს მიმართავს: ნეტავ ჩემთვის თოფი „დაჯარტ-ყმივა“, ძირს დაგეგებოლი საფლავში, ნეტავ მამისცოლი დაგზურა ზედო.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

63. ნანუკის ნატირალი მამიდაშვილზე

ნანუკა არაბულის ნატირალი. იტირა სოფელ ახიელაში, მამიდაშვილზე— ბერდია ცისკარაულზე. ჯერ მოტირალთ მიმართავს და უძნელდება კარგი ვაჟკაცის დატირება. შემდეგ ხანჯალს მიმართავს (ტირილის დროს ხანჯალი უჭირავთ ხელში), ნეტავ ხანჯალი ალაპარაკა ბერდიას მაგიერ, რომ იტყოდეს რამესო! შემდეგ ბერდიას დედას, მამიდას მიმართავს: ეგრე მინდა, შე წავალ ახლ და ნათელას ვუამბობ, რომელსაც შვილი მოუკვდა და ოჯახიც გაუტიალდა მამის სახლშიო. შემდეგ ისევ მიცვალეზულს მიმართავს: „დედიდა გენაცვალას, წამოხვიდი ესაჩუს (სოფელი), წამოიყოლიდი ბეწიწური“ (იგიც მკვდარია), ბინაში შენ დისწულ დედიძასას მიხვალ, გამოეთხოვე სულეთის ღმერთს, მე არყიანი ბოთლი მაქვს თქვენთვის შენახული, ბეწიწურს ცხენი გაუკვებე ქერიოთ. ცხენი პატრონს ეძებსო.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16 8 936 წ., ს. ახიელი.

64. დედის ნატირალი ძმანზე

დასტირის ძმას. ვისი ნატირალია არავინ იცის.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

65.

ნატირალის ნაწყვეტი ს. ამლიდან.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

66. სიმამრის ნატირალი ჯღუნაზე

ნატირალია სამძიმარ გიგაურისა ჯღუნა წიკლაურზე სოფ. ამლაში.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

67. ბედღელას ნატირალი შვილზე

ნატირალია ბერდელა წიკლაურის მიერ ლელა წიკლაურზე, სტირის თავის შვილზე. ლელა წიკლაური ახალგაზრდა ქალი დედასთან ერთად მოდიოდა, გზაზე ქვა მოხვდა. მთიდან დაგორებული და მოკლა. ამ ნატირალში დედა სწყველის სიკვდილს და ლელას შესჩივის, რომ მან, ე. ი. დედამ, მას ვერაფერი უშველა.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

68. ნათელას ნატირალი ღისწულა

ნატირალი ეკუთვნის ნათელა წიკლაურს. ამბობს, რომ ბევრს ლაპარაკობენ კაცი, დისწულს დედიძმანი არ მოჰკვლენო და თუ ვინცობაა მოკლეს კიდევ დაიტირებენო. აქ ჩანს, რომ იგი ვილაც მოტირალის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

69.

ვისი ნატირალია არავინ იცის.

ჩაწერილია ნათელა ბალიაურისგან, 40 წ., 15.8.936 წ.; ს. ახიელი.

70.

ვისი ნატირალია არავინ იცის.

ჩაწერილია სამიძიარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

71. ციათ თარუას ნატირალი შცნოზა

ნატირალია ციათ თარუასი. იგი სტირის უტხოზე და აქებს მას.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

72. ნათელას ნატირალი მამიშვილიზა

ნათელა ჭოლიკაურის ნატირალი, სტირის თავის მამიშვილობას—ციათ, იგივე ჭოლიკაურთ.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

73. ჭალიას ნატირალი ოჩიაურა

ქალია ოჩიაურის ნატირალი. სტირის მიხიელ ოჩიაურზე სოფელ ახიელაში. მიცვალბულს სთხოვს დაბრუნდეს შინ, დედიძმანი ატყუებენ (გულისხმობს ბალის დედიძმებს, რომლებიც გარდაცვლილებია), სალაჟლიაოდ (სალაჟბოდ) უნდობართ და ვისაც შეილი არა ჰყავს (დახოცილ დედიძმებს), შენ ავიყვანს შეილად („უნაწილო“—ვისაც ამ ქვეყნად არავინ დარჩენია გვარის გამგრძელებელი, ან ოჯახის წევრი).

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

74. ღის ნატირალი ძმაზ

ვისი ნატირალია არავინ იცის. ვილაც სტირის ძმაზე. მიმართავს მიცვალბულს: მე მოგეცევი როგორც შეგეფერება, შინ არ შემოგიშვებო. ცოლეულთ გლოვობს: აბჯართ ხურჯინით ატარებ (როცა ვისმე მიცვალბული ჰყავს ხევსურეთში—გლოვობენ იმითაც, რომ იარაღს არ აისხამენ. იმასაც იარაღი ხურჯინით უტარებია ცოლეულების ხათრით).

ჩაწერილია სამიძიარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

75. ღის ნატირალი ძმაზე

ეისი ნატირალია არავინ იცის. და სტირის ძმაზე.

ჩაწერილია სამიძმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი.

76. დედის ნატირალი შვილზე

დედა სტირის შვილზე—ქალზე.

ჩაწერილია სამიძმარ წიკლაურისგან, 63 წ., 9.7.936 წ., ს. დათვისი..

77. ნათელას ნატირალი მამიაზე

ნათელა წიკლაურის ნატირალი, სოფელ ახიელაში მამია ბალიაურზე. ნატირალია ქების მოტივით.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

78. ბარდდის ნატირალი დავითზე

ბერდდა ოჩიაურის ნატირალი სოფელ ახიელაში გიგია ნაროზაულზე.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

79. მუხაძლისას ნატირალი დავითზე

მუხეჯალიკა წიკლაურის ნატირალი დავით წიკლაურზე სოფელ ამლაში. დავითი ქისტებმა მოკლეს. თვითონ მუხეჯალიკამ პირველად დავითის დატირების დროს დაიწყო ხმით ტირილი (ხეესურები იტყვიან: „ატიტხ ხმით ტირილ“).

ჩაწერილია თუთი. ბალიაურისგან, 45 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

80. არხოტიმწმეზე ნატირალი

მოტირალი სტირის არხოტიმწმეზე, ტირილის დროს ჰკილავს პირაქათელ ხეესურებს: ხეესურებს რად უნდა ტირილი— „საძროხის ყურებს“ იხოცებიან, ე. ი. ბოსელშიო. ტირილი არხოტიმწმეებს შეჰფერის, რომლებიც „სახარის მაღალ“ იხოცებიან (მთა „არწივის მაღალი“ ქისტების მხარეს, სადაც ხშირად შეტაკება უხდებოდათ ქისტებსა და არხოტიმწმეებს).

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 16.8.936 წ., ს. ახიელი.

81. ჩაჩაშრთ ნათელას ნატირალი

ნატირალია ჩაჩაურთ ნათელასი. ამ ხმით ნატირალში არის დაცინვა მიცვალებულის მიმართ. ხმით მოტირალი ამბობს მიცვალებულის მიმართ: კაცო როდესაც მოკვდება, მაშინ დაუწყებენ შექებას, შენ ძმათ უარიას (ძმებზე საწყალს) გეძახდიან, ანტალუას (დაცინვით შერქმეული სახელი) გეძახდიან და სარკმლის სატენებ დუსთურას—ტყლაპს, ახლა კი გადიდებულხარ, კაცებთან (ე. ი. კარგ მიცვალებულებთან) სდგებარ კაცურად, ჩავიცვამს სკლატის ტალავარი (ტალავარი) და „მამთაგური“ (ქურქი) ძმებზე საწყალსო.

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

82. თარუას ნატირალი ბიზიჸი

ნატირალია თარუა წიკლაურის მიერ სოფელ ამაში გიგი წიკლაურზე.

ჩაწერილია ნათელა ბალიაურისგან, 40 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

83. ნინის ნატირალი

ნინი წიკლაურის ნატირალი. ხმით მოტირალი მიმართავს ბერდიაშვილთ (წიკლაურებს): ნუთუ თქვენ მოჰკლავთ საბუღაის ვაჟს, თქვენს დისწულს და თქვენ თუ მოჰკლავთ—მთელ ხევსურეთს გადაიმტერებთ და დავცინებენო, რადგან დისწულის მოკვლა სამარცხენოაო.

მოტირალი ტირილის დროს მიცვალებულებს ჰგულისხმობს როგორც ცოცხლებს, ხევსურების წარმოდგენაში თითქო საიქიოსაც არის ხოცვა.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 16.8.936 წ., ს. დათვისი.

84.

ვისი ნატირალია არავინ იცის.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 16.7.936 წ., ს. დათვისი.

85. ბერდია ცისკარაულზე

ვილაჸ უცნობის ნატირალია პირაქეთ ხევსურეთში ბერდია ცისკარაულზე (ჯურჯიაულნი იგივე ცისკარაულებია: ერთი გვარია, მეორე მამიშვილობა).

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

86. ნინოს ნატირალი

ბუბა არაბულის ნატირალი. იგი თოფს მიმართავს, რომლის პატრონიც სხვებს მოუკლავთ და თოფი მის ძმებს დააქვთ, მომკლავის მოსაკლავად.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 17.8.936 წ., ს. დათვისი.

87. ბუბას ნატირალი ბიზიჸი

ბუბა წიკლაურის ნატირალი გიგი წიკლაურზე სოფელ ამაში. იგი მიმართავს მიცვალებულს: ვადიდებულხარ, მაგრამ შენი ტანისამოსი და შენ ვერ ბაძიას, (ჰგულისხმობს ვილაჸ ხევსურს); მას უფრო კარგი „ტალავარნი ესხნეს“ (ე. ი. სატირელნი — სატირლად გაშლილი ტანისამოსი) და მანდილოსნებიც მეტად სტიროდნენ ვიდრე შენზე, „იგვედნენდ კიდევ“ — ქალწალი დალეგულებიო.

ჩაწერილია სამძიმარ წიკლაურისგან; 63 წ., 17.8.936 წ., ს. დათვისი.

88. ბინინაზაჲი *

ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 17.8.936 წ., ს. დათვისი.

89. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია გიორგი ჯაბუშანურისგან, 60 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

90. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია გიორგი ჯაბუშანურისგან, 60 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

91. დის ნატირალი ძმაჲ

ჩაწერილია თუთი ბალიაურისგან, 45 წ., 17.8.336 წ., ს. ახიელი.

92. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია გიორგი ჯაბუშანურისგან, 60 წ., 17.8.936 წ., ს. ახიელი.

93. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

94. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

95. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

96. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

97. გუდელა

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

98. ბიძაჲ ნატირალი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია სუხანავრ არაბულისგან, 60 წ., 18.7.936 წ., ს. მაწმაო.

99. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია მიხა ოჩიაურისგან, 51 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

100. გვრინი (ფრაგმენტი)

ჩაწერილია მიხა ოჩიაურისგან, 51 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

101. კველაჲ ნატირალი

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

102. წუნაჲ ნატირალი

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 18.8.936 წ., ს. ახიელი.

103. გამისცოლი

ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 19.8.936 წ., ს. ახიელი.

* ვისი ჭამოთქმულია ხმით ნატირალის ნიმუშები, აღნიშნული სათაურებით 88-დან 121-მდე, მოწრობლეგმა არ იციან.

104. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია მიხა ოჩიაურისგან, 51 წ., 19.8.936 წ., ს. ახიელი.
105. თანგულაჲმ ნატრალი
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 19.8.936 წ., ს. ახიელი.
106. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია მიხა ოჩიაურისგან, 51 წ., 19.8.936 წ., ს. ახიელი.
107. გუჩუკურჲმ
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 19.8.936 წ., ს. ახიელი.
108. ფირცხალაჲრჲმ
ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 20.7.936 წ., ს. დათვისი.
109. მისრისს. მუვილი
ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 20.7.936 წ., ს. დათვისი.
110. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ბერიძე შუშანაშვილისგან, 82 წ., 4.7.938 წ., ს. შუაფხო.
111. ღათვიანი
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 20.7.936 წ., ს. ახიელი.
112. სულა ღა თანგულა
ჩაწერილია ბერიძე შუშანაშვილისგან, 82 წ., 4.7.938 წ., ს. შუაფხო.
113. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ბერიძე შუშანაშვილისგან, 82 წ., 4.7.936 წ., ს. შუაფხო.
114. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 20.7.936 წ., ს. ახიელი.
115. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 20.7.936 წ., ს. ახიელი.
116. ღათვიანჲმ
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 20.7.936 წ., ს. ახიელი.
117. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 60 წ., 20.7.936 წ., ს. ახიელი.
118. მთიბელი ჯვარის სათიბჲმ
ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 20.7.936 წ., ს. დათვისი.
119. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია სამხიმარ წიკლაურისგან, 63 წ., 20.7.936 წ., ს. დათვისი.
120. მთიბელი გიბა
ჩაწერილია ბერიძე შუშანაშვილისგან, 82 წ., 4.7.936 წ., ს. შუაფხო.
121. გვინი (ფრაგმენტი)
ჩაწერილია ლეილა ბალიაურისგან, 20.8.936 წ., ს. ახიელი.

მიცვალებულის კულტი სამეგრელოში.

მიცვალებულის კულტი სამეგრელოში¹

მეგრელის რწმენით, ამ ქვეყნად ბავშვი გაჩნდება თუ არა, ცას მისი სახელის ვარსკვლავი „მიეკვრობა“. ეს ვარსკვლავი განსახიერება იქნება დედამიწის ამ ახლადდაბადებულ მცხოვრებისა. თავის გაჩენისას, ბავშვის მსგავსად, ვარსკვლავი პატარაა; ცაზე ისეთივე განსაზღვრული სივრცე უჭირავს, როგორც ბავშვს—დედამიწაზე. მაგრამ შემდეგში, ბავშვის ზრდასთან ერთად, იზრდება და ღიღდება „მისი ვარსკვლავიც“ ზეცაზე. რაც უფრო თვალსაჩინოა ადამიანის მდგომარეობა თავის მსგავსთა შორის, მით უფრო მსხვილი და შუქმფენი მისი ვარსკვლავი ცაზე. პირიქით, პატარები, ძლივას მბჟუტავი ვარსკვლავები განსახიერებენ ჩვენის პლანეტის ღარიბ, იერარქიულ კიბის სულ დაბალ საფეხურზე მდგარ, ყოველგვარ გავლენასა და სიკეთეს მოკლებულ მცხოვრებთ. როდესაც სამეგრელოს მკვიდრი მთავარიან ღამეს, აღურაცხელ ვარსკვლავებით მოოქვილ, ლაჟვარდ თაღს ცისას უქვრეტს და ერთბაშად დაინახავს, რომ ჯერ ერთი და მერს სხვა ვარსკვლავები „ციდან სცივიან“, მასა სწამს, რომ თითოეულ მათგანის ჩამოვარდნასთან და მის უგზო-უკვლოთ გაქრობასთან მსოფლიოს უსაზღვრო სივრცეში, სადმე დედამიწაზე სულსა პლევს ადამიანის არსება, რომელსაც ეს ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი ეკუთვნოდა, და, ამ სახით, მისი სახელი იწლება („ილასუ“) დედამიწის მკვიდრთა საფულეებელ სიდან. ასე რომ მეგრელი დედამიწის ზურგზე კაცობრიობის სიკვდილიანობის სტატისტიკას აწარმოებს ჟამითი-ჟამად ციდან მოწყვეტილ და თავის არსებობის შემწყვეტ ციურ მნათობთა საფუძველზე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ იმ საგნებსა და მოქმედებთ, რომელნიც აკრძალულნი არიან („ვაშინერს“) მეგრელების მიერ, ეკუთვნის ვარსკვლავთ აღრიცხვა. ვინც ამ ვაშინერსს (ტაბუ) დაარღვევს, ჭკუაზე შეშლა მოეღის; უკეთეს შემთხვევაში, ცნობისმოყვარე მეგრელს მოეღის სხვა სასჯელი, მართალია, ამაზე ნაკლებ სასტიკი, მაგრამ მაინც არასასიამოვნო ხასიათისა; მისი ორივე ხელი დაიფარება მეტეკებით, რომელთა რიცხვი დაეტოლება რიცხვს იმ ვარსკვლავთა, რომელნიც ჩამოსთვალა მეგრელთა ამ ტაბუს დამრღვევთა.

ცაზე ამათუიმ ახლად დაბადებულის ვარსკვლავის გაჩენასთან ერთად ახლადდაბადებულის შუბლზე სვებედის უხილავის ხელით იწერება ჩვეულგზრების სიკვდილის შვილთათვის მიუწოთომელი მომავალი ცხოვრება ახლადდაბა-

¹ ეს ნაწარმი დაწერილია ამ 26 წლის წინათ. ხოლო შიგ აწერილი ამბები ეკუთვნის სამოციანი წლებისა და მის წინანდელ ხანას.

დებულისა, მთელი სიმწარე თუ სიტკბოება ამ ცხოვრებისა, ყოველი წვლილი ცხოვრებისა; შუბლზე აღნიშნულია აგრეთვე, თუ რამდენის ხნის „სააქაო“ ანუ მიწიერი ცხოვრება უწერია მეგრელს, რა ასაკში უნდა მოკვდეს და რა სიკვდილით: ხიდან¹ უნდა ჩამოვარდეს და მის ქვეშ განუტეოს სული; თუ წყალში უნდა დაიხრჩოს; ცხენიდან ჩამოვარდეს და ისე სიკვდილი უწერია და სხვ.

რაიმე უბედურობისაგან უდღეოდ მკვდარ კაცზე იტყვიან ხოლმე: „ეტყობა, ასე სწერებია (შუბლზე)“. ცნების „უბედურ კაცი“ გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს—„უცვაშპარე“, ე. ი. კაცი, რომელსაც შუბლზე არაფერი (კარგი) აწერია, ანუ „უანაწერო“, რაიცა იმასვე ნიშნავს, რასაც „უცვაშპარე“.

ასე რომ მეგრელის ყოველ ფეხის გადადგმას, ყოველს მოქმედებას, წინ დაწინე შედგენილის პროგრამით, ხელმძღვანელობას უწევს ზედი, ფატუმი, რაც „შუბლზე აწერია“, და ამ ბედსა და ანაწერს ვერსად წაუფა. მაგრამ საინტერესოა ისიცა, რომ იმავე მკაცრ ფატალისტ-მეგროელს აზრადაც არ მოუფა, რომ შეიძლება კაცი მოჰკვდეს ბუნებრივის სიკვდილით, გარეშე მიზეზების რისამე ჩაურევლად. ჯერ ავადმყოფობის და მერე თვით სიკვდილის მიზეზს იგი, უფროს ერთ შემთხვევაში, ეძებს ამათუიმ „ოხეაშური“ (სალოცავში) ან სულში, რომელსაც ევედრება ხოლმე მეგრელი, ან „ჯინჯიშხატ“-ში² (ძირეული ხატი) ან უბრალოდ „ხატიში“³ ან კიდევ ამის მიზეზი შეიძლება იყოს წყევლა, რომელსაც მიჰმართეს ავადმყოფის აღრესით მისგან ამათუიმ მიზეზით უკმაყოფილო მეზობლებმა, ან და, დასასრულ, კუდიანი დედაკაცების ან ავსულების ოინები.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მოხსენებულ სულების ან ხატის წყრომა-რისხვის პროცესი, მივმართოთ მეგრელის ყოველდღიურ ცხოვრებას. წარმოვიდგინოთ, რომ სადმე სოფელში დიკარგა ცხენი, რაც სამეგრელოში იშვიათი ამბავი არ გაზღავსთ. დაზარალებული ცდილობს ჯერ თავის ძალ-ღონით ეძებოს მოპარული პირუტყვი. როდესაც მეცადინეობა უნაყოფოდ ჩაუვლის, მეგრელი მიდის საჩივრელად ეკლესიაში, სადაც „განისვენებს“ („სეანჯუ“) „ძლიერი ხატი“.

სიძლიერის მხრით მეტად სახელგანთქმულია მეგრელია შორის წმ. გიორგის ხატი სოფ. ხეთასა და ილორში. და აჰა, ერთერთ მათგანის წინაშე წარსდგება დაზარალებული და ითხოვს ზარალის ანაზღაურებას თავის როგორც ნაცნობ, ისე უცნობ შეურაცხმყოფელისაგან. თან მოჰყავს, იმისდა მიხედვით, თუ რა ფასისა მისთვის მიყენებული ზარალი, მოზვერი, ან პატკანი, მოაქვს შინ ჩამოქნილი თავლის სანთელი, აგრეთვე ფულად აბაზიდან მანეთამდე. ამ

¹ იმ დროს, როცა ეს წერილი იწერებოდა, სამეგრელოში ყველა მენაყოფია ხე მაღალი იზრდებოდა; თვით ვახუშტი მაღალ ხეებზე იყო გაშვებული. ხილისა და ყურძნის მოსაყრებად მეგრელები ხეებზე უნდა ასულიყვნენ. ასე რომ მეგრელები ნახევრად მებუფრები (არბოროციკოლური) იყვნენ და, თუმცა ძალიან ემარჯვებოდათ ხეზე გასვლა, ხიდან ჩამოვარდნისაგან სიკვდილიანობა მათს შორის იშვიათი არ იყო.

² ჯინჯიშხატი, პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, ჰშიშნავს ძირეულ ხატს ანუ ხატს, რომელსაც ევედრებოდნენ ავადმყოფის წინაპრები და საზოგადოდ მოგვარენი და რომელსაც ამათუიმ მზარეში იდღი სახელი და პატვი ჰქონდა მოხვეჭილი.

³ ხატებიც ერთმანეთში განსხვავდებიან; ზოგი მათგანი მეტად ძლიერად და ყოველს-შემძლებლად ითვლება და მათს სახელს ჩვეულებრივ ემატება ებითეტი—„ძლიერი“.

შესაწირავს ჩაბარებს „მეხატულს“ ან „ხატის მსახურს“, იმასვე გვაცნობს საქმის ვითარებას და სთხოვს იშუამდგომლოს ხატის წინაშე, რათა სამეგრეო მიეწუოს მის დამზარალბელს. მეხატული წმიდანის ხატს გადახსნის წითელ აბრე-შუმის პერანგს, თვით ხატს, ვერცხლით მოჭედილს და ოქროცუვრივს, ალაგობრივის ოსტატის (გვარად მეუნარგები) მიერ მოჭედილს, დაჩოქილ მთხოვნელის თავზე ხელში დაიჭერს და წმიდანს მიჰმართავს შემდეგის სიტყვებით: „ყოვლად ძლიერო წმიდაო გიორგი! პატივი და დიდება შენს წმიდა სახელს! როგორც შენის ბედნიერის თვალებითა ჰხედავ, მავანმა (სახელი და გვარი მთხოვნელისა) გაჰქედა შენის ტახტის წინაშე წამდგარიყო და შესაწირავად მოერთმია შენთვის ცხვარი, თაფლის სანთელი, ფული, რამდენიც მის სიღარიბეს შეეფერებოდა. ვანა თვითონ არა ჰგარძნობს, რომ ყოველივე ეს მცირეა, შენი საკადროსი არ არის, მაგრამ შენ თვითონ უწყი, რომ ღარიბთა გაჭირებული. ჯერ ამას დასჯერდი და როდესაც თხოვნას აუსრულებ, კიდევ მოვართმევს შესაწირავს. ახლა იმისთვის გეახლათ გაჭირებული, რომ გთხოვოს, ეგრეც შენს სახელს ენაცვალება, გამოექომაგო, უშველო, გაჭირება აარიდო. ვიღამაც სული წაიწყმინდა და ცხენი მოჰპარა, ერთადერთი ცხენი! გადაჰყვა მის ძებნას, მაგრამ ვერსად მიაკვლია. უნდა უშველო, შენი სახელის ჭირიმი, და ქურდი აპოვინო. შენ აბა რა არ იცი, რა დაგემოლება! დედამიწაზე რაც სულიერი არსებაა, ყველა შენა გმორჩილობს! შენ იცი, თუ რამდენი ვარსკვლავია „მიმსხდარი“ ცაზე, შენ იცი, რამდენი მარცვლი ქვიშაა ზღვის ფსკერზე! იცი, რამდენი ძირი ჭაფურია¹ ხარობს მთებზე; შენ სულმუდამ მეფოს და მფარველი იყავი შენის ერთგულებისა და მორჩილებისა, ხოლო ურჩთ სასტიკადასჯიდი; ყოველთვის ქომაგობდი, ვინც შენთან მოვიდოდა უჭლური და დაჩაგრული; შენ, რომლის დიდება და სახელი ცხრა მთას იქითაა გავარდნილი, ახლაც გამოიჩინე შენი ძლიერება, ბოროტთა და ავაზაკთა ასალამაგვად, ჭკუის სასწავლებლად. შენი ბოძალი დაატაკე, შენის რკინის შუბით გული გაუღმირე მისი ცხენის ქურდს,² ისე მძიმედ გახადე ავად, რომ სულ შენი წმიდა სახელი აყვირო და გთხოვოს შეველა. მაგრამ სანამ ერთი-ორად არ გადაუხადოს, მანამდე ნუ მისცემ ხსნას“.

ეს უხვი ჭათინაურები, უსაზღვრო მორჩილებისა და ერთგულობის გარძნობის გამოცხადება, და აგრეთვე (უმთავრესად) შესაწირავი, ეტყობა, ეანება წმ. გიორგის და მოანდომებინებს მთხოვნელის სასარგებლოდ გაისარჯოს. იმას ვინც სხვის საკუთრებას პატივს არა სცემს, წმ. გიორგი დაუსწრებელ განჩინებას გამოუტანს, განჩინებას უაპელაციოს და სასიკვდილოს, თუ ვინიცომა ბრალდებულმა მომჩივანს ყოველი ზარალი არ აუნაზღაურა. მხოლოდ ეს განაჩენი ერთბაშად არა სრულდება. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი საჩივარი წმ. გიორგის მეგრელთაგან ხშირად შემოსდის, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი დამწყაფილება ჯერითაა ხოლმე. მომჩივანი მოთმინებით უცდის თვეობით, წლობით. ზოგჯერ ისეც მოხდება, რომ მამის ბრალს შვილი მოიხდის ხოლმე. მაგრამ როცა უნ-

¹ მეთაფლია ბალახია, სამეგრელოს მთებზე იცის.

² შეიძლება ყოველგვარ შეურაცყოფისათვის „გადასცეს“ ხატს მომჩივანმა.

დათ, რომ საჩივარი დაუყოვნებლივ იქმნას დაკმაყოფილებული, წმ. გიორგის (ხეთაში) მიმართავენ მის დღეობაში, აპრილის 23, ან (ილორში) გიორგობისთვის 10. მეხატული ჯერ საყვრით უძახის ყველა მორწმუნეთ, რომ „გადაცემას“ დაესწონ. ამის შემდეგ დიდის მოწიწებით ხელში დაიჭერს წმ. გიორგის ხატს, აღის სამრეკლოზე და იქიდან იწყებს ლაპარაკს, რომლის ნიმუში უკვე მოვიტანეთ. მისი სიტყვის გათავებისას, შეკრებილი ხალხი ერთხმად იძახის: „ამინ!“ აშვარ დაწყევლისა ანუ წმინდანის ხატის წინაშე წარდგენილ საჩივრისათვის მეგრელებს უჭეიათ ხატიშ გინოჩამა, რაც ქართულად ასე ითარგმნება: ხატისათვის გადაცემა, ანუ ხატისათვის მინდობა—დასაჯოს დამნაშავე.

უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი მეგრელი თავის ავადმყოფობას აშვარ წყევლსა და ხატისთვის გადაცემას აბრალებს. მით უფრო, თუ ამათუიმ დანაშაულსა ჰერძნობს მოყვასის წინაშე და თუ ბასუხი მკითხავისა, რომელსაც ის მიმართავს ავადმყოფობის მიზეზის გასაგებად, კტუაშიაც დაუჯდება. ავადმყოფის ნათესავეები და მახლობელი მიდიან დაზარალებულთან და სთხოვენ პატივებას. ასეთ შემთხვევაში მომჩივანი ხელახლა უნდა მივიდეს წმ. გიორგის ჯართან და მოახსენოს: ჩემი დამზარალებელისაგან კმაყოფილება მიღებული მაქვს, ჩემი საჩივარი უკანვე გამომაქვს და მეტს ნურას მოჰკითხავო. ამ შემთხვევაში მომჩივანის მოქმედებას ჰქვიათ „ალობის მიცემა“ ანუ შენდობა. ავადმყოფი წმ. გიორგის უნდა დაჰპირდეს შესაწირავად მოზვერს, თაფლის სანთელს, ფულს, ხოლო შენს დღეობაში მე თვითონ გეახლები შენ თაყვანისსაცემლადო. მაგრამ ამ დაპირების ასრულების გირაოდ სახლის კუთხეში უნდა დაიდგას სპილენძის ქვაბი ან სხვა რამ ჭურჭელი სპილენძისავე. ამ გირაოს „საწინდარი“ ჰქვიათ და დაპირების ასრულებამდე იგი უნმარადა სდგას. თუ ასეთი ჭურჭელი არა აქვთ, საწინდრად გამოდგება უბრალო ქვაცა, რომელსაც გარეგნულად თითქო არაფერი ფასი აქვსო, მაგრამ ამ შემთხვევაში სავსებით გასწევს ხსენებულ ჭურჭლის მაგივრობას.

წმ. გიორგი სჯის მეგრელს იმ შემთხვევაშიც, როცა იმის სახელს ამოადიფიცავს ხოლმე. საქმე ის გახლავთ, როცა ამათუიმ დანაშაულს ვისმე დააბრალებენ, ეს უკანასკნელი თავის გასიმართლებლად ვალდებულია საჯაროდ, დინტერესებული მხარის თანადანსწრებით წარსდგეს წმ. გიორგის „ქარ წინ“ და მის ხატზე დაიფიცოს. ტყუილი ფიცისათვის წმ. გიორგი დამნაშავეს ჯერ ავადგახდის და მერე მოჰკლავს კიდევ. სიკვდილის თავიდან აცილება მხოლოდ უხვი შეწირულობით შეიძლება.

დამნაშავის თავზე წმ. გიორგის რისხვის გადმოსავლინებლად, საქმარისია იგი საჯაროდ დაიწყევლოს წმინდანის სახელით. წყევლის სიტყვებს რომ მეტი ძალა მიეცეს, მაწყევარი თან იწყევლება და თან ლურსმანს შეარქობს წმინდანს. ასეთი ხეობი ჩვეულებრივ მინდვრებზედაა ხოლმე, ეკლესიის გარშემო. კვირა-უქმებში სოფლებში ამ ხეობის ჩრდილ ქვეშ თამაშობას მართავენ და მზიარულობენ; მათს ქვეშ თავს იყრის სოფლის უფროსი ხალხი და სასოფლო საქმიეებს არჩევენ ხოლმე. ეს ხეობი წმიდა ხეობად ითვლება და ვერავინ ვაჰმედვეს კული შვახოს მათ. ვინც დასწყევლის ვისმე, მოიტანს ლურსმანს და ამ წმიდა ხეში ჩაარქობს და დასძენს: „ყოვლად ძლიერო წმ. გიორგი, მაინსა (სახელს).

იტყვის) რისხავდნენ და სანამ თავის კბილით არ გამოაძროს ეს ლურსმანი ამ ხიდან, საშველი არ მისცე“.

წმ. გიორგის გარდა მეგრელს შეიძლება თავისი „ტიბინი“¹ (სითბო) ანუ წყალობა მოაკლოს რომელიმე სალოცავთაგანმა („ოხვამერი“), რომელთა დიდი რიდი და პატივისცემა აქვსთ სამეგრელოში. მაგალითად, მეტისმეტ შინიანად ითვლება „სადაბადოს“ სალოცავი, სულ უბრალო რაზედმე ურისხდება ხოლმე თავის მშოსავს. იმის გულის მოსაგებად ავადმყოფის ლოგინს ვარსემო სამჯერ შემოატარებენ მაკე ძროხას და შესთხოვენ სალოცავს—რისხვა „სითბოდ“ („ტიბინად“) შეიცვალოს და ულხინოს ავადმყოფს. ამასთან ერთად ძროხას ყურის ნაპირს მოაჭრიან და ავგაროზის სახით ხელზე შევაბენ ავადმყოფს. ეს ძროხა ამ წუთიდან თავისუფლადაა გაშვებული: არა სწველიან, რაც რძე აქვს „სადაბადოსათვის“ არის შეწირული, თუ სახარე ხბო მოიგო, ცოტა პრობო მოიზრდება, დაჰკლავენ „სადაბადოს“ შესაწირავად: თუ ფული მოიგო ძროხამ, სამრავლად გაუშვებენ დედასთან ერთად და მისი დაკვლა არ შეიძლება. „სადაბადოს“ სახელსე გაშვებული ძროხის დაუკარგელობისათვის ზრუნვა თვით სალოცავს ეკისრება; თუ ვინცობაა ვინმემ მოიბარა, პატრონი მის ძებნას არ გამოუდგება,—დარწმუნებულაა, რომ სადაბადო დაუსჯელად არ გაუშვებს „მის სახელზე“ გაშვებულ ძროხის კანდიერ და წინდაუხედავ მიმთვისებელს.

როდესაც დედას შვილი გაუხდება ავად, ზურგზე უნაგირს დაიდგამს, დაოხდება, გამოხატავს მორჩილებას და აგრეთვე საფერხეს (ცხენი და სხვ.) ამათუმი კეთილ სულისას, სამჯერ შემოუვლის ავადმყოფის სარეცელს და კეთილ სულს შეხევეწება—ჩემი ავადმყოფი შვილის მაგიერ მე წამიყვანეო.

ავადმყოფის მშობლები ამ მხრივ ყოველ ღონესა ჰლონობენ იგი იხსნან ღიკვდილისაგან. თუ გაჭირდა საქმე, უკანასკნელ საშუალებას მიჰპართავენ: აიღებენ რაიმე მახვილ იარაღს, ქარქაშიდან ამოღებულს და ავადმყოფის სასთუმალთან დასდებენ. იარაღს იმ შემთხვევაში დაეკისრება ასეთი როლი: სიკვდილი უნდა შეაშინოს და ავადმყოფს ახლო არ გააკაროს.

ავადმყოფის მღვთმარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებათაგანს ეკუთვნის აგრეთვე მეზობლების სიარული მის სანახავად და მოკითხვა. ყოველ მეზობელს, განსაკუთრებით დედათა სქესისას, თავის მოვალეობად მიაჩნია თუ რამდენ-

¹ ქართული „წყალობა“ მეგრულადაც იხმარება იმავე მნიშვნელობით, მაგრამ უფრო საერთო შემთხვევაში მეგრულებს მისი შინაარსის გვერდულენიტის სიტყვის „ტიბინი“-ს ხმარება ემარჯვებათ. ტიბინი—არსებითი სახელია და ნიშნავს სითბოს, ხოლო მისივე დასართავი სახელი იქნება—ტიბუ. ორისავე ძირი ტბ არის ანუ დღევანდელი ტფ. აქედან წარმოებულია სიტყო, ტფილი, ე. ი რაც სიტყოს იძლევა, რაც გვახურებს. ცხადია, ეს სიტყვა სულ ძველის დროისაა, იმ დროისა, როცა ჩვენს პირველყოფილ წინაპრებს ბრძოლა უხდებოდათ ბუნების სიმძაფრესთან, სითბო ბუნებრივი (მზისა) თუ ხელოვნური (ცეცხლისა) მარად სანატრელი ჰქონდათ. იგი (სითბო) ესდენ საჭირო და აუცილებელი იყო და არის ყოველ ორგანულ არსის ზრდისათვის. საკვირველი არ არის, რომ ტიბინი სიკეთის, მოწყალების, ბედნიერების, მფარველობის მინიჭების გამომხატველ ცნებად იქცა იმის მსგავსადვე, როგორც წყალი, რომელიც ჩვენს წინაპრებს სანატრელად ჰქონდათ, იქცა სიტყვა „წყალობის“ გამომხატველად.

ჯერმე არა, ერთხელ მაინც ინახულოს ავადმყოფი. მაგრამ არ ეგების ავად-
მყოფთან ხელცარიელი მოსვლა. ზოგს მოაქვს პური¹, ზოგს ხილი და სხვა რამ
სასუსნი. ყოველი მნახველი („მადირაფუ“) მოსაკითხს (მოტანილ საჩუქარს) ავად-
მყოფის წინ დასდებს, სახეზე სიმზიარულეს დაიწმინეს და ავადმყოფს მალე
მორჩინას უსურვებს. ძველად მნახველებს მოჰქონდათ ვერცხლის ფულები ან
რაიმე ნივთი ვერცხლისა და ავადმყოფის ლოკინზე დაჰყრიდნენ და უკანასკნელს
უსურვებდნენ მალე განკურნებას. ასეთ მნახველს სამაგიერო საჩუქარსაც აძ-
ლევდნენ.

სხენებული საჩუქრები განსაკუთრებით მაშინ იყო აუცილებელი, როცა ავად-
მყოფი რომელიმე გადამდები სენით იყო ავად; ყოველი გადამდები სენი, მეგრე-
ლის რწმენით, გამოწვეულია თავის სპეციალი სულით², რომელიც მეტის-
მეტად მოყვარულია საჩუქრებისა და ძღვენისა, ასეთი ძღვენი გადამდები სენის
სულის მიერ ჩაითვლება როგორც მოწმობა შიშისა და კრძალვისა ძღვენის მომ-
ტანის მხრით. მნახველი ავადმყოფის ამბავს რომ იკითხავს, მერე რაც უნდ
გაჭირებული იყოს ავადმყოფი, არ შეუძლია დალონებული სანით განერდეს,
განსაკუთრებით აკრძალულია და დანაშაულადაც კი ითვლება ავადმყოფთან
გულხელის დაკრეფა, ამიტომ რომ ასეთი პოზა გამოხატავს მეგრელის მძიმე
მწუხარებასა და დარდ-ნაღვლისა და იღეთა ასოციაციით—თვით სიკვდილსაც,
რომელიც ასეთ პოზას, მეგრელის ღრმა რწმენით, თავის გამოწვევად ჩასთვლის
და არ დაახანებს ავადმყოფთან „საფეხვნოდ“ მოვიდეს. ღამ-ღამობით იმ სახლში,
საცა ავადმყოფი წევს, ღამე უთევენ. ორისავ სქენის ახალგაზრდობა თავს იყ-
რის, დროს გასატარებლად სხვადასხვა სათამაშოს იწყებენ და ზოგჯერ ისე
გაერთობიან, რომ შემოაბრუნდებათ ხოლმე. ამრიგად, ავადმყოფის დალონდ
პატრონთ მოსვენების საშუალებას აძლევენ, ფხიზლობენ, თვითონ უგდებენ ყურს
ავადმყოფს და თითქო სიკვდილს ხელს უშლიან სახლში შემოვიდეს, განსაკუთ-
რებით ღამე. თამაშობას მიემატება რაიმე გასართობი ამბების მოყოლა, მხოლოდ
ცდლობენ ლაპარაკის თემა სიკვდილი არ იყოს. ამიტომ გაურბიან სიტყვა
„სიკვდილის“ ხსენებას. არამც თუ ავადმყოფის წინ, არამედ საზოგადოდ მთელ
სახლში, სადაც ავადმყოფი წევს, თუ ვისმე გაუფრთხილებლად წამოსცდა ეს
სიტყვა, შეჭველად მაშინვე უნდა დაუმატოს: „ცხრა მთას იქით დაიკარგოს
(სიკვდილი)“. „ცხრა მთას იქით“ გამოხატავს ისეთ დიდ მანძილს, საიდანაც
სიკვდილი ვერ მოაღწევს იმათთან, ვინც მისი სახელი ახსენეს. ან—და
ჩაურთავენ სიტყვას: „ქარ-ბორიას“! ესე იგი, ესეც არი, ნახსენები სიკვდილი
ქარსა და ბორიას გაჰყვებს, აქ ნულარ მოვაო.

მშობლებმა ყოველი ღონე იღონეს, რომ ეხსნათ ავადმყოფი, რომ „სიკვ-
დილისათვის კლანჭებიდან გამოეგლიჯათ“. მაგრამ მიუხედავად ამ თავგამოდე-
ბული ცდისა, ავადმყოფის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და უკვე „საა-

¹ სამეგრელოში ყველგან სიმინდის მჭადსა და ღომსა სკვამდნენ და ხორბლის პურის ქამა-
სანუკვარად ითვლებოდა.

² M. Sakhokia, Le culte de la petite vérole, Bul. et Mém. de la Société d'Anthropol. de Paris, 1903.

ქაოსკენ აღარ იყურება“. თავს იჩენს ნიშნები მოახლოებულის სიკვდილისა: ავადმყოფი თხოულობს—ლოგინიდან ამყენეთ და ეზოში გამატარეთო, უნდა უკანასკნელად საიდუმლოებით აღსავსე თვალები მიავლოს, გამოეთხოვოს ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი იყო და რასაც მეტად ველარ დაინახავს; ავადმყოფის სახლში მამალი დღისით იწყებს ყვირლს და მეზობლის მამლები ბანს აძლევენ: პირველი მამალი თავის ამხანაგებს უხმობს. ამხანაგები ეკითხებიან—რა ამბავიაო? პირველი უპასუხებს: ჩემს სახლში მალე აქვეყნის ნამცეცები და-ცვიინდება (ე. ი. ავადმყოფი მოკვდება, ტირილი იქნება და ქელები გაიმართებაო) და ვთხოვთ ყველას მეწვიოთო“. ამ დროს შეიძლება საზარლად დაიყმუჯლოს ძაღლმა,—ეს სასიკეთო ნიშანი არ იქნება: ალბად გრძნობს სხეულის ხრწნილებს სუნს და სხვებზე აღრე დასტირის ოჯახის ავადმყოფს წვერს, რომელსაც სიკვდილი არ ასცდება. საყურადღებოა აგრეთვე სიზმრები. თუ ვისმე ნათესავთავანს სიზმარში კბილი ჩამოსძვრა, ავადმყოფის უბედურებასა ნიშნავს; სიზმრად წვერის მოპარვა—ნათესავის ვისიმე სიკვდილსა ნიშნავს; მიწის თხრა—ავადმყოფისათვის საფლავის გათხრის მომასწავებელია და სხვ.

ავადმყოფის გადარჩენის იმედი გადაუწყდათ. სიკვდილის წინ იხმობენ მღვდელს მომაკვდავის საზიარებლად. უზიარებლად ვინც მოჰკვდება, მისი სული საუკუნო ტანჯვაში იქნებაო. მომაკვდავი ყველას ემშვიდობება. თუ მამა კვდება და შვილი ამდროს საღმე სხვაგანაა, სანამ ავადმყოფის სარეკელთან არ მოვა, სული სხეულს არა შორდება და „ელის“ შვილის მოსვლასაო. მომაკვდავი სულთმობრძავია. ზოგჯერ ეს სულთა ბრძოლა დიდს ხანს გრძელდება,—მომაკვდავი ეწვალება, ხორცს არა სურს „სული გაუშვას“. თუ უნდათ მომაკვდავი იხსნას სიკვდილის წინაწუთის წველებისაგან, ასწვევენ ლოგინიდახ და გარდატარებენ რამე რკინის ნივთზე და დარწმუნებულნი არიან, რომ სული მაშინვე გაანთავისუფლებს სხეულსაო. მეგრელებს ასეთ შემთხვევაში ამნაირი ჩვეულებაა ჰქონდათ: მომაკვდავს გარშემო შემოუწყობდნენ ბალიშებს, თვითონ პირქვე დაწვენდნენ და ისიც მალე იხრჩობოდა. ასეთი საქციელი სიკეთედ ითვლებოდა, რადგან „მომაკვდავს ზედმეტ ტანჯვისაგან იხსნიდნენ ხოლმე“. ადამიანის სული, მტრეფის სახით თავში მოთავსებული, პირიდან „გამოხტება“ და იქვე, სასთუპალთან მდგარი ძვალ-ტყავა დედაბერი—სიკვდილი დაებლახებდა წასაყვანადო.

„სული პირიდან რომ გამოვა“, კაცი კვდება ანუ მეგრულად—„ოლორუშ“, რაიცა წარმოებული უნდა იყოს ზმნა „ღვრა“-საგან, ე. ი. დაიღვრა, სითხედ იქცაო.

ავადმყოფის სიკვდილისთანავე სცენაზე გამოდის „მარწკინალი“¹. დახელოვებულ მარწკინალის როლი ასეთია: უნდა ეცადოს მიცვალებულს, რაც შეიძლება, ნაკლებ დააჩნდეს სახეზე საშინელი სურათი სიკვდილისა, რომელიც ასე უზომოდ ანსხვავებს ცოცხალისაგან. „სულის ამოხდომის“ წუთიდან ადამი-

¹ „მარწკინალი“ წარმოებული უნდა იყოს ქართული ბრწყინა-საგან, ე. ი. სინათლის სილამაზის მინიჭებისაგან. ხოლო თვით სიტყვა მარწკინალი ნიშნავს ადამიანს, რომელიც მიცვალებულს აბრწყენს, აღამაზებს და უდრის ქართულს „გაზაპატონსებელს“.

ნის მძოვრი ცოცხალთათვის საშინელებას წარმოადგენს! ამ ცხოველური შიშის გრძობა მიცვალებულის გარშემომყოფთათვის მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დამახინჯებულია სახე ამ მიცვალებულისა. და ამა, მარწკინალი ანუ გამპატიოსნებული, სანამ სხული გაწმენდებოდეს, მიცვალებულს თვალებს უხუტავს, პირს შოუკუმავს, გაუსწორებს ფეხებს, ხელებს გულზე ჯვარედინად დაუწყობს, თმასა და წვერ-ულვაშს დაუფარცხნის.

ამასობაში მთელს სოფელში გაისმის ქალების კივილი და მამაკაცების ღრიალი, რაიცა ყველასათვის მანიშნებელია იმ ოჯახში, საიდანაც ეს ხმა მოისმის, დატრიალებულ უბედურობისა. ორისაე სქესის მეზობლები ესწრაფვიან მომტირალთ შეუერთდნენ, მიუსამძიმრონ და თავიანთი თანაგრძობა გამოუცხადონ. ქალები ლოყებსა და გადაღლილ გულმკერდს ფრჩხილებით იკაწრავენ და სისხლს იღვენ, თავზე თმას იგლეჯენ: საერთოდ ქალების მიერ მწუხარების გარეგნულად გამოხატვის ერთგულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზომ ძვირფასი და აუნაზღაურებელი იყო მათთვის მიცვალებული.

ეს არის „გინონგარა“ („გადატირება“) ანუ წინასწარი დატირება მიცვალებულისა, პირველი ვალი, რომელსაც იხდიან, ეს-ეს არის, გაციკებულ ცხედრის წინაშე. ამას მოჰყვება ზრუნვა იმ პატივისათვის, რომელიც უნდა მიაგონ დასაფლავებისას მიცვალებულს მისმა შშობელ-ნათესაებმა. ამ ზრუნვაში მიცვალებულის მეზობლები თითქმის ყველანი თანაბარ მონაწილეობასღებულობენ. მათს შორის გამოარჩევენ დამკრძალველებს, რომელნიც ჰკისრულობენ მიცვალებულის შესაფერის პატივით დატირება-დასაფლავების პროცედურის თავდარიგს.

პირველყოლისა იღებენ მიცვალებულის ზომას¹ და იქვე ცულით გათლილ ფიცრებისაგან კუბოს შეკრავენ. როცა უნდათ ტირილის დღე ცოტა გვიან დანიშნონ და ამიტომ მიცვალებული მეტს ხანს ვაჩერონ, სანამ მიწას მიბარებდნენ, კუბოსათვის მსხვილ ძელს ნავის მსგავსად გამოაღრუებენ, მეორე ძელს, ამნაირადვე ამოღრუებულს ზევიდან დახურავენ თითქმის გერმეტულად, და ასეთს კუბოში, რომელიც თანამედროვე ცინკის კუბოს ემაგიერებოდა, გვამი შედარებით დიდხანსა სძლებდა გაუხრწნელად. მაგრამ სანამ კუბოში ჩასვენებდნენ მიცვალებულს, წყლითა ჰბანენ² და თეთრ სუფარაში შეახვევენ, რათა სულეთში (ოშურეთი), სადაც ადამიანის სული მიემგზავრება, სხვების წინაშე წარსდგეს დაბანილი და თეთრ „საშიშლოში“ გახვეული.

კუბოში, სადაც მიცვალებულია, წნელისაგან აკეთებენ გრძელ სეფას, რომელსაც შეედლება დაბრთის ას კაცამდე. შიგ უმასპინძლებიან მიცვალებულის სატირლად მოსულთ, ანუ მომტირალთ.

მიცვალებულის დასატირებლად და დასასაფლავებლად ჩვეულებრივ ნიშნავენ მეოთხე ან მეხუთე დღეს გარდაცვალებიდან. დღის დანიშვნა იმაზეა და-

¹ მეგრული ერიდება თავის ტანის ზომას აალებინოს ვისმე, განსაკუთრებით სიმაღლებზე, ფეხებიდან თავამდე, რადგან, იდეათა ასოციაციით, ასეთმა გაზომვამ შეიძლება მოგაგონოს მიცვალებულის გაზომვა და აქედან—თვით სიკვდილის მოახლოებება.

² სწამთ, რომ მიცვალებულის ნაბანი წყალი ხელს უწყობს მცენარეთა ზრდას, და ამიტომ ამ წყლითა რწყავენ ნორჩ ხეებს, განსაკუთრებით ყვავილებს.

მოკიდებული, თუ რამდენად შორს არიან ნათესავ-მეგობრები მიცვალებულისა. ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველას დრო ჰქონდეს მოვიდეს და ტირილს დაესწროს. სანამ ნათესავები ყველანი არ მოიყრიან. თავს, მიწას ვერ მიბარებენ მიცვალებულს,—მისი სული აქედან ვერ წავა, ეწვალება, თუ „ნათესავები ყველანი არ დაღვრიან ცრემლს მის ცხედარზე“.

სანამ მიცვალებული დამარხდნენ, იმ სახლში, საცა მკვდარი ასენია, ღამ-ღამობით თავს იყრიან მეზობლები და ღამეს უთევენ, მართავენ სხვადასხვა თამაშობას, სასაცილო ამბებით ერთობიან. რაც უფრო ხნიერია მიცვალებული, ღამისმთველნი მით უფრო ნაკლებ ერიდებიან მხიარული გრძნობის გამოხატვას. მიცვალებულთან ზოგჯერ სრულებით არ ეთაკილებათ უწმაწური სიტყვები და შაირები იხმარონ, ვაჟები ქალებს ეარსიყენენ. ასეთ ღამისთევის დროს, შინაურები ისვენებენ, ხოლო მიცვალებულს, რომელიც მეგრელის წარმოდგენით ავ და ბოროტ არსებულ იქცევა, და, თუ შემთხვევა მიეცა, ცოცხლფხსა ენებს ხოლმე, ყურს უჯდებენ ღამისმთველები. ჟვალყურს ადევნებენ აგრეთვე კატას, რადგან ეს ისეთ ცხოველად ითვლება, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს ადამიანის ხორცის ჭამა; ანდა სულაც გააგდებენ იმ სადგომიდან, სადაც მიცვალებული ასენია.

შორეულ ნათესავებსა და მოკეთებებს ტირილსა და დასაფლავების დღეს განსაკუთრებულის კაცის პირით ატყობინებენ, რომელიც დაუფლის სათითაოდ ყველას და სიტყვიერად გადასცემს უბედურების ამბავს. ამ სამწუხარო ამბის თქმას ერქვა „შეცხადაფა“ ანუ გამოცხადება სამწუხარო ამბისა, ხოლო თვით კაცს „შემცხადაფალი“ ანუ შემცხადებელი. ძველად შემცხადებელი რამდენიმე იყო, ამის ჯგუფს თან მიჰქონდა რაიმე ნივთი, რომელიც ეკუთვნოდა განსვენებულს: ხმალი, სატევარა, ბუდეში ჩაწყობილი ისრები, ან კიდევ მისი ტანი-სამოსის მონახევი. მიცვალებულის ნათესავების ერთ-ერთ სახლს რომ დაუახლოვდებოდნენ, შემცხადებლები ხმამაღლა ტირილს მოჰყებოდნენ და ამით შინაურებს აცნობებდნენ, რომ მოდიან შესაცხადებლად. სახლში შემოვიდოდნენ თუ არა, წველს ზემოთ გაიშვილებდნენ სხეულს, განსვენებულის კუთვნილ ნივთს საჩინო ადგილას დასდებდნენ და ვარშემოუხსდებოდნენ ძირს, მიწურ იატაკზე. მასპინძლებიც წელს ზემოთ შიშვლდებოდნენ. ფეხებიდან საცმელებს იძრობდნენ, ჭარშემოუხსდებოდნენ ნივთს, რომელსაც ამ შემთხვევაში ერქვა „ნიშანი“, რომელიც დამსწრეთათვის მის გარდაცვლილ პატრონის მოსაგონებელი იყო და იწყებდნენ მოთქმით ტირილს. ტირილის გათავებისას, შეცხადებულნი ეტყოდნენ, თუ რა დღეს უნდა მოსულიყვნენ მიცვალებულის სატირლად. ახლა კი „შეცხადება“ უფრო სადად სრულდება: შემცხადებელი მხოლოდ ჩამოატარებს სამგლოვიარო უჩაღათო წერილებს, შავის ლუქით დაბეჭდილებს.

მიცვალებულის შშობლები ყველანი იკერავენ შავს (უჩა) ანუ სამგლოვიარო საშიშვლოს¹. თუ სადმეა სახლში სარკე, შავს მიტკალს გადააფარებენ, რომ არ

¹ ეკრძალებიან შავი მაგრად შეიკვრონ ხოლმე. შავი მალე უნდა დაიხს და იღვათა ასოციაციით, მის დახვეწათან ერთად უნდა „დაიხს“ (დასრულდეს) გლოვა-მწუხარება სახლში, საცა კაცი მოკვდა. ამ რწმენის თანახმად გარღვეულ შავს არ ვაკერავენ ხოლმე, პირიქით—

შეიძლებოდას შიგ ჩახედვა და თავის გარეგნობისათვის ზრუნვა, რაც არა ჰხამს მგლოვიარეთათვის.

საქირო სამგლოვიარო სამოსელი კაბისა და ზედაწელისაგან შესდგება, თავზე შავი მიტკლის ხილაბანდს შემოიკრავენ. კაბა ლაზათიანად გამოკრილი არ არის, რადგან მისი დაუდევარი ნაქრობა უნდა ეთანხმებოდეს მის მატარებელ ადამიანის სამგლოვიარო სულის განწყობილებას. ერთად-ერთი მშვენიერება კაბისა ის არაა, რომ ძირს ტოტებს შემოვლებული აქვს დაკბილული ბაბთა, ხერხის კბილის მსგავსად. სამამაკაცო სამოსი ღარჯის მსგავსია, თავზე ყაბალახის მინაგვარ შავს მიტკალს იხურავენ. შავი ღართის პატრონი ზოგჯერ საგანგებო შავს არ იყვარავს, შავის მიტკლის ნაქრებით დაიდარავენ გულზე მასრებს და შევერცხლილ სატყვერის და ქამრის ნაწილებს.

აჰ, ღაღა დღე მიცვალებულის ტირილისა¹. თავანდელი კუბო სდგას სახლის შუაგულზე, კილოებზე; მის თავითი უკიდია თაფლის სანთელს. კუბოს გარშემორიგებიათ ქალები, ნათესავები მიცვალებულისა, შავებში, თმაგაშლილები. გვერდთ უხსენდნ მუზობლის ქალები— „მათელარეფი“ — ვინც მოთქმით ტირილი იცის. მცოდნე და ღირსეულ მათელარად ითვლება ის ქალი, ვისაც ემარჯვება მიცვალებულის დამახასიათებელი თვისებები აღნიშნოს და საერთოდ ისეთი სიტყვები იხმაროს და ხმას ისე შესაფერად აღუდარაწიოს, რომ მაყურებელთ გული აუჩვილოს და ტირილის გუნებაზე დააყენოს. ერთგვარი ჰიშინი, საგალობელი გამოუდით. ყოველი ტაეპი მღერით თავდება და ხმამაღალი ვიშვიში და გულის ამოსკვნა მოჰყვება. ვიშ-ვიშთან ერთად მოტირალი ორსავე ხელს გაშლილ თმაზე ჩამოსივამს და წარმოადგენს მგლოვიარე ქალს, რომელიც საშინელ მწუხარებისაგან თავზე თმას იკლევს.

ორი გუნდი, სოფელთაგან შეძღვარი, ჰგალობს სამგლოვიარო მარშს, რომელსაც „ზარი“ ჰქვიათ, რაც ნიშნავს: საშინელებას, უბედურებას. ზარს უსიტყვოდ ჰგალობენ, ისმის მხოლოდ ერთი გაგრძელებული „ვიი, ვიი“. მოწვეული მოტირალი ქიშკარში შემოვა თუ არა, მიდის იქვე ახლოს მდგარ ხესთან, რომელიც ტანისამოსის ჩამოსაკიდებლად არის გამოყენებული, მოიხდის-

მიუშვებენ უარსად დაიხსნ, ასე რომ ზოგჯერ შავი ნაფლეთ-ნაფლეთად აცვიათ ტანზე და ხედ ალამივით ფრიალებს ხოლმე.

¹ ახალწელს გარდაცვალებულს თვით ახალწლის დღეს, მეგრეთა სახალწლო ჩვეულების თანახმად (ამაზე იხ. ჩემი მიმოხილვა: „კალანდა ანუ ახალი წელიწადი სამეგრელოში“ „მოამბე“ 1894), მოზობლები არა სტირიან, პირიქით, ყველას მზარული სახე უნდა ჰქონდეს, რომ ანით აპონ „ახალწლის სულს“. ტირილი შეიძლება მხოლოდ ახალწლის მესამე დღეს-აგრეთვე არ შეიძლება მიწის მიაბარონ მიცვალებული ზედ ახალწლის დღეს, რადგან, მეგრეთა რწმენის თანახმად, ამ დღეს დამარხული მთელი წლის განმავლობაში ითხოვდეს იქნება, ამ რწმენიდან სხვებიც დაჰმარხონ ხოლმე, მასვე გვერდით ამოუწვიონ მიწაში, ე. ი. მას გარდასხვებიც მოჰკედნენ ხოლმე. კუბო სოფლებში ჩვეულებრივ იმ სახლში შეიკვრის, საცა მიცვალებულია, მაგრამ ახალწელიწადს გარდაცვალებულისათვის კუბოს შეჭკრავენ სახლს გარეთ, სადმე მინდვრად, თანახმად უკვე მოხსენებულ რწმენისა, რომ ახალწელიწადი არ იქნეს დაწყებული კუბოს შეჭკრით, ე. ი. სიკვდილით.

ქელს, ნაბადს, ჩამოიხსნის იარაღს და ყველაფერს ხეზე დაჰკიდებს; ამის შემდეგ ახალბუნია და პერანგის საკინძებს იმდენზე გაიხსნის, რომ გულმკერდი ნაწილობრივ გამოუჩნდეს. შედარებით ცოტახნის წინათ მოტირალნი წელს ზემოთ ტანს იშიშვლებდნენ და ფეხებიდანაც საცმელს იძრობდნენ. 3—4 კაცი-მწყობრში დგება და გუნდი ზარს დაიწყებს თუ არა, მოტირალნი ორივე ხელით შუბლს¹ იტყეპენ და „ვაი, ვაი“-ის ძახილით გაემართებიან სახლისაკენ, სადაც კუბო ასვენია. კუბოსთან მისულები დაიჩოქებენ და ყოველი მათგანი-სათითაოდ ჩამოსთვლის მიცვალებულის ყოველ ღირსებას და ვაჟაკობას და აღიარებს, თუ რამდენად უსაზომოა მისთვის ამ შემთხვევაში ასეთი უბედურება და მწუხარება. მოტირალნი მიცვალებულს რომ იტირებენ, გულს იმჯილავენ² და ისე მიუსამძიმრებენ („მენგარა“) მშობლებს — ნათესავებს, რომელთაც იმ შემთხვევაში ჭირისუფლები ჰქვიათ, რაც ნიშნავს: უბედურობის ბატონებს. მოტირალთ ორივე მხარეზე მოჰყვებიან მოწყვრიგენი, რომელნიც ჰზრუნავენ იმისათვის, რომ მოტირალთ მეტის-მეტე ტირილითა თუ მწუხარებით თავი არ დაიოსონ და თან უშველონ თავისუფლად შევიდ-გამოვიდნენ იმ სახლიდან, სადაც კუბო ასვენია. ამ დროს მეორე გუნდს მოტირლების მეორე წყება მოჰყავს, ხოლო პირველი წყება ეზოში გამოდის და ა. შ.

მეგრელსა სწამს, რომ ტირილის დროს გარდაცვალებულის სული იქავე-კუბოსთანა სდგას და თვალყურს ადევნებს. სატირლად მისულთ. იგი დიად უკმაყოფილოა, ოდეს მეზობლები და ნაცნობები თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებენ და ჯეროვნად არა სტირიან. პირიქით, უხარის, როცა უყურებს კუბოს გარშემო შეჯგუფებულ მოტირალ ხალხს, რომელსაც გულწრფელადა სწყინს მისი გარდაცვალება, ამ სოფლიდან სულეთში გამგზავრება. სრულებით ბუნებრივია, რომ სიტყვა დამტირებელი („მანგარალი“) მეგრულად აღერისისა და ნაზის გრძნობის გამოხატველ სიტყვადაცაა გადაქცეული. დედა ხშირად მიმართავს შვილს ასეთის სიტყვებით: „ჩქეში მანგარალი“, ე. ი. ჩემო დამტირებელოვო. ამით დედა გამოხატავს თავის სურვილს, რომ შვილმა, როგორც წესია, ისე დაიტიროს დედა, როცა ეს უკანასკნელი მოკვდება. ერთ ხალხურ ლექსში ნათლადაა გამოხატული, თუ რა რიგ აფასებენ მეგრელები დამტირების წესის შესრულებას. ამ ლექსში ვაჟი თავის სატრფოს ასე მიმართავს:

¹ მწუხარების უმეტესის სიძლიერით გამოხატვის ნიშნად, მას აქეთ დიდი ხანი არ არის, მოტირალნი თავსა და ტანზე მათრანს ირტყამდნენ. დღეს, როგორცა ვთქვით, მხოლოდ ორივე ხელით იტყეპენ შუბლს და ეს მეგრული ტირილის პროცესის აუცილებელ მოქმედებად ითვლება. რაც უფრო ღირსეული და გულსაწვავია მიცვალებული, მით უფრო კინი არაფერი უნდა დაალონ ტირილის ჩვეულებას. როცა უნდათ დაამცირონ ღირსება ამათუიმ დაბაინისა, ასეთზე ჩვეულებრივ ასე ამბობენ: „ცალი-ხელით სატირელიო“ (ცალხეშ მნგარალი), ე. ი. იმის ღირსი-არ არის, რომ ხიკვიდლის შემდეგ ორის ხელით ანუ ერთგულად დატირდოს კაცმა.

² აქედან წარმომდგარია ასეთი ჩვეულება: სინახულის ან ნალგის გრძნობის გამოსახატავად მეგრული გულზე მჯილს ირტყამს ხოლმე.

„დობლურადა, ღომინგარი,
გომინთხორი საფულე,
სქანი სქვამი ხე-კუჩხითი
ღიხა ქომნმოჭაბულე.

მე თუ მოვკვდე, დამიტირე,
გამითხარე მე საფლავი,
შენი ლამაზ ხელ-ფეხითა
ხვდაც მიწა დამაყარე.

ნათესაეები შორეულ სოფლებიდან შავებინები მოდიან ტირილში, თან საკუთარი გუნდი მოჰყავთ მოზარეთა. წინ მოუძღვით დიდი კელაპტარი, შავ ნაჭრებით მორთული. თუ მომავალი ნათესავი ქალია, თმა გაშლილი აქვს და როცა ამათუმი სოფელზე გაივლის, კვილს იწყებს და მოზარენი ზარს ეუბნებიან. ყველასათვის აშკარაა, რომ ვისიმე სატირლად ცხენებით მიდიან. ნათესაეები, რაც უნდა შორსა სცხოვრობდნენ, თავის გარდაცვლილ ნათესავის ტირილში შეიჭველად უნდა დაესწრნენ. ვინც ამათუმი მიზეზით ტირილის დღეს ვერ მოვა, ტირილის შემდეგ მივა და იტირებს მიცვალებულის ნიშანზე. ამისთვის მიცვალებულის დაჩვენებულ ტანისამოსს ტახტზე გაშლიან და ისე სტირიან, თითქო ნამდვილი მიცვალებული ესვენოსთ წინა. აი, ამასა ჰქვიან ნიშანი—საგანი ანუ მაჩვენებელი და მოსაგონარი მიცვალებულისა.

როდესაც ქმარს ცოლი უკვდება, ტირილის დღეს მისთვის სამგლოვიარო კარავსა სწნავენ და სადმე კუთხეში მისდგამენ, რაც უდრის ქართულ საბნელეთს. ამ კარავში შედის დაქვრივებული ქმარი, დაღვრემილი, უზომო მწუხარების და სასოწარკვეთილების გამოხატველსახიანი. ამით გამოხატავს, რომ ამ დღიდან ისიც მკვდარია, ბნელშია, ღირსი არ არის მშის სინათლის ყურებისა. როდესაც მოტირალნი მიცვალებულს იტირებენ, მიდიან კარავთან და შიგ მჯდომ ქმარს მიუსამძიმრებენ. ზოგჯერ ტანისამოსს გაშლიან კუბოს მოზორებით ტახტზე—ქალისას და კაცისას, ერთი გამოხატავს მიცვალებულ ცოლს და მეორე ქმარს. როდესაც ნამდვილ მიცვალებულ ქალს იტირებენ, მოტირალნი მიდიან ნიშნებთან და ორსავე დასტირიან. ეს ცერემონია გამოხატავს ცოლის სიკვდილთან ერთად მისი ქმრის სიკვდილსაც. თვითონ ქმარი ამდროს დამალულია, რომ დამსწრეთ სრული ილუზია მიიღონ სიკვდილისა, გაუჩინარებისა, მოსპობისა.

მოტირალნი ტირილს რომ მორჩებიან, 70—30 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად მიწვეულ იქნებიან სეფაში ქელეხის საჭმელად, სადაც მოერთმევით სამარხო საჭმელები: პური, მჭადი, ლობიო, თევზი, ზეთისხილი, მწვანელი (ბოლოკი) და ღვინო. ჭამის დროს ყოველი მოტირალი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ღვინით სავსე ჭიქას პურზე გადაუქცევს და ამით გამოხატავს სურათს, თითქო მიცვალებული მოდიოდეს და პურსა სჭამდეს და ღვინოსა სვამდეს. მამაკაცები ცალ მხარეზე სხედან და მეორე მხარეზე დედაკაცები.

ამ ქელეხისათვის მოტირალთ, შეძლებისადა გვარად, ერთგვარი ფულადი შესაწირავი მოაქვთ, რომელსაც „გინაფორალი“ (გადასაბურავი) ჰქვიან და

რომელიც ერთ-ერთ წერის მცოდნეს მიერ ქალაღზე აღინიშნება ხოლმე. გინაფორალი¹ ქართულად ნიშნავს გადასაფარებელს (იგულისხმება: მიცვალებულის გადასაფარებელი) და აზრად აქვს დაჰფაროს ის ხარჯები, რაც ამ ქელეხის გამართვასა სჭირდებოდა. ძველად ყოველ მოტირალს თან მოჰქონდა დამზადებული სურსათი - სანოვაგე: გამომცხვარი მჭადი, მოსახარში ლობიო, ღვინო, ნივოზი, ხახვი, ასე რომ მიცვალებულის პატრონს ხარჯვა რისამე არასჭირდებოდა და იოლად გამოდიოდა. მაგრამ ამ ჩვეულებას დღეს² თავისი პირვანდელი ხასიათი ურთიერთ დახმარებისა თანდათან ეკარგვის და კომერციულ ფორმას ღებულობს: მიცვალებულის ჰირისუფალნი ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები დახარჯონ და რაც შეიძლება მეტი აიღონ ფულით, გადაბურვის სახით.

როგორც ვთქვით, სამეგრელოში მიცვალებული ასე არ დამარხვის მიწაში, რომ წინასწარ არ დაიტრიონ ხოლმე. რაც უნდა ღარიბი და უქონელი იყოს ოჯახი, მიცვალებული მინც უნდა იტრიოს და ქელეხი გამართოს, მეზობლები მოიწვიოს, პური აჭამოს და მიცვალებულისათვის შესანდობარი ღვინო დააღვინოს. რაც უფრო უხვად გაუმასპინძლებიან მოტირალთ, მით უფრო გაიხარებს მიცვალებულის სული, რომელიც ამიტომ ადვილად შორდება სხეულს.

სადაც უნდა მოკვდეს მეგრელი, ნათესავეები ვალდებულნი არიან შინ მოასვენონ მიცვალებული, იტრიონ და თავიანთ წინაპრების გვერდით მიიბარონ სამშობლო მიწას. ამ ნიადაგზე ზოგჯერ დიდ გაუგებრობას აქვს ხოლმე ადგილი და განსაკუთრებით როცა კაცი კვდება საღმრეთო ადგილას და იქვე იმარხება და ნათესავეებს, რომელთაც მიცვალებულის წამოსვენება სოფელში უნდათ და აღმინისტრაციის განკარგულებით სხვადასხვა ფორმალობა აქვთ შესასრულებელი მიცვალებულის წასავენებლად ნებართვის გამოსატანად. მეგრელი კანონის მოთხოვნას ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს³, ვიდრე მთელს საუკუნეებით გადმოცემულ ჩვეულებათა მოთხოვნას, ფარულად თხრის საფლავს, იქიდან თავისი მიცვალებული ამოაქვს, ასო-ასო სჭრის, რომ უფრო გაუადვილდეს ჩუმათ წაღება, გვამს საბოლოოდ გახრწნის ასაცილებლად — ამარილებს, ალაგებს ხურჯინში, მოაქვს სამშობლო სოფელში, იქ საჯაროდ დაიტრიებს და ისე მიიბარებს მიწას. ამგვარად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას მიცვალებულის წინაშე, რომლის სული „ვერ მოისვენებს“, თუ გვამი სამშობლო სოფელში არ დაიმარხა.

რომ მოგრჩეთ მეგრელთა მიერ მიცვალებულის დატირების წესების აღწერას, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ერთი ჩვეულებაცა, ანუ უკეთ, ნაშთი ჩვეულებისა, რომელიც დღემდე დარჩენილია ზოგიერთ პირველყოფილ ხალხებს შორის. წმინდა ეკონომიურის მოსაზრებით, ესენი ჰსოცავენ იმ მოხუცებულ ან უკუტრუნებელ ავადმყოფთ, რომელიც მხოლოდ მძიმე ტვირთად აწვანან თავისიანებს. ეს ჩვეულება, თანახმად გადმოცემისა, მეგრელთაცა ჰქონიათ. როდესაც მოხუცებულს თვითონ არ შეეძლო რისამე გაკეთება და თავის რჩენა,

¹ როცა მეგრელს ვინმე რასმე (ფულს, მაგალითად) გამოართმევს და აღარ დაუბრუნებს, თუ ბევრი არ არის და იმისათვის ხელის გასვრად არა ღირს ჩვილი, წყველის ასეთ ფორმულასა ხმარობს: „სქანი გინაფორალი (ორდას)“, ე. ი. შენს გადასაბურავადა (იყოს)! ანუ ამდენატრებენ ისეთ მდგომარეობას, როცა გადაბურვა იქნება მისთვის საჭირო, ე. ი. სიკვდილი.

² იგულისხმე XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამეგრელო.

შვილები თურმე მოუწნავდნენ კალათას, შიგ ჩასვამდნენ და ხრამში გადაადგებდნენ, ნადირისა და გარეულ ფრინველთა შესაქმელად. ამ ნიადაგზე ანდაზაცაა დარჩენილი: ისეთი გოდოლი მოსწანიით, თქვენს შვილოშვილებსაც გამოადგესო. ერთხელ, ერთს მოხუცს ასეთი დღე მოელოდა. წინაპრებისაგან დაკანონებულ ჩვეულების წინააღმდეგ ანა როგორ წაყვილოდა და მისთვის გოდოლის მწვინელს შეიღობს თურმე ასეთის დაციინეთი დარიგებით მიჰმართა: შვილებო, ეხედავ ჩემს დღეს, მხოლოდ ერთსა გთხოვთ: გოდოლს რომ სწნავთ, ისეთი მაგარი მაინც მოსწანიით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო. მოხუცმა ამ ნართაულ სიტყვებით შვილებს აგრძნობინა, თქვენც ჩემი დღე მოგელითო. შვილები დაფიქრდნენ, გოდოლის წვანაზე ხელი აიღეს და მოხუცი ხრამში გადააჩეხეს გადარჩა.

მაგრამ თუ ამ ჩვეულების შესახებ მხოლოდ მოგონება-ღა დარჩა ხალხის ზეპირსიტყვაობაში, მეორე ჩვეულება იმავე ხასიათისა, მხოლოდ ნაშთის სახით, დაცულია დღევანდლამდე. როცა ესა თუ ის ადამიანი ძალზე მოხუცდება და შეურიდდება იმ აზრს, რომ სიკვდილი ადრე იქნება თუ გვიან არ ასცდება, განსაკუთრებით, როცა ხედავს, რომ სიკვდილს შემდეგ არავინა რჩება სახლში ისეთი, რომ იზრუნოს მის დატირებისა და დასაფლავებისათვის ისე, როგორც ჩვეულებად აქვთ სამეგრელოში, თვითონ, სიცოცხლეშივე, ჰმართავს თავის თავის დატირებას. ერთ დანიშნულ დღეს, ტირილის ყოველსავე წესის დაცვით, ნაცნობ-მეგობრები მოდიან და სტირიან მოხუცს, რომელიც ვითომ მიცვალებულს წარმოადგენს, მის მაგიერ მოტირალთა წინაშე „ნიშანია“ გაშლილი მოხუცისა, სჭამენ ქელესსა, სჭამენ „გადაცვალებულის“ სულის შესანდობარსა, ხოლო როცა ნამდვილად მოჰკვდება, ყოფილ „მიცვალებულს“ არავინა სტირის, საფლავს გაუთხრინ და პირდაპირ ასაფლავებენ.

არიან მომსწრენიც იმისა, რომ ერთს მოხუცებულს სიცოცხლეშივე შეეკვრევიანებინა თავისთვის კუბო და მალა სხვენზე ინახავდა თურმე თავის სიკვდილის დროისთვის.

* * *

ყველა მოტირალთა ცრემლები „დაეყარა“ მიცვალებულს, მეტი სატირლად მისასვლელი არავინა; ყველა გაძღა ჰამა-სმით და შესანდობარი დალია მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. დგება მიცვალებულის გამოსვენების წამიც. კუბოს სდებენ ჯალამბერზე—ერთმანეთს მოშორებით მიკრულ ორ ხელნების სახის ძელზე ანუ საკაცზე. ქალები საშინლად გაჰკვიან, მოზარენი ზარს ამბობენ და ამასობაში მიცვალებულიც გარეთ გამოაქვსთ. მაშინვე სახლს ცოცხს მოუსვამენ: ნავაგთან ერთად უნდა გაიტანონ გარეთ ყოველი ნიშანი სიკვდილისა და ამ სახით ხელს უშლიან: სიკვდილმა ფეხი მოიკიდოს ამ სახლში, სხვაც იმსხვერპლოს აქედან.

კუბოს ჯერ მამაკაცები მისდევენ, მერე ქალები,—ნათესავები მიცვალებულისა, რომელთაც სხვა ქალები იჭერენ და ხელს უშლიან თმები არ დაიგლიჯონ, ფრჩხილებით სახე და გულკერძი არ დაიღადრონ. სამგლოვიარო პროცესის სავალ გზაზე გაისმის მოთქმით ტირილი, მოზარეთა გალობა. დასასრულ, პროცესია მიაღწევს ეკლესიასაც, რომლის გალაგანშიაც უნდა მიწას მიაბარონ მიცვალებული.

მაგრამ სანამ ავსწერდეთ თვით დასაფლავების ჩვეულებებს, განვმარტოთ, მეგრელს როგორ წარმოუდგენია სიკვდილი და საერთოდ საიქიოს ცხოვრება, რომ ლოგიკურად და ამ წარმოდგენისაგან პირდაპირ გამომდინარედ გვეჩვენოს ის წესები და სარწმუნოებრივი ცერემონიები, რომელთა ასრულება სავალდებულოდ მიაჩნიათ მეგრელთ თავიანთი მიცვალებულის დაკრძალვის დროს.

ყოველთა უწინარეს, განუსაზღვროთ, სიკვდილი როგორ წარმოუდგენია მეგრელს. სიკვდილი—ერთგვარი ძილია. ამ ორ ფიზიოლოგიურ მოვლენას შორის მეგრელისათვის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ძილი, რომლის შემდეგ დაღლილი ორგანიზმი ჩვენი ისვენებს, ახალ ძალას იკრავს სამოძრაოდ, დიდხანს არა გრძელდება, ხოლო სიკვდილის ძილი—სხეულისათვის გრძელდება სამარადისოდ, მეტად ვეღარ იღვივებს. სააქაო, მიწიერ ცხოვრების ფუნქციებს თანაბრად ასრულებენ როგორც სხეული, ისე სული: როცა დღისით სხეული იქნა ცეცხა და იძინებს, მისი სული შორდება და განაგრძობს ასრულოს სხეულის ყველა ფუნქციები. სული ძილის დროს სხეულს გაეცლება და შორს, განუსაზღვრელ მანძილზე მიდის იმისდა მიხედვით, სადა სრულდება ის მოქმედება, რომელიც სიზმარში გვეხატება. ამიტომ უცბად გაღვივება მძინარესი, მეგრელის წარმოდგენით, საშიშოა, ამას შეიძლება ცული შედეგი მოჰყვეს, ზოგჯერ სიკვდილიც, მძინარესათვის; კიდევ კარგი, თუ მძინარეს სული ამ დროს სადმე ახლოსაა და ადვილად და შედარებით მალე შეუძლია დაბრუნდეს თავის „სამყოფელში“. მაგრამ თუ მძინარის გაღვივების უამს მისი სული შორსაა ძილის ადგილიდან, მძინარეს ბევრი დრო დასჭირდება, სანამ გამოფხიზლდებოდეს და თავის აზრებს წესსა და რიგზე დააწყობდეს. ამგვარად, სიკვდილი წარმოდგენილია მსგავსად ძილისა, მხოლოდ უფრო ხანგრძლივისა, ანუ, უკეთ, დაუსრულებელისა, რომელსაც სიკვდილი ადამიანს მოუვლენს ხოლმე. მეგრულად დამახასიათებელი თქმაა მკათოდ წარმოსადგენად მაგარ, გაუღვივებელ ძილის შესახებ: იმაზე, ვისაც ასეთის ძილითა სძინავს, ამბობენ ხოლმე: მკედრის ძილმა წაიღოვო („ლურელიო რულქ მიდელუ“), ე. ი. თითქმის მოკვდა.

ადამიანის სხეულში სულის სამყოფელი—თავია. როცა სული „ამობტება“ (გემასხაბუნს) სხეულიდან, ეს უკანასკნელი მძოვრად (ნძორი) იქცევა, ე. ი. ისეთ საკნად, რომელიც მოკლებულია მოძრაობას და რომელიც ზიხლსა ჰკერის ხოლმე, ეს მძოვრი მალე გაიხრწნება და მასთან ერთად სიცოცხლე თითქო შესწყდება. მაგრამ ეს მოვლენა მხოლოდ მოჩვენებითია. ნამდვილად კი ადამიანის ხილულ სხეულისაგან განერიდება სული¹, ანუ სხვა სხეული, ჰაეროვანი, არამატერიალური, ლანდის მსგავსი. ადამიანის სული, რამდენიმე ხნის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ გვეჩვენება ლაპარაკი, საბოლოოდ მიდის ზეცაში („ზეცაშა“), სულეთში (ოშურეთი) ან სულთა სამეფოში, რომელიც სულ ზევითაა, ვარსკვლავ-

¹ მეგრელების მიერ აღიარებულ დუალიზმისა და ადამიანის სხეულში სულის მოძრაობის შესახებ აღნიშნავთ შემდეგს თქმას: სული მიდგია (შუო მილამიდგუ); ან კიდევ მეგრელის მიერ ვაბრაზეების დროს სასინელის მუქარის ფრაზას: სულს ამოგაძობ (შურს გეშავილა). მეგრელის აზრით, ცხოველებში მხოლოდ ადამიანს აქვს სული. ადამიანს გარდა სხვა ცხოველი მოჰყვება. თუ არა, მისი სიცოცხლე თავდება, ადამიანი კი სააქაო ცხოვრების შემდეგაც განაგრძობს ცხოვრებას, სულეთში, სულების სამყოფელში.

ვეებს ზევით, და რომელიც გაგარძელებაა სააქაო, მიწიერ ცხოვრებისა. ეს უსხეულო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სხეული შეინარჩუნებს ყველა იმ გარძობათ, რომელნიც ჰქონდა პირველ „დაძინებულ“ სხეულს, საიდანაც ის გამოვიდა: სული განიცდის ყველა ამ გაჭირვებასა და სურვილს. აქვს იგივე სიყვარული. თუ სიძულვილი, რასაც მიწიერი არსებანი ეპატრონებიან. სულელები სიზმარში თავის მშობლებ-ნათესაეებს გამოეცხადებიან ხოლმე, უზიარებენ თავიანთ სიხარულსა თუ მწუხარებას, ჰკითხულობენ მათს ამბავს, ენმაურებიან ყოველ მათს წამოწყებაში. ჰამის მოთხოვნილება სულეთის მცხოვრებთ შერჩენილი ჭკვეთ ხოლმე. მაგრამ ამ მხრივ მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკისრებათ მათს ნათესაეებს, „ძირს“, მიწაზე, დარჩენილთ. ეს მშობლები თუ ნათესაეები დროდადრო თავიანთ მიცვალეზულთათვის მართავენ საკურთხეებს ანუ ტაბლებს. საკურთხე წარმოადგენს კრებას იმ საქმელებისას, რაც მიცვალეზულს აქ სიცოცხლეში უყვარდა. დიდ დანაშაულად ითვლება მეგრელისათვის, თუ სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა სულეების მიმართ, თუ თავისი მოვალეობა მათ მიმართ ზედმიწევნით არ ასარულა, თუ საკმაოდ არ იზრუნა მათი კეთილდღეობისათვის. ასეთს მეგრელს აუცილებელი სასჯელი მოელის სულეებისაგან, სულეთში ტანჯვა-წყალებაში მყოფებისაგან. გაბოროტებულნი ღამ-ღამობით სოფელში ჩნდებიან მოძრაგ ნათლის სვეტების სახით და სჯიან თავიანთს უზრუნველ და უდარდელ ნათესაეებს და მატერიალურ ზარალს მიაყენებენ ხოლმე: შინაურს საქონელს ჰირს გაუჩენენ ან თავს დაატეხენ რაიმე უბედურებას, რის მსხვერპლად ოჯახის ესათუის წევრი ხდება ხოლმე. უამბნიათ ისიცა, რომ ერთხელ საღამოს სულმა თავის ნათესავს წაართვა ერთი წვევლი ხარი, რომელსაც ის ტყიდან შინ მოერეკებოდა თურმე. როცა ღამე სულელები სოფელ-სოფელ დაგოგავენ, ერთმანეთს ხმას აძლევენ გაგარძელებული სტვენის საშუალებით. ამიტომ მეგრელი, განსაკუთრებით ღამე, ერიდება სტვენას, რომ ამით რომელსამე სულს არ ეგონოს—მეძახიანო, და ისიც მსტვენელის სახლში არ წამოვიდეს და ასეთივე არ დააზარალოს.

სალათას ძილით დაძინებულთა და მერე გამოღვიძებულთაგანაც ესმის ხოლმე მეგრელს საიქიოს ამბები, ზოგჯერ მეტად დაწვრილებითაცა. სალათას ძილი, მეგრელის წარმოდგენით, იგივეა, რაც ნამდვილი სიკვდილი, დასასრული მიწიერ ცხოვრებისა, სულის გადასვლა სულეთში. მაგრამ ასეთი სიკვდილი შედეგია გაუგებრობისა, შეცთომისა, რომელიც ზოგჯერ მოუვა სიკვდილს. ეს შეცთომა, რა თქმა უნდა, გამოსწორდება სულეთში. სანამ სულეთში შევიდოდეს, ახალგაზრდაცვლილმა უნდა გაიაროს „ბეწვის ხილზე“¹ (ბეწვიმ ხინჯი), რომელიც ჩვენს პლანეტას სულეთთან უერთებს. როცა სული ამ საბრკომს გასცდება და სულეების სამეფოში თავს ამოჰყოფს, სულეთის მცხოვრებნი გარსშემოებხევიან, გაიკვირებენ მის მეტიჩრობას, წინამასწარ ამოსვლას, ჯბოდიშობდნენ.

¹ ბეწვის ხიდი ანუ ბეწვისაგან გაკეთებული ხიდი—შემავრთებელია სააქაოსი და საიქიოსი. იქით-აქედ უსახლგრო სივრცეში სდულს კუპრი. თუ სული ცხინებულა და ცოდვები არ ამძიმებს, მსუბუქად და იოლად გაივლის ბეწვზედ. წალო თუ ცოდვილია და ცოდვებით დატვირთული, ამ ადულებულ კუპარში ჩავარდება.

გამოაგდებენ კინწის კვრით, როგორც დაუპატიებელ სტუმარს და თანაც ეტყვიან: „შენი ჯერო ჯერ არ მოსულა, სიკვდილი აჩქარებულა, ჯერ წამოსაყვანი არა ყოფილხარო“. ნათესავ-ნაცნობები შეცთომით მისული სულისა სარგებლობენ ამ შემთხვევით და სხვადასხვა რასმე ავლებენ თავისიანებთან, ვინც „ქვევით“, მიწაზე, სცხოვრობენ; ქებასა და მადლობას უთვლიან იმათ, ვინც საკურთხეებს უკეთებენ; პირიქით, საყვედურით ავსებენ იმათ, ვინც მათთვის არა ზრუნავენ, აქ შიმშილითა ხოცავენ. „გაგონილა,—იძახიან ისინი,—ყველანი სუამენ, სვამენ, განცხრომაში არიან, ჩვენ კი მშვიერ-მწყურვალნი ვყრივართ, რადჯან საკურთხეებს არ გვიკეთებენო“... სალათას ძილისაგან გამოღვიძებული სათითაოდ ყველას ეუბნება სულების მიერ დავალებულს, მოუთხრობს მათის მიცვალებულების სულების ამბავს, ვის რა უღბნის, თუ უჭირს.

მიცვალებულს ეკლესიაში რომ მისაყენებენ, მღვდელი წესს აუტყვებს, შუბლზე და ხელებზე ზეთს წაუსვამს, და ქალების საერთო წივილ-კივილში კუბოს საფლაგში ჩაუშვებენ. მიწაში კუბოს ჩაშვებისას ეკლესიის ზარებსა ჰრეკდნენ. წინათ, როცა ეკლესიებში ზარები იშვიათი იყო, მღვდელი ხეზე დაკიდებულ ფიცარს ჯოხს არტყამდა და ზარების მაგივრად ხმას გამოაცემინებდა. მიცვალებულს საფლაგში ჩაუშვებენ, პირველად მღვდელი იღბს ამონათხარ მიწას მუქით და ზედ აყრის მიცვალებულს. მღვდელს შემდეგ დამსწრენი ყველანი იღებენ პეშვით მიწას და აყრიან¹, თან ცდილობენ მიწას ქვა არ გაჰყვეს—მკვდარს „არ ეტკინოსო“.

მიცვალებულს, ჯერ კიდევ შედარებით ახლობან, საფლაგში მის საჯდომ ცხენს ჩაატანდნენ ხოლმე, რომელსაც სულეთშიაც უნდა განეგრძო თავისი სამსახური პატრონისათვის. ეს ჩვეულება ძალიან გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, რაიცა მტკიცდება მის სხვადასხვა პროვინციებში საფლაგების გათხრის დროს აღამიანის ძვლების გვერდით ცხენის ძვლების აღმოჩენითა. სულ ძველად მიცვალებულ ქმართან ერთად ასაფლაგებდნენ მისს ცოცხალ ცოლსაც, რომელსაც ცოლობა უნდა გაეწია თავის გარდაცვალებულ ქმრისათვის სულეთშიაც. მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ სიმბოლიურად მოაღწია ამ ორმა ჩვეულებამ. სულ დიდი ხანი არ არის, ცხენს ძუას მოსჭრიდნენ და პატრონის საფლაგში ჩააყოლებდნენ; მაგრამ მეგრელებს ახლა ესეც არ მიაჩნით საჭიროდ, სჯერდებიან იმას, რომ მოჰყავთ შვით შემოსილი უნაგირიანი ცხენი თავის გარდაცვა-

¹ მიცვალებულისათვის შესასრულებელ წესებში მიწაში დამარხვა და მიწის მიყრა— მთავარი ნაწილია დასაფლავების პროცედურისა. მიცვალებული უმკველად უნდა იქნას დამარხული და მიწამიყრილი, რომ მისი გვამი არ დარჩეს მიწის ზედაპირზე, ნადირის შესაქმელად. მიწის მიყრის პროცესი გამოიხატებოდა მით, რომ სამარგში ჩაშვებულს კუბოს მიცვალებულისას პეშვით მიწას მიაყრიდნენ ხოლმე. ეს აშკარადაა გამოხატული ზემოთმოყვანილ ქალაქის სატრფილაო ლექსის ბოლოში:

„სქანი სქვამი ხე-უჩხითი
ღიხა კომნმოკბულე.“

შენი მშვენიერ ხელ-ფეხითა
მიწა ზედა დამაყარე.“

ლებულ პატრონის საფლავთან, ცხენი მანამდე გაჩერებული, სანამ მის პატრონს მიწას მიაბარებდნენ; შემდეგ ისევ სახლში მოჰყავთ. იგივე ითქმის მიცვალებულის დარჩენილი ქვრივის შესახებ. ქვრივი კმაყოფილდება იმით, რომ შიოჭრას ნაწნავი თმები და ჩაატანოს თავის ქმარს. მაგრამ თანდათან ეს ჩვეულება კ გადავარდნილად უნდა ჩაითვალოს და კანტი-კუნტად თუ წააწყედება კაცი. დღეს ქვრივი მხოლოდ მიიწვევს თავის მიცვალებულ ქმარს. საფლავში ჩასაგარდნად და სიმბოლიურად აჩვენებს დამწურეთ, რომ ცოცხლივ უნდა დაიმარხოს ქმართან ერთად, თან გაჰყვეს სულეთში. როცა ძიძას თავისი გაზრდილი უკვდება, ხსენებულ ჩვეულებების თანახმად, ნაწნავებს იჭრის და საფლავში ჩააყოლებს გარდაცვალებულ გაზრდილს.

მიცვალებულს საფლავში ჩააყოლებენ აგრეთვე ხელადით ღვინოს, ფულს, არაყს, თუთუნით სავსე ქისას, ტალ-კვესსა და ახედს,—ყოველივე ეს საჭიროა მიცვალებულისათვის სულეთში. ძუძუთა ბავშვის საფლავში, შუშით რძეს ჩააყოლებენ ხოლმე.

ერთი წლის ბავშვის ცხედარს აკვანში ჩაკრულად წაასვენებენ დასასაფლავებლად, იქ ბავშვის სხეულს ცალკე მიწაში ჩაუშვებენ, ხოლო აკვანს, რომელიც ამ შემთხვევაში კუბოს მაგივრობასა სწევს, ეკლესიის ვალავანში სტოვებენ. ასეთი აკვანი, მეგრელთა რწმენით, ბედნიერების მომნიჭებელია, და ვისაცა სჭირდება, ეკლესიიდან წამოიღებს და თავის ბავშვს შიგა ზრდის ხოლმე. საფლავში ჩაშვების დროს მიცვალებული ბავშვის სხეულს ქვეშიდან ყავარს ან ცაცხვის ქერქს ამოუდებენ, რომ მიწასთან შეხებისაგან უსიამოვნო გრძობა არ განიცადოს. ყვავილისაგან გარდაცვლილი სრულებით უკუბოდ იმარხება. საქმის ვახაღათ, რომ „ბატონების“ სული,—მეგრელის რწმენით,—კაცს კი არა ჰკლავს, არამედ თავის სამეფოში მიჰყავს, როგორც ყმა და მონა. ამიტომ, მეგრელს უფლება არ აქვს „ყვავილისაგან“ გარდაცვალებული მკვლრად მიიჩნიოს, პირიქით—ცოცხლად ჩასთვალოს და, როგორც ასეთი, უფლება არა აქვს ისე დასაფლავოს, როგორც ამას დასაფლავების დადგენილი წესები მოითხოვს; და რომ ბატონები არ გააჯავრონ კუბოს ჩვენებით, მიცვალებულს პირდაპირ საკაცუნე დაასვენებენ და შიშველ სხეულს მიაბარებენ მიწას. ამნაირი რწმენა ბატონების ავადმყოფობის შესახებ მეგრელს აიძულებს ბატონებისაგან მოკლული ადამიანი არ დაიტიროს, როგორც ჩვეულებრივი მიცვალებული. ჯერ დამარხავენ დაუტირებლად. და მხოლოდ 3—4 თვის შემდეგ, ე. ი. როცა იმდენი ხანი გაივლის, რამდენიც, მეგრელის აზრით, საკმაოა, რომ ბატონებს დაავიწყდეთ, თუ ოდესმე ამა თუ იმ ოჯახიდან „ტყვევდ“ რომელიმე წევრი წაიყვანეს, გაიმართება დატირება მიცვალებულის ნიშანზე.

დაკრძალვის განმკარგულებლები ცდილობენ, საფლავის ამოყვების შემდეგ, მიწა კარგად დატკეპნონ ფეხებიდა და ზევიდანაც ბეჭობი რამ გაუკეთონ საფლავის სისწრავე. ამ ბეჭობის ორსავე მხარეზე მიწაში ჩაარქობენ თითო-თითოდ იდი, კონუსებრი ფორმის ქვას. მიცვალებულის ორიენტაციის მხრივ დაცულია წესი, რომლის ძალით მას პირი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონდეს შექცეული. სხვა სასაფლაო ნიშანს მეგრელის საფლავზე ვერ ნახათ.

აქ მოიხსენიებთ ერთს ჩვეულებას, რომელიც გვიჩვენებს იმას, რომ მიცვალეზულისათვის ხელის მიკარება შემწიკვლელად ითვლება, რის შემდეგ ხელისშემხებმა უეჭველად უნდა დაიბანოს ხელები. დასაფლავების შემდეგ უკანდაბრუნებული მოტირალნი ეზოში უეჭველად იბანენ ხელებს და ზოგჯერ პირსაც.

ეს არის ერთადერთი სახე მიცვალეზულის დასაფლავებისა, რომელსაც ვხვდებით ჩვენს დროში სამეგრელოში. სხვა გვარი დამარხვის შესახებ თქმულება არაფერია დარჩენილი. ამასთან, ის თქმანი, რომელიც გამოხატავენ დასაფლავების ჩვეულებებს, ყველანი მოწმობენ იმას, რომ მხოლოდ ისეთი დასაფლავება იცოდნენ მიცვალეზულისა, სახელდობრ: მკვდარი მიწაში ისე დაეფლოთ, რომ გარეშეს გასჭირებოდა მისი ამოთხრა მიწიდან. თვით მეგრული სიტყვა საფულუა ნიშნავს დამალულ ადგილას ჩადებას, დამარხვას რისამე. ზნა საფულუა - საგან წარმომდგარია არსებითი სახელი საფულე, ანუ ქართული საფლავი.

ზემორე ჩვენ მოვიტანეთ ხალხური ლექსი, რომელშიაც, ანდერძის სახით, გამოთქმულია მოტრფიალე ვაჟის თხოვნა სატრფოსადმი: რომ მოგვკვდე, ჩემს ცხედარს ცრემლები დააპყურეო. იგივე სთხოვს: გამითხარე მიწა, შიგ ჩამდევი და მიწა კარგად დამატკენე ხელ-ფეხითაო. ლაპარაკში, როცა უნდათ გამოხატონ გულმტკივნეულობა და სიყვეთ ვისიმე, მეგრელები ხშირად შიშობავენ ამ სიტყვებს. თავიანთ კეთილის-მყოფელთ „ნეტავი, შენის ხელით მიწა დამეყრებოდეს“. დასასრულ, შემდეგი გამოთქმანი იმას, მოწმობენ, რომ მიცვალეზული უეჭველად მიწაში უნდა იყოს დამარხული: „შე, მიწადასაყრელო“ („სი დინამუნაციმოლი“); „მიწაში ჩასაწვენო“ („დინხას ქედვიგონჯირუნი“); „გაგისკდა მიწა“ („დინხაქ გოგინორცქუ“).

ყოველივე ეს პირდაპირ იმას გვეუბნება; რომ თუ კიდევ არსებობდა სამეგრელოში სხვა წესი მიცვალეზულის დამარხვისა, ეს წესი შეიძლება არსებულყო სულ უხსოვარ დროებში. თუმცა ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგრელების მემკობელ და მონათესავე აფხაზებს, იტალიელ მისიონერ ლამბერტის (სამეგრელოში ცხოვრობდა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში) მოწმობით, ჩვეულებადა ჰქონდათ მიცვალეზული გამოღრუბულ ძელში ჩადეთ და ხეზე დაეკიდნათ.



რაკი გავეცანით მეგრელების რწმენას საიქიოს ცხოვრების შესახებ, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, თუ რად არის ასეთ უმწვერვალესობამდე მისული მეგრელების პატივისცემა თავიანთი მიცვალეზულების ხსოვნისადმი. მიცვალეზულთა სული განიადგებული ზრუნვისა და თაყვანისცემის, კულტის საგანია ცოცხლად დარჩენილ ნათესავებისათვის. ვინც სულეთში მყოფ თავის მიცვალეზულთა ცხოვნებისა (არსებობისა) და ყოველმხრივ კმაყოფილებისათვის არა ჰზრუნავს, დამნაშავეა, რომლისათვის სასჯელის მოძებნაც კი გასაჭირია. თვით სასაფლაო, სადაც დამარხულია მეგრელთა წინაპრების ძვლები, მათთვის წმინდა და იმავე დროს შიშისმგერელ ადგილად ითვლება, რომლის გარშემო თავს იყრან, როგორც სიხარულის, ისე მწუხარების წამებში, ამა თუ იმ სოფლის ყველა წევრები.

შაგებს ჩვეულებრივ ერთ წლამდე ატარებენ. შაგების ტარების დროს, მშობლები თუ ნათესავები მიცვალებულისა, მისდამი უმეტესის სიყვარულის გამოხატულებად, თავიანთ თავს აკლებენ ყოველგვარ სიხარულსა და სიამოვნებას; სოფლის თამაშობა-მზიარულებაში მონაწილეობას არა ღებულობენ, არა მღერაინ, გაღიმებასაც კი ეკრძალებიან, სულმუდამ დაღვრემილები დადიან, სახეზე უზომო სასოწარკვეთილება ეტყობათ. მამაკაცები თმასა და წვერს იპარსავენ და მერე მოუშვებენ გლოვის გათავებამდე; წინათ წარბებსაც კი იპარსავენ. ამ გაპარსვის შემდეგ ამოსულ თმასა და წვერს არ ივარცხნიან, არ იკრეპავენ იმ შემთხვევამდე, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მგლოვიარეს ლოგინი შესდგება ჩალისაგან, რომელიც გაშლილია კერის პირას, მიწაზე. მგლოვიარე წვება ტანთგაუხდელი, განსაკუთრებით პირველ 40 დღეს ოჯახის წევრის სიკვდილის შემდეგ. ზევიდან იხურავს შავს საბანს. საკმელი—ჩვეულებრივზე ნაკლებია და სამარხო. მგლოვიარე საერთო სუფრას არ მოუჯდება, მისს შეჭამანდს სანელებელი არ უნდა ჰქონდეს, ჭიქიდან წყალს არ დალევს¹, სახსნილოს კბილს არ დააკარებს, ყოველსავე შემთხვევაში, მარხულობის პირველ 40 დღეს, ერიდება განსაკუთრებით ხორცეულს, რომელიც მიცვალებულის ხორცს მოაგონებს.

სამაგალითოდ და მისაბამად ითვლება ქვრივი ქალი, რომელიც არამც თუ ასრულებს ყველა სამგლოვიარო წესებს, არამედ გადაწყვიტა უერთგულოს თავის განსვენებულ ქმრის ხსოვნას, მეორეჯერ არ გათხოვდეს, რომ საიქიოში ურცხვენელად და სინიღისი უქვევნილად წარსდგეს მის წინაშე, ვისაც სააქიოში შეუერთა თავისი ბედი და იღბალი. ყოველ შემთხვევაში, დაქვრივებულ ქალისათვის აუგად ითვლება წელიწადზე ადრე ხელმეორედ ქმარს გაყვეს. სულწაუსულს ქალს მეზობლები დასძრახავენ, თითოთი საჩვენებელი ხდება მათ თვალში, მათს გაკილვას თავს ვერ დააღწევს. მაგრამ იგივე მეზობლები ისე შეკაცრად არ ეპყრობიან ქვრივ მამაკაცს, რომელნიც ცდილობენ „კერაზე ცეცხლი არ ჩააქროს“ („კერაის დაჩხირი ვევიოშქირიტას“), ე. ი., მალე მოიყვანონ „ფეხი“ პირველის ცოლისა, რომელიც მეგრელებს კერაზე მთავარ შემნახველად მიანიათ ცეცხლისა, რაიცა უღრის მთელის ოჯახის არსებობას.

შაგების ტარება არ შეიძლება ყვავილისაგან ან ჟინის² (ზეციერის) წყრომისაგან გარდაცვალებულთათვის იმავე საფუძვლით, რა საფუძველითაც არ შეიძლება მათი დატირება (იხ. ზემოთ).

როცა შაგების ტარების ვადა გაივლის, მიცვალებულის მშობლები ცდილობენ მის მაგიერად აიყვანონ სხვა, ვინც როგორც ასაკითა და სქესით, ისე თავის ფიზიკური და სულიერი თვისებით ყველაზე მეტად მოაგონებს გარდაცვლილ პიროვნებას, ყველაზე მეტად დაუყენებს თვალწინ მის სახეს. იმას, ვინც

¹ შუშის ჭურჭლის ხმარება ამ შემთხვევაში ფუფუნებად ითვლება. ეს ადვილად ასახსნილია, რადგან იმ დროს ჭიქა არ იწოვებოდა და ზირკას ხმარობდნენ მის მაგიერ.

² „ჟინი“ პირდაპირ ნიშნავს—რაც ზევით არის, რაც გადმომდგარა მალლიდან, რაც ზევიდან გადმოგვეუბრებს, ანუ ზეციერი. სალოცავადა აქვთ ეწინი სამურხაყანოში და მის მსახურზე სამეგრელოს ადგილებში.

თვალში მოუვა გარდაცვლილის მშობელს, შუაკაცს გაუზავნიან და სთხოვენ „მოკრიჭონ“ თმა, რომელსაც ის ატარებს გარდაცვლილ შვილზე („ომორგულე თომაშ მოკუყოთინაფა“) ¹. იმას, ვისაც მიჰმართავენ შვილის დამკარგავი მამა, ასეთი თხოვნის მნიშვნელობა სავსებით ესმის: იმან მიცვალებულის შვილის მაგიერობა უნდა გაუწიოს, და, რა თქმა უნდა, აცხადებს მისადმი მიმართულ თხოვნის აღსრულებისათვის მზადყოფნას, მაგრამ მაინც თავმდაბლობას იჩენს და განუცხადებს—ვაი თუ ვერ შევძლო გავგიმართლოთ იმედებო...

დანიშნავენ „თმის მოგდების“ ანუ ახალგაზრდა კაცის შვილდაყვანის წესის შესასრულებლად დღეს. მომავალი შვილი დანიშნულ დღეს, თავის „მომავალ“ მშობლებისა და ნათესავებისა და აგრეთვე ამ შემთხვევისა გამო მოწვეულ რამდენიმე მეზობლის თანადასწრებით, თავის მომავალ მამას დიდის ამბით სამჯერ მოკრეჭავს მაკრატელთა თაყვით თმას და სამჯერვე დაატანს: „მე—შვილი, შენ—მამა“. ამის შემდეგ მამის თავზე დარჩენილ თმას ვინმე შინაური გადაკრეჭავს. ამ თმის მოკრეჭის შემდეგ თავდება გლოვა მიცვალებულისა და მისთვის შაგების ტარება. ამ წუთიდან ახალგაზრდა კაცი, ვინც თმა მოკრიჭა („თომა გამკუყოთუ“) მამას, მისთვის იქნება „სქუაფილი“ ² ანუ შვილად მოკიდებული. მოკრეჭილ თმას თან გაატანენ მივლს გლოვასა და მწუხარებას, რაც განიცადეს შვილის დაკარგვისა გამო.

შაგების ტარების დროს გათავებისა, დანაკარგის ანაზღაურებისა და „გადაცვალებულ შვილის პოვნის“ გამო გამართავენ პურობასა, რომელზედაც მამასა და ნაშვილვეს მოულოცავენ მშობლიურის კავშირით დაკავშირებას, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, არ ივიწყებენ მიცვალებულსაც, რომლის შესანდობრად და სულის საცხოვნებლად ღვინით სავსე ჭიქას პურზე (ან მჭადზე) თავს წაუქცევენ.

შვილდაყვანილი პირველ ღამეს თავის ახალ მშობლებთან ატარებს. ახალშობილი მშობლები მიცვალებულის ნაჭონ რასმე ნივთს აჩუქებენ: სატე-ვარს, ქამარს ან სხვ. რასმე. ნაშვილვემა ეს ნივთი უნდა ზედ ატაროს, რომ მშობლებს უფრო შესახებად აღუდგინოს მახსოვრებაში გარდაცვალებული შვილის სახე და რომ, ასრე ესთქვათ, სრული ილუზია იქმნეს მიღებული. ამის შემდეგ ნაშვილვეი თავის მხრივ თავის „მშობლებს“ დროდადრო საჩუქრებს მოუტანს, ხშირად რჩება მათთან ღამით, სადილ-ვანშმად, ემხარება საოჯახო საქმეებში და საზოგადოდ თავი ისე უჭირავს, როგორც ნამდილ, სრულუფლებიან წევრს ოჯახისას.

შვილდაკარგულ დედის მიერ ვისიმე შვილდაყვანა სწარმოებს ისეთი აქტის საშუალებით, რომელიც მოგვაგონებს სურათს დედის ცხოვრებიდან,

¹ შაგების ტარების გათავებას მეგრულად ჰქვია: „უჩაშ დორღეფა“ (შავის დაყრა). შაგების ტარების შემდეგ ჩვეულებრივ (სამხიარულო) ტანისამოსზე გადასვლისათვის ერთგვარი თანდათანობაა შემოღებული: შაგების „დაყარის“ შემდეგ იცვამენ (ქალები) ჩითის თეთრ წინწყლებიან ან ზოლიან კაბას. ამის გაცევის შემდეგ, ასე ნაშვარ წელს უკან, იცვამენ წინინდა სამხიარულო ფერის სამოსელს.

² სქუაფილი შემოკლებული „სქუაფუაფილი“-ა, რაც ქართულად ნიშნავს: შვილად ფიცხებული ანუ შვილობის ფიცხიკებული.

როცა ის თავის ძუძუთა ბავშვს ძუძუს აწოვებს. დედა გულს გადილევა და შვილად ასაყვანმა ძუძუს ორივე თავს („ძუძუსა კიბირის გედგუმა“) „კბილები უნდა დაადგას“, ვითომ ძუძუმწოვარა ბავშვია და შეჰფიცოს სამჯერ: „შენ—დედა, მე—შვილი“. ამ სიტყვებით ეფიცება: მისი ერთგული, ალალი შვილი იყოს. ახალგაზრდა კაცი გადაიქცევა „სქუა (ფუ) ჩაფილად“ ანუ შვილნაფიცად, ხოლო დედა—„დიდა (ფუ) ჩაფილად“ ანუ დედანაფიცად. ასეთი აქტი შვილნაფიცობისა შეიძლება იმის გარეშეც მოხდეს, როცა დედა გარდაცვალებულს შვილსა ჰგლოვობს და ეძებს მის სამაგიეროს. ასე, მაგალითად, როცა ეძიებენ ვისსამე მფარველობას გინა წყალობას (უმეტეს წილად ძლიერი მტრისას), საქმარისია წყალობა-მფარველობის მაძიებელს ნება დართონ, ძუძუზე „კბილი დაადგას“, ვისგანაც წყალობას მოელიან იმის ცოლს ან დედას, უკიდურეს შემთხვევაში, დედათა სქესის რომელსამე ნათესავს; როცა ამის ნებას მისცემენ, ის გადაიქცევა შვილნაფიცად, ამ ოჯახის სრულუფლებიან წევრად.

ამგვარად, ამ ჩვეულების წყალობით, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული, ვისაც მამა მოუკვდება, ან დედა ან ვინმე ნათესავთაგანი, შეუძლია დაკარგულის მავიერ სხვა მოიკიდოს ისეთი, რომელიც დაკმაყოფილებს ამ შემთხვევაში მისადმი წამოყენებულ მოთხოვნილებას. ეს ჩვეულება ნათესავების მოკიდებისა მეგრელთა შორის ძალიანაა გავრცელებული და მათს ცხოვრებასა და ურთიერთობაში დიდ როლსა თამაშობს.

—:—

შავების ტარებასთან ერთად მეგრელის მთავარი ყურადღება მიქცეულია იმისათვის, რომ „ემსახუროს“ გარდაცვალებულის სულს, გაუქეთოს „საკურთხები“ (ტაბლები), რომელიც ერთგვარი საჭმელია საიქიოს სულისათვის. ამასთანავე, მღვდელს შეუკვეთავენ ორმოცი დღის განმავლობაში წირვას და საწირავად აძლევენ მიცვალებულის ცხენს ან მის ნაჭონ რაიმე ძვირფას ნივთს. ვერცხლის ქამარს, სატევარს, ხმალს, თოფს და სხვ.

მეორმოცე დღეს ვისიმე გარდაცვალების შემდეგ მოაწყობდნენ „გეგვილათას“, რაც ქართულად ნიშნავს „ზედ დაკვლას“. „ზედ დაკვლავდნენ“ მიცვალებულს ხარს (ერთს ან რამდენიმეს), ცხვარს (ან ცხვრებს) და სხვ. მეგრელსა სწამს, რომ რაც უფრო მეტს საქონელს „დააკლავენ ზედ“¹ მიცვალებულს, მით უფრო ელხინება მიცვალებულის სულს, რომელიც მოუთმენლად ელის ამ საქონლის დახოცვას საიქიოში შვება-ლხენის მოსაპოებლად. ამ ზედ დაკვლაზე, მოიწვევენ მეზობლებს ყველას. მავრამ სანამ სუფრას მოუსხდებოდნენ, ნიშანზე ხელმოკრედ და უკანასკნელად იტირებენ მიცვალებულს. ნიშანზე სტირიან ის ნათესავეები და ნაცნობები, რომელნიც პირველ ტირილს ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაესწრებიან.

ძველად ასეთ „ზედ დაკვლაზე“, რომელსაც აწყობდნენ დიდკაცების პატრისაცემლად, თვითონ სამეგრელოს მთავარი ესწრებოდა. ასეთ შემთხვევისა-

¹ როცა მეგრელს საქონელი გააჯავრებს და ეურჩება, საქონლის დაწყველის ერთგვარი ფორმულა ასეთია: აი, შე შენის პატრონის ზედდასაკლავო, ე. წ. სასიკვდილო!

თვის, რათა დიდის ამბითა და ზეიმით ჩაეტარებინათ „ხედ დაკლა“, აკეთებდნენ რამდენსამე სეფას; ერთს სეფაში გაშლიდნენ მიცვალებულის ნიშანს, მეორეში დაუყენებდნენ მის უნაგრიან ცხენს, მესამეში მისი სანადირო ძაღლები ეჭირათ ხელში, უკანასკნელში—მისი სანადირო ქორები და მიმინოები. ტირილის წინ შიშვლდებოდნენ წელს ზემოთ, ფეხებზე საცმელს იმრობდნენ—სწორედ ისე, როგორც პირველ ტირილის დროს, და მისი კუთვნილი საგნების საშუალებით, რომელნიც ობლად იყვნენ დარჩენილნი („ომბოლოადოსქილადირი“), მიუტირებდნენ მის ლანდს, იჭვე უჩინრად დამსწრეს.

ამ დღისათვის საკურთხად აკეთებენ ყოველსავე, რაც სანუკვარი გამოუგონია მეგრულს საკულნარო ხელოვნებას და განსაკუთრებით რაც ეამებოდა მიცვალებულს, ცოცხალი რომ ყოფილიყო: შამფურზე შემწვარი ქათამი საწყებოთს, გულ-ღვიძი დაკლული საქონლისა, შამფურზე შემწვარი გოჭი, ხაჭაპური, სულგუნები, მაწონი; სუფრაზედვე დევს თუთუნით სავსე ქისა, აბელი და ტალ-კვეისი—თუ მიცვალებული თუთუნის მწვეელი იყო. ხოლო თუ საკურთხი ახლადგარდაცვლელულ ძუძუმწოვარა ბავშვისათვის იყო — საჭმელს მიემატება ერთი ჭიქა რძე, რძის ფაფა, ტკბილეულობა, სათამაშოები, მძივი, ყვავილები... მღვდელი სუფრას აკურთხებს და ქოთნის ნატეხზე, საცა ნაკვერცხალი ყრია, საკმევლს დაადგებს; შემდეგ ხორცს მოსჭრის, პურს მოსტეხავს, ღვინით სავსე ჭიქით თავს წაუქცევს პურის ნატეხზე და მიცვალებულს შენდობას და ცხოვნებას შეუთვლის¹. ამავე დროს სუფრაზე დასვამენ მტრედს ისე, რომ იქიდან გარეთ გაფრენა შეეძლოს. ამ შემთხვევაში მტრედი სიმბოლოა მიცვალებულის სულისა, რომელიც ამ სადილის მოლოდინში სააქაოში იყო და მხოლოდ ამ „ხედდაკლის“ გამართვის შემდეგ გამოფრინდება სახლიდან ზეცაში, სულეთში გასამგზავრებლად². მღვდლის მსგავსად დამსწრენი ნაკვერცხალზე დაადგებენ თითო მარცვალ საქმევლს, მიცვალებულს ცხოვნებას შეუთვლიან და სუფრას მოუსხდებიან.

საკურთხის კურთხევის შემდეგ იწყება ცერემონია „პირის გახსნილებისა“ („პიჯიშ ვარსნიება“). პირის გახსნილება პირდაპირა ნიშნავს: შეკრულის პირის გახსნას, გაღებას. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ვინც ახლა უნდა „გაიხსნას პირი“, აქამდე პირი შეკრული ჰქონდა ხორცეულის ჭამისათვის, ხორცეულს არ იკარებდა, მარხულობდა³ (პირს იმარხავდა ხორცეულის ჭამისაგან, პირში არ უშვებდა ხორცეულს). ზემოთ ნათქვამი იყო, რომ მიცვალებულს

¹ შესანდობარსა სვამენ იმისთვის, რომ უსურვევენ საიქოაში ეპატიოს, თუ რომ დანაშაული მიუღდეს ვისთანმე, რომ ცხოვნდეს. ამ პურის ნატეხს, ღვინო დასხმულს, მერე არაგინ მიეკარება,—მკვდრის კერძად ითვლება. მიცვალებულს ცხოვნებას უთვლიან ყოველთვის, როცა ღვინის სმაა და სადღეგრძელებს ამბობენ ხოლმე. როცა ცოცხლებს ადღეგრძელებენ, უეჭველად მიცვალებულს ცხოვნება უნდა შეუთვალონ. ჩვეულებრივ, სადილად, თუ მიცვალებულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უეჭველად ცხოვნებას შეუთვლიან.

² თუ მტრედი, სანამ სახლიდან გამოფრინდებოდავს, კერასთან დაჯდა და გარშემო დაიწყო ცქერა, თითქო ყოყმანობს, გაფრინდეს თუ არაო, იმის ნიშანია, რომ მიცვალებულის სულს „გაფრენა არ უნდაო“, ენანება თავისიანების სახლის მიტოვებოა...

³ მარხვა მეგრულად არის პიჯანი („პიჯიშ ჩუალა“), ე. ი. პირის დამარხვა, დაცვა (სახსნილოსაგან).

ბულს მშობლები, განსაკუთრებით ქალები, როგორც ყველაზე მეტად ერთგული დამცველები ძველის ტრადიციებისა, ვისიმე ვარდაცვალების შემდეგ ამათი მხნის განმავლობაში, ყოველსავე შემთხვევაში პირველ ორმოც დღეს, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ, ე. ი. სანამ მისი სული ჯერ კიდევ ნათესავებს შორის ტრიალებს, „სახსნილოს“ ანუ ხორციელს არ მიეკარებიან. მეორმოცე დღეს კი, სულის „წასვლის“ შემდეგ, მარხულობა უნდა გათავდეს და მომარხულებს ჩვეულება ნებას აძლევს „პირი გაიხსნას“ ანუ ხორცის ჭამა განაახლოს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამ ნებართვისა, მშობლები თვითონ „კბილს არ დაადგამენ“ ხორციელს და ამით სხვებს აჩვენებენ, რომ სურვილი აქვთ განაგრძონ მარხულობა, იშიმშილონ, რომ ამით „ულხინონ“ მიცვალებულის სულს. რომ მომარხულებს ჯიუტობაზე ხელი ააღებინონ. საქმეში ჯერ მღვდელი ჩაერევა, შემდეგ მეზობლები და მახლობლები, არწმუნებენ: კმარა ამდენი მარხულობა, თავს ნუ იკლავთო, მიცვალებულის სული მოხარულია თქვენი ერთგულებითა და ზრუნვით და თქვენს მიერ კიდევ გაგრძელება მარხულობისა მხოლოდ შეაწყობენ და მარხულებს, იმას სულს ნუ დაუმძიმებთო. ბოლოს, როცა დარიგებით ვერას გააწყობენ და მომარხულენი თავის ხელით არ ჩაიღებენ ხორცს პირში, მეზობლები ძალათი ჩაუდებენ პირში ხორცის ნაჭერს და ამის შემდეგ პირი ხორციელობისათვის ხსნილად ითვლება. ამის შემდეგ ყველანი სუფრას მოუსხდებიან. ამორჩევენ თამადას, რომელიც პირველად „ცხონებას“ შეუთვლის მიცვალებულს. აი ის სიტყვები, რომლითაც ჯერ თამადა და მერე სხვები მიმართავენ ოჯახის უფროსს: „ღმერთმა აცხონოს ანუ „ოჩხონუნას“¹ და ულხინოს შენს მიცვალებულს და შენ დიდხანს არ მოგშალოს“² („გამოლარასას“), ე. ი. დიდხანს გაცოცხლოს, არ მოგკლას, რომ არ დაგავიწყდეს მისი სული და ხშირად იგონებდე ხოლმე (იგულისხმე: „საკურთხი გაუყეთო ხოლმე“).

მეორმოცე დღემდე ყველას ევალება მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ტაბაკზე ღომს რომ დააგებენ, მიცვალებულისთვის ცალკე დაავონ ხოლმე იგივე ღომი. იგულისხმება, რომ მიცვალებულის სული იღუმლად მოდის და შეეპყევა თავის კერძსაო.

მეორმოცე დღის შემდეგ ყველა ცდილობს მიცვალებულს, რაც შეიძლება, ხშირად უკეთოს. საკურთხი მის სულის მოსახსენებლად, ხსნილში—სახსნილო. საკმეღებისაგან შემდგარი, ხოლო მარხვაში—სამარხო, თავდაკარულ საქმელე-

¹ საინტერესოა ეტიმოლოგია სიტყვისა ცხონება ანუ მგერული ჩხონაფა-სი. მისი ძირი კართულად ცხ, ხოლო მგერულად ჩხ. აქედან წარმოებული სიტყვები: ჩხე—ცხელი, დაჩხირი—ცეცხლი, ანუ რაც იწვის, რაც სიცოცხლისათვის საჭიროა, ჩხურუ—უცხელო—სიცივე, ჩხანა—რაც ათბობს—მზე, ჩხონაფა—თბილად ყოფნა ანუ არსებობა, ცხოვრება, ცხოვნება. აი ამ ჩხონაფა-ს ან საიტიოში სულის მიერ ცხოვრების განგრძობას უსურვებენ მგერელები თავიანთს მიცვალებულებს.

² ახსნა სიტყვისა არ მოგშალოს, მგერულად—გამოლარასას იხილე ზემოთ, სადაც ლაპარაკია მგერელთა სასტრატოლოგიო მითოლოგიის შესახებ. ამ სიტყვით მიმართავენ ხოლმე მგერელები ერთმანეთს, როცა უნდათ დიდი ხნის სიცოცხლე უსურვონ: „სქანი დუდი გამოილასას“ (შენი თავი ნუ მომიშალოს) ე. ი. შენი თავი ნუ წამეშლება ზეცაში, დიდხანს გაცოცხლოს ჩემს ლხენად და ნუგეშადო.

ზისაგან (კორკოტი); საქმელებში ეს განსხვავება საცემბით ეთანხმება სულემის ცხოვრებას სულეთში, რადგან, მეგრელის აზრით, იმ ქვეყანაშიაც გასავალი აქვს მარხულობის წესსა. ხშირად საკურთხის კეთება, რა თქმა უნდა, მარტო ქირისუფლის გულმოდგინებაზე არ არის დამოკიდებული, საკითხავია, თუ ქონება რამდენად აძლევს ამის ნებას. ანდაზაც კი აქვთ მეგრელებს ამის შესახებ: „ნდიდარქ ჯვეშ ლურემეს გუკეთე საკურთხი ღო ღარის მუმაშოთ ვაკეთინუა“ (შეძლებულმა ძველ მიცვალებულებს გაუკეთა საკურთხი და ღარიბმა თავისი (გარდაცვლილ) მამასაც ვერ გაუკეთაო).

ის სულემი; ვისაც ქირისუფლები თავთავის დროზე არ უკეთებენ საკურთხის, შიმშილით გატანჯულები, თავისიანებს სიზმარში გამოეცხადებიან ზოლმე. გამხდრები, შიმშილისაგან გვერდებჩაცვიწლები, და საყვედურით ავსებენ, ემუდარებიან: მიხედეთ თქვენს ღმერთს, ნუ გვაშიშობთ, საკურთხი ხშირ-ხშირად გაგვიკეთეთო! სულეთში საუკუნო შიმშილობა ხედვებით წილობ იმ მიცვალებულთ, რომელთაც „სააქაოში“ არაფერ დარჩენია ისეთი, რომ საკურთხებისათვის იზრუნოს. ასეთ ობოლ, უპატრონო სულემს ზოგჯერ გულკეთილი მეზობლები და შორეული ნათესავები უკეთებენ საკურთხის.

აღდგომის მეორე დღისათვის მეგრელებს „შურეფი“ (სულემი) ან სულემის უქმე უქვიათ და ეს დღე საგანგებოდ შეწირულია როგორც დიდი ხნის, ისე ახლადგარდაცვალებულ სულემის მოხსენებისათვის. ამ დღეს სასაფლაოზე ყოველ საფლავზე უნდა ვხედავდეთ საკურთხის ამ დღისათვის მოსულთა და უჩინრად. თავიანთ სულავებზე დამდგარ და საკურთხების მომლოდინე სულთათვის. მღვდელი აკურთხებს სათითაოდ საკურთხის, მერე ნახევარი თვითონ მიაქვს, და მეორე ნახევარი რჩება საკურთხის მომტანს.

საკურთხების ეს ნახევრები პატრონებს აქედან მიაქვთ და სასაფლაოზედვე ხეების ჩრდილში სახელდახლო სადილსა მართავენ. სვამენ სულემის საცხოვრებლად, მღერაინ, ქეიფს ეწევიან, როგორც აღამაინები, რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ აღასრულეს თავიანთი წმინდა მოვალეობა. მოხსენის დროს ერთი ჯგუფი მეორეს „მოსაკითხს“ უგზავნის: ხორცის საუკეთესო ნაჭრებს, ღვინოს და სხვ. მოსაკითხის გადამცემი ლოცავს და საუკუნო ნეტარებას უსურვებს იმათ მიცვალებულს, ვისთანაც მოსაკითხი მიაქვს. მეორე ჯგუფიც ცდილობს პირველს არ ჩამორჩეს, თუ უკეთესი არა, იმნაირი მოსაკითხი მაინც გაუგზავნოს და სააღერსო სიტყვები შეუთვალოს მიცვალებულისათვის და სხვ. თავში ღვინო შემჯდარი სოფლები სადილს ათავებენ ცეკვით, ბურთის თამაშით და ცხენის ჯირითით, სანამ ღამის სიბნელე იქით-აქვით არ გაყრიდეს ყველას.

გარეშე ამ წესებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიცვალებულთა ხსოვნა და თაყვანისცემა წმინდად არის დაცული მეგრელებში და საერთოდ გარდაცვლილთა სულემის კულტს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან. მიცვალებულთა სულემი ყოვლადის მოწიწებით მოიხსენება ზოლმე, მათ სახელებს უმატებენ სააღერსო ხასიათის სხვადასხვა ეპიტეთებს. შიში, რომელიც ამ შემთხვევაში მეგრელს ჩაჭრილი აქვს მიცვალებულთა სულისაგან, მის წარმოდგენაში მთელ მის არსებზედაა გამეფებული. იგი დარწმუნებულია, რომ მარ-

ტოოდენ ხსენება მიცვალებულის სახელისა ან სიკვდილისა საქმაოა, რომ ამით ნიშანი მიეცეს სიკვდილის მოსასვლელად და მის მხსენებელის სულის წასაყვანად. ამიტომ ერთიცა და მეორეცა (სული და სიკვდილი) ლაპარაკში პერფრაზებით უნდა შეიცვალოს, ერთი სიტყვის მაგიერ რამდენიმე სიტყვა უნდა იქმნეს ხმარებული მის გამოსახატავად. ასე, მაგ., სახელი, რომელიც ერქვა მიცვალებულს, შეიცვლება სიტყვებით, რომლებიც გამოხატავენ თვით სიკვდილის აქტს: „ჩქიმი მაჭული“ (ჩემი დამწველი) ე. ი. ვინც მე ცეცხლი მომიკიდა (იგულისხმება: თავის სიკვდილით), ან „უხანო“ (ხანმოკლე, უდროვოდ მკვდარი), „უხვაშპარე“ (უბედური, ვისაც შუბლზე არ ეწერა დიდის ხნის სიცოცხლე)- უკიდურეს შემთხვევაში, როცა წამოსცდებთ სიტყვა „სიკვდილი“, შექველად დაუმატებენ მის ეპიტეთს: „ღურუ თოლწკუტილი“ (სიკვდილი თვალდახუჭული); ან „ღურუს თოლქ დურდითუ“ (სიკვდილს თვალი დაუდგეს ისე, რომ არ შეეძლოს მოსლა და ხალხის წაყვანა). ლაპარაკში, როცა სიკვდილზე ჩამოვარდება სიტყვა, ცდილობენ მალე გადავიდნენ სხვა თემაზე. თუ ამ დროს ვისმე ცხვირი დააცემინა, მის გვერდით მჯდომარემ მაშინათვე სამჯერ უნდა დაარტყას ზურგზე მუშტი და დატანოს: „მის მოსვლამდე თავი არ გტკენოდეს“. ამ ჩვეულების ახსნა ასეთი უნდა იყოს: უმეტესი წილი ავადმყოფობათა (განსაკუთრებით გაცხებებით) იწყება ცხვირის დაცემინებით; ამ შემთხვევაში მიცვალებულის ან სიკვდილის ხსენებაზე, რომელიც ამათუიმ ავადმყოფობებს, ჩნდება ავადმყოფობა, შედის ცხვირის დამცემინების სხეულში, მაგრამ მუშტის ცემითა და მუჭარით ის დროითვე გამოძევებული იქნება სხეულიდან. მოხდება ხოლმე, რომ ვისმე ეკითხებით მის ავადმყოფ ნათესავის ამბავს, რომელიც თურმე დიდი ხანია გარდაცვლილა, მაშინ თქვენი მოსაზრებე გიბასუბებთ: „თქვენი ჰირი წაილო“ („თქვენი ჰირი მიდელუ“), ე. ი. თქვენს მაგიერ მოკვდა (ამის შესახებ იხ. ზემორე, საცა ლაპარაკია ავადმყოფის სამკურნალო საშუალებებზე). როცა დედას უნდა აღნიშნოს მსგავსება თავის შვილისა მის მიცვალებულ მამასთან, უკანასკნელის სახელს არ ახსენებს, მხოლოდ იტყვის: „სულ ჩემ უანაწეროსა ჰვავს, მისი ხანი მიემატოს“...

როგორც მიცვალებული, ისე მისი საფლავი და საზოგადოდ სასაფლაო მეგრელს უზომოდ აშინებს. ხოლო ეს შიში წარმოსდგება იქიდან, რომ მეგრელსა სწამს, რომ მიცვალებული—ბოროტი არსებაა და თუ კი ვინმე გაიმართავა, უტყველად ცუდს რასმე შეამთხვევს. განსაკუთრებით საშიშოა სასაფლაოზე მისვლა ღამით, ან თუნდ შორი-ახლო გავლა მისკენ, მეგრელი უმალ სიცოცხლეს გასწირავს, ვინემ გაბედავდეს ღამე სადარბაზოდ ეწვიოს სასაფლაოს უტყვე მცხოვრებთ.

მიცვალებულთა სულები და მათი საფლავები მეგრელთათვის საფიცია: „დედის სული მე“ (დიდაში შურიმა) წიშნავს: გფიცავ დედის სულს; გფიცავ დედის ძვლებს ან დედის კუბოს ფიცარს. ამ საფიცარ სიტყვების წარმომიქმელები თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის მიცემული ფიცის შეასრულოს, ტყუილი არა სთქვას. დიდ დანაშაულად ითვლება ტყუილად დაიფიცოს კაცმა თავის მიცვალებულთა სულზე; თავიანთი მიცვალებულების საფლავების მკრებელობა მიცვალებულთა ნათესავების მიერ სასტიკად ისჯება, მკრებელთ სდევნიან რო-

გორც საშინელი ბოროტების ჩამდენ ავაზაკებს და თავიანთ მიცვალებულთა შიგინებულ სახელის აღსადგენად სიცოცხლეც კი არ ეშურებათ.

მიცვალებულთა ნათესავებს ძალიანა აქვთ განვითარებული ცნობისმოყვარეობა—გაიგონ საიდუმლოება განსვენებულთა სულემის ყოფა-ცხოვრებისა, გაიგონ—რა ღლეში არიან. ამ ცნობისმოყვარეობას უმთავრესად იკმაყოფილებენ სიზმრებით. შემდეგი ნიშანი პირდაპირი მაჩვენებელია იმ ნეტარებისა, რომელშიაც იმყოფება მიცვალებულის სული საიქიოში, მაგ., ზოგჯერ ახლადღამარხულ მიცვალებულის საფლავზე ჩნდება ნათლის სვეტის სახით ფოსფორული ემანაცია, რომლისააყვის მეგრელებს ნათელი უჭვიათ. ამ შემთხვევაში მეგრელს უხარის, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი მიცვალებულის სულს აქ „ნათელი დასდგომია“, მაშასადამე „იქ“ („საიქიოში“) დალხინებულია და კარგ ღლეზიარ.

სახალხო ექიმობაში მკვდრების ძვალს სამკურნალო თვისებას მიაკუთვნებდნენ ხოლმე: ვისაც ხელი უოფლიანდებოდა, საკმარისია ხელი მოჰკიდოს მკვდრის ძვალს, რომ საცხებით განიკურნოს სენისაგან. ძვლებსავე აქვთ მოჯადოების თვისება. ამას მიმართავენ ქურდები, რომ უფრო ადვილად მიითვისონ მოყვასის საკუთრება. ამისთვის კაცის ძელით მიწაზე გარშემო წრეს შემოავლებენ იმ სახლს, სადაც უნდათ შეპარვა საქურდლად. ყველა ცოცხალ არსებას, რაც ამ მოჯადოებული წრის შიგნით მოექცევა, გულის ძილით დაეძინება და ამ ძილის დროს ქურდებს სახლიდან გამოაქვთ, რაც კი მოეწონებათ.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ თ ა : ს ი ა

1. არაბული აბიჯა, 60 წ., ს. როშკა
2. არაბული თათარა, 55 წ., ს. ბარისახო.
3. არაბული ნათულა, 75 წ., ს. მაწმაო
4. არაბული სურხანაური, 60 წ., ს. მაწმაო.
5. არაბული შინშია, 60 წ., ს. როშკა
6. არაბული ხთისო, 57 წ., ს. ბარისახო
7. ბალიური თუთი, 47 წ., ს. ახიელი
8. ბალიური ლეილა, 60 წ., ს. ახიელი
9. ბალიური მზია, 23 წ., ს. ახიელი
10. ბალიური ნათელა, 40 წ., ს. ახიელი
11. გიგაური სანდუა, 60 წ., ს. ბლო
12. ლიქოკელი დათვია, 56 წ., ს. ქობულო.
13. ლიქოკელი გიორგი, 55 წ., ს. აქე
14. ოჩიაური აღეკა, 100 წ., ს. ახიელი
15. ოჩიაური ბერდედა, 50 წ., -ს. ახიელი
16. ოჩიაური თარუა, 80 წ., ს. ახიელი
17. ოჩიაური მიხა, 51 წ., ს. ახიელი
18. ქერაული ბაბაღე, 25 წ., ს. უკენახადუ
19. შუშანაშვილი ბერიძე, 82 წ., ს. შუაფხო.
20. წიკლაური აშექალა, 25 წ., ს. როშკა
21. წიკლაური ბერდია, 70 წ., ს. როშკა
22. წიკლაური გაგა, 78 წ., ს. ამლა
23. წიკლაური დედაქალა, 20 წ., ს. როშკა
24. წიკლაური ლელა, 65 წ., ს. დათვისი
25. წიკლაური მარიამი, 18 წ., ს. როშკა
26. წიკლაური სამძიმარი, 63 წ., ს. დათვისი.
27. კინქარაული გიგია, 55 წ., ს. ბარისახო.
28. კინქარაული მამუქა, 60 წ., ს. ბარისახო.
29. კინქარაული მგელა, 47 წ., ს. შატილი
30. ჯაბუშანური გიორგი, 60 წ., ს. ახიელი.
31. ჯაბუშანური ლუქა, 55 წ., ს. ახიელი.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

- აბაზი—162
 აბაი—106
 აბედი—56, 57, 178 183
 აბედით ხელის დაწვა—56
 აბიკა—81, 94, 135
 აბრამი—81, 85
 აბრაშუმის საბელი—101
 „აბრაშუნი“—112
 „აბრაშუნის ფეცვი“—77
 აბუღელთა—103
 აბჯარი—4, 120, 122, 153
 ადადა—93
 ადამიანი—11, 50, 161
 ადგილის გამოცვლა—5
 ადიონანი—111, 147
 ადუაის ქალი—93
 ავადმყოფი—3, 4, 17, 33, 41, 67, 142, 165, 166, 167
 ავადმყოფობა—50, 162, 186
 ავახაი—163, 187
 ავგაროზი—165
 ავდარი—118
 ავ-ზიანი—82
 ავი—8, 82
 ავი გული—45
 ავი თვალი—26
 ავი სული—51, 53
 ავშარა—77
 „ავირ“—75
 ათათა ბიჭი—104
 „აკავანი“—128
 აკავანი—42, 178
 აკუშო—94, 111, 130, 147
 აკუშოს ღლეუ—95
 ალალი—12, 43, 44
 ალალი შვილი—182
 ალაში—170
 ალანი—83
 ალაო—20
 ალაღებელი—104
 ალექა თიაური—139, 141, 144
 „ალთბის მიცემა“—164
 ამაგი—12
 ამანათი—110, 124, 147
 ამანათობა—124, 173
 ამოღ მორწმუნე—59
 ამაყი—146, 147
 „ამბოკვარნი“—181
 „ამინ“—24, 44, 164
 „ამპარტიონი“—85
 ამხანაგი—34, 36 57, 78, 96, 137, 139, 140, 167
 ამლა—110, 111, 121, 145, 148, 152, 154 155
 ამლეღი—149
 ანაბრიე—57
 ანგელოზი—43, 81, 82, 83, 85, 86
 ანდაბ-ანდაბად—58
 ანდაბი—11, 45, 57, 58, 106
 ანდაზა—174, 185
 ანდერძი—179
 აპარეკა—95, 136, 139
 არაბული—81, 139
 არამი—126
 არბორიკოლტური—162
 არდოტი—94
 არაყი—8, 14, 21, 24, 27, 30, 33, 34, 35, 37, 38, 39, 42, 43, 45, 46, 48, 49, 53, 54, 68, 69, 70, 73, 78, 98, 144, 178
 არაყი და ტაბლა—31
 არაყით შინ მისვლა—76
 არზიმნი—84
 არიარე—110, 115
 არიშკინი—103
 არმისი—84
 არსილნი—84
 არყი—74
 არყის ძირი—102
 „არჩევები“—114
 არწივი—38, 93
 „არწივის მაღალი“—154

- „არხეტი“—75
 არხოტი—5, 35, 36, 125, 147, 148
 არხოტიგენები—121, 145, 154
 არხოტიონი—75, 96, 110, 137, 147
 არხოტის გადასავალი—147
 არხოტის თემი—4, 13, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 56
 არხოტის ქალა—122, 149
 ასაკი—162, 180
 ასო-ასო—173
 ატირდომილი—86
 ატლასი—97
 აუგი—180
 აფხაზი—170
 აფხუშოს ძირი—101
 აღდგომა—185
 აღიერის ტარი—77
 აღმოსავლეთი—178
 ალო—44
 „აშალი“—41
 აშალუა—122
 აშექალი—143
 აშექალ წიკლაური—143, 144
 აშტალუა—154
 აშურმანი—95
 აქე—139, 140
 ახალგაზრდა ვაჟი—29
 ახალგაზრდა ქალი—16
 ახალგაზრდა—166
 ახალდაბადებული—49
 ახალხალი—96, 106, 107, 122
 ახალი მიცვალებული—19
 ახალუხი—171
 ახალწულ დილა—46
 ახალწელი—170
 „ახალწლის სული“—170
 „აკვსების შაბათი“—47
 ახილეელი—117
 ახიელი—110, 123, 139, 141, 144, 145, 146, 147, 148, 150, 151, 152, 155, 156, 157
 ახლო ზიდაშვილი—14, 49
 ახლობელი მოკეთე—42
 ახლო ნათესავი—68
 ახუნ გორი—100
 ახუნი—100
 ახუნ სულა—101
 ახურა—95
 აკო—97
 აკოელი—95, 123, 125
 აკოს თავა—95
- ბაბაღე ქერაული—146
 ბაბთა—170
 ბაბუა—107, 113, 119
 ბაბუას შვილი—94
 ბაბუტნი—114
 ბაბუჯურთი—75
 ბაბლია—107, 144
 ბადია—110
 ბადია ბალიაური—147
 ბადია ბალიაურის შვილი—146
 ბადრიანები—129
 ბადურეკა—103
 ბადურეკათ საყურა—103, 141
 ბავშვი—35, 57, 161, 182
 ბავშვის სიკვდილი—53
 ბავშვის ცხედარი—178
 ბათაკათ თორელი—136
 „ბათაკანი“—136
 ბათირა—93, 135
 ბაკანი—26, 35, 47
 ბალანა—104
 ბალანი—19, 59
 ბალთა—95
 ბალიაური—110, 150
 ბალიში—67, 167
 ბალი—144, 153
 ბამბა—12
 ბამბის ლოგინი—110, 146
 ბანი—5, 7, 27, 31, 35, 67, 74, 95, 106, 112, 148
 ბან-კარი—57
 ბარაქა—45, 46, 73, 81
 ბარბაცი—39
 ბარება—52
 ბარება სულისა—83
 ბარზიმნი—82
 ბარი—118, 119
 „ბარისაკვანი“—136
 ბარისახო—82, 83, 84, 136, 138, 139, 146
 ბარისახოს თემი—65, 67
 ბარმისი—84
 ბარტყი—95
 ბარუჭი—110, 146
 ბასილთ თარეშა—114, 150
 ბასილთ ქალი—114, 150
 ბატარა—108
 ბატკანი—14, 19, 162
 ბატონების სული, 178
 ბატონი—124
 „ბაცასად“—97

- ბაძია—155
 ბაწარაულა—93
 „ბაჭიქნი“—37
 ბაჭუთა ახალა—110, 146
 ბაჭყურა—113
 ბაკა—137
 ბეგბერანი—113
 ბეგბერი—100, 139
 ბედი—162
 „ბედის კვერი“—49
 ბედნიერება—165
 ბედნიერი—53, 165
 ბედნიერი თვალები—163
 ბევრათ გიჟა—150
 ბევრათ უბანი—150
 ბევრათ ქალი—150
 ბევრი ბევრეული—82
 ბელთემი—82
 ბერდედა—108, 118, 120, 121, 145, 151
 ბერდედა ოჩიაური 145, 146, 154
 ბერდედა წიკლაური 152
 ბერდეგა—117, 124
 ბერდია—102, 109, 110, 111, 112, 116, 117, 123, 147, 148, 152
 ბერდია ცისკარაული—152, 155
 ბერდია წიკლაური—135
 ბერდიასშვილი—123
 ბერდიშვილი—114, 122, 149, 155
 ბერი—44, 85, 128, 129
 ბერიშვილი—124
 ბერიძე შუშანაშვილი—151, 157.
 ბერიძიშვილი—106
 ბერი ჯიკვის რქანი—94
 „ბერო“—100
 ბერუთა გაგა—105, 142
 ბეჭაური—99
 ბეჭისთავი—114
 ბეჭობი—178
 ბეჩაგობა—6
 ბეწინა—44, 114, 116, 151
 „ბეწვის კიდი“—59, 176
 „ბეწვიშ ხინჯი“—176
 ბეწვია—83, 108
 ბეწვიური—117, 159
 ბეწვითურა—96
 ბეჭედი—10, 16, 148
 ბეჭი—120, 129
 ბილიკი—52
 ბინა—95, 152
 ბისო—97
 ბიჩინა—117,
 ბიჩინაგა—124, 156
 ბიძა—99, 102, 104, 125, 139, 156
 ბიძაშვილი—11, 12, 16, 18, 19, 50, 68, 108, 114, 140, 145, 149, 150
 ბიძაშვილობა—150,
 ბლო—148, 150
 ბლოელი—115, 150
 ბნელეთი—44
 ბნელი—85
 ბნელი ადგილი—6
 ბოთლი—27, 45, 46, 47, 152
 ბოლოკი—172
 ბოროტება—187
 ბოროტი—163|
 ბოროტი არსება—169, 186
 „ბორტი“—114, 149
 ბოსელი—26, 51, 96, 102, 145, 154
 ბოსლის კარი—96
 ბოძალი—163
 ბოჯოლთა—99
 ბრალდებული—56
 ბრალი—163
 ბრინჯი—70
 ბრალის ქვა—13
 ბრტყელი თეთრი ქვა—38
 ბროშა—141
 ბრწყინა—167
 ბუბა—93, 103, 106, 116, 123, 130, 135, 151
 ბუბა არაბული—151, 155
 ბუბია—96, 118, 137, 138
 ბუგუ—137
 ბუდე—121, 169
 „ბუნიკანობა“—115
 ბულთა ქალიშვილი—105
 ბუნება—165
 ბუნებრივი ნაკლი—50
 ბურთის თამაში—185
 ბურნითი—74
 ბურციაშვილი—98
 ბუსკა—102
 ბუხა—95, 127, 130
 ბუჩუკურელი—128, 145,
 ბუჩუკურთა—138
 ბუჩუკური—98, 99, 27, 157.
 ბუწანკარულა—119
 ბაბრელო—82.
 გაგა—107, 142

- გადაბურვა—173
 გადამდები სენი—166
 გადასაბურავი—172
 გადასაფარებელი—173
 „გადატირება“—168
 გადაცემა—163, 164
 გადაცვალეული—174, 182
 გადაცვლილთა სულგების კულტი—185
 გადარჩენილი—122
 გაზაფხული—38, 51
 გაზრდილი—151, 178
 „გაკეთებულ მინანი“—16
 გალილია—84
 გალობა—81
 გალავანი—174
 „გამაატანი ენაი“—39
 გამარჯვება—8
 გამიხარდი—76
 გამიხარდი წიკლაური—75
 გამილენი—6
 „განბილგული“ (შერცხვენილი)—49
 განგრძობა—184
 განმკარგულდებელი—178
 განსვენება—81
 განჩინება—163
 „გაოკრებული“—7, 17, 46
 „გაპოხნენ“—10
 გარდამავალი ცისკარი—149
 გარდაცვალება—48
 გარდაცვლილი—143
 „გარენგარ“—18
 გარეშე გვარი—4, 34
 გარეშე სამუშაო—17
 გარეშე ხალხი—14
 გარეული ფრინველი—174
 გარსიათ ივანე—107, 144
 გარღვეული შავი—169
 გასართობები—19
 გატესგალა—150
 გატესვილი—115
 გაუთხოვარი ქალი—18
 გალიმება—180
 გაჩენა—161
 გაძმობილება—106
 გაჭირებული—163
 გაჭირვება—41, 176
 გახსენება—46
 გაჯავრება—108
 გელდიაური—97, 138
 გეჯურა—116, 151
 გესორე—84
 „გეჟვილაფა“—182
 გელვა—58
 გვამი—51, 168
 გვარეული—34
 გვარი—11, 49, 94, 122, 135, 136 151, 153, 155
 გველეთელი—124
 გველი—109, 112, 121, 128
 გვერდი—118, 120
 გვირგვინი—81, 108
 „გვლევა“ (გლოვა)—17
 გვინი—39, 94, 101, 124, 125, 126 127, 128, 129, 130, 156
 გიგაური—104
 გზა—5, 11, 12, 27, 34, 37, 52, 55, 57, 75, 78, 136, 139, 152
 გზანი და საფლავი—53
 გზის პირი—20
 გიგა—97, 99, 104, 130
 გიგა გიგაური—103, 104, 125, 142
 გიგათ გიგა—142
 გიგაური—93, 99, 130, 152
 გიგია—76, 105, 109 122, 123, 145, 146, 155
 გიგია ნაროხაული—154
 გიგია ნინიას-მე ქინჭარაული—83
 გიგი წიკლაური—155
 გიგი ჯაბუმანური—108, 145
 გილდები—124
 „გინაფორალი“—172, 173
 „გინონგარა“—168
 გიორგი—120, 135, 137
 გიორგი ლიქოკელი—135, 139, 140
 გიორგიობა—96
 გიორკის ხატი—164
 გიორგი ჯაბუმანური—156
 გიორგობისთვე—164
 „გიორგოშინდა“—136
 „გიტა“—114
 გიფი—124
 გირალ—164
 გიჩინანი—119
 გლეხი—82
 გლოვა—81, 180, 181
 გმინი—95
 გოგია—106, 143
 გოგიათ ივანე—106, 143
 გოგიაის შვილი—106
 გოდოლი—174
 გონებანი—82

- გონი—109, 114, 115
 გორა—104
 გორგი—94, 97, 98, 133
 გორისპირი—113
 გორკველის გორი—128
 გოჭი—183
 გრძელი თმა—17
 გრძნობანი—176
 გუგუათ თათია—119
 გუდა—13, 140
 გუდამაკარი—99, 127
 გუდანელი—126
 გუდელა—95, 98, 125, 156
 გული—4, 6, 88, 101, 103, 105, 108, 109, 116,
 131, 137, 143, 145, 163, 168, 170, 171
 გულიანი—44, 47, 54
 გულიანი „კეცელი“—48
 გულიანი სახელსადებები—47
 გულიანი „ბადისკვრები“—23, 27
 გულის ძილი—187
 გულ-მკერდი—168, 171, 174
 გულ-ღვიძლი დაკლული საკონლისა—183
 გულ-ხელის დაკრეფა—166
 გუნდი—170, 172
 გუნება—101
 გურაი—117
 გუროელი—115, 151
 გუშინ წუნჯა—104
 „გძელი სკამი“—52
- ღ** (ღაი)—9, 16, 17, 18, 88, 95, 100, 101, 109,
 117, 118, 120, 124, 131, 136, 137, 138, 139,
 140, 146, 148, 153
 დაბადების დღე—40
 დაბანა—9
 დავარაყილი—111
 დავითი—84, 121
 დავითინი—44
 დავით წიკლაური—148, 154
 „დავლათი“—95
 დახარალებული—164,
 დათა—99
 დათვი—104
 დათვია—114, 128, 129, 150, 157
 დათვია ლიქოკელი—138
 დათვისი—148, 149, 150, 151, 152, 153, 154,
 155, 156, 157
 დათვის ჯვარი—102
 დაკბილული—170
 დაკვრა—9
- „დაკოჭილინი“ (ხატისმინდობილინი)—5
 დაკოჭლება—77
 „დაკრეფა“—4, 5
 „დაკურთხეული“—57, 75, 76, 78
 დალოცვა—70
 დამარხება—48, 52
 დამარხული—170
 დამნაშავე—164, 179
 დამსწრე—35
 დამტკრეული—98, 120
 დამტირებელი—171
 დამტკბარი ფქვილი—21
 დამფასებელი—26
 დამხედური—8
 დამხრვალი—51
 დაბა-სარტყელი—121
 დანი—122
 დანიწნული—108, 144
 დაბირებული საქმრო—99, 139
 დარღნაფელი—166
 „დარიფანი“—67
 დარქიხანათ ჯოფოლა—137
 დასავლეთი—67
 დასაფლავება—9, 11, 20, 69, 168, 175
 დასაფლავების დღე—67
 დასვენებულ-დაწყნარებულნი—7
 დატირება-დასაფლავება—168
 დაუსვენარი—31
 დაუსრულებელი—175
 დაუღვლილი—111
 დაფხაბული—105
 დაქვითინება—5
 დაქვრივებული—172
 დაღონებული—89
 „დაყენებული დოღვი“—27
 დაყბულება—167
 დაშნა—100
 „დარდილული“—118
 დაჩხირი—184
 დაცინვა—154
 „დაწული“—57
 დაწუნებული—89
 დაწყალობება—85
 დაჭრეთილი—83
 დაჭრა—143
 დაჭრილი—10, 49, 141
 „დაძინებული“ სხეული—176
 და-თმა—6, 139
 „დახურული ქვა“—148
 დგნალი—74

- დედა 6, 7, 9, 18, 19, 30, 36, 77, 94, 99, 106
109, 110, 112, 113, 114, 116, 117, 118, 119,
121, 123, 135, 139, 143, 145, 146, 147, 148,
150, 151, 152, 181, 182, 186
დედა-დები—131
დედა დიდის შეუფისა—86
დედათა სქესი—182
დედათფერობა—124
დედაკაცი—12, 40, 42, 53, 67, 68, 69, 70, 145
დედამთილი—17
დედამთილობა—106
დედამიწა—161, 163
დედანაცი—182
„დედაო დიდის ღთისაო“—83
დედაქალ წიკლაური—143, 144
დედა-შვილი—8
დედაშვილობა—36, 109, 112, 139
დედიდა—25, 117
დედის გლოვა—119
დედის დედიძა—148
დედის ერთა—38, 77, 103, 108
დედის კალთა—148
დედის ნებებრა—130
„დედის სული მე“—186
დედის ქალაო—121
დედის ძვლები—180
დედის ძუძუ—109, 145
დედინაკვალი—140, 141
დედი-ძმა—58, 76, 98, 99, 102, 105, 117, 119,
120, 122, 123, 125, 138 139, 141, 143, 153
დედ-მამა—7, 8, 45, 107, 111, 112, 122, 123,
147, 148,
დედობა—116
„დედროვანი“—7, 30, 32, 34, 36
დედული—8, 24, 25, 36, 37, 106, 112, 123
დეკანოზი—82, 85
დექული—26
დერეფანი—5
დეირბინი—118, 130
დიაკონი—81, 84
დიასახლისი—27, 28
დიასახლისობა—143
დიაცი—17, 19, 33, 73, 74, 111, 114, 150
„დიდუფუჩაფილი“—182
„დიდაში შურბა“—186
დიდება—43, 82, 85, 106, 163
დიდებული—81
დიდი—121
დიდი კვლავტარი—172
დიდი სანარება—43
დიდი ქვები—13
დიდი ღმერთი—5
დიდური—146
დილა—9, 14
„დილა წუხრი“—7
დინჯი—149
დის ნატირალი—98, 156
დის შვილი—29, 99
დისწული—76, 99, 102, 106, 110, 117, 119,
122, 123, 125, 139, 141, 146, 153, 155
„დიშვილა“—106
დიხინი—110, 146
დიხა—172, 177
„დინაქ გოგინორცქუ“—179
„დინას ქედიგონჯირუნი“—179
„დობილითა“—41
დოლონანი—115
„დოლევი“—26, 29, 30, 34, 108
„დოლეგი მარბოლი ცხენი“—76
დოლი—25, 26, 34, 48
დოლურუ—167
„დოზანი“—38, 73, 74
დრო—110, 119
დრო-ჯამი—131
დროშა—51, 54, 97
დუალიზმი—175
დუმა—93
დუმაცხოველი—127
დურბინდი—136
დურბინი—95
დუსთურა—122, 154
დუშმანი—5
დღე—45, 84, 110
დღეგრძელობა—70, 85
დღენი შეუმოკლდნენ—36
დღეობა—19, 164
დღე-ღამე—127
- ე**
ეზო—5, 167, 168
ეკალი—56, 74
ეკლესია—82, 84, 162, 177
ეკლესიის გალავანი—178
ელენა—105, 143
ენა—39, 81, 83, 93, 106, 117, 131,
ენით ნათქვამი—43
ენის მიტან-მოტანა—55
ერბო—10, 20, 25, 27, 32, 33 34, 38, 45, 47,
53, 54, 67, 127
„ერაწი“—27
ერი—44, 82 84, 85

- ერისთავი—110
 ერწოს ყელა—119
 ესაჩუ—117, 152
 ეფრემი—82
 ეშმაკი—53
- „ზაი-ვაი“**—170, 171
 ვახი—162
 „ვაკეთურნი“—115
 „ვამოლარსას“—184
 ვანგარული—84
 ვაჟა—122
 ვაჟი—23, 97, 99, 101, 104, 115, 119, 128
 ვაჟიშვილი—18
 ვაჟაკი—6, 7, 50, 99, 138
 ვაჟაკობა—171
 ვაჟობა—97
 ვარგალი—84
 „ვართაზე“—41
 ვარსკვლავთ აღრიცხვა—161
 ვარსკვლავი—161, 163, 175
 ვარტლი—106, 114, 150
 ვარტლ-საცერი—143
 „ვაშინესის“—161
 „ვაშაკი“—93, 101, 110, 118, 121, 122, 125
 ვაცი—39, 73, 74
 ვახშამი—14, 21
 ვახშობა—34
 ვეზირი—138
 ველი—111
 „ვერ მოსელა შენი“—140
 ვერკენის ტოტი—94
 ვერცხლი—10, 147, 163
 ვერცხლის თასი—77
 ვერცხლის იარაღი—131
 ვერცხლის ფულები—166
 ვერცხლის ქამარი—182
 ვერცხლის ჯაჭვი—16
- ვერძი—44, 82, 85
 ვეფხი—98, 107, 118, 138, 144
 ვეშაურის შვილი—106, 143
 ვეძა—139
 ვიშვიში—170
- ზ**
 ზალტე—16
 ზამთარი—10, 51, 52, 145
 ზარალი—162, 176
 ზარი—172, 174, 177.
 ზაფხული—10
 ზედღება—77
 „ზედაველა“—182, 1831
 „ზედამდეგი“—22, 31, 32, 33, 36, 69
 „ზედამზინი“—6, 9, 24, 37, 40
 ზედაწელი—170
 ზეთი—177
 ზეთისილი—172
 ზენგორა—107
 ზენურანი—114
 „ზეპირ“—58
 ზეპირსიტყვაობა—174
 ზეცა—85, 175
 „ზეცაშე“—175
 ზეციერი—180
 ზევი—52, 113, 147
 „ზევის დაღვეა“ (ზევათ სიკვდილი)—51
 ზევის დაღეული—53
 ზვიადი—137
 ზვიადი—96
 ზვინი—57
 ზიანი—40
 ზისცარი—45, 57, 93
 „ზღები“—113
 ზომბა—168
 ზრუნვა—184
 ზული—103
 ზუმბა—142
 ზურგი—165
 ზღვა—163
 „ზღენი“—81
 „ზღენობა“—4
 ზღუდე—84
 ზღუბლთ ძირი—33
 „ზღუბლნი“—28
- თ**
 თაგურა—124
